
სამსაფეხურა
საოფეხურაფეხურა
ჟურნალი
2010
10



გენერალური დირექტორი და გამომცემელი
სერგი კაკაბაძველი

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ელზა მეტრეველი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების
ხელმძღვანელი
ელგუჯა მარღია

პროექტის განყოფილების გამგე
ბალატერ არაბელი

მთავარი
გიორგი ნერეული

საკონსულტაციო საბჭო
რაჟი ამალლობელი
ქაბუა ამირეჯიბი
ნიკუშა ანთაძე
მაყვალა გონთაშელი
ნუგზარ ერგეშლიძე
დავით თედორაძე
ოტია იოსელიანი
გენო კალანდია
ზვიად კვარაცხელია
მიხო მოსულიშვილი
დათო ტურაშვილი
ჯანსუღ ჩარკვიანი
რეზო ქეიშვილი
მარიამ ნიკლაური

დიზაინერ-დაკმაყოფილებელი
გვანცა მახათაძე

კორექტორები
ირაკლი კალანდია
ნანი ჭულუბაძე

2010 | 10

ბილეკი

ხაბაზიანი
ხალვაშიძე
ქუთელია

ეკა ონიანი. გაოცება



ეკა ონიანი. ფიფა ცხეირამბრეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი
სამხატვრო
საინფორმაციო
ჟურნალი
2010 | 10

სარჩევი

რედაქტორისაგან	2
პოეზია	
კატო ჯავახიშვილი	4
გიორგი კეკელიძე	9
ბესიკ ხარანაული	26
დიანა ანფიმიადი	31
ჯარჯი ფხოველი	36
გივი ალხაზიშვილი	49
ნატა ვარადა	53
მარიამ წიკლაური	61
ტარიელ ხარხელაური	67
ელა გოჩიაშვილი	71
ნინო სადღობელაშვილი	73
რობერტ მესხი	85
ნინო ქოქოსაძე	95
ნუგზარ ერგემლიძე	103
პროზა	
რეზო ჭეიშვილი	15
ნოდარ წულეისკირი	39
ზვიად კვარაცხელია	57
ნიკუშა ანთაძე	78
მიხო მოსულიშვილი	88
ლადო კილასონია	99
თარგმანები	
იოჰან ვოლფგანგ გოეთე თარგმნა **დავით წერედიანმა**	112
ბორის პასტერნაკი თარგმნა **ანდრო ბუაჩიძემ**	117
იოსიფ ბროდსკი თარგმნა **ნათია ორმოცაძემ**	119
თეატრი	
თემურ ჩხეიძე	105
წერილები	
ჭაბუა ამირეჯიბი	120
ინგა მილორავა	123
თამაზ ვასაძე	132
ნინო დარბაისელი	134
ინტერვიუ ნობელიანტებთან	
მარიო ვარგას ლიოსა	139
ორჰან ფამუქი	141
ლიტერატურული სიახლენი	
გურამ მეგრელიშვილი	143

დაარსებულია 1852 წელს
აღდგენილია 1957 წელს
განახლებულია 2010 წელს

გამოდის თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2010

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 98-36-43, 98-47-62
info@jurnaliciskari.ge
www.jurnaliciskari.ge



რედაქტორისაგან

საუკუნე-ნახევარს კარგა ხანია გადააბიჯა, ორი წელიც და 160 წლისა გახდება. რა არ ნახა, რა არ გადაიტანა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში — ღმერთო, როგორ ჰგავს მის მიერ გამოვლილი გზა მისი ქვეყნისას — იყო პირველდაარსების სიხარულიც და მისი სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებისთვის თავდაუზოგავი ბრძოლაც; იყო დიდებაც, პირველთა შორის უპირველესის სახელიც და უამრავი წაფორხილებაც; ოღონდ წაქცეული არავის უნახავს — 1852 წელს გიორგი ერისთავის უდიდესი ძალისხმევით გამოცემულმა „ცისკარმა," რომელსაც 1854 წლიდან ივანე კერესელიძე მოევლინა პატრონად, 1875 წლამდე იმდენი რამ გააკეთა, იმდენი კლასიკოსი და უკვდავი ნაწარმოები გააცნო ქართველ მკითხველს (ილია და აკაკი, ვაჟა და რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და ნიკო ნიკოლაძე, ტატო და სულხან-საბა... „სურამის ციხე" და „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი," უამრავი თარგმნილი ლექსი თუ მოთხრობა), მისი გამოცემის შეჩერებას ვერაფრით დაარქმევდი წაქცევას, მით უფრო, სიკვდილს. აკი დაამტკიცა კიდეც, რომ ისევ ცოცხლობდა — 1957 წელს კვლავ ამოცისკრდა ბატონ ვახტანგ ჭელიძისა და ახალი სამოციანელების ძალისხმევით. მათი დაჟინებული თხოვნა-მოთხოვნით განახლებული „ცისკარი" თავადაც უშურველად ამოუდგა გვერდში ქართველ მწერლებს — შეიძლება თამამად ითქვას, „ცისკარმა" უპატრონა, მიხედა, გადაარჩინა თანამედროვე ქართული მწერლობა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩნდა ახალი დიდი სახელები მის ფურცლებზე: ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ რჩეულიშვილი და რეზო ინანიშვილი, მურმანი და მუხრანი, ანა, ძმები ჭილაძეები..., მაგრამ საუკუნის ბოლოს გაუჭირდა ქვეყანას და „ცისკარი" რისი „ცისკარი" იყო (ის ხომ ყოველთვის თავისი ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა), „ცისკარსაც" გაუჭირდა. გაუჭირდა და, თუმცა არსებობა არ შეუწყვეტია, მხოლოდ აქა-იქღა, ყოველგვარი პერიოდულობისა და სისტემატურობის გარეშე თუ ახერხებდა მკითხველთან შეხმიანებას; იმდენიც მოახერხა, ჩვენი პატრიარქისა და საპატრიარქოს ძალისხმევით დაბადებიდან 150-ე წლისთავიც აღნიშნა და აი, ახალი საუკუნის (გნებავთ, ათასწლეულის) პირველი ათწლეულის მიწურულს კვლავ ჩაესახა განახლების იმედი — მწედ და მეოხად მოევლინა „ცისკარს" კაცი ნაკითხი, განათლებული, თავადაც პოეტი და ქართულ სიტყვასთან შეჭიდებული; რაც მთავარია, პიროვნება, ვისაც გაცნობიერებული აქვს „ენა, მამული, სარწმუნოების" ფასი და მნიშვნელობა... „ცისკრის" აღორძინება-განახლება ის საშვილიშვილო საქმე და ღვაწლია, რომელიც სულ მალე ბევრ ქართველს „აიძულებს," სიყვარულით და პატივისცემით წარმოთქვას მისი სახელი — სერგი კაკალაშვილი. დღეს ყველა ცისკრელი მისი მადლიერია, ხვალ კი, დარწმუნებული ვართ, მთელი საქართველო დააფასებს ბატონ სერგის გაწეულ უანგარო ღვაწლს.

ისტორიული „ქართლის ჭირი," სამწუხაროდ, თავს იჩენს ხოლმე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში... ამ მავნე სენისგან საბოლოოდ ვერც ქართული მწერლობა განთავისუფლდა; ბუნებრივია, ყოველთვის იქნება აზრთა სხვადასხვაობა, თაობებს შორის გარკვეული დაპირისპირება, მაგრამ ე.წ. კლანური დაჯგუფებების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ დაამუხრუჭებს ქართული ლიტერატურის განვითარებას. სწორედ, „ცისკარი" გვესახება იმ სამწერლობო გამოცემად, რომელიც, როგორც აქამდეც არაერთხელ მომხდარა, კვლავ გააერთიანებს ყველა თაობისა თუ მიმდინარეობის შემოქმედს, და არამარტო შემოქმედთ, თავის გარშემო შემოიკრებს გემოვნებიან მკითხველს და ხელმომწერს, ვისაც პური არსობისად მიაჩნია ის, რაც უპირველესად იყო —სიტყვა, ჭეშმარიტი მწერლის ნათქვამი ქართული სიტყვა...

ცისკრელების სახელით

ზაურ კალანდია

21.10.2010

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატო ჯავახიშვილი

ვაზისტირილობა

„თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასა“.

მამაშვილობისა მითხარ, ბერიკაცო!
მკლავები რომ აგიკაპიწებია და
ამ ცარიელ ვენახში უმისამართოდ დაეხეტები,
გაღმა გახედე —
გადი-გამოდის მღერის გუთანი.
ბელტებად წამომჯდარ გაზაფხულს
ცისფერი კაბა ფურისულებად მიუგდია ნამიან მინდორზე
და ვაი შენს დედას, ბერიკაცო,
რომ ფუძისთვის ვერ მოგივლია
და ვაი შენს ფუძეს, ბერიკაცო,
რომ აკვანში ჩაკრული ტალავრად წამოგდგომია თავს
და შენ კი ისევ
არტახებს ჩეჩავ.
და ვაი შენს ტალავერს, ბერიკაცო,
რომ ცრემლი ქვასავით გამაგრებია
და ველარცა ტირის.

„გადი-გამოდი, გუთანო
ღირღიტავ, ბანი უთხარო“.

შემოდგომისპირს მსხმოიარე გედგა ვენახი.
ვენახი გედგა მსხმოიარე, ქარის დაკრულზე
სულ ფოთოლ-ფოთოლ ჩამოკრიფე, მერე შენახვას
ისე ჩქარობდი, მაგ გლეხურად სველ გულისპირზე
გული რამდენჯერ ამოვარდა — კვლავ ჩააბრუნე.
წვიმა რამდენჯერ წამოვიდა — კოვზით დალიე.
ზეცა რამდენჯერ გაგიშავდა — სახეს ჩადრი და
თვალებს სიბრმავე ააფარე, რომ ეს გალია
გადაგერჩინა — სახლი შენი და ნანგრევებში
უმისამართოდ, უმიზეზოდ დგომის მაგიერ
შენი ბადიში დაელოცა ფუძის ანგელოზს,
მგზავრისა ეთქვა, გასულისა გაღმა ნაპირზე.
შემოდგომისას ამოავსე სისხლით ჭურები,
სისხლით ჭურები ამოავსე, დუღდა მაჭარი.
გული რამდენჯერ ამოვარდა — ასაჭურისე,
როცა გაზაფხულს დაემართა თვალის სიჭრელე.
მერე მარანში გიტოვებდნენ სველ ნაფეხურებს,
დადუღდა ღვინო, დაილექა შლაკი ბოცებში.
გავა დრო, ისევ შემოდგომით, როგორც ჭრელ ფოთლებს,
გაგვფანტავს ქარი, მიგვყრის სადმე, დავიხოცებით.

ჰოდა, მითხარი მამაშვილობის შენ, ბერიკაცო!
მკლავები რომ აგიკაპიწებია და

ამ ცარიელ ვენახში უმისამართოდ დაეხეტები
გახედე გაღმა —
გადი-გამოდის მღერის გუთანი
და ვაი შენს დედას, ბერიკაცო,
რომ ფუძისთვის ვერ მოგივლია
და ვაი შენს ფუძეს, ბერიკაცო,
რომ ფუძის ანგელოზს სისხლით სავსე ჭურზე ჩასძინებია
და ვაი შენს ტალავერს, ბერიკაცო,
რომ ცრემლი ქვასავით გამმაგრებია
და შენი ბადიშის შემდეგ შემოდგომას ვტირი.

„გადი-გამოდი, გუთანო
ღირღიტავ, ბანი უთხარო...“

გზა

გზას ხელი არ ახლო.
ბექობთან მოჭრილი
ჩემია.
ტერფიც კი არ დადგა ჩემს სავალ მიწაზე.
გაბრუნდი.
იწყება სიცოცხლე მარტივად, თავდაცვის ჩვევიდან,
მთავრდება რთულად და ერთხელაც ნაზამთრალ
ბინდბუნდში
ამ უცხო სილუეტს,
უფერულს,
უხორცოს,
დალანდავ,
გახსოვდე, ქარი ვარ,
საქარე მინას რომ გიბზარავს.
ამტვერებს ამ ქუჩებს მდუმარე სიტყვების კალანდა,
ხეები იცვამენ ფურცლების ბალახონს. შემზარავ
ღამეში აბიჯებ, გგონია, იწყება სივრცე და,
არადა, ამ წრეზე დადიხარ წრიულად. ისევე
მოქონილ ტუჩებზე ძველი ქატოსავით იცრება
ღიმილი — ბრჭყვიალა, ყალბი სამკაულის ბისერი.

მათ — ვინც გაზაფხული ზამთარში უშვილოდ მიაგდეს.
მათ — ვინც სულ გადაღმა, ზურგის მოშიშვლებით იარეს
მათ — ვინც ნეშომპალა იმ ძველი სახლიდან ნიადაგს

ველარ შეაშველეს,
გზები გაეწელათ იარდად.

ის მგზავრს არ ეძებდეს, ვინც ვერ გადახარა თვალები.
ის გზას არ ეძებდეს, ვინც ბნელში თვალებს ვერ შეხედა.
დღე კადრს აცდენილი ქრონომეტრაჟივით მთავრდება
სხვის ზურგს შეკედლებულ, ჯიბეში ჩარჩენილ სახელთან.

თქვი, რომ ნაძალადევ ღიმილს სვირინგივით მალავდი.
თქვი, რომ კვალს მისდევდი, მაინც ვერ უსწრებდი
განვლილზე.
დღეს მე არ ვიშენებ ჩემს ირგვლივ ციხეს და გალავანს,
ისეთი ჩუმი ვარ
ისეთი ჩუმი და... ნამდვილი.

გზას ხელი არ ახლო.
ბექობთან მოჭრილი
ჩემია.
ტერფიც კი არ დადგა ჩემს სავალ მიწაზე.
გაბრუნდი.
ათჯერ გადაზომილ ცისფერ ჰორიზონტზე ჩნდებიან
ერთხელ გადაჭრილი სიტყვები.
საჩემო.
ბინდბუნდის.

ბატონები

ჩუუ...მად, ყვავილია ტყეთა და მინდვრებში დადიან ბუტბუტით,
მე კი შენს საწოლთან ვზივარ და სიცხიანს გიზომავ ამინდებს.
მკათათვის ნიმფებმა თმები გაიშალეს და მზე დააბოტებს
ოთახში, დაკოპლილ მზერას ამ უფანჯრო სივრცეს რომ არიდებ.

დამტვერილ შარაზე, ამ გზების გადასწვრივ საღამოს ბინდბუნდში
შეხსნილი საკინძით — ქარში თუ წვიმაში აღმართულს მხედრულად
მოჭრილი გზებივით გამირბის ბავშვობა, რომელსაც მივდევდი
და ყველა გზაწვრილზე ჩემი მოთმინება ცხენივით მხედნიდა.

ოხშივარადენილ მიწაზე ფლოქვებით ვამძიმებ ნიადაგს.
მოსავალს იღებენ გლეხები მინდორში, ათევენ ღამეებს.
ისეთი უფერო გამიხდა სული, რომ სხეულსაც მილანდავს
და მელნის მაგივრად ფურცელზე დატბორილ განთიადს ვაღვენთებ.

„ბატონებო, მოუოხეთ, მოუოხეთ, ბატონებო,“
ჩემს შვილს სიცხე დაუამეთ,
ნამცხვრებით და კანფეტებით
სუფრა თქვენთვის გამიშლია
წითელ-წითელ ბაფთებითა,
ბატონს ტკბილი ჰყვარებია
თაფლითა და სანთლებითა,
გიშრის მძივი ამისხია,
ცრემლი არ გადმომვარდნია,
სასთუმალთან ჩამოვმჯდარვარ,
გზა არ გამიავდრებია,
ქვევით ველი დაუნამავს
წვიმას საფირონის ფერსა
ბატონებო, მოუოხეთ,
სიცხიანს და დედისერთას“.

ხეივანს მაცდური სუნი დასტრიალებს. ხეთა და ყვავილთა.
გზა მხოლოდ ერთია — გახსოვდეს ყოველთვის. ერთი და საშენო.
იცოდე, ცხოვრება დაშვებულ შეცდომებს ხსოვნაში აყვითლებს
და არ შლის იქიდან, ირგვლივ დამარცხებად რომ შემოიშენო.

დამტვერილ შარაზე. პატარა ფლოქვების თქარუნით მომყვები.
ეკლიან ბილიკზე ნატკენი ფეხით და ბავშვური კოჭლობით.
დაკოპლილ სხეულზე ჩნდებიან — ქრებიან ფრაზები, სიტყვები,
ჩვენი დედამიწა ზიგზაგად დახაზულ ცხოვრებას აჭრელებს.

ჩუუ...მად, ყვავილია ტყეთა და მინდვრებში შელოცვას ვბუტბუტებ
დამტვერილ შარაზე, საღამოს ბინდბუნდში. ამ გზების გადასწვრივ.
შეხსნილი საკინძით ქარში თუ ავდარში აღმართულს მხედრულად
მოჭრილი გზებივით გამირბის ბავშვობა და ვნატრობ, გაწვიმდეს.

ქვევით ველი დაუნამავს
წვიმას საფირონის ფერსა,
ბატონებო, მოუოხეთ
სიცხიანს და დედისერთას.

გიორგი კვეტენაძე

მრუდე საგალობელი

შესაქმე

ზომიერებაა ყოველივეს ძირი
ლაო-ძი

რასაც ჩასძახებ...
ანდა ზიდან

მზე ამოვიდა მზიდან.

გამოსვლა

მერვე დღეა მჭლე ბალახს ვჭამ.

ქარი — მშრალი სამართებელი — პარსავს ჭალებს
და ხეებს წითელი ფოთოლი უნებლიე ჭრილობასავით აჩნია.

მერვე დღეა მჭლე ბალახს ვჭამ.

ვისწავლე —
ღამის ჩალით დღის გადახურვა,
რკინის ქალამანი მოჭრილ ფეხზე,
მოჭრილ ხელით საჭის ჭერა,
ბადის სროლა მღვრიე ქვიშაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერვე დღეა მჭლე ბალახს ვჭამ —
ცას უწია ჩემმა რქებმა.

მომბეზრდა —
თოკზე ყელი მოვიზომე —
საბძელი დაიქცა.
დანაზე ძარღვი მოვმართე —
სისხლი შედედდა.
შაბი ვსვი
და დავთვერი,
დავთვერი და
მდინარეში გადავეშვი —
სადღაც ახლოს მტერი იჯდა და ჩემს გვამს უცდიდა,
ცოცხალი დამინახა და გამომიყვანა.

იმედი თავზე
გადამეწურა
და უკვდავების ოფლით
სველი
მივდიოდი და ჩემს უბედო ჟამზე მოვთქვამდი.

დღეს ჭა ვიპოვე.
ჭა — მიწის ცრემლმომდგარი თვალი —
და ჩავძახე:
ქარიშხალი — სიო ამომძახა,
სევდა — სიმღერა,
სიმღერა — სევდა,
სევდა — სიო,
სიო — ქარიშხალი.

სათლი — საცერი.
თივა — ცეცხლი.
ცეცხლი — საცერი.
საცერი — თივა.

მაშინ მივხვდი —
ავდექი და მე ჩავეძახე

დამალობანა, ანუ ნამდვილი საქმე ღვთისა და კაცისა

როცა თვალი გავახილე,
ის დაიმალა.
ფეხი ავიდგი და პირველსავე ბილიკს მის საძებნად გავუყევი —
ბაღი ვნახე მშვენიერი,
ხილი ვიხილე და ჩრდილი ვიჩრდილე,
მზე ლღვებოდა ლეღვის ფოთოლზე —
მაძღარმა ვეძიე და არსად იყო.
სხვა ბილიკი გავიფინე —
ბაღი ვნახე საზარელი —
გაყინული ხეებიდან
მკვდარი ყვავების გადაფრენა,
ნემსის ბალახი —
მშიერმა ვეძიე და არსად იყო.
მაშინ გავიხადე თიხის სამოსი და ქარს ვემხედრე,
ღრუბლის მოღლილი ღობე მოვარღვიე —
მეგონა, მის ეზოში ვიყავი, მთვარეს ეფარებოდა — მეგონა —
არც იქ დამხვდა.
დრო დავიფერთხე —
სხვა ეზოშიც გადავიპარე
და სხვა ეზოშიც,
სხვა ეზოშიც —
ვარსკვლავების კიბეს მივყვები,
მივყვები და ვყვირი:
— გამარჯვებულო, სადა ხარ? გამარჯვებულო, გამოდი!
— გამარჯვებულო, სადა ხარ? გამარჯვებულო, გამოდი!

პოემა ცრუ თავლაზე

მარტივი გამოცანა ძმათათვის და დათათვის, რომელნიც ცათა სასუფეველს მოელიან

—სული ცხენზე—

გადააფურთხე თხის სისხლი,
ირბინე ნაპირზე, პირში ქვებით,
ირბინე ქვებზე, პირში ქვებით,
ირბინე ქვებზე, მხრებზე ჩემით —
ეს მე ვარ — ნაცარქექია,
ჩემს ცოლს მივაჭენებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩავძახი:
დაგახრჩობს ჩაბრუნებული წამწამი — ცრემლის ჩატეხილი ბეწვის ხიდი,
დაგახრჩობს ჩაბრუნებული დარდი — ცრემლის ჩატეხილი ბეწვის ხიდი,
დაგახრჩობს ჩაბრუნებული ცრემლი —
ამოაფურთხე,
ამოაფურთხე ცრემლი —
თხის სისხლი
და უთხარი, ამწიონ.

—ცხენი—

როგორც ოკეანის წყალს აქვს ერთი გემო

ბუდა

ჩემი გვამი აქვე გდია,
ცოლის მხრებიდან ვუყურებ — სამი ჭია ეპარება,
სანამ შეჭამენ, თვითონ სიზმრის ნარჩენებს ჭამს
და ველარ ყვება,
მე ვიცი მისი სიზმარი,
სიზმრის თავი ვიცი,
მე დავუტოვე:
მოდიოდა შავი წყალი,
შავ წყალზე თეთრი ტივები და ტივზე ნისლი ტივტივებდა,
ღამეც შავი იყო —
შავი, როგორც მზის ძვლები —
ოდესმე მზე როცა მოკვდება.
სადღაც, მეორე ნაპირის ნაპირზე,
სახლების წინ კოცონი ენთო —
მოცეკვავე საფრთხობელა ავი ბნელისთვის.
მოდიოდა შავი წყალი,
წყალს ნაფოტიც ჩამოჰქონდა.

—ცხენი ნომერი 2—

ნაფოტი მეგონა და მტრის გვამი ყოფილა,
გვამი მეგონა და ცოცხალი ყოფილა,
ცოცხალი მეგონა და სიზმარი ყოფილა,
ოღონდ ბოლომდე ველარ ვნახე,
კისერი მეტკინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგახრჩობს ჩაბრუნებული ცრემლი —
ამოაფურთხე,
ამოაფურთხე ცრემლი —
თხის სისხლი
და უთხარი, ამწიონ.

ან იქით გამიშვი,
ამ ტყეს გადაღმა ჩემი სახლია —
თავზე ხავსით, თხელი, წლობით განაცვენი,
ცამ ცივი ოფლივით რომ დაასხა.
ამ ტყის გადაღმა მკვდარი სახლია,
ერთ დღესაც, ანუ
ჭაღები კბილებივით აწაკწაკდნენ,
წვიმა მოცახცახე ბოძებიდან
მიწისკენ შარდივით გაეპარა
და მერე ნელ-ნელა ჭრილობებზე
შეეხსნა ჭუჭყიანი ფიცრები და
სითბოსგან სისხლივით დაიცალა,
ტანში გასაყინი წამალივით,
აგვისტოს მკვდრებს რომ ინახავენ —
ნოემბრის ცივი ქარი ჩადგა.
...ცოტა ხანს კარზე ჯიუტ მაჯასავით
მეზობლის მიკიდული ნალი ცემდა,
მერე კი მოხამხამე ფანჯრებიც ჩამოვარდნენ,
ანუ
ღია დარჩა თვალი.
ამ ტყის გადაღმა ჩემი სახლია,
მივალ და მის გვამში დავიძინებ.

რეკვიემი

(ბიძინიჩი)

ფეხსაცმელები მინდა ბავშვისათვის, — ფეხსაცმელების სექციაში იკითხა ქალბატონმა.

— ბიჭია, გოგოა, რა ხნისაა თქვენი ბავშვი?

— ვაჟია. დიდია ტანად.

— გასაგებია... — გადმოუღო ნოქარმა სხვა, — მოდიდო.

— ეს რაა, ამაში ფეხი როგორ ჩაუვა?!.

— ამაში? ეს ნახეთ, ამის ჩამცმელი ჯარში აღარ მიჰყავთ.

— ეს არა, არა!

— არ მოგწონთ, ქალბატონო, ისლანდიურია!

— არ მოერგება, უფრო დიდი.

— მეტი დიდი აღარაა, — ანანო! — გასძახა ვიღაცას. — გამოიტანე თხილამურები!

— რომლები?

— გუშინ რომ დააბრუნა არაკაცმა...

— ჩემი ბავშვი დიდი იყო ბავშვობაში...

— იყო?!.

იღლიაში ამოჩრილი „თხილამურებით" გამოვიდა ანანო, სათვალიანი კაცი, — ჟღალი თმაწვერით..

— არა, არც მაგაში არ ჩაუვა ფეხი ჩემს ბავშვს, არ ჩაეტევა!

— ჩაწვეს უნდა შიგ?.. ამაზე დიდი ფეხსაცმელი მატერიალურ სამყაროში არ მოიპოვება!

— ანანო... ჩემი ბავშვისთვის მინდოდა!

— მივხვდი, ქალბატონო, განა ვერ მივხვდი, მივხვდი, მანდ აღარა ხართ?..

— ანანო, ვინ იყო?

— იყო, დემეტრაძის დედა იყო, ბავშვის ფეხსაცმელები უნდოდა, — ხამლები, ვერ ჩავატიეთ...

მწვანეყვავილას უბანში გაიზარდა. ცხოვრობდა სინაგოგას აღმართში, პირველი სინაგოგიდან არცთუ შორს. ლოცვისკარის კრიალოსნის ჩაგუდული, ჩაკრული მიდიოდა ყურისძირამდე. ოთხკუთხა ეზოში რაბინი ცხოვრობდა, მისი ბინის კიბე არ იყო სხვისაზე მაღალი, მამაო, ჩვენ

რეზო ჯიიშვილი

ცოტანი ვიყავით, ისინი ცოტა მეტნი. ქართული სკოლა ყურისძირში ედგა და მიაბარეს რუსულში, — სახლიდან შორს. დამეჩაგრებაო ფიქრობდა, ეგონა დედას. შვილი კი დიდი გაეზარდა, მაღალი კისრით, ჩამოგრძელებული ნიკაპით და ოჩოფეხებით. სკოლაშივე შეაჩერა ზრდა, თუმცაღა ყველას, მოწაფე-მასწავლებლიანად აასწრო სიგრძეში, კიდურების, ფეხებისა და ხელების — დისპროპორციაში.

მიდიოდა დრო, თუ ყველაფერი არა, ბევრი რამ იცვლებოდა და მეზობლებიც მიდიოდნენ. ეს გვიან.

— უნდა წავყოლოდიო, — თქვა, სულ როცა წავიდნენ.

— სად მიყვებოდი? — ჰკითხა ანანომ.

— იქ! აბა აქ შიშხათი დაკარგა ეზომ.

— მხოლოდ?! — უბედური ყამდა გამჩენ — ანანო!

ქუთაისის დრამატული თეატრის სპექტაკლი იყო წარდგენილი სახელმწიფო პრემიაზე და სტუმრებს გავყევი სტუმარივით კი არა, — კომისიის წევრად; სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, როგორც ხდება, როგორც ჩვენებური წესია, პატარა სუფრაზე, პირდაპირი გაგებით, აღმოვჩნდით პატარა რესტორან „ევროპაში", ვვახშმობდით ევროპულად ვიოლინოსა და ჩელოს თანხლებით.

რა მაგის პასუხია, სიტყვას მოყვა და დემეტრაძე გარდაიცვალა, თქვა თეატრის მაშინდელმა დირექტორმა და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარემ.

— რას ამბობ?!

— აღარა გვყავს ბიძინიჩი! — მომაშტერდა თენგიზ სუხიშვილი.

— როდის?

— დავმარხეთ!

— ვაა!.. მე ჭურში ვიჯექ თუ ქვაყუთში, წარმართულ სამაროვანში?!.

— ხდება!

მომხდარიყო!

და იქაურობას უკვე, ჩემთვის, იმ უღრუბლო დღიდან აღარ ჰყავდა ცეცხლზე ნავთის დამსხმელი, ერთი იმათგანი, ჩრდილები უჩუმრად რომ

ედგნენ ქალაქს, რომელიც მათი სინაკლულის გამო თანდათან კარგავს საკუთარ ფერს და შეუმჩნევლად, თუმცა ჩვენს თვალწინ, ხუნდება.

მე კი ცოტას ვამბობ, ბევრს ვინახავ და ველარ ვაგნებ!

ანანოს ჭკუაზე კი იარა ჩემმა დამაწყევარმა!..

ორი შეხვედრა ორ სტადიონზე

ქუთაისის „დინამოს" პატარა, მყუდრო, უფრო სწორი იქნება — შინაურულ სტადიონში რაღაც საპასუხისმგებლო, თუ არ ვცდები, ც კლასიდან ა კლასში — გადასასვლელი მატჩი ტარდებოდა. ტრიბუნები კი არა, სტადიონს მიდგმული კერძო სახლების აივნებიც მაყურებლით იყო სავსე. სხვა სექტორში გავდიოდი და ბიძინიჩმა ამიწია ხელი, სად მიდიხარ, ჩვენთან დაჯექიო. მთავრობის ტრიბუნის, ასე ეძახდნენ, ქვეშ იჯდა რამდენიმე მეგობართან ერთად; იქითა მაქვს ბილეთი, ვუთხარი. ჩვენ კი ზედმეტი ბილეთი (მაჩვენა) გვაქვს, ამაზე უკეთეს ადგილს ვერ ნახავო. თუ არავინ ამაყენებს, აქ მირჩევნია-მეთქი, დავყაბულდი, დავჯექი იქ, სადაც მერჩივნა. თამაშის დაწყებას აღარაფერი აკლდა, როცა მომადგა ერთი გაშლილი ხელით კი არა — ბილეთით, და ჩემი ადგილიაო, მითხრა, სადღა წავიდე, იწყება მატჩი?! — როგორაა, ძმაო, შენი ადგილი, ნომერი არა აქვს მაგ ბილეთს? — დაინტერესდა ბიძინიჩი.

— რომ აქვს, იმიტომ მოვედი, რიგი თერთმეტი, მეთერთმეტე რიგი...

— ადგილი?

— ადგილი (ძლივს ამოიკითხა) ას ორმოცდაშვიდი...

— მერე? ეს კაცი ზის (მეზე იყო ყურადღება) ორმოცდამეშვიდეზე, დახედე, წითლად აწერია, ასშია ცდომილება!..

— შემეშალა? — გაუკვირდა, ტყავის გაპრიალებული კურტაკი ეცვა, ჩამოსულს ჰგავდა, კილოკავზე ეტყობოდა და არა — ტყავზე.

— ჩემი სკამი სად იქნება?

— კოკოჩაშვილის ეზოში... — უთხრა ბიძინიჩმა.

— საად?!

— კოკოჩაშვილი ხომ იცი?

— აა?!. ვინ?

— ექიმი იყო ის კაცი, იმ ყორე-გალავანს იქით ცხოვრობდა.

•

დათიკია

(ჩვენი ძმა, პირის ზიარება)

სიტუაციები ადგილმდებარეობის ანდა სულაც სიტუაციების მიხედვით მეორდება ხოლმე და იმ დღესაც ფეხბურთის დაწყებამდე. თბილისში „დინამოს" სტადიონზე შევხვდი ბიძინიჩს და იქ გავიცანი სწორედ დათიკო, დათიკია ბებერაშვილი (ბებეროვი), რომელსაც გადმოცემით, სადღაცა მენახა თითქოს კიდეც, ვიცნობდი მხოლოდ.

ბიძინიჩთან ივჯდა პარტერში, დასავლეთი ტრიბუნის პრესტიჟულ ადგილში, მხოლოდ ქვევით, საყურებლად რამდენადმე უყურებელში, არადა, მეც იქ, უფრო განაკიდეს, უფრო სამხრეთში მაქვნდა (ძვ.) ადგილი. ბიძინიჩმა დამინახა, დამიძახა, ხელითაც მიმანიშნა, აქეთ წამოდიო; ტრიბუნები ივსებოდა უკვე მაყურებლებით; ზოგნი თავწახრილნი, ზოგიერთები გამართულნი აპირდაპირებდნენ საკუთარ საჯდომებს (სკამებს — რასაკვირველია) და ჯდებოდნენ.

იგი სხვაზე მაღალი ჩანდა და იყო კიდეც...

— დაჯექი, კაცო, ვინ აგაყენებს, აქ არა ვართ... ეს დათიკოა, იცნობ ალბათ... დათიკო, ვინ არ გიცნობს, შე ბედნიერო, ჩემი ძმაკაცია, მწვანეყვავილა, ეს რომ მოდიოდა, მე იქით მივდიოდი, — რუსულ სკოლაში, სადაც მიაბარეს, იქ... ეს ძმაა ჩვენი, იცოდე! — დათიკომ გაიღიმა, თავი არც კი ამოუწევია.

— ძმაა და პირის ზიარება ჩემი...

კიდევ თქვა და ხალხის ზუზუნში, არც უცდია, ვერა გამაგონა რა. არც მე გამიმახვილებია ყურთასმენა, მაგრამ ეს კაცი, დათიკო, როდის გახდა იმის ძმა და პირის ზიარება, ვერ ავხსენი. დათიკო, დათიკიად მოიხსენიებდნენ, ლაილაშალი ძმების ნაბოლარა ძმა იყო. უფროსი ცოდვააკიდებული კაცი გახლდათ, ციხის საკნებს ხეხავდა კარგა ხანი. ის ხო იყო და იყო, თუმცაღა არც დანარჩენები,

დათიკიას ჩათვლით, გამოიყურებოდნენ უცოდველ ბატკნებად.

— აქ დაჯექი, აი აქ! — მომინიშნა ადგილი ბიძინიჩმა.

— ამას თავის პატრონი ეყოლება, მოვა და ამაყენებს...

— ვინღა მოვა, თუ მოვა აქ არ ვართ, მოვა და წავა, — ჩაილაპარაკა დათიკომ, თავი არც მაშინ აუწევია;

— წავალ, ბიძინიჩ...

— შენ ადგილზე უკვე სხვა ზის, იწყება თამაში...

მოთელვაზე გამოსულიყვნენ მართლაც გუნდები და ცალ-კარ-გოლობია დაწყებულიყო ამასიმასობაში.

— ერთი, ჩვენებურო, მათხოვე შენი ბილეთი! — მთხოვა დათიკომ, თავი კი წამოწია, თუმც არ შემოუხედავს. მივეცი.

ტანსრული, ღიპიანი, თეთრი პერანგსახელოებდაკოტავებული მოქალაქეც გამოჩნდა. მივხვდი, რაღა მიხვედრა უნდოდა, ჩემკენ მოდიოდა აშკარად.

— ...ჩემი ადგილია!

ახია ჩემზე!

— სითო? — შეყოყმანდა მოქალაქე, — რავა გეკადრებათ!..

— დახედეთ თქვენ ბილეთს, როგორ როგორ მეკადრება! თქვენ თვითონ როგორ გეკადრებათ!.. ამ ადგილზე ეს ადამიანი ზის, აგერ ამისი ბილეთიც.

— როგორ მაგისი, აბა ეს ჩემია?..

— თქვენი ადგილიც ამ რიგშია, მხოლოდ ბოლოში, იქით... — მიათითა, კოკოჩაშვილი არ უხსენებია, თორემ თავი იქ, იმ სტადიონზე მეგონებოდა.

— რას ამბობ, კაცო?!

— კითხვა თუ იცი, დახედე!

— როგორ?!

— როგორ და კარგად, წადი დროზე, თვარა, მამაჩემსა აქვს ცხონება, ის ადგილიც არ დაგხვდება, დროზე, იწყება თამაში!

— ვაა! — შებრუნდა მოქალაქე და ბილეთის წაღმა-უკუღმა ტრიალით წავიდა. თავდაპირველად ვერც მივხვდი, ბილეთი რომ შეუცვალა პატივცემულმა დათიკომ.

— ვაა, გამატარეთ, თუ შეიძლება, ვაა! — მოიხედა მაინც მოქალაქემ.

— ვა და ადუღებული მძღ-რი! — ჩაილაპარაკა ბატონმა დავითმა.

— გაჩერდი მაინც! — გაბრაზდა თითქოს პირგაბადრული ბიძინიჩი.

— ა, ამის ბილეთი, გამომართვი! — უთხრა დათიკომ. — ამისია...

„ესე იგი, — ჩემი!"

რა ჩემიც იყო, კი ვიცოდი უკვე, მაგრამ რა მექნა, ახლაც არ ვიცი, როგორ შეიძლებოდა მოვქცეულიყავ მაშინ...

ჩაბერა ამასობაში მსაჯმა სასტვენს და დაიწყო თამაში, ბილეთი მე, მით უმეტეს დათიკოს, — აღარ გაგვხსენებია... და დათიკო ბებეროვი, იგივე ბებერაშვილი, სწორედ ბილეთმა დაღუპა... და არა სტადიონმა. ეს ქვემოთ!

II

მოსკოვიდან საჰაერო რეისები, ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, ნამეტნავად ჭირს და ჭირდა, მოგეხსენებათ, — მაშინაც, განსაკუთრებით იმ დროს, იმ დღეს, იმ წუთას... და არ ჰქონდა საჰაერო-სამგზავრო ბილეთი დათიკოსაც და დაინახა ნაცნობი ებრაელი თვითმფრინავში ჩასხდომის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე:

— კაცო, როგორა ხარ, პრივეტები... რა დამემართა თუ იცი?.. ბილეთი ვიყიდე ხელზე და მგონი, მაჭამა ვიღაც ჩათლახმა. რუსი რომ ამას იკადრებს, ჩვენიანი რას იზამს! მაჩვენე ერთი შენი ბილეთი შესადარებლად, განსხვავება მაინტერესებს!.. — გონზე მოსვლა არ აცალა, გამოართვა ბილეთი და საგანგებოდ თუ განგების მადლით გადაარჩინა კაცი მისიანი, რომელსაც იმ მომენტში გადასარჩენი არა სჭირდა-რა!

— სპასიბა, ბრატ, ჩემზე იყოს, ნაღდია, ჩემი კირუხი, დავიჭერ ყურებით იმ რუსს! — დაიქადნა და...

— ყე-ე!.. — გამოენთო ბილეთის პატრონი. — სად მიხვალ, სად მიგაქვს, დათიკო, რას მიშვები, საქონელი მიმაქვს...

— გამოყევი მომდევნო რეისს!

— სადღაა მომდევნო, დათიკო, მღუპავ, საქონელი მიმაქვს, ლევი ტავარი!..

— გადი, მომშორდი, რა შმონი ამიტეხე, ხალხს ნუ მიგროვებ. გადი, შენი სპეკულიანტი დედა კი მოვ-ყან. საქონელი კი არა, თავიც უკან დაგრჩება, ყეგელი მინდა აქანე, გადი, გეუბნები!..

წავიდა და წავიდა. დატოვა ახლობელი ლევი ტავარით და სხვისი, — კირუხი, გაუქმებული ბილეთით... დათიკო ბებერაშვილი ჩაჯდა სხვის თვითმფრინავში და გაფრინდა მოუსვლელში... მისი თვითმფრინავი დაიღუპა ადლერთან საავარიო დაშვების დროს...

...რა მიქნა ეს დათიკიამ, სიკვდილი გამომტაცა ხელიდან, — აღნიშნა კულაშელმა ებრაელმა, იმ სამწუხარო რეისის ამბავი რომ შეიტყო მეორე დილით.

— მაინც როგორ მოხდა, რანაირად, რაუბენ ფილხაზიჩ? — გააჩერა რუსთაველზე იმ რამდენიმე ხნის წინ, — ჩემი პატივისცემით, ჩემმა ბიძინიჩმა რაუბენი, — ამას ხომ იცნობ?..

— მაგას ვინ არ იცნობს, დაგენაცვლე! — თქვა და საეჭვოდ შემათვალიერა — ვინაარ.

— თვითმფრინავის ამბავი უთხარი, აინტერესებს!..

— ეცოდინება...

— შენგან გაეხარდება, არ იცის თანაც...

— სიკვდილი გამომტაცა, შვილი დამიხსნია გადოლ-ბეითიდან, დათიკიამ, შენიანის გარდა ვინ გიზამდა ამას. ისე მაგარი ვაჟკაცი იყო, ისე მე ვიცოცხლო!

— დათიკია ბებერაშვილი ამის საშაყიროც გახდა?! — ჩაილაპარაკა დანანებით ბიძინიჩმა, ლევი ტავარი რომ წავიდა, — მაგარი ვაჟკაცი იყოო, ხედავ?! აბა არ იყო?!

•

ერთხელ, საიდან და როგორ, არ ვიცი, ბიძინიჩმა იშოვა, შეძენით ვერ შეიძენდა, საბჭოთა ჯარში გასაწვევი ცარიელი, თუმც ბეჭედდასმული და კომისარ ფაჩუაშვილის მიერ ხელმოწერილი უწყებები; შეავსო მეზობლების სახელზე და ჩაუყარა სათითაოდ ყველას ერთ მშვენიერ შეღამებულს საფოსტო ყუთებში...

თავად

„...უქმე დღე იყო, შვიდი თუ რვა ნოემბერი და შეიქმნა ეზოში რუზრუზი. უჭირავთ ეს უწყებები, უყურებენ და ეკითხებიან ერთმანეთს — რა ხდებაო, რა ხდებოდა, ვის უნდა ცოდნოდა? ვეტერანი იყო ერთი, ნაფრონტალი კაცი — გერასიმე დავითულიანი და მედლებით გაჯინჯილებული კიტელით გამოვიდა სახეგანათებული, რა უწყებებია, მაჩვენეთო, — მოითხოვა. — რა არის ეს? გადასამზადებელი, სამთვიანი კურსების მოსაწვევები აღმოჩნდა. მითითებული იყო შეკრების ადგილი, დრო, საათი და ამუნიცია, რაც ქვია, კრუშკალოშკა... გამოცხადდით კატილოკით, თბილი ტანსაცმლით, კბილის პასტით, ჯაგრისით, სასაპნით და კიდევ რაღაც... მე „ბალკომში" ვზივარ, გაზეთი მაქვს გაშლილი, ვითომ ვკითხულობ, სინამდვილეში ვჩიჩმავ ეზოს... გამოვიდა ეზოს ავტორიტეტი ისია, ისააკ ფილხაზიჩი, სოვდაგარი, ქეც იყო მაშინ სამოცდაათი წლის, თუ მეტის არა.

— ისააკ ფილხაზიჩ, შენც მოგივიდა უწყება? — ეკითხება ერთი.

— მომივიდა, მე ვისზე ნაკლები ვიყავი, რომ არ მომსვლოდა!

— ისე, ისააკ ფილხაზიჩ, ფაჩუაშვილ დაუდგა მწვანე კვირა, ეს დედამიწა უკან ხომ არ დააბრუნა. რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს, შენ გვითხარი...

— მე რას მეკითხებით, ეგერ ზის (ჩემზეა) და იმას შეეკითხეთ, გაზეთ რომ კითხულობს სიაბანდად, ვითომ პრესას ათვალიერებს ლენინივით, დილაადრიან!..

„...ლენინს გაჩვენებ ადრე თუ მალე, ფილხაზიჩ, თუ ვყოფილვარ ბიძინიჩი!.."

...მ ე ო რ ე დ:

„შემოდგომა. ყურძენი, ციცქა-ცოლიკაური, ქაშერი. ჭაჭა. საარაყე ქვაბი სპილენძის. ეზოში

ცეცხლი, წინწანაქარი, საია, ორნახადი, სოვდაგარი გამოდის ხოლმე სამსახურიდან ზარმელზე.

...ისი, ისია, ისააკ აბრამიჩ... გაგვისინჯე! — ჯაჭვმოყენებული ორნახადი — გავუწიე სქლად ჩათლილი საღვინე სირჩით.

— თეთრეულ არ გეახლები!

შემატოვა ჭიქა ხელში, შინ შევიდა — კარგი!

სიტკბო მოგვეცეს, სიმწარე გვაშოროს! გადავკარი, ნაფსკერალა ორნახადს შევუძახე ქვაბქვეშ და იისფერი ალი აუვარდა ნაკვერჩხალს, აალდა, ჩაქრა იმწამსვე. შეშის ერთი განადაჭერი მეცნაურა იმ დღეს. ჩემი ხომ არაა-მეთქი... მეც ვარ რა! შეშა შეშას ჰგავს: თავი ძლივს ავწიე მეორე დილით და შეშა გამახსენდა რატომღაც, შეშა შეშაა ჩემი სხვისი და მგონი — ჩემი, ვიცანი, თვალით კი არა — გუმანით. გადავამოწმებ! გავიარ-გამოვიარე ეზობოლოში, სადაც საკუთარი სარაია მედგა და სადაც დაჭრილ-დახერხილი რცხილა მქონდა გამომარაგებული საზამთროდ. კარს ბოქლომი ადევს — ხელუხლებელია, თუმცაღა ეჭვი ეჭვია და შემოვუარე სარაიას... უკანა კედლის ერთი ფიცარი მორყეული, ქვემოდან ორლურსმანამოკლებული მეჩვენა. ბიჭოს! — შევიხედე, შევიჭვრიტე და რას შევხედე!

— აჰა! ჩემი შეშით ხდიან ზიარ ჭაჭას, იმიტომ ელიმებოდათ ჩემ გამოჩენაზე?.. ის დღე და... ის დღე გავუშვი და ალიონზე ავდექი. შემოვუარე კვლავ საკუთარ სარაიას, გადავწიე მოძრავი ფიცარი, მივაყოლე მეორე ქვედა ბოლოდან, ერთში რას გავეტეოდი, შევძვერი, ჩავჯექ შეშაში და ველოდები. ბევრიც არ დამჭირვებია... ახმაურდნენ, ნაკვერცხლებს დაუწყეს სულის ბერვა და ერთი გამოცალკევდა, ფეხის ხმაზე მივხვდი, — საჩემოდ, მომადგა მელოდიური სტვენით, აქეთ-იქით მიდამოს ზვერვით, ხომ არავინ მხედავსო. გულს გავუხეთქავ, სხვა თუ არაფერი, კარზე ბოქლომდადებულ სარაიაში ვის უნდა ელოდოს?!. გადაწია ფიცარი ღიღინით, სტვენას შეეშვა, შემოყო მკლავი, დაწვდა ერთ გადანახერხს და ვტაცე მაჯაში ხელი. ისე ვწვდი, როგორც მშიერი ბომბორა ნაგაზი კანჭის ძვალს. იყვირებს მგონია, მიშველეთო, რა სულიერი ეცა, ხომ არ იცის და ხო უნდა გადაირიოს და —

— ბიძინიჩ, მეორედ ვარ!

ისია (ი ს ა ა კ ა ბ რ ა მ ი ს ძ ე)

ბიძინიჩს დიდვაჭარმა, ჭიქა რომ შეატოვა ხელში, თეთრეულ არ გეახლებიო, ხაზის რადიო გამოტყუა: როგორ მოახერხა იმ დროს, ვერ გეტყვით და მიკროფონი ჩაურთო და დაუყენა საჭვრეტი მოწყობილობა სამზარეულოში, სადაც ისია, — ისააკი პუნქტუალურად, ერთსა და იმავე დროს, სანერვიულო სავაჭრო სამსახურიდან დიდ შესვენებაზე გამოსული, მარტოსულად სადილობდა. იჯდა ერთსულად, უსმენდა ხაზის რადიოს მუსიკას, უკანასკნელ ცნობებს და ყველაფერს... არც რადიოს აწუხებდა აწევ-დაწევით, არც ცოლშვილს, გარედან რომ შეახსენებდნენ დროდადრო თავს...

ის დროა, ის საათი, ისააკ აბრამის ძე ჭამს, ისმენს, გუნებაში მისდა უნებურად ითვლის ნავაჭრის შედეგებს, რიცხვებს აკლებს, ამატებს, ყოფს, ამრავლებს, ალბათ — მოსემ არ იცის მისი თავი და ტანი...

— გაამოთ, ისააკ აბრამიჩ!

— გადი შენი კეთილებიც!..

გაიგონა და ვერ გაიგო. რა შეიძლებოდა ეფიქრა. რომც გაეგო, გაგონებით ხომ გაიგონა, — მერე?!.

— გაამოთ, ისააკ აბრამიჩ! — გაამოსო რადიომ. რა უნდა ამ რადიოს ჩემგან?! ისევ — გაამოსო...

— და! — თქვა მან, გააჩერა ყბები, ტუჩები შეიწმინდა ხელსახოცით, — გაამოს... მოეჩვენა მესამედაც, თუ მოეყურა მხოლოდ?.. გუშინ, ანუ წინადღით არკი დაულევია... სუფრაზე კი იჯდა, მართალია, თუმცა არ დაულევია, ბელადის სადღეგრძელოც, კარგად ახსოვს, თქვა და არ შესვა, მოსვა. მოსვამენ კარგად, თუ გაიგეს...

...მოისმინეთ ტრანსლაცია მოსკოვიდან.

ვისმენთ! ვჭამთ კიდეც... და ისევ ის:

...პრიატნიმ აპეტიტომ, ისია აბრამოვიჩ! — რუსულად, ქართული აქცენტით.

დიქტორი: ტრანსლაცია მოსკოვიდან დამთავრებულია, მოუსმინეთ ტრანსლაციას მოსკოვიდან: ნა პროსტორახ როდინი... და ისევ თბილისი, საქართველოს რადიო:

... გაამოთ, აბრამიჩ!

— ვინაა მაგათი აბრამიჩი?!

— ისააკ აბრამიჩ, მისმენთ?

— დიახ, კი, ბიძინიჩი ხარ, ვირიშვილო, საიდან შეძვერი, შე კეთილძაღლო, ამხელა კაცი ამ ჩემს რადიოში!

... ერთხელ თვითმფრინავში მოვხვდით გვერდიგვერდ.

— შენ და ისია?

— არა, კაცო, რა უნდოდა ისიას თვითმფრინავში?.. მე და დური, დანიელი ერქვა, დურის ვეძახდით...

— შეშას რომ გპარავდა?

— კაკრაზ, სად იყო იმისი მოსაპარავი, გახსოვს ხომ, მეორედ ვარო. იქაც, იგივე. მეორედ ვართ, თუ არ მეშლება, ლაინერშიო, ალბათ-მეთქი, არ მახსოვდა. მოკლედ, დამემგზავრა თუ მე დავემგზავრე. აქეთ ხომ არ გადმოჯდებიო, ილუმინატორთანაა მოკალათებული, — ადგილს მითმობს... გახედვა მეშინია, შიში, შიშიც აღარ ეთქმის, რაღაც სხვა, შიშზე მეტი... სული მიცხავს, სანამ მიწას არ დავინახავ, სანამ ბორბლები ბეტონს არ შეეხება... ის მიჩვეულია, ყოველ მეორე დღეს შიგაა, ლაინერის ვირთაგვა. თვითმფრინავი წისქვილია მისთვის, ტურბინების ხმა — წყლის ჩხრიალი, იავნანა. თავს შევიქცევთ, ვილაპარაკებთ-მეთქი, საქმე არაფერი გვაქვს... თვლემს უკვე, თვალებს ძლივს ახელს, ღამენათევია... ავფრინდით თუ არა, — დაეძინა. მოგვიდა კაის შალომი! მე წინა სავარძლის საზურგეს ვარ ჩაფრენილი ორთავ ხელებით, გეგონება, მე მივაფრენ და წინა სკამია ჩემი შტურვალი, რაც ქვია, დანიელს, დურის ძინავს, თუმცა არც ღრმა ძილით. გაახილა მოულოდნელად ორთავ თვალი, შეხედა ჩემს მაჯის დიდ საათს, ორ საათსა და ოც წუთში, ზა ჩას ი დვა და დვადცატ მინუტ ვნუკოვოზე ვართო და დაყვინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ჩემი საათი გადაამოწმა. საათი ჩემი ტობე, დიდი, შვეიცარიული, ნათელი, ღია ციფერბლატი. გაახილა თვალები, ისევ განსაზღვრა დრო ჩემი საათით, კარგად მივდივართო, ჩაილაპარაკა და დაიძინა. შენ გიჩვენებ სეირს, გავიფიქრე და გადავწიე საათის ისრები კიდევ უფრო წინ, ავიკეცე სახელო მაჯაზე და მივუშვირე ციფერბლატი პირდაპირ თვალებში დურუს. იგრძნო თუ რა იყო, არ ვიცი, შეფხიზლდა, შეხედა საათს, კარგად მივდივართო, ჩაილაპარაკა ისევ და კარგი ფეხსაცმელები ხომ არ გინდაო, მკითხა. სადაა-მეთქი, გამეხარდა ვითომ, იქნებ არ დაეძინოს-თქვა და: — აქ ხომ არა გაქვს?

— რა უნდა მქონდეს აქ?

— ფეხსაცმელები.

— ა, ხო, ტუფლები? ოდესესერე, აქ არა მაქვს, მაგრამ ჩავფრინდებით და გაჩვენებ.

— სადაურია? — დრო გამყავს.

— დანია-ისლანდია, ოდესესერ!..

... — იმ ისლანდიაში ჭედავენ ფეხსაცმელებს? ძინავს ამას ისევ, ფეხსაცმელები ფეხზე ჰკიდია, აბა სად უნდა ეკიდოს. გადავწიე კიდევ ისრები ოციოდე წუთით და მიაბჯინა კიდეც ჩემს საათს ცალი თვალი დურუმ...

— ვიგვიანებთ? — იკითხა.

— მივფრინავთ, — ვპასუხობ, ვითომ სხვათა შორის.

— ამდენით, კაცო?! — ჩემს საათს უყურებს, — უკვე ორთავ თვალითაც.

— მივფრინავთ.

— რაა ეგ, როგორ შეიძლება, სხვაგან თუ მოხდება ამნაირი?..

„ესეც შენ, აწი დაიძინე თუ კაი ბიჭი ხარ," საათ-ნახევრის ჩაფრენილი უნდა ვიყოთ ჩემი საათის მიხედვით. ისარს თუ ვაგლახავებ, არ იცის და, ამ დროს უნდა შეიშალოს მგზავრი აუცილებლად, ასეცაა...

— ბიძინიჩ!

„...ფეხსაცმელები არ მიხსენო აქ!"

...ბიძინიჩ, ბრატ, მეორედ ვმგზავრობ შენთან ერთად...

— მეორედ ვართ...

— ბიძინიჩ, ამიხსენი, ეს სამალიოტია თუ ურემი?!

ახსნა, რისი ამხსნელი ვიყავი, აღარ დასჭირვებია, — დაამთქნარა ხოშიანად და წადო თავი.

...შენც გადაშენდი და შენი ურემიც, ეს ვინ ყოფილა! შენთან მეორედ დამჯდომს რა ვუთხარი, — ჩემდა თავად!

•

ანზორ ბიძინას ძე დ-ტ-ძე დედაქალაქში საკუთარი ხუშტურით არ ჩამოცხოვრებულა, გადმოიყვანეს და სახელმწიფო უწყების ერთი საპასუხისმგებლო სექტორიც ჩააბარეს კონტროლის ხაზით! ხელმძღვანელები ხშირად იცვლებოდნენ; მიდიოდნენ, მოდიოდნენ, რჩებოდნენ, დროებითობის განრიგი არ იცვლებოდა. ახალი წლის წინა დღეს, ქალბატონების თაოსნობით, თანამშრომლებმა სამსახურშივე გადაწყვიტეს საახალწლო სუფრის გაწყობა ღამისთევით. წინა დღითვე მოიბაზრეს; იყიდეს სანოვაგე, სასაცივე ინდაური, შესაწვავი გოჭი, სასმელზე არ უფიქრიათ, მაგი თქვენი (კაცების) საქმეაო და ნავაჭრის შეფასება, ხარჯების გადამოწმება დაიწყეს, მგონი არაფერი გვაკლიაო, თქვეს დასკვნით ნაწილში.

— აბა, რა გვაკლია?!

— მწყერები! — განაცხადა სექტორის გამგემ.

— მწყერები, ბიძინიჩ?

— აბა, სად გინახავთ, — უპატარძლო ქორწილისა არ იყოს, — უმწყერო სუფრა?!

არც მწყერიანი ენახათ, მაგრამ უფროსი ბრძანებდა და მწყრით სუფრას თუ არაფერი შეემატებოდა, არც არაფერი დააკლდებოდათ ბოლობოლო.

— კი მაგრამ, ბიძინიჩ, სად ვიშოვნოთ მწყრები ამ ზამთრისპირს?..

— მიგიწერთ ახლობელთან და იქნება მწყერი, წითელი კვერცხით: მისცა რკინეულობს მაღაზიის მისამართი და მინდობილობა, — ნდობის ვატუმით ჩააბარა ერთ ქალბატონს, რომელიც მანამდეც პირველობდა საინიციატივო ჯგუფში.

— მიგიწეროთ, დაახლოებით რამდენი დაგვჭირდება?.. თორმეტი მწყერი გვეყოფა, მე მგონი...

— თავზე გადაგვივა! — ჩაილაპარაკა ბუღალტერმა, წლიური ბალანსის სასაქონლო ღირებულებას რომ აზუსტებდა თავჩარგული.

— მართალია ბატონი კორნელი. ა, ეს მიწერილობაც, გამომართვით:

„ბატონო გიზი, ამ ბარათის მომტანთ

გამოუყავით თორმეტი დედალი მწყერი ნაღდი ანგარიშით“,

— ბიძინიჩ, ამას თქვენი ხელმოწერა არ უნდა?

— არა. გიზიმ იცის, გელოდებათ, მიდით პირდაპირ, მხოლოდ გოჭი არ უხსენოთ!

— გოჭი ნაყიდი გვაქვს.

— მაინც...

გიზის, რკინეულობის სექციის გამგეს, მეტსახელად — გოჭის, საკუთარი დარდი სჭირდა, საახალწლოდ ერთი ლურსმანი ვერ გაყიდა...

...რკინა და ლურსმანი ვის რა შავ ქვად უნდა, ყველა საჭმელს ეძებს დღესაო. ფიქრობდა და მოვიდა კიდეც შეკვეთა ხორცეულზე ცოცხალი წონით.

„ბატონო გიზი, ამ ბარათის მომტანთ

გამოუყავით თორმეტი დედალი მწყერი ნაღდი ანგარიშით“.

...და! — თქვა გიზიმ — რკინეულობის სექციის გამგემ, — ესაა სულ? — გადაატრიალა მაინც თაბახის გვერდი მეორე მხარეს — ხომ არაფერი აწერიაო, — არ გეტკინათ არაფერი.

— ვინ გამოგატანათ?

— გამგემ...

— ჩვენი სექტორის გამგემ...

— გასაგებია; რა არის, იცით, დედალი მწყერები სულ დაიტაცეს, ერთიც აღარ დამრჩა... მამლები მყავს, მაგრამ რად გინდა, ცარიელი ძვალი და ტყავია, არ გამოგადგებათ...

— არა, არაო, მამლები არ გვინდა, დედლებიო, ბიძინიჩმა...

— ა, გასაგებია, გასაგები... ბიძინიჩიდან ხართ? კი, ხომ! ვსიო იასნო... ვკითხოთ მაინც, იმას რა სურს. მობილური ამოიღო, ნომრები აკრიფა, ლოდინი არ დასჭირვებია.

— დიახ.

— ...შენ, ბიჭო, საქმე აღარაფერი გაქვს?

— რა მოხდა, ბატონო გოჭი?

— მოგი-ყან პ-ოჭი! ხომ იცი, რაც მოსდევს მაგ სიტყვას, — რა რითმა?..

— ვიცი, ვიცი, პოეტი ხარ.

— პოეტი შენ იყავი, მე მომეშვით!

პოეტი არ იყო, მაგრამ რითმით, რომელიც მას არც შეუქმნია, არც მოუგონია, დაამარცხა ავყიები, გოჭის, გოჭოს ძახილი მოაშლევინა დამძახებლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძახებდი და კარგ პასუხსაც მიიიღებდი:

გოჭი!

მ. პ-ოჭი!

მიზნის მისაღწევად ყოველი საშუალება დასაშვებიაო, ნათქვამია და დღემდე ბევრი საშუალებლობს ამ საშუალებით დასაშვების ნორმებში და უნორმოდაც.

— გოჭი!

— მოგ-ყან პ-ოჭი!

მოეშვნენ, მოერიდნენ უშვერსიტყვაობას, გვარში გასათხოვრების უდიერად მოხსენიებას და რამდენიმესართულიან გინებას გოჭი-მოჭის გარითმვმის ხარჯზე და ბატონმა გიზიმ დაკარგა, დატოვა თიკუნი იქ, სადაც შეიძინა.

— გამოდი ხვალ აუცილებლად, ორში არ მომადგე, ბედობის დღეს, თვარა მოგამტვრევ პოჭოკებს, — იცინოდა ბიძინიჩი, — ქალბატონებს თითო-თითო ლურსმანი მაინც აჩუქე საახალწლოდ, გესმის, სიმონ?!

— არ მჭირდება შენი შეხსენება.

თითო კოკორი ვარდით, თითო ფილა შოკოლადით, თითო კოცნა-ამბორით გაისტუმრა სტუმრები უმწყეროდ. გოჭზე აღარ ყოფილა ლაპარაკი. გავიდა დრო და მშობლიურ ქალაქში სარევიზიო ბრიგადას, რეიდს ეძახიან, უხელმძღვანელა, მთელი სავაჭრო, როგორც დღეს ამბობენ, ინფრასტრუქტურა შეამოწმა და სარევიზიო დასკვნითა და ანალიზით შევიდა მაშინდელ, ჯერ კიდევ არსებულ ქალაქკომში. სხვაგან, სხვა ადგილს, რომ ვერაფერი გააწყვეს, დაზარალებულებმა მაშვალი თუ დალალი ეზოშივე სამართლის ბასტიონის მისადგომებთან დაახვედრეს: — რასაც მოგვთხოვ, თანხა დაგვისახელე, გადამხდელი ვართაო, თითქოს ამინდის ცვალებადობაზე იყო საუბარი, ელაპარაკებოდა მოგზავნილი ამხანაგი. გადაეცი მაგათ და უთხარი: რამდენ საფეხურს ავივლი, იმდენი ათასი: ათს — ათი ათასი, ოცს — ოცი ათასი.

— წინასწარ დავთვალოთ?

— არა. სადაც ფეხს დავკრავ და გავჩერდები, თვლაც იქ შევწყვიტოთ... მორჩა! სასამართლოს თავმჯდომარემაც ამოიარა და გაჰყვა. საფეხურები არ უთვლია, ხმა ამოვიდა.

— პატივცემულო ბიძინიჩ, არ დაიღალეთ?!.

— რა დაღლაზეა ლაპარაკი? — გაეღიმა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში ძნელად იღლებოდა და საფეხურებსაც წინასწარ ითვლიდა.

ეს ამბავი იმავ დღესვე გახმიანდა ქალაქში, ხომ არ დაიღალეთო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ აღმასკომის, დაღმასკომის და შუასკომის თანამშრომლები. ბიძინიჩი დაღლილი იყო. ქალაქის ახალ საავადმყოფოში, საძმაკაცოში უტარდებოდა გამოკვლევები. რა საჭიროაო, ყოყმანობდა, არ უნდოდა. ვნახოთ მაინც, რას ვკარგავთ... ვიცოდეთ, არაფერი რომ არ გვჭირს. ვნახოთ, კი ბატონო. ანალიზების შედეგები (პირველადი): საეჭვოზე დადებითი, უეჭველზე შემაშფოთებელი ერთგვარად, ზეპირსიტყვიერი დასკვნები —კარგი: შესანიშნავად გამოიყურები, გამოიყურებით. მაინც თბილისი. თუ არადა საზღვარგარეთი — მაინც.

დედაქალაქში ვარდის სიო იყო, იმას ვარდების გადატრიალება ეწოდა. სამსახური გაუქმებული, თანამდებობა — აორთქლებული დაუხვდა.

ახალმა და უახლესმა ხელისუფლებამ იგი არ მიიღო და უსამსახუროდ დატოვა. სამუშაოს ძებნაში დაშვრა და სახიმანდროდ დაბადებული ადამიანი სერიოზული გახდა.

მე მოვწყდი ჩემს ფესვებს, მართლა ვამბობ!

მართლა ამბობდა, უჭირდა ჩემი შეტყობითაც, არამარტო მატერიალურად.

ესენი მეხმარებიანო, თქვა სოსო ხარაბაძის გასვენებაში და ჩემკენ მოაბრუნა ხმელი ნიკაპი. პატარ-პატარა ხუმრობებს, ნაკვესებს თარგმნიდა და ჩვენც ვუბეჭდავდით. არც სახელად ყოფნიდა, არც სახრავად, ძერას ან ორბს გალიის ჩიტის საკენკი დაუყარო, იმას ჰგავდა ის სამუშაო. შენი დაწერე, ბიჭო, შენი!..

— მოვა მაგის დროცო, უპასუხა (?..).

მოვიდა?!

არ უნდა გამეყიდა სახლი იქო, — განიცდიდა, რა თანხა იმაში მე ავიღე, რა მომცეს როო... სტუმარივით ჩავედი ამწინ იქ, — სტუმარივით.

წუთისოფლის სტუმრები არა ვართ და არ ვიყავით ყველანი?!

სიზმრები არ მასვენებს, — უცნაური სიზმრები. დედას ვხედავ სიზმარში. — თითქოს ცხადში.

...ჩემი ბავშვი ისევ ბავშვია, ანანო, ტანად დიდია...

— არამატერიალურ სამყაროში დიდი და პატარა ხამლები არ არსებობენ.

— ეს ნახე, მაინც...

— ნახოს, კი ბატონო, აქაა.

— არა, ეს არ მოერგება, ანანო, უფრო დიდი ფეხსაცმელები მაჩვენე.

დედა, რა ხდება, პატარა ხომ არა ვარ. რას მაზომებ?!.

ანანო, ის, ის, მაგ არა, დიდი, მაჩვენე, მოგწონს? ნახე, რა რბილია, აბრეშუმია, შავი აბრეშუმი.

— დედა, შავი არა, შავი არ მომერგება.!

— გაიზომე მაინც!

— არ მინდა, დედა, რად მინდა შავი აბრეშუმი?..

— მაშინ ეს ნახე, ძალიან დიდია და აყალოს ფერი.

— ეს რამოდენაა, დედა, უნდა ჩავწვე შიგ? კუბოა?!

— ჩემი...

უშა

იო — საყმაწვილო ჟურნალის რედაქტორი.

მე და სხვები.

უშა — პოეტი, მცირეგაბარიტიანი ლექსები გამოაქვეყნა.

ერთი ჩვენი, მის დროს გაკიდეგანებული, პოეტი, ფრიად ტალანტიური, სქოლიოში ათავსებდა საკუთარ თავს, უშა — სარკეში, შებრუნებული გამოსახულებით: რას დავემსგავსე და ვის ვგავარო? სარკე ძველი იყო, ძველთაძველიც კი და არა მრუდე და მაინც, — ხან წაღმა ჩანდა შიგ, ხან უკუღმა, საიდან მიუდგებოდი, — წაღმიდან თუ უკუღმიდან, იმის მიხედვით.

უშა ჯიუტიც გახლდათ: ჯერ ეს ნახონ, რაცა მაქვს... — დამინახავენ, არა და — ვერა. თუ პოეტი ხარ, ლექსი უნდა გაიტანო ან ლექსმა უნდა გაგიტანოს!.. დიდი უნდა იყო ტანად, თუმცაღა გაბზარულში ტანი ვერ გაჰქონდა, იმ დღეს კი თავიც უკან დარჩა. დრო იყო ისეთი და არა — სარკე. რაცა ვარ, ისა ვარ, — ორად ვერ გავიჭრები. ეგრე იყო:

ცხოვრობდა. დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში სულ არ იყო. ვის ჰგავდა? მამას არა. მამაჩემი უნდა მოვკლა.

— როგორ, კაცო?!

— მშვენივრად, ჩავუსაფრდები ქუჩაში და ვესვრი! ბევრჯერ თქვა, ბევრს ეგონა.

— უშა, რას ვშვრებით ახლა?

— ახლა არაფერს.

— მამის — შენის ამბავში?

— მამას მოვკლავ!

— რატომ, შე კაცო?!

— მე მარგალი არა ვარ, მით უფრო — ძეგველი, არც იქაური... მამამ მიგვატოვა მე და დედა...

შეაგვიანდა ერთხელ, მცირეტირაჟიან საყმაწვილო ჟურნალში, სადაც იგი მსახურობდა, რამდენიმე დღე არ გამოჩნდა.

— მოკლა, მგონი, მამამისი!.. — თქვა მთავარმა რედაქტორმა იომ.

უშა მომკვლელი არ იყო, თუმცაღა მამა შეიძლება რამდენჯერმეც კი ჰყავდა გასაღებული — საკუთარი მამა! — ტვინის რამდენიმე უჯრედში.

გაზაფხული იწურებოდა, ვარდის ფურცლობის დრო იყო. უშა იჯდა ცაცხვის ქვეშ ბეტონის ყორეზე. პირველად იომ დაინახა. ჩამოუსტვინა ზემოდან:

— ამოდი!

არაო. სახედაღრეჯილი ჩანდა.

— სად ამოვიდეს, რა უნდა აქ?! ან იქ რა უნდა, სადაც ზის ჭირისუფალივით, გადაშენდეს იქით! — თქვა იოს მეუღლემ, — თქვენზე ადრე დავინახე მე და არ მითქვამს. ამოვა და გადავაშენებ, გადავუშვებ აქედან!..

— ე, ეე... გარეკე ქალო?!. იქნებ საქმე აქვს...

— აქვს!

— ვიცი მაგის საქმეც... უსაქმურს საქმეს ვინ აღირსებს, არაფრის მაქნისი არაფრისთვის მოკვდება...

— უშა, რას აკეთებ აქ?! — ვკითხე მე.

ველოდებიო, ამოილაპარაკა, ჯოხი ეჭირა ხელში, — წკირი და გადატეხა.

მძღოლს რომ ველაპარაკებოდი, იოც გამოჩნდა ყვითელ-მწვანე ჰალსტუხით, წელში უკან გახრილი. წინ ძნელად, უკან თავისუფლად იხრებოდა, ეგეთი დგომყანყალი ჩვეოდა და ჰქონდა: — წინ ბიძგი, უკან ხრა!.. ღიმილით უახლოვდებოდა უშას, ვის დარაჯობ, ვის მოკვლას აპირებო, — მამაშენი აქ არ ჩამოიარს, ქუდი რომ ჩამოუგდო ზემოდანო!.. იცინოდა, ღადაობის ხასიათზე იყო.

— უშა, თუ გასასვლელი ხარ, გაგიყვან, ჩემი ავტომობილი მოსულია, — ვუთხარი.

— მანქანით ვარ... — ამოილაპარაკა.

შევამჩნიე, ყურადღება აღარ მიმიქცევია მანამდე, წითელი, წითლად გადამწვარი დრანდულეტი ჩამოთავდაღმართებულში გაეჩერებინა მოუხერხებლად.

— სად დაგიყენებია-მეთქი, ვუთხარი. ხმა არ გამცა. — რა ჭირს, ნეტავ ვიცოდე! — გავიფიქრე და იოს, მის მამას და მარჩენალს, გადავაბარე. ღადავი დაუწყო ისევ, — ჩემს მძღოლს რომ გამოველაპარაკე, ჭადრის ქვეშ სიტუაცია შეცვლილი მეჩვენა.

— ე, ე, ეე!.. — უცნაურ ხმებს გამოცემდა იო.

— რა მოხდა? — ცოლმა ჩამოძახა პირველმა.

— დედა გარდაცვლია, — ხმადაბლა, სხვამ არ გაიგონოსო, ასძახა. არადა, მათ — ცოლსა და ქმარს შორის შვიდი სართული და ღიაფანჯრებიანი ლოჯიები ჩანდა.

— ჰო, ჰო და ნუ ყვირი!

— რავა ნუ ვყვირი, მართლა დედა მოუკვდა?

— ჰო, — თქვა, ნუ შეყრი მთელ სახლს!

— უი, უი, უი... რა ეშველება მაგ უბედურს, უი, რატო ვარ ცოცხალი, მაგი დედას ვერ გაასვენებს...

— ჩვენ ხომ ვართ აქ! — მე მითხრა და არა საკუთარ მეუღლეს იომ.

— მაგი ვერ გაასვენებს, მე ჩამოვალ, თქვენ არ წახვიდეთ, აბა მაგი დედას ვერ გაასვენებს...

— რატომ გგონიათ, კაცო?!

— დედა მოუკვდა ხომ?

— დიახ;

როდის ასვენებენ, არ იცით?

ჯერ არა.

ვინ დარჩა, მამა?

...მამა, რომელიც მისი ხელიდან კაი ხნის მკვდარია...

— ბატონო?

და უშა მიდის ძეგვში!

მამა აქ მუშაობდა სადღაც სპიჩკებში, — ასანთის სარდაფში. ჭალადიდში დაიბადა ჭაობში, აქ რა უნდოდა! თავად რა უნდა, რად მიდის — ხსენებაც ზარავდა იქაობის და მიდის, არ უნდა და მიდის... დავაჯახებ და ის იქნება. მერე მამა რა შუაშია, აქ არც ის დაბადებულა, ჩავუსაფრდები ნიკოლაძის ჩიხში და ვესვრი. რატომ? თუ რისთვის? არ ჩამთვალეს პოეტად?! მე არა ვარ ანთოლოგიაში, არ შემიტანეს... არადა; — არ გავაგებინო?.. ისედაც გაიგებს... გვიანია.

— კი; — ჰო!.. ძეგვში მიაგელვებს ახლა ჩვენი უშა წითლად გახრუკულ „ზაპოროჟეცს," წინ ჟანგიანი თვითმცლელი მიგლიჯინობს მტვრისა და ცემენტის ბუქით. „ზაპოროჟეცი" გასწრებას აპირებს, ჯართი — თვითმცლელი გზას არ უთმობს. აიკლო პიპინით უშამ იქაურობა და იკადრა ძეგველმა მძღოლმა გაგზაგანება. ჩავუარე და მგონი შევაგინეო, არ ახსოვდა, ხმა არ მიწვდენია, მაგრამ ჩემი სახის კუნთების მოძრაობაზე და გამომეტყველებაზე მიხვდა და გამომენთოო, გაიხსენა: არა, არ შემიგინებია, — არც დედა, არც მამა...

...მამაჩემი რა შუაშია, აქ ხომ არ დაბადებულა...

წინ ზაპოროჟეცი — წითელი წითლად შეხუნებული და უკან თვითმცლელი, — ჟანგი, რკინა და ჯართი. გარბის და მოსდევს. თვითმცლელს,

ვადაგასულს, თუ იმ სიჩქარის აკრეფა შეეძლო, რა ვიცოდით... მიდის და მიჰყვება რკინა და ჟანგი საშინელი ხმაურით, დამწვარ-ჩამაზუთებული ბოლის შლეიფით, რომელსაც ქარი ხან გვერდიდან შემოუჯდება, ხან თავზე წამოაჯდება. ჭვარტლს წამოაფენს რკინის ჟანგს — მანქანას, რომელმაც არც ოღრო იცის, არც ჩოღრო თურმე გზაზე თუ უგზოზე. სხვა საშველი აღარ იყო და უშა შევარდა ხნარცვში და დაგვალულ ჩირგვნარში, შევიდა და შეჰყვა თვითმცვლელი ფიჩხის და ტოტნარის ლაწალუწით. მიდის უშა ფხაკაფხუკით, მისდევს ძეგველი ავაზაკი ლუნილაწით. არ ეშვება, არ სცილდება ადგილობრივი ყაჩაღი, მკვლელი. სანამ, სადამდე? გზაც აღარაა, შეკრა ტყემ პირი, ჩაიხურა ტყისხევი. შედგა. ისიც გაჩერდა შორიახლო. გადმოვიდა უშა ზაპოროჟეციდან. ძეგვმაც იკადრა გადმოსვლა. დგანან და ისრის მიწვდენამდე უყურებენ ერთმანეთს. ჟანგ-რკინთვითმცლელი თუხთუხებს, — მძღოლს მოტორი არ გამოურთავს. წითელი ავტო გრილდება, აწი იგი დაუგორებლად არ ამუშავდება:

...მივაწვები და დავაჯახებ, თუ არადა, ვცვითავ ტყეში თავს, მაგი რას დამეწევა, დედა არ შემაგინოს...

— მამა!

ორმოცი არ გადამიხდია, შემაგინებს, დავაჯახებ, — მსჯელობს ეს, ის რას ფიქრობს, რა იცის, რას გაიგებს.

— ბიჭო, — დაარღვია სიყრუე ძეგველმა, — ამხელა კაცი მაგ მანქანაში როგორ ჩაეტიე?! — პასუხს აღარ დაელოდა. ჩაჯდა დასვენებულ თვითმცლელში, დაძრა, იგორა უკუსვლით და სადღაც ქვევით შეტრიალდა მინიკანიონში...

უშა დარჩა. როგორ ჩაეტიეო, როგორ ვეტეოდი? როგორ დაეტია მართლა და მართლა ამ მიწაზე. ამ ცის ქვეშ, ხეთა კენწეროთა თაღედიდან რომ ჩანდა. მე აქა ვარ და არსად არა ვარ... მაგნაირი (ჩემნაირი) პოეტი არ გამიგიაო, გავიგონე... სატელეფონო ცნობარში, — მწერლობისაში არ შემიტანეს, დიდი ამბავი. მერე, რა მერე? არაფერი... ეს არაა მთავარი. როგორ დავეტიე? არ ვიცი, როგორ ვეტეოდი. — ვერ ვხვდები. იდგა უშა ამ მიწაზე, იმ ცისქვეშ, სადაც ყველანი ეტეოდნენ... რანაირად, როგორ? იდგა უშა ვერდატეული და ფიქრობდა, ზევით ცის ნაჭერი ჩანდა, ქვევით და წინ დაკლაკნილი, ვიწრო გზა. გზა, რომელიც ამოდიოდა, ჩადიოდა და ეგ იყო... ფიქრობდა შეჭმუხნილი სახით, ვიწრო და განიერი შუბლით, ყავის კაკლის თვალებით, თივისფერი თმით. იდგა იქ, სადაც იდგა, მოძრაობდა იქამდე, როგორც სხვა, როგორც ყოველი, როგორც ყოველიფერი. ახლაც იქა დგას და ვხედავ. ჩადის მზე, ჩამავალი სხივები აწითლებენ წითელ რკინას და უცნობ პოეტს. გხედავ, უშა! შორდება მიწიერი არამიწიერს და რჩება გარსი თვალთუხილავი, რჩება იქ, სადაც სრულდება...

ბედია მაინც, უშა, ბედია ყოველიფერი.

მესიჯ ხარანაული

ორი შელოცვა

სიბერისა

ვითამ რკინისა ხარ, ჩემო თავო,
ვითამ წყლისა და ქვა-ლოდისა,
სიბერე რომ მოგიკაკუნებდა,
გაიცინებდი: — არ მამდისა-ო!

გაბრუნდებოდა-კე საცოდავი
შარაზე ჯოხის რაკუნითა,
სხვის კარს მიადგებოდა მოკაული,
დაურაკუნებდა რაკუნათი:

— აბა გამამხედეთაო,
სარკეს ჩაგახედებთაო,
ლოგინი გამიშალეთაო,
ბალიში შააცერეთაო...

— რაკუნას ვინამ არაკუნებსო,
კარ გაუღოდეთ, მადლიაო!

— შამოდი, შე სულმატლიანო-ო,
ბუხართან ნაბდისძველან აგიანო!



შაუშვებდნენ, შამღერდებოდა,
შავ ბუხართან შაღერდებოდა,
კაცი რო დაუბერდებოდათ,
ე, მაშინ მააგონდებოდათ:

— სუყველა მაგან დაგვაბერაო,
მელაა და გაიძვერაო,

წესია მაგისთანათიო
მუდმობა ორის რამითაო:
ფეხის დაბანა ღამითაო
ცუკანის დანაბანითაო,
პირის დაბანა დილითაო
ნაბადზე ნადებ ნამითაო.

დაგვყარა გაშტერებულიო,
ჭკუა დავკარგეთ ქებულიო,
ქალისად გაქშერებულიო,
ვინ ნახა დაბერებულიო?..

წამოველ საყვედურითაო,
ე კაცებისა შურითაო,

— აცა, დამმალეთ, ქალებო,
სიბერემ ჩამაიარაო:

— სადასა ჩემი ძმობილი,
სახლში არ, კარში არაო?

— რწყილისა ვინა თქვა გალია-ო,
ჩვენია, ჩვენში მალია-ო!

— დახსენით საყელოს ღილი,
ვნახო, რომენში დადისო,
— ყველა ვართ ყელ-ღილიანნი,
შენფერი ჩვენ ვერ დაგვთვლისო,
ზოგნი თუ ოცი წლისა ვართ,
სხვანი სამოცდაათისო!..

— თავ დაუნაყეთ ქვითაო
ახედილ-ადრეკილთაო!..
კაცების ჯიბრმა დამლია,
ქალებო, რამე თქვითაო!

— აღარც ფეხთ აჩერებ, აღარც ხელთაო,
აღარც ენა-ყბათ, სარეკელთაო,
თვალთაც არ აჩერებ, საჭვრეტელთაო,
ქალთზეით კაბათ ამკრეფელთაო...

— აცა, ქალებო, თქვენთა ზნეთაო,
ნუ მამაკვლეინებთაო!

პირჯვარი გადასწერეს ქალებმა,
სრუ ასე გევლოს მადლიანო-ო...

— შე უბე-კალთათ დამჩხრეკო-ო,
ხმელის პირ-ყბითა დამჩხვლეკო-ო,
მთვარეო, მთვარის ნალევო-ო,
ქვეყანა მაიარეო-ო
ფანჯრიდან რად არ გადმოხე,
კარი რად აჭრიალეო-ო!..

სიკვდილისა

რად არ რკინის იყავ, ჩემო თავო,
რად არ კლდისა და ქვა-ლოდისა,
სიკვდილი ცელს რომ შემოგკრავდა,
წინწელი თავადვე დააბრმობდა.

წამოვიდოდა დედისაკე,
გადაეშლებოდა კალთაშია,
დედა ლოპს გადააშორებდა,
თვალებში გამოახედებდა...

— აი, ასეთსა და ასეთსაო,
ხელ-მკლავით, ტანით ნაკვეთსაო,
შუბლსა ნაფიქრსა, ნაცდომსაო,
ცხვირსა გაღმიით გამწვდომსაო,
კაცს ვინმეს, ნებაზე მჯდომარესო,
ჩიტის ნიავზე მკრთომარესო,
ცელი შემოვკარი ავთვალადო,
წინწელმა თვალები დამთხარაო.

— აი, ეგეთსა და ეგეთსაო,
სულ ღმერთის მოიმედესაო,
წინ რომ სამკალი ეთესაო,
ჩიტებმა გაუკენკესაო,
მერე მოვიდნენ ქორები,
ჩიტები დააფეთესაო,
შორით მოყარეს ღრუბლები,
სამკალზე დააწვეთესაო,
თავი ხორბალი გადარწყო,
თქვა გულში, მადლი ღმერთსაო!
ე მაშინ მიუხვიდოდი,
შამაუქნევდი ცელსაო,
შუბლზე რომ ჰქონდა ნიშანი,
ართუ სთქვი, რაა ესაო:
ამის მამკლავსა სიკვდილსა
თვალები დაუბრმდესაო.

არ დაუჯერე დედასაო,
ნუ მაჰკლავ დედისერთასაო,
მაგის სიტყვაზე ქალები
ტუჩებს უწყებენ კვნეტასაო,
თვითონაც ცოცხლად მკვდარია,
მიდის და სისხლად წვეთავსაო,
მაგრამ ლექსობას არ იშლის,
არც როდის აიკვეთავსაო:

„ეს სიყვარული რა არის,
მადლი არ დაეთვლებაო,
არც წყალი რასმეს დააკლებს,
არც ცეცხლით დაიწვებაო,
ჩვენი ქება და ძაგება
ისავ ჩვენთვია შვებაო,
თორემ იმას არც აკლდება,
არც რამე ემატებაო.

ერთი ეგ არის ამქვეყნად,
მეორე კიდევ დედაო,
წასული სააქაოდან
იმ ქვეყნად მელოდებაო,
მაგრამ უნიშნოდ ვაჟკაცი
გზას როგორ დაადგებაო,
ისევ ცელის პირს ალესავს,
ბალახი აეგებაო,
ხანდახან გაიყუჩება,
ხმა რამე მოესმებაო...“

— ნუ ჰკვდები, ხარანაულო,
ერთა ხარ, არვინ გრჩებაო,
შენი ნაჭერი კალამი
არავის შაუხდებაო,
დედა ბარბარეს შვილი ხარ,
რად ეგრე გავიწყდებაო,
შენი სიკვდილი რო უთხრან,
გულ-ღვიძლი ჩაეწვებაო,
შავეთში ერთი წყალია,
იმ წყალში დაირჩვებაო...

თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო,
ცოტაც გელექსა, გელოთაო,
რამდენი ლაღია შენ დროთაო,
გეყურა ღრუბელთა ჩეროთაო,
ჩიტთა, ყვავთა და წეროთაო,
ვინც გინდა ყოფილიყავი,
სახელიც სხვა გრქმეოდაო...

თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო,
თუ იყავ, რად აღარ ხარ, ჩემო თავო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიანა ანფიმიადი

ლოცვები და სხვა რეცეპტები

ლოცვა ლაპარაკის დაწყებამდე

ჩვენ ვიზომებით დეციბელებით.
სიტყვები, როგორც გაყინული სტალაქტიდები,
ადამიანიმანქანების გამონაბოლქვი
უფერო სუნთქვით
ისე შავად იკვამლებიან...
ამ უთავბოლო საუბრების ყრუ მღვიმეებში...

ჩვენ ვიზომებით დეციბელებით —
ჩვენი უღონო სიტყვის სიმაღლით.

ჩვენ ვიზომებით მილიმეტრობით.
სიტყვები — როგორც ხაფანგებში მკვდარი კურდღლები
გადავათრიო, მერე უნდა გადმოვათრიო —
ღია ფანჯრები სიტყვებს შორის,
ქარიორპირი
ჩვენ ვიზომებით მილიმეტრობით —
ბაგეებს შორის შორი მანძილით.

მილილიტრობით ვიზომებით,
მილიგრამებით

როცა ვმძიმდები, —
ზღვის ცხენები, მელანთევზები
ჩემს ზედაპირზე დაცურავენ,
მე კი ვიხრჩობი,
ნიჟარებით და ზღვის მარილით ბაგე მევსება.
ამპერებითაც ვიზომებით, კიდევ ვოლტობით,
რაც მთავარია, ვიზომებით მეგაჰერცებით,
მე გეუბნები — არ დაიხრჩო,
ამბობ: რადიო-
ტალღებს გავცურავ
და რადიობადე მეცმევა.

ხოდა, რადგანაც ვიზომებით:
სიცხე და წნევაც, წონაც, პულსიც და გულისცემაც მაქვს —
გადავრჩები,
თუკი მასწავლი ადგილს, სადაც (თუ გახსოვს, ერთხელ),
წყალი ასჯერ რომ გაზომე და ერთხელ გაჭერი.

სხვა მედეას რეცეპტი

რა შეიძლება მომხდარიყო, ან როგორ უნდა მომხდარიყო,
ან რატომ უნდა მომხდარიყო ასე,
ბავშვებს ისეთი მოვლა უნდათ, რომ უფრო მკვეთრად შემოხაზონ
ამ დავალების ყველა სიტყვა და ასო.
კვებავ ნახერხით მშიერ ჩვილებს — ყანაში ქურდი მაჩვებივით —
ძუძუზე მგლები — ათი, ორმოცი, ასი
მგზავრი ხარ — გზების მასპინძელი
უცხო — ისევე ახლობელი,
როგორც ქათამი
ქვისთვის — კრუხად რომ დასვა.

ოპალს სველი ბრინჯით გამოკვებავ,
ქრიზოლიტს — მზისფერი წიწილებით,
ლალს — სისხლით,
მარგალიტს — პურის ფქვილით,
ბროლს — წყალგარეული ღამე უნდა,
ლოცვებს შეუთვისე ამეთვისტო,
ქარვა, საფირონი, ბრილიანტი
ხან ერთი ხარ,
ხან მილიარდი.

ზაფრანა, კამა, დარიჩინი — რაც გაქვს ყველაფერი დანარჩენი:
ვანილი, ილი, ანისული (როგორც შენი შვილის კანის სუნი),
წიწაკა, პიტნა, ბაზილიკი — ერთად, სულ მცირე ნაწილიც კი —
კვალზე მიაფრქვიე — დანაგეში ძაღლის შვილს
ჯობდა, რომ დანა გეშვა...

ჟანგის შესაჭმელად დატოვებდი.

გახსენი შენი საგანძური.
ქარები — ალმასები — გახარებულ
თვალებს მიაგებე დედის სითბო
და შენი ბარტყები
(ბახალები იმისთვის)
გულში მაგრად ჩაიხუტე,
ისე ჩაიხუტე,
ჩაიხუთონ...

დედის ლოცვა

პირში წყალი რომ ჩავიგუბო,
მუცელში წყალი ჩაგუბდება?
იქ ოქროს თევზი ოქროს ფარფლებით იცურებს?
ვწყვეტ ხმას, რომელიც აღარა მაქვს,
ვწყვეტ ლექსს, რომელსაც ველარ დავწერ,
ვწყვეტ რძეს, რომელსაც მკვახე მკერდიდან ვიწურავ.

და ვფიქრობ შენზე, გამუდმებით ვზივარ და ვფიქრობ.
მიზნისთვის ლუპის დამიზნება — თვალის მიბჯენა
აღმოსავლეთზე — მზე ამოდის, სხივი გადატყდა
ვისმენ რძის სუნს და, რომ ვერ ვამბობ რძის სუნს, ვმუნჯდები.
და ვფიქრობ შენზე გამუდმებით, ვზივარ და ვფიქრობ.
ეს ჰგავს მარსზე წყლის აღმოჩენას. მთვარის კრატერებს
წარმოსახვითი შაქრით ვავსებ — იქნებ ჩემსავით
გიყვარს ფერადი კარამელი — ვარსკვლავთა მტვერი.
ლოდინი: როცა მზე რვა წუთით არის გვიანი,
ჩრდილში მზის ლაქებს ნაყოფებად ლეღვის ხე ისხამს,
გამოსავალი — მზე ერთ დღეს თუ სიკვდილს ინებებს
ვიპოვნით სხვა მზეს — ათასობით ბეტელჰეიზეს.

და მაგნიტური ქარიშხლები, ათასნაირი
ტყე და ცეცხლი. მაინც გაივლი.

ის, რაც ნამდვილად საშიშია, წვრილმანებია:
პური თესლში თუ ჩაიკეტა,
კვირტში ყვავილი.
ცაზე ვარსკვლავი გაიშალა — ცისკრის აგავა —
და ჩვენი ეზოს ყვავილების ნათებას ერთვის,
ნუ მომეჩვევი, სახლი არ ვარ,
მხოლოდ ბაგა ვარ.
შენთვის.

პირში წყალი რომ ჩავიგუბო,
მუცელში წყალი ჩაგუბდება?
იქ ოქროს თევზი ოქროს ფარფლებით იცურებს?
ვწყვეტ ხმას, რომელიც აღარა მაქვს,
ვწყვეტ ლექსს, რომელსაც ვეღარ დავწერ,
ვწყვეტ რძეს, რომელსაც მკვახე მკერდიდან ვიწურავ.

ოთახის ყვავილები

ღია წერილი მაია სარიშვილს

(ნაწყვეტი პოემიდან)

როგორ გგონია, ეს წყევლაა? — ჭერიდან წვიმდეს
ოქრო, ჭაობის ბაყაყები და ცის მანანა,
ყავაში ორ კოვზ შაქარს ვურევ — ჩინური ვარდი
წყლის მოთუხთუხე ნაპერწკლებით უნდა დავნამო.

— ჩვენ მეტისთვისაც გაგვიძლია —
ქოთნის ყვავილებს.
ზოგჯერ მგონია, მართალია ის ბეგონია
მეზობლის სახლის ფანჯრის რაფაზე,
როცა ქოთანს ფორმით აფასებს
და არა ძირით.
ჰმ, კაპასი...
ჩვენ მეტისთვისაც გაგვიძლია.

ანდა რისთვის ვწერთ, გიფიქრია?
რომ ეს ფრაზები
რაღაც მომწამვლელ ელემენტთა არის ნაზავი,
თუ ერთხელ რამე შეგვეშლება,

მთელს ამ ქიმიას — ხან რომ მზის მტვერი,
ხან ვარსკვლავის ვერცხლის ქიმია,
რაღაც საშიში დაერქმევა —
თავს გავიმართლებთ —
მოწამლულთათვის არაერთხელ გვიექიმია.

ან ეს ლექსები — ჩემს გაფანტულ ბამბის მოსავალს,
სხვები თავიანთ თოთო ჩვილებს რითაც მოსავენ,
სხვის ზანდუკებში ბევრს ვპოულობ და ამიტომაც,
ხანდახან ხდება — უფალს ზოგჯერ მუშტსაც
ვუღერებ —
პირველი ლექსის უფლება რომ არ დამიტოვა...

არ ვნაღვლობ ჩემი სათბურიდან მოპარულ ნერგებს,
ასე ამბობენ — სხვისი წყლის ნესტს,
სხვისი მიწის ტორფს
დაუკითხავად წაღებული მცენარეები
აგემოვნებენ უფრო კარგად, უკეთ ირგებენ.
მებაღეობა რთული დარგია.

ახლა მთავარი: ჩემს სათბურში თოთო ჩითილი
იზრდება. ხოდა, მინდა გკითხო, როცა გაჩნდება,
ფილტვებში ჰაერმოწოლილი როცა იტირებს,
როგორ მოვარგო იავნანის მშვიდი მოტივი —
მართალი ვუთხრა?
მოვატყუო?
იქნებ ნოტები
შენახული გაქვს ოთხჯერ დედას,
რამე, მარტივი.
მასწავლე, თორემ მეშინია, არ შემეშალოს.

როგორ გგონია, ეს წყევლაა? ფლოქვზე მოვები
უმიზნო რითმებს — ფრაზის ნერვულ დაბოლოებებს.
და ვამსხვრევ ფურცლებს, ვანაკუწებ ბროლის მთელ ჭურჭელს —
მშობიარობის ტკივილები რომ გამიყუჩდეს.

ეს სასჯელია? ზოგჯერ ვწეროთ, ზოგჯერ გვიყვარდეს
ჩვენ — ქოთნის იებს, ორქიდეებს და ჩინურ ვარდებს.

ჯარჯი თსოველი

ხვეწნა

შენ გეხვეწები, ქართველო,
გლოვაში, ჟამთა ქვითინში
სიკვდილის არადჩამთვლელო,
ბევრი გაქვს გასაქვითი შენ...

სიკვდილის არადჩამთვლელო
გლოვაში, ჟამთა ქვითინში,
შენ გეხვეწები, ქართველო,
არ შემოუშვა სკვითი შინ!..

არ შემოუშვა სკვითი შინ!..

2010

მარტყოფი. თებერვალი

ვერას გახდები გულის გახევით:
დარდი გუბდება: შიგა ტრიალობს...
როგორ თანდათან შეგეჩვია ჩემი სახელი,
დიდი მარტყოფის მიწავ, ტიალო!

ცივი ზამთარი და ცრემლის გუბე...
საძულველი თვე: თებერვალიც ბევრჯერ ითოვებს...
და ისიც ბევრჯერ ჩამაცმევს ღრუბლებს,
ვინც სამუდამოდ შენ დაგიტოვე!

2010



ძველი სიმღერების ციკლიდან

•

გაზაფხულის ღრუბლებს
არ უყვართ საქართველო:
მეხით და სეტყვით
ესაუბრებიან!

ზოგჯერ მზესაც წაართმევენ
და ლურჯ სარკმლებს
უკეტავენ ბინდისფერებით...

აქ ხომ ცხოვრებაც ბინდისფერია
და სოფელიც
ხომ ბინდდება უფრო და უფრო!..

თანაც ისე ჩქარა,
თანაც ისე ხელაღებით,
რომ, შეიძლება, ვერც შეამჩნიო!..

2010

•

ახლოა ჟამი სულის ამოსვლის...
აქ შენს წარსულს ჩაეყეფები...

შუაზამთარმა უკვე მოქსოვა
კავკასიონის თეთრი სამოსი:
ალაგ-ალაგ ნახმლევები რომ აჩნია,
ალაგ-ალაგ — სისხლის შხეფები...

აქ შენს წარსულს ჩაეყეფები...

კვალდაკვალ მოგდევს დარდი გერივით...
არ გავიწყდება, სისხლში გერევა
ცრემლის წინწკალი
ვარსკვლავის სიმსხო,
ცრემლი, საუფლო და საამსოფლო,
დიდგორის ველზე დაღვრილო სისხლო,
დიდგორის ველზე დაღვრილო ოფლო!

აჰა: გულიდან დარდი ამოსვი...
მოდიხარ, წარსულს ჩაეყეფები...
გაილანდება თეთრი სამოსი,
კავკასიონის სისხლის შხეფები...

2010

წუხელ

წუხელ არაგვზე ნახეს ქაქუცა:
ის შეფიცულებს ეძებდა თითქოს!..

დღეს გულებს ხანჯრავ და ანაკუწებ,
სამშობლოს დარდო: წარსულის ფიფქო!

წუხელ არაგვზე ნახეს ქაქუცა:
ის საქართველოს ეძებდა თითქოს!

2006

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნოდარ ჩულუისკირი

„შვილო გოგიას" შაშვი გალობს

დიდი აკაკის წყალობით მთელმა საქართველომ იცის, რომ „შვილო გოგიას" მოლაღური გალობს, ხევისპირში კიდევ წარბშეუხრელად გეტყვიან — შაშვი გალობსო. თუ აკაკის სახელს მოიშველიებთ და წიგნის ენით დაუწყებთ მტკიცებას, უკან დაიხევენ: შეიძლება, სხვაგან მოლაღური გალობს, მაგრამ ჩვენთან, ხევისპირში, ნინუცას სახლის ეზომიდამოში, ნამდვილად შაშვი გალობსო. წაგიყვანენ, მოგასმენინებენ შაშვის გალობას ნინუცას ყოფილ ეზოში და მართლაც დაეჭვდებით — გადახვალთ „შვილო გოგიას" იდუმალ სამყაროში, იფიქრებთ: ეგებ მართლა შაშვი გალობსო. იმასაც კი გაივლებთ გუნებაში, ეს შავი შაშვები ომში წასული, შინ დაუბრუნებელი გმირების მომლოდინე დედები არიანო.

ნინუცას სახლი და მისი კარ-მიდამო ტყეშია. სახლიაო ვერ იტყვით, ვინაიდან იქ არავინ ცხოვრობს; ნასახლარიაო, ვერც ამას იტყვით, უფრო მიტოვებულ სახლსა ჰგავს. სახლი მრავალჯერ გაუქურდავთ, რისი წაღებაც შეიძლებოდა წაუღიათ. ფანჯრების ჩარჩოებიც კი მოუგლეჯიათ. თვალებდათხრილი მოხუცივით დგას ტყეში, მარტო, ამაყად, თეთრი სინდიოფალები გამოჰყოფენ ხოლმე მრგვალ თავებს ნაფანჯრალებიდან. თუ ყურადღებით დააკვირდებით ეზოს, იმ სერს, ტყით შემოსილს, სადაც ეს სახლი დგას, დარწმუნდებით, რომ ძველებური ნაფუძარია: ეზოში ასწლოვანი ხეები დგას, დატყევებულა ეზო, ჩარუმებულა, ჩაშავებულა. სახლი არც ჩანს, ღობეც არა აქვს, მთელ ტერიტორიას ორმო აქვს შემოვლებული. ნაორმოალი ძლივს ეტყობა, მაგრამ დანახვა შეიძლება. ეს ძველისძველი ქართული წესია — სამოსახლოს ორმოს შემოავლებდნენ, საძირკვლის ჩაყრამდე ორმოს თხრიდნენ.

ეზო ხეხილით არის დაყურსული, ვაზის ვარჯი დგას იმხელა, მუხის ტანი გეგონებათ. მაგრამ გაველურებულია უპატრონობით — ერთი ხიდან მეორეზე, მესამეზე გადასულა, ხოგი ლერწი მიწაზე აგდია და ბალახებში მიცოცავს.

ამ მიდამოებში მთავარი მაინც ბალამწარაა. შუა ეზოში კვიპაროსივით აჭრილა ცაში; სწორი, ფეხმიუდგამი ტანი მაღლა, ძალიან მაღლა იტოტება. ვაჟკაცი მკლავებს ვერ შემოაწვდენს, იმხელაა. დაბერებული დიდი ტოტები შეხმობია, მაინც ცო-

ცხლობს, მაინც ისხამს შავ ყურყუმელა თაფლივით ტკბილ ნაყოფს. ბალამწარა კი არა, ბალატკბილა უნდა ერქვას. ვერავინ ადის მაღლა. თავის დროზე ნინუცა ადიოდა, კენწეროზე მოექცეოდა, სავსე კალათას ჩამოიტანდა და სოფელში წავიდოდა ჩამოსარიგებლად.

ახლა პატრონი აღარ არის, არც არავინ აკითხავს ბლის საკრეფად, არავინ მოინდომა მაღალ ხეზე ასვლა. მოდიან მხოლოდ ბერიკაცები, ტანზე ქერქს გააცლიან ხეს, ქვევრების სარცხად იყენებენ. გატყავებული დგას ეზოში. ამხელა ბალამწარა ტყეშიც არ იპოვება; იმისი ბებერი ქერქისგან გაკეთებულ სარცხზე უკეთესს ვერც კი ინატრებს ადამიანი.

იმასაც ამბობენ, ამ მიდამოებში ძველი ქართველები ცხოვრობდნენ, თავადების სასახლე იდგა, ბალამწარა მაშინაც ყოფილაო, დღევანდელი ბალამწარა იმის მიწაზე, იმის ძირის ძირზე ამოსულიყო. როცა სოფელში ოლოლების გადაძახილს გაიგონებენ, ერთი ოლოლი ნინუცას ბალამწარაზე ზის, მეორე ტყიდან ეძახისო, — ასე ამბობენ. ასეა თურმე ყოველთვის, სოფელს ასე სჯერა: „იპოვე? — არა, არა.“ — „არა, არა“ ტყიდან მოისმის. თურმე დედინაცვალს აქედან, ახლა რომ ნასახლარია, იმ სახლიდან გაუყრია ბავშვები ტყეში ძროხის საძებრად, ვერ უპოვიათ და შიშისგან ყურებიან ბუებად, ანუ ოლოლებად ქცეულანო.

ამ ლეგენდასთან თუ ვაჟა-ფშაველას ახსენებ, — მერე რა, ფშავში აქედან გადავიდაო. აქ მოხდა ეს ამბავი, ნინუცას პაპისპაპა იყო ის მამა, რომელიც სასოწარკვეთილი დაეძებდა შვილებს უღრან ტყეში, ჩიტებად ქცეული შვილები ვერ იპოვა და კლდედ გადაიქცაო.

ნინუცას სახლს უღრანი, ფოთლოვანი ტყე მოდგომია. მგლები ამ სახლამდე ჩამოდიან, აქ იწყებენ ყმუილს, სოფლის ცხვარ-ძროხასაც აქედან ესხმიან თავს. ტყე უკიდეგანოა, დღესაც ათასი ზღაპარი ითხზვება ამ ტყეზე, მაგრამ ყველაზე გრძნეული, მოჯადოებული ადგილი ნინუცას სახლია და მისი კარ-მიდამო.

ზოგი მინუცასაც ეძახის. ნამდვილი სახელი — ნინო არავის ახსოვს, ყველას პირზე ნინუცა აკერია.

ტანდაბალი, გამხდარ-გალეული, სულ მუდამ შავებში ჩაცმული, მაგრამ ძალზე ყოჩაღი, მშრომელი ქალი ყოფილა.

სოფლის ქალებისგან, საერთოდ, ქალებისგან, იმით გამოირჩეოდა, რომ თურმე ძალზე სწრაფი სიარული სცოდნია, ცხენოსან კაცს ასწრებდა, როცა რაიონში მიდიოდნენ. ასევე, მეტად უცნაური იყო ისიც, რომ მაღალ ხეებზე ადიოდა უშიშრად. სოფელში ბიჭებს რომ უჭირდათ ასვლა, ისეთ კაკალზე ავიდოდა კატასავით, თვალის დახამხამებაში და გრძელი ჭოკით ბერტყვას კაცივით დაიწყებდა. მის ბალამწარაზე ვერავინ ადიოდა, ნინუცა კენწეროზე მოექცეოდა. მაგრამ მისი სტიქია გზა იყო.

ფეხით მიქროდა მეზობელი სოფლისკენ ან ავტობუსს უჩერებდნენ და ავტობუსის საფეხურზე ავარდებოდა ასაკის შეუფერებლად. ღრმა სიბერემდე შერჩა სიმარდე, სისხარტე და მოქნილობა. დილით ხევისპირის გზას რომ დაადგებოდა ტანტალ-ტანტალით, მოკლე სწრაფი ნაბიჯებით, მეზობლები უკან ღიმილით დაადევნებდნენ:

— წაავიდა ჩვენი ვოლვო!..

სად მიდიოდა? სულ მუდამ სად მიიჩქაროდა?..

შავები ეცვა ქმრის ნაადრევად დაღუპვის გამო. ამას შვილის — გოგიას დაკარგვა დაემატა და ეცვა და ეცვა შავები. ახლომახლო სოფლების მკვიდრთ დღესაც ახსოვთ ხევისპირელი შავით მოსილი ქალი, ზოგს სახელიც კი დახსომებია — ნინუცა — და ისიც თუ როგორ დარბოდა სოფელ-სოფელ ხან ფეხით, ხან ავტობუსით; შვილის ამბავს კითხულობდა, ერთადერთ შვილს, გოგიას დაეძებდა. რუსეთის დიდ ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ვინც კი ომიდან დაბრუნდა, ყველასთან იყო ნამყოფი — ეგებ ჩემი გოგია შეხვდათო. ნინუცას სტუმრობა არ იყო ჩვეულებრივი. კაცი ომიდან დაბრუნდა, ოჯახი გახარებულია, შენ შენი მწუხარებით არ უნდა შეაწუხოო და თვითონაც ღიმილიანი და ვითომ ბედნიერი შედიოდა უცხო ოჯახში. ხელცარიელიც ხომ არ მივიდოდა მისალოცად, მიჰქონდა, რაც გააჩნდა, — ქათამი, ყველი, ხილი; შემოდგომით, როცა არაყს გამოხდიდა, ბოთლებით არაყს მიარბენინებდა. მთელმა სოფელმა და მეზობელმა სოფლებმაც უკვე იცოდნენ, რომ ერთი ახირებული, უცნაური ქალი დადიოდა სოფელ-სოფელ და ომში დაკარგულ შვილს დაეძებდა. დაბრუნებულებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილებს, დაინვალიდებულებს ახლობლები აფრთხილებდნენ: შეიძლება ასეთი და ასეთი ქალი მოვიდეს და ცუდი არაფერი უთხრაო.

ერთხელაც რაიონის გზაზე ტანტალ-ტანტალით შინისკენ მიმავალს სოფლის ავტობუსი დაეწია და გაუჩერა.

— ნინუცა, ნინუცა, შენი შვილის ამბავი ჩამოიტანა წულურეთელმა გაბოიძემო, — გამოსძახა ფანჯრიდან თანასოფლელმა.

ნინუცა ავტობუსში ელდანაკრავი შემოვარდა.

— რა მითხარი, შენ შემოგიარე? — თავზე დაადგა დამძახებელს.

— ჩემი დისშვილი ჩამოვიდა გუშინ წულურეთიდან, იმან ჩამოიტანა ამბავი: გაბოიძე ყოფილა ვიღაც, იმას უნახავს.

— წულურეთიდან? გაბოიძე?

— ჰო, წულურეთიდან. ხომ იცი, სადაც არის წულურეთი?

— როგორ არ ვიცი! გამიჩერე, შენ შემოგიარე, — მძღოლის კაბინას მოადგა ნინუცა.

— რა იყო, ადამიანო! ახლა ამოხვედი და... სახლში არ მიდიხარ?.. — გაწყრა მძღოლი და ავტობუსი გზიდან გადაიყვანა.

— შენ შემოგიარე! — უთხრა მძღოლს, ჰაერში რაღაც წრე მოხაზა, ვითომ შენ ხარ ეკლესია და მე ჩოქვით გარს გივლიო — ეს აზრი იდო იმ ხელის მოძრაობაში, თუმცა, რომ გეკითხათ, რას ნიშნავს შენი სიტყვები: „შენ შემოგიარე“ და ჰაერში მოხაზული წრეები, პასუხს ვერ მოგიგებდათ — არ იცოდა მათი მნიშვნელობა. მძღოლს მადლობა გადავუხადეო — გეტყოდათ. ასე იხდიდა მადლობას.

მზესუმზირისა და პურის ყანას საურმე გზა ჰყოფდა ერთმანეთისგან. იქ შევარდა და უმალ შეიმალა. თანასოფლელები ავტობუსის ფანჯრებიდან ცნობისმოყვარედ გასცქეროდნენ ყანებს შორის მიმქროლავ ნინუცას.

— რამდენი წლის იქნება ახლა ეს? — იკითხა ერთმა.

— ეგ და მამაჩემი ერთ კლასში, ერთ მერხზე ისხდნენ. მამაჩემი არის სამოცდაათის... იანგარიშე ახლა შენ!

— ეე, შეხედე, ჩიტივით არის, თითქოს მიფრინავს!.. უთხარი შენ სამოცდაათის!

— ერთი გაჩერების მერე უნდა ჩამოსულიყო...

— მოკლეზე ჭრის!

ნინუცა ყანებს შორის მიჰქროდა, შავ თავსაფარს ქარი უფრიალებდა და მიმავალი ავტობუსის ფანჯრებიდან თავსაფრის ფრიალს გასცქეროდნენ, თან ნინუცაზე მსჯელობდნენ.

— ეგ გაგიჟდა, არ არის სრულ ჭკუაზე.

— ეეჰ, სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო, — ჩაერთო საუბარში თავწაკრული დედაბერი. ენას უკიდებდა, „ჩხირის“ წარმოთქმა გაუჭირდა.

— რა? ტყუილს ვამბობ? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა, შედარებით ახალგაზრდა ქალმა. დედაბერი ჩუმად იჯდა, თქვა ანდაზა და ამით ყველაფერი თქვა.

— შინ ტელეგრამა მოუვიდა მთავრობის დამტკიცებული: შენი შვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო — ეგ კიდევ დარბის და დარბის, მითხარი ახლა, სრულ ჭკუაზეა?..

— ჭკუის კო.. კო.. კოლოფია! — დუმილის შემდეგ მტკიცედ უთხრა დედაბერმა გვერდით მჯდომს.

— აბა, შენა ხარ! კიდევ შენსას ამბობ! — უკმაყოფილოდ გაიქნია თავი შედარებით ახალგაზრდამ და ფანჯრიდან გახედა ხევისპირის მინდვრებს.

— მა?! შენი უნდა ვთქვა? — გაიკვირვა დედაბერმა და კიდევ რაღაც ჩაილუღლუღა გაურკვეველი და გაჩუმდნენ. ავტობუსი ხევისპირის გზაზე მიჰქროდა და მთვლემარე მგზავრები მიჰყავდა.

•

— ნინუცა ხარ, ხომ, ხევისპირელი? მობრძანდი! — ჭიშკარი გაუღო გივიეს დედამ.

— კი, ნინუცა ვარ, თქვენ შემოგიარეთ!

— იცის რაღაცა... — გაუღიმა გივიეს დედამ.

— თქვენ გეიხარეთ, თქვენმა ოჯახმა გეიხაროს, როგორც ახლა მე გამახარე! რაღაცა, ხომ? მაშ, ცოცხალია?! ასეც ვიცოდი!

— მობრძანდი! გადი, ძაღლო, იქით! — დაუცაცხანა ძაღლს მასპინძელმა. ნინუცას უნდოდა, ახლავე, ამწუთას ყველაფერი გაეგო თავის შვილზე, მაგრამ ასე უეცრად გამოჩენილი ძაღლი არ აძლევდა ამის ნებას. მოსული გივიეს დედის ზურგს უკან

იმალებოდა, ძაღლი პატრონს არ უჯერებდა და ნინუცასკენ მიიწევდა, ყეფდა შეუჩერებლად და სტუმარსა და მასპინძელს ერთად უტევდა.

— ვინ აუშვა ეს ძაღლი!.. რა ამბავში ხარ, შე უპატრონო! — ქვა აიღო გივიეს დედამ და ესროლა, მაგრამ ძაღლმა ქვა ჰაერში კბილით დაიჭირა და უფრო გაავდა. ამასობაში სახლშიც შევარდნენ, ნინუცას ათასი კითხვა პირზე შეჰყინვოდა. პირდაპირ შეიყვანეს ნაფრონტალ გივიესთან და მის საწოლთან სკამი დაუდგეს. ნინუცა მოულოდნელობისგან ადგილზე გაქვავდა — არ მოელოდა მწოლიარე გივიეს. ცალ თვალზე შავი რეზინი ჰქონდა აფარებული, ალბათ ჯერ არ მორჩენილა, თვალი ტკივაო, — იფიქრა. რაც მთავარია, მის შვილს ჰგავდა თუ მიამსგავსა. სინამდვილეში არ ჰგავდა, მაშინ ასე მოეჩვენა.

— დედა, შენ შემოგიარე! როგორ ჰგავხარ ჩემს გოგიას! ნასვლამდე იცნობდი?

— არა, არ ვიცნობდი. იქ გავიცანი, ნაწილში. — ცივად უპასუხა გივიემ. — დასვი ეს ქალი სკამზე! — უთხრა დედას მკაცრად. ნინუცა დაფრთხა. უმალ დაჯდა.

— შეგაწყინე, შენ შემოგიარე, განა ვერ ვხვდები, მაგრამ რა ვქნა, რაც შინიდან წავიდა, არაფერი ვიცი...

— მეც დიდი არაფერი ვიცი! — თქვა კუშტად გივიემ და მკლავზე დაყრდნობით წამოიწია, თავსასთუმალთან, სკამზე ედო საფულე და ქისა, „მახორკით“ სავსე, იქვე — გაზეთის ნაგლეჯები.

თვალში გეცემოდათ გაქათქათებული საბანი, ბალიში, ზეწარი, რაც მაშინ იშვიათი მოვლენა იყო — საპონი არ იშოვებოდა!

ნინუცა იმწამს ვერაფერს ხედავდა. ეს მერე, შინ რომ წამოვიდა, მაშინ ამოუტივტივდა გონებაში. დაძაბული, გაფაციცებული მისჩერებოდა ნაფრონტალ გივიეს, ის კი არ ჩქარობდა, გულდაგულ ახვევდა „მახორკას“ გაზეთის ნაგლეჯში. ნინუცა ითმენდა, ზედმეტი შეკითხვის მიცემისა ეშინოდა, ელოდა და ელოდა... ერთი ცრემლი გადმოუგორდა, დაფრთხა რატომღაც, ცერა თითით მოიწმინდა სწრაფად და კვლავ მიაშტერდა მის მხსნელს.

— ტყვედ ჩავარდა, მე ეს ვიცი! — დაიწყო თუ არა გივიემ, ნინუცამ მეტი ვეღარ შეიკავა თავი და, სკამიდან თითქოს გადმოვარდაო, გივიეს საწოლის წინ მუხლებზე დაეცა, საწოლს დააცხრა და ფეხებს ეძგერა საკოცნელად; საბნის ქვეშ ფეხი რომ ვერ იპოვა, გაშრა, მაგრამ არ შეიმჩნია — საბანს, საწოლს დაუწყო კოცნა. გივიეს დედამ ნინუცა ფეხზე წამოაყენა და ისევ დასვა სკამზე.

— მტრის ზურგში გააგზავნეს მზვერავად და უკან აღარ დაბრუნებულან, სამნი იყვნენ: გოგია და ორი თათარი. ნაწილში ამბობდნენ ტყვედ ჩავარდნენო — არა, ერთი მალდავანი იყო მგონი, თათრული სახელი ერქვა — ხასანა. აი, ის ხასანა დაბრუნდა ნაწილში, ტყვეობიდან გამოიქცა, იმან მითხრა.

— მაშ, ჩემი გოგია ცოცხალია! — შესძახა ნინუცამ და გივიეს დედას შეხედა. — ვიცოდი, ასე იქნებოდა! ღმერთმა წყალობა ნუ მოგაკლოს, შვილო, და დედაშენმა შენი კარგად ყოფნით იხაროს! დამილოცნიხართ, ჩემი სულის ჩამდგმელებო!.. — წამოდგა ნინუცა, პირჯვარი გამოისახა, მაღლა ჭერს ახედა და ღმერთს შეევედრა: ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ჩემი გოგიასავით დამიცავ ჩემი გივიე, ისიც ჩემი შვილია ამიერიდან!.. — კიდევ რაღაცას ამბობდა, მაგრამ არ ისმოდა. ბუტბუტით გავიდა ოთახიდან. გივიეს დედამ გააცილა. აივანზე რომ გავიდნენ, ნინუცამ გივიეს დედას ჩურჩულით და თანაგრძნობით ჰკითხა.

— ფეხები არა აქვს?

— ცალი ფეხი და თვალი დაუკარგია, ასკოლკა მოხვედრია იქაც და იქაც — მიუგო გივიეს დედამ ჩურჩულითვე.

— მაგას დაეძებ! — მოუიაფა ნინუცამ, — ორივე არ ჰქონდეს, ოღონდ სახლში მყავდეს!..

•

დიდმა დრომ გაიარა. ნინუცამ თურმე დიდხანს იცოცხლა, ღრმა სიბერეში მთლად დაილია, ძველებურად უკვე აღარ შეეძლო სოფელ-სოფელ ტანტალი, მაგრამ შვილს მაინც დაეძებდა და დაეძებდა, ელოდა და ელოდა.

ნინუცა ახალ დროებასაც მოესწრო. საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, გაიხსნა საზღვრები, იცვლებოდა ყველაფერი, ნინუცა არ იცვლებოდა, შვილს

ელოდა, „სადა ხარ, შვილო გოგია? რომელ ქვეყანაში გადახვედი?“ — ღამღამობით ღამეს ელაპარაკებოდა, გავიდოდა თვალცრემლიანი უკანა აივანზე, იქით ტყე იყო, იმ ტყეს ხავილით გასძახოდა — ბიჭო გოგია, დედა რატომ დაგავიწყდაო. რცხვენოდა ამ ხავილისა, ვინმემ არ გაიგოს — ისედაც „გაგიჟდას“ ამბობენ, სულ მთლად დაასაბუთ-დაამტკიცებენო.

ხევისპირი ყრუ სოფელი იყო, მაგრამ ქვეყნის ამბები მაინც აღწევდა ნინუცას ყურამდე; საზღვარგარეთიდან ვალერიანი ჩამოვიდაო, — მოკრა ყური ავტობუსში. ვალერიანი ხევისპირელი იყო, მაგრამ სოფელში არ ჩამოდიოდა, ქალაქში ცხოვრობდა. ისიც ტყვეობაში იყო ნამყოფი. ომის შემდეგ იქ, უცხოეთში, ვაჭრობა დაუწყია, ფული უშოვია და ჩამოვიდაო — სოფელში ხმა გავარდა. ნინუცამ ქალაქს მიაშურა, მოძებნა ვალერიანი და აქ მოხდა ის, რამაც ნინუცას ცხოვრებაში ბევრი რამე შეცვალა. ვალერიანს სცოდნია ნინუცას ამბავი — შვილის სიკვდილს რომ არაფრით იჯერებდა. ტყუილი უთქვამს — იმედი ჰქონდეს, დედაა, ცოდვააო — შენი შვილის ამბავი, მართალია, სხვამ მითხრა, მაგრამ ნამდვილი ამბავია: ამერიკაში ყოფილა, დაცოლშვილებულა და ბედნიერად ცხოვრობსო.

ნინუცას უგრძვნია თუ მიმხვდარა, რომ ატყუებდნენ და სევდაში ჩავარდნილა, ჩაკეტილა თავისთვის და დიდხანს, დიდხანს არავის ხმას არ სცემდა თურმე.

ერთხელაც ხევისპირში დიდი თოვლი მოვიდა. ნინუცას სახლიდან მოთქმა მოისმა. მოთქმა ნინუცასგან სოფელს არ გაუკვირდებოდა! მაგრამ ამ მოთქმაში ხშირად ისმოდა: ბიჭო გოგია! დაძრულა სოფელი ნინუცას სახლისკენ. ალბათ რაღაც ახალი გაიგო უბედურმაო. ფრთხილად, მორიდებულად შესულან ნინუცასთან. ნინუცას გამოეტანა ქმრის ნიშანი: სამოსი, ფეხსაცმელი, ქუდი... ტახტზე დაულაგებია, მიჯდომოდა და დასტიროდა. როცა მისასამძიმრებლად მისულან, ნინუცას მოთქმითვე უპასუხია: გოგიას მე არ ვტირივარ, გოგია ცოცხალია; სიზმარში ვნახე, რომ ცოცხალიაო, — ამოუგმინია. გაოგნებულა სოფელი, მამაკაცებსაც კი უტირიათ.

ამ ამბის შემდეგ ნინუცა მეტად უცნაურ ყოფაში უნახავთ თანასოფლელებს: მოდიოდა თურმე ტყიდან ისიდორე მეკუთნიშვილი. ჩამოუვლია ნინუცას ჭიშკართან, ხედავს: ბლის ხეზე ასულა ნინუცა და გაყურსული ზის იქ — თითქოს შორს გაიცქერის ძალიან მაღლა ასული. გაოცებულა ისიდორე, თავის მოკვლა ხომ არ გადაწყვიტაო, — დამფრთხალა.

— ნინუცა, — შეხმიანებია. ხმას არ სცემს თურმე, დგას ბლის მსხვილ ტოტზე და სოფელს გასცქერის. „რა უნდა, ნეტავი,“ ფიქრობს ისიდორე და ბლის ხეს გარს უვლის.

— ნინუცა, ვერ ჩამოდიხარ? კიბეს მოგიტანა ახლავე! — დაფაცურებულა ისიდორე.

— არ მინდა კიბე! — დაუძახია ნინუცას და ნელა დაშვებულა ძირს. ქოშინ-ქოშინით ჩამოვიდა, სულს ძლივს იბრუნებდა, იქვე, დიდ ქვაზე ჩამოჯდა და დაისვენა.

— რატომ ახვედი, ნინუცა, ამ ხეზე, პატარა გოგო კი არა ხარ! არ გეშინია, ჩანოვარდე და მოკვდე! — უთხრა ისიდორემ დინჯად, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

— შენ შემოგიარე, ისიდორე, ნეტავ ახლა — ნინუცამ ბლის ხეს ახედა, — იქიდან ჩამოვარდნილი, აქ დაგდებული მკვდარი ვიყო!..

ნინუცა დადუმდა. ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლს იწმენდდა შუბლიდან.

— შენ დღეს მნახე, მე სხვა დროსაც ავდივარ ამ ხეზე და ჩემს უბედურებაზე ვჩივი...

— ფიქრისთვის ადიხარ ხეზე, ადამიანო? დაეტიე მიწაზე! — განაწყენდა ისიდორე, მოკიდა წალდს ხელი — ბლისთვის მიეყუდებინა — ამოიდო იღლიაში და წასვლა დააპირა.

— ჰო, კარგი, წადი! — უთხრა ნინუცამ — მადლობელი ვარ, შენ შემოგიარე! — მიაძახა უკან. ისიდორე მობრუნდა.

— რაღაცის თქმა გინდოდა?..

ნინუცა ტიროდა. გული ამოჯდომოდა, ხმას ვერ იღებდა, გულამოსკვნილი ტიროდა.

— ტირიხარ, ქალო?.. მე შენთვის გეუბნები, თორემ ადი და იჯექი ხეზე... მე რა?.. — ისიდორე გვერდით მოუჯდა, თავს ძალზე უხერხულად გრძნობდა, რა ექნა, არ იცოდა...

— გინდა, მოგიყვან პელაგიას?!

პელაგია ნინუცას ენათესავებოდა. ისიც უბედური ქალი იყო, პირველი შვილი მოუკვდა კიბოთი, მაგრამ ვალიკომ — მეორე შვილმა იყოჩაღა და ხუთი შვილიშვილი არგუნა განგებამ. თავს მაინც არ თვლიდა ბედნიერად.

ნინუცა ტიროდა, დააპირებდა სიტყვის დაძვრას, უსკდებოდა გული — არა, არ მინდა პელაგიაო, — ვერ ამბობდა ამ სიტყვებს.

— კარგი ახლა, შედი სახლში!.. — თავზე დაადგა ისიდორე, ხელიც მოკიდა, წამოვაყენებო — იფიქრა. ნინუცამ ცრემლით სავსე თვალებით ახედა ისიდორეს, ხელით ანიშნა წადიო, ჩაკიდა თავი, გამშრალი ხელისგულები თავში წაიშინა:

— ვიტირებ ცოტა ხანს და შევალ! — თითქოს ამოხეთქეს სიტყვებმა გულიდან. დაბნეულმა ისიდორემ კვლავ გაირჭო წალდი იღლიაში და ნინუცას გაეცალა. არ შეეძლო ცრუ გამხნევება, ყალბი მოფერება.

— რა ვქნა, ისიდორე, — მოთქმასავით გააგრძელა ნინუცამ, თავისთვის მოთქვამდა, — ვხედავ მე უბედური, აქედან ვხედავ ჩემს შვილს მე უბედურიიი... — გააგრძელა ნინუცამ.

ისიდორე კვლავ მობრუნდა, რაღაცას მეუბნება თუ ვერ მეუბნება ეს ქალიო, — იფიქრა და კვლავ დაადგა თავზე.

— მოდი მაშინ, აგერ დაჯექი, — ისიდორე კვლავ მიუჯდა გვერდით. დიდი ლოდი კი იყო, მაგრამ ოღროჩოღროდ შეექმნა ბუნებას და ძნელი დასაჯდომი იყო. ისიდორე, როგორც იქნა, მოკალათდა.

— არ დამიჯერებ მაინც! — ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო ისიდორეს. — ამ ხეზე ავალ, გავხედავ სოფელს და ხევისპირის აღმართზე ჩემი შვილი გამორბის, პატარა გოგია. მეხუთე კლასში იყო მაშინ, ზურგჩანთა ეკიდა და აღმართზე გახარებული ამორბოდა, მე ბალს ვუკრეფდი, სკოლიდან რომ მოვა, დავახვედრებ-მეთქი. თურმე ხუთიანი მიიღო და იმიტომ გამორბოდა დედისკენ. ა, ბლის ძირას ხომ ვართ ახლა, ახლა ვერ ვხედავ, ავალ ხეზე და გამორბის... გაგიგონია ასეთი სასწაული!..

— კარგი, ნინუცა, შედი სახლში, დამშვიდდი, ნერვიანობ შენ!

ნინუცას თავი არ აუწევია, ქვაზე იჯდა, თითქოს იმ ქვას მიაქვავდაო. ისიდორე კარგა ხანს ადგა თავზე. ბოლოს წავიდა, უკან-უკან ყურებით მიდიოდა, ნინუცა ეგებ წამოდგეს და შინ შევიდეს. არ წამომდგარა ნინუცა.

•

ისიდორე სოფელში რომ ჩამოვიდა, პირდაპირ პელაგიას მიადგა.

— პელაგო! — დაუძახა შორიდან.

— მობრძანდი, ისიდორე, — შინიდანვე გამოსძახა და ხელად გამოვიდა აივანზე ტუჩების წმენდით. ისიდორე ჩუმად იდგა ჭიშკართან, პელაგია მრავალსიტყვიერებდა და მოდიოდა.

— დედა, შენისთანა სასურველი სტუმარი!.. ნეტავ ჩემი ვალიკო იყოს ახლა სახლში... შემოდი მაინც, ჭიშკართან რას უდგახარ, ადამიანო!..

— პელაგო, საქმე მაქვს შენთან! აგერ სკამეიკა, აქ ჯობია. დავჯდეთ აქ! — თქვა ისიდორემ და, ვიდრე პელაგია ჭიშკარში გადავიდოდა, თვითონ დაჯდა ძელსკამზე, რაც საგანგებოდ დაეჭედა ოჯახის პატრონს ასეთი შემთხვევისთვის.

— ჭიშკართან რა საკადრისია, ისიდორე, შენ რა, უცხო ხარ?

— ჩუმად! შენები შინ არიან? — ხმადაბლა უთხრა.

— არავინ არ არის, რძალი და ბავშვებია...

— აგერ დაჯექი! ახლა მოვდივარ ტყიდან! გამოვიარე ნინუცას სახლთან...

— მოკვდა?! — შესძახა პელაგომ და უცებ გადაფითრდა, ტუჩზე ხელს იფარებდა.

— არავინ მომკვდარა! რა იყო, შე ქალო! უჰ! — უთხრა. მოკიდა ხელი პელაგიას და გვერდით მოისვა, — ნუ ყვირიხარ, ნუ შემიყარე მეზობლები!.. საჩუმათო საქმეა...

— თქვი, რა იყო!..

— ნინუცა არ მომწონს, ძალიან დაბერდა ამ ბოლო დროს. არავინ არა ჰყავს ნათესაობა, რომ წაიყვანონ თბილისში, ექიმს ანახონ?..

— რა ჭირს საექიმო! რაო, რამე გითხრა!

— არა, არაფერი უთქვამს, მაგრამ არ არის ძველებურად. ხომ გახსოვს, დაჰქროდა სოფელ-სოფელ, რა მკვირცხლი და მარჯვე იყო!..

— მერე?..

— ახლა შინიდან არ გამოდის, წელში მოიხარა...

— წელში მოიხარა! მითხარი ახალი ამბავი! მამიდაჩვენი სოფიო — შენ არ გახსოვს, ბავშვი ხარ! სხვებს ახსოვთ ამ სოფელში, სულ მუდამ წელში მოხრილი იყო, მაგრამ იმდენი ხანი იცოცხლა, ას ცხრა წლის რომ იყო, მაშინ გადაუღეს კინო!..

— პელაგო, მომისმინე, არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ... ხეზე იყო გასული და ძლივს ჩამოვიყვანე ხიდან.

— ხეზე? — დაეჭვდა პელაგია. — რა უნდოდა ხეზე ამ ზამთარში?

— ოო, მეც მაგას ვჩივი, რა უნდოდა?.. იქიდან ჩემს შვილს ვხედავო, — ასე მითხრა, — გოგიას, ორმოცდაათი წლის წინ დაღუპულ ადამიანს.

— გოგიას ვხედავ ხიდანო?.. — კიდევ უფრო დაიბნა პელაგია, — გააყოლა ჭკუა ალბათ თავის გოგიას. აბა, რა იქნება! ორმოცდაათი წელიწადი ელოდო ადამიანს, გაგიგონია! აიჩემა და აიჩემა — ცოცხალიაო. აა, შედეგი! რა ვქნათ ახლა, ისიდორე, მართლა შევატყობინოთ ნათესავებს. ჰყავს მაგას მაზლიშვილი — აკადემიკოსია, დეიდაშვილის შვილი ცნობილი ადამიანია კიდევ, სხვები ბევრნი არიან კიდევ, ზოგი თბილისში, ზოგი სხვაგან. შევატყობინო?..

— შეატყობინო, თორემ გამოიქცევიან — ყველას თავისი გასაჭირი აქვს, თავისი ცხოვრება..... ჯერ ნინუცასთან მივიდეთ მე, შენ, კიდევ ვინ არიან? ლუკა, ივანე — ბიძაშვილები! კიდევ, კიდევ...

— არ გვინდა ამდენი ხალხი, მე და შენ მივიდეთ და ვკითხოთ, ნათესავებს შევატყობინოთ თუ არა.

— უარს გვეტყვის! კიდო ავა ის იმ ხეზე, ჩამოვარდება და მოკვდება... ერთად, მთელი სოფელი მივიდეთ და მოერიდება.

— არ იზამს, არა! — ხელები გაასავსავა პელაგიამ, — იყვნენ აქ ჩამოსულები მისიანები, მაგრამ არ წაყვა.

— მე ჩემი გითხარი და... — წამოდგა ისიდორე. — მოკვდება ის იქ უპატრონოდ, მგელი შეჭამს. სოფლის სირცხვილია...

•

პელაგია ისიდორეს წასვლის შემდეგ ძალზე დაფიქრდა. „არ მითხრა, შენი სირცხვილი იქნებაო“. მართალია, გარეგიძაშვილის რძალი ეთქმოდა, მაგრამ ყველაზე ახლობელი ნინუცასთვის მაინც პელაგია იყო. ადგა და წავიდა ნინუცასთან. ერთი ქილა მარწყვის მურაბა ჰქონდა გადანახული ასეთი შემთხვევისთვის, გაახვია გაზეთში და წავიდა. შორს კი არ იყო, მაგრამ აღმართ-აღმართ უნდა ევლო და აღმართზე ასვლა უჭირდა — პელაგიაც არ იყო ახალგაზრდა. მართალია, ნინუცასთან შედარებით ბავშვი იყო, მაგრამ წლებს მისთვისაც დაესვა თავისი დაღი.

ამოათავა აღმართი, გული ამოუჯდა, შეისვენა, გახედა ნინუცას სახლს, რას ხედავს: ა, აგერ, ბლის ხეზე ჩიტივით ზის ნინუცა.

— რა გინდა ამ ხეზე, შე ჩემი ცოდვით სავსე! — შესძახა და ნაბიჯს უჩქარა, მიირბინა ნინუცას ჭიშკართან, შეაღო, მიიჭრა ბლის ხესთან, იმის ძირას დაჯდა ქოშინ-ქოშინით.

— ჩემი სიკვდილი! ჩემი სიკვდილი!.. — მუხლებზე დაიტყაპუნა ხელები, ტირილი მორთო, მერე ზევით აღაპყრო ცრემლიანი თვალები და ნინუცას შესძახა:

— რა გინდა, ნინუცა ძალო, ამ ზამთარში ხეზე! დედა, დედა, მოგვეჭრა თავი მთელ ქვეყანაზე!.. ქე მაინც ფრთხილად ჩამოდი! — ასძახა ზევით.

ნინუცა ნელა შეირხა, ნელ-ნელა ადგამდა ტოტებს ფეხს და ძირს ეშვებოდა. არაფერი უთქვამს პელაგოსთვის საპასუხოდ. ამჯერად ბლის ხეზე კიბეც მიედგა და უფრო თავისუფლად ჩამოვიდა.

— რა ვქნა, პელაგო, არ გამამტყუნოთ, თქვენ შემოგიარეთ, იქ არის ჩემი სული, იქიდან ვხედავ ჩემს შვილს, — ჩამოვიდა თუ არა, უთხრა პელაგიას.

— როგორ „ხედავ?“ ორმოცდაათი წელიწადი გავიდა, ნინუცა ძალო! არ გრცხვენია! რას ხედავ აქედან; აბა, ერთი მე შევხედო!.. — პელაგო კიბეზე შედგა, ერთი-ორი საფეხური ააბიჯა და შეჩერდა.

— მეც გადამრია ამ ქალმა! — თქვა და უცებ დაეშვა. — იცი, რას ამბობენ სოფელში შენზე?

— ვიცი, პელაგო, თქვენ შემოგიარეთ; ყველას გლოცავთ, ვინც ცუდს ამბობს და ვინც კარგს ამბობს. მოდი აგერ, დავსხდეთ და მომისმინე, ეგებ გამიგო.

— სად უნდა დაჯდე, ქა! სულ მთლად გატყიურდი? ცივა, ზამთარია, ქვაზე რა დამაჯენს! შევიდეთ სახლში!

— შევიდეთ, გაგახარა ღმერთმა. რა ვიცი, ჩემთან არავინ შემოდის, შენ შემოგიარე, პელაგო, ყოველთვის მეიმედებოდი და მართალი ვყოფილვარ! — ნინუცა წინ გაუძღვა სტუმარს და სახლში შევიდნენ.

პელაგომ გაზეთში გახვეულ მარწყვის მურაბას გაზეთი შემოაცალა და, ზალაში რომ შევიდნენ, მაგიდაზე დაუდო.

— რატომ წუხდებოდი, პელაგო, შენ შემოგიარე, ბავშვებს რატომ მოაკელი. მე ამას არ ვჭამ, შენ ხომ მაინც იცი?

— რომ ვიცი, იმიტომ მოგიტანე, დამთავრდა გლოვა დიდი ხანია! ახლა ამქვეყანას უნდა დაუბრუნდე...

— არა, პელაგო, მე მურაბა ვჭამო და ჩემმა შვილმა მიწა ჭამოს! პური და წყალია ჩემი საჭმელი დიდი ხანია და ასე იქნება ბოლომდე. ეს ბავშვებს წაუღე, თუ გიყვარდე, თუ ჩემი ხათრი გაქვს ოდნავ...

— ნინუცა ძალო! — გამოართვა ქილა პელაგომ, — ეგება ამ სიბერეში ცოტა ნერვები გღალატობს, მკურნალობა გჭირდება. ეჩვენე ექიმს, რა უჭირს. შევატყობინებ შენებს, ჩამოვლენ და წაგიყვანენ.

— იყო რევაზი — ხომ იცი, დიდი კაცია ახლა თბილისში, არ წავედი... რაც უფრო ჩქარა მოვკვდები, მით უკეთესია ჩემთვის, მალე ვნახავ ჩემს შვილს... თავის მოკვლის მეშინია, — სამუდამოდ დავკარგავ გოგიას სულს.

— კარგი რა, ნინუცა ძალო, ეგება მართლა ამერიკაშია, მართალი გითხრა იმ კაცმა და შენ კი გგონია, მოგატყუეს. დაცოლშვილებულია, ბედნიერად ცხოვრობს, შენ კი აქ იტანჯები.

— ჰო, შენ შემოგიარე, ხანდახან მეც კი ვფიქრობ მასე...

— ჰოდა, ცოცხალი ადამიანის გლოვა, ხომ იცი, რომ არ შეიძლება, აკრძალულია...

— ჩემს შვილს მე არ ვგლოვობ, ვგლოვობდი ქმარს, დედას, მამას, ძმას. აგერ შეხედე, ამათ ვგლოვობდი და ვგლოვობ დღესაც, გოგიას კი ველოდები. — ნინუცამ კედლისკენ მიახედა პელაგია. პელაგია წამოდგა, ეს სურათები არაერთგზის ენახა, მაგრამ გოგიას სურათი აინტერესებდა. გადიდებული სურათები მუზეუმივით ეკიდა კედელზე. პელაგია მივიდა და გოგიას სურათს დააცქერდა, დავიწყნოდა კიდეც მისი სახე. ნინუცამ სურათი ჩამოხსნა, გულში ჩაიხუტა და მაგიდისკენ წამოიღო.

— ა, ასეთი იყო, ჯარში რომ წაიყვანეს, მოუკვდა დედა. ახლა დავაჟკაცებული იქნება, ცოტა ჭაღარაშერთულიც, შეიძლება შვილიშვილებიც ჰყავს, ხომ, შენ შემოგიარე! — სურათი მაგიდაზე დადო და ორივენი დააჩერდნენ.

— შეიძლება შვილიშვილიც კი გყავს ამერიკელი! — უთხრა პელაგომ და გაულიმა, ეგება ამქვეყნისკენ შემოვაბრუნოო, — სიცოცხლის ბოლომდე უნდა დაელოდო, ნინუცა! ყოფილა ასეთი შემთხვევაც.

პელაგია ტყუოდა, მაგრამ იგრძნო, რომ ეს ტყუილი აქ საჭირო იყო. რა თქმა უნდა, არ სწამდა, რასაც ამბობდა, მაგრამ სხვანაირად ვერ შეამზადებდა ნინუცას, რის სათქმელადაც მოსულიყო.

— ველოდები, სხვა რა დამრჩენია, — ნაღვლიანად თქვა ნინუცამ.

— ჰოდა, წამოდი ჩემთან, ამისთვის ვარ ამოსული. ერთ ოთახს დაგითმობთ. გავიჭირვებთ ცოტას, ვიცხოვროთ ერთად და გოგიას ერთად დაველოდოთ.

— რას ამბობ! — გაიკვირვა ნინუცამ. — შენ შემოგიარე! ჩემი საიმედო სისხლი და ხორცი იყავი ყოველთვის და შენგან მე ეს არ მიკვირს, მაგრამ მე ამ სახლ-კარს ვერ მივატოვებ. ყოველდღე იმ ბლის ხეზე რომ არ ავიდე, ვერ მოვისვენებ. იქიდან გავხედავ, შენ რომ ამოიარე იმ აღმართზე, გამორბის ყოველთვის ჩემი საყვარელი ბიჭი, ჩემი თმაქოჩორა ბიჭი, იმას შემოვევლე, იმას შემოვუარე, იმისთვის ვცოცხლობ, აი, ის... ის ლანდი რომ ვნახო...

— სწორედ ეს არ შეიძლება. ახალგაზრდობაში ხიდან ხეზე რომ დაფრინავდი, ის დრო წავიდა, ჩამოვარდები და მოკვდები. სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ ჩვენ, სოფელი, ამას ხომ ვერ გავიგებთ — მოვა მგელი და შეგჭამს. სირცხვილია, უპატრონოდ ხომ არ გადაეგები?!

— პელაგო, შენ შემოგიარე, ახლა შენ რომ წახვალ, მე იმ ხეზე უნდა ავიდე იმიტომ, რომ აღმართზე როგორც კი შენ გამოჩნდი, ის — ჩემი

პატარა გოგია, ზურგჩანთააკიდებული, გამიქრა და ხეზე ტყვილა ვიჯექი.

პელაგიამ იცოდა ნინუცას ბუნება, ის არავის დაემორჩილებოდა, ყურს არავის დაუგდებდა, მაგრამ მაინც ამოვიდა და კეთილი გულით შესთავაზა სამსახური.

— არ ვიცი, ნინუცა ძალო, მე სოფლის მრცხვენია და იმიტომ ამოვედი, თორემ განა არ ვიცი შენი ამბავი...

ეზოში რომ ჩავიდნენ, პელაგიამ ერთხელაც ახედა ბლის ხეს და შეიცხადა:

— დედა, დედა, დედა, როგორ ადიხარ ამხელა ხეზე!..

•

ამ ამბის შემდეგ ზამთარმა იძალა. ჯერ წვიმიანმა დღეებმა შეაწუხა სოფელი, შემდეგ თოვლმა და ყინვამ. ნინუცა დიდხანს არ გამოსულა სახლიდან. შიგნით მოთქვამდა და შინმოუსვლელ შვილთან საუბრობდა მარტოკა თოვლსა და ყინვაში. სოფელში ეგონათ, ისიდორეს და პელაგოს საუბარმა გაჭრაო და დამშვიდდნენ, დაწყნარდნენ. ხანდახან თუ გაიგონებდნენ ნინუცას მოთქმას, არაუშავდა — იყოს უბედური დედა, გული მოიოხოსო.

გაზაფხულზე, როგორც კი დარები დაიჭირა, ნინუცა ისევ ნახეს ხეზე ასული. ისევ დაიწყო მითქმა-მოთქმა. შეწუხდა სოფელი. დათქვეს ადგილი, შეიკრიბნენ და ერთად მიადგნენ ჭიშკარზე.

გაზაფხულის მზიანი, თბილი დღე იყო. ნინუცას ეზო-მიდამოში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ა, ხალხნო, ამ ხეზე ადის, — ხელით უჩვენებდა ისიდორე მეზობლებს ბლის ხეს. — შეხედეთ კარგად? შაშვი რომ ზის ახლა, ხომ ხედავთ? ა, იქ იჯდა. ასი წლის დედაბერი ამ სიმაღლეზე რომ ავა!..

— ასი წლის არ არის! — დაუძახა ვიღაცამ ხალხიდან.

— არც არაფერი უკლია! — უპასუხა ისიდორემ.

— ნინუცა ძალო! — დაუძახა პელაგიამ.

სამარისებურმა სიჩუმემ უპასუხა დამძახებელს.

— არ არის სახლში! ამდენი ხალხი კარზე რომ მოვადექით, ვერ დაგვინახა?

— ნინუცა ძალო! — დაიძახა პელაგიამ და ხალხს მიუბრუნდა, — შევიდეთ, ცუდის ნიშანია!..

— ნინუცა ძალო! — ახლა კაცებმა დაუძახეს უფრო ხმამაღლა — ეგება ძინავსო.

ნინუცას არც ძაღლი ჰყავდა, არც კატა, არც ფრინველ-ქათამ-საქონელი — გაწყვიტა, გოგიას მოსვლამდე არაფერი მჭირდებაო. იყო ასე კარგამოკეტილი. კარს მაშინ გავაღებ, როცა გოგია ჩამოვაო. ვიდრე ხალხი ეზოში შემოვიდოდა, პელაგია კიბეზე ავარდა — სახლის კარი ღია იყო.

— ნინუცა! — დაიძახა სასონარკვეთილმა და „ზალაში“ შეიხედა — არავინ იყო. სწრაფად შეიჭრა სხვა ოთახებში — არავინ იყო. „თავი მოიკლა,“ გაუელვა და სახლის უკანა კარიდან გამოვარდა. „არ არის!“ — გასძახა ეზოში შემოკრებილ ხალხს და ბოსლის კარს მიაშურა. თავის დროზე გომიც ჰქონდა ნინუცას და ძროხაც ეწველებოდა, ახლა ყველაფერი გავერანებული იყო. შეიხედა კარჩამოვარდნილ გომში — იქაც არავინ იყო.

— არც მკვდარია და არც ცოცხალი! — ამოიგმინა პელაგიამ და ტირილი მორთო. — ვიცოდი, ასე იქნებოდა, — კიბის საფეხურზე დაეშვა, ჩამოჯდა, ცხვირსახოცით იმშრალებდა თვალებს.

— მოიცა, პელაგო, ტირილს მოესწრები!.. ეგება სადმე წავიდა? — უთხრა ისიდორემ და სახლში შევიდა, რამდენიმე კაციც შეჰყვა. კარგად დაათვალიერეს ოთახები, საწოლი, ყოველი კუთხე-კუნჭული, კარადა-განჯინაშიც კი შეიხედეს; მაგიდები დაათვალიერეს, ეგებ წერილი დატოვაო.

სახლიდან რომ გამოვიდნენ, ისიდორემ პელაგიას ჰკითხა:

— კარი ღია იყო, ხომ?

— კი, ღია იყო, ესე იგი, აქ არის სადღაც. სხვაგან, სხვა სოფელში ან ქალაქში რომ წასულიყო, კარს არ დატოვებდა ღიად...

ჯერ ახლო მდებარე ტყეს მოედვნენ. ათვალიერებდნენ ყოველ ხეს, ბუჩქს. თანდათან ჯგუფ-ჯგუფად დაიშალნენ, შორს, ძალიან შორს შევიდნენ ტყეში, ვიღაცამ თქვა: ტყეში ძებნას აზრი არა აქვს, ნათესავებს შევატყობინოთო.

ამოვიდნენ ტყიდან, კვლავ ნინუცას ეზოში მოიყარეს თავი და აქ გადაწყდა, შეეტყობინებინათ ნათესავებისთვის. ნინუცა საეჭვოდ იყო გამქრალი.

შეატყობინეს მილიციას, თბილისიდან ბაზიერი (კინოლოგი) წამოიყვანეს გაწვრთნილი ძაღლებით, გამოაცხადეს შორმხედში (ტელევიზორი) და მთელი ერთი თვე ეძებდნენ...

დამწუხრებული იყო მთელი სოფელი, ჩამოსულებიც და დამხვედრნიც ერთი აზრით იყვნენ გამსჭვალულნი — უპატრონობით დაიღუპაო.

ნინუცას სიკვდილი არავის გააკვირვებდა, დალეული, გამხდარ-დამჭკნარი დედაბერი უნდა გარდაცვლილიყო, მაგრამ სად იყო ცხედარი!

ამ დროს მოხდა მეტად უცნაური რამ, რისთვისაც დაიწერა ეს მოთხრობა. ერთხელ მაძებრები — ჩამოსულები და დამხვდურნი — ტყიდან უიმედოდ დაბრუნდნენ, ბოლოს და ბოლოს ხელი ჩაიქნიეს, — არ არის და რა ვქნათო. ნინუცას სახლის აივანზე გაშალეს სუფრა, დასხდნენ და უხმოდ ისადილეს, თითო ჭიქასაც წაუქციეს თავი. მშივრებს ღვინო უცებ მოეკიდათ. ადამიანი მაინც ადამიანია, რაც უნდა დამწუხრებული იყოს, ადამიანური ცხოვრების გაგრძელება სურს, საუბარი უნდა, თანამეინახისთვის გულის გადაშლა, მაგრამ არავინ ხმას არ იღებდა. ისხდნენ და ჩუმად ჭამდნენ, სვამდნენ, სადღეგრძელოებსაც კი ძალზე მოკლედ ამბობდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბლის ხიდან მოისმოდა შაშვის გალობა. ერთმა ახალგაზრდამ ვერ მოითმინა, დუმილი დაარღვია და იხუმრა:

— შეხედეთ, აი, ის შაშვი, ჩვენ პირველად აქ რომ ამოვედით, იმ ხეზე იჯდა, ახლაც იქ ზის და გალობს, ჩვენი ნინუცა ჩიტად ხომ არ გადაიქცაო?

— ჩიტად კი არა! — განრისხდა ისიდორე. — შეიძლება აქ ასეთი ხუმრობა! — თქვა მკაცრად და ნათესავებს შეხედა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმადვე წამოიშალნენ სუფრიდან. დანა პირს არ უხსნიდათ. სხვა რა გზა იყო, სახლებში უნდა წასულიყვნენ.

ნინუცას სახლის აივანზე უცნაური ხუმრობის ამბავი მთელ სოფელს მოედო. ზოგმა ისიც კი თქვა: გაიხსენეთ, ნინუცა სიბერეში მართლა შაშვს ჰგავდაო. სისულელეს თავი დაანებეთ, ჩამოვარდა ალბათ ბლის ხიდან და მგელმა შეჭამა, რას მიედმოედებითო. მგელი კაბას და ფეხსაცმელს არ ჭამს, იქვე დაგვიტოვებდაო, — უპასუხეს.

თბილისი ნინუცას ძიებას კვლავაც განაგრძობდა. ხევისპირიც არ იყო უიმედოდ, ეგებ თავისით დაბრუნდესო. ხანდახან ააკითხავდნენ და ნინუცას კარ-მიდამოს დაათვალიერებდნენ. ყოველ მისვლაზე ნინუცას აივანზე შაშვი იჯდა და გალობდა — ან ხეზე იჯდა ის შაშვი, ან სახლის სახურავზე. გაიყურსებოდნენ და უსმენდნენ შაშვის გალობას — თითქოს მართლა ნინუცას ხმას გამოსცემდა: „შვილო გოგია!..“ „შვილო გოგია!..“

პირველ ხანებში ამ ამბის მთხრობელთ ყურს არავინ უგდებდა.

— შაშვმა იცის სახლ-კარის ამორჩევა და მიჩვევა. — რა, ეზოს შაშვები გინახავთო? — ერთმანეთს ეუბნებოდნენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად, როცა ტყისკენ გზას დაადგებოდნენ, ნინუცას სახლში შეივლიდნენ და იმ შაშვს უსმენდნენ, ნამდვილად „შვილო გოგიას“ გალობსო დაასკვნიდნენ.

ეგებ მართლა შაშვი გალობს „შვილო გოგიას,“ ეგებ ეს შაშვები მარტო ხევისპირში კი არა, მთელ ქვეყანაზე ომში წასული გმირი ბიჭების მომლოდინე დედებია — შავებში ჩაცმული მგლოვიარე დედები მართლაც ჰგვანან შაშვებს და შაშვებიც ჰგვანან მგლოვიარე დედებს.

ვინ იცის, ეგებ მართლა შაშვი გალობს „შვილო გოგიას...“

დიდი აკაკის წყალობით მთელმა საქართველომ იცის, რომ „შვილო გოგიას“ მოლაღური გალობს, ხევისპირში კიდევ წარბშეუხრელად გეტყვიან შაშვი გალობსო. თუ აკაკის სახელს მოიშველიებთ და წიგნის ენით დაუწყებთ მტკიცებას, უკან დაიხევენ: შეიძლება სხვაგან მოლაღური გალობს, მაგრამ ჩვენთან, ხევისპირში, ნინუცას სახლის ეზო-მიდამოში ნამდვილად შაშვი გალობსო. წაგიყვანენ, მოგასმენინებენ — იქ, ნინუცას ყოფილ ეზოში, ნინუცას აივანზე, შაშვის გალობას, გიამბობენ ნინუცას გაქრობის ნამდვილ ამბავს, გადახვალთ „შვილო გოგიას“ იდუმალ სამყაროში, იფიქრებთ, ეგებ მართლა შაშვი გალობსო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

ჩაბრუნებული მზერა

/თებერვლის ეპისტოლე/

...იმ ქალს რა უნდა,
ფანჯრიდან რომ გიყურებს?
ათი წელია აქ არ არის
და როგორ გიყურებს...
სად მიგაცილებს მისი მზერა?!

.....

ივსები ბინდით,
შეგატოვეს ღამის წვეთოვანს,
თოვლია შენში და შენ ფიქრობ:
შესაძლოა, ტანჯულ თვალებს ჩამოეთოვა
ამ მთა-გორებზე და არა ზეცას,
ამინდის ნაცვლად მტკივნეული ჟამი ფეიქრობს,
გადაათეთრა შენი თვალები
და ჰორიზონტის ყულფი შეიკრა...

ხვალამდე დროა,
ელოდები სისხლნაკლულ დონორს —
იანვრის მზეს — და ეფიცხები წუთს მოსალოდნელს,
უღიმი მედდას,

ჩალურჯებულ ვენას უჩვენებ,
როგორც მკლავზე ამოსულ იას,
და გიხარია, დღეს რომ ტკივილს გაგიყუჩებენ.

რა საგრძნობია, რომ აქ ვიღაც დადის უჩუმრად
და შორიახლო ისევ ეთრევა,
სწორედ აქ, სადაც სიყვარულია,
და, რაც გასავლელ დღეებს გამსჭვალავს,
ტკივილის მზეა,
შიშის ხმაა და სიმკვეთრეა.

ვერ იმალები ვერც სიტყვაში და ვერც დუმილში,
აღარც ღიმილში დარჩენილა შენი ადგილი,
აღარც ხმაში
და, თუ მიაღწევ მხოლოდ კვნესამდე,
და მთელი ღამე ისე გმარცვლავს წამოკვნესები,
თითქოს ხსოვნაში ატკივებულ წუთებს თესავდე.

უცნობი ხედი ფანჯრებიდან და უცაბედი
ფიქრის სიმწარე,
თავის დახრა და არიდება
თვალის, რომელიც კარგავს დასაყრდენს
და ჩაბრუნდება თავის სიღრმეში,
რომ თავდაპირველ ბინდში დასახლდე.

13. 2. 2010

•

ჩვენ აგვერია დღე-ღამეები
და ვერთვით დროის უდაბურებას,
აღარ მაეჭვებს, რა მირჩევნია,
შენთან ყოფნა თუ შინ დაბრუნება.

მახსოვხარ, ახლაც შენთან ღამდება
და გათენებაც შენთან იწყება,
რას ვიფიქრებდი, რომ ეს სიცოცხლე
არ ეყოფოდა შენს დავიწყებას.

7. 3. 2010

გასეირნება მარტის ჭალაში

ზურგს შეაქცევ და თვალწინ ჩნდება,
თვალზე ხელისგულს აიფარებ —
იქიდანაც ამოიხედავს,
თითქოს აქვეა,
თან ყველგანაა...

სახით კედელს აეკვრები,
იქნებ თვალი მიადევნო
მის უხილავ მოძრაობას,
ვინც არ გტოვებს,
ვერ გიმეტებს სიმარტოვისთვის,
მეჩხერ ჭალაში რომ დასეირნობ,
სადაც მხოლოდ ნაცნობი შინდი აყვავებულა
და მასაც ისე ეთამაშება მარტის ნიავი,
რომ ლამის სადღაც გაიტყუოს —

შენს თვალებში,
როგორც მარტის ნაკვალევში,
ცა ირეკლება
და სამყაროს გულის რეჩხივით
გადაირბენს ჭექა-ქუხილი
და იქიდანაც ის იხედება?!

ცის ყველა წვეთი
მხოლოდ მისი თვალებით გიმზერს,
ვინც გულში გიზის
და გარე-გარე ვის დაეძებ?!

შენ კი არა, ის ცოცხლობს შენში.

9.3.2010

•

მადლობელი ხარ იმ დღეების,
იმ ღამეების,
ხანდახან ნატრობ მათ სიახლოვეს,
მაშინდელ ჩურჩულს, სუნთქვასავით რომ გამოები,
რომ შეაგუბე
და ჩავლილი დრო შეაყოვნე —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სიტყვაში,
ტკივილი რომ გექცა კრისტალად,
მიხვდი, რომ ყველა სხივში ქრისტეა,
და შენ ყველაფერს გულით უყურებ,
დარდობ უნდობარ დროის შვილებზე
და ეჭვით უმზერ ამ საუკუნეს...

30. 3. 2010.

ზღვართან...

ჩვენ ველარავის დავივიწყებთ,
დრომ დაგვივიწყა
და აღარ გვყოფნის აღარავის დასავიწყებლად
აწმყო, რომელიც თითქოს გვქონდა,
თითქმის არა გვაქვს
და უდროობის ბუნდოვანი ჟამი იწყება,
როდესაც ხსოვნა უბრუნდება ნაცნობ ადგილებს
და ჩვენზე ისევ საუბრობენ ძველი საგნები,
და გადავფურცლავთ ჩვენივე თავს და მერამდენე
შემოდგომაა, ამ ქალაქში რომ გზის გაგნება
ვერავინ შეძლო
და უაზროდ დაფუსფუსებენ
ფიქრიდან ფიქრში და ფოთლები მიმოფანტული
ეძებენ თვალებს
და მოხუცი წყვილი თავს იქცევს
თხრობით
და თხრობა — გულღია და ინფანტილური —
გაბზარულ ტემბრში გადამალავს არეულ რიტმებს,
თვალის სიღრმეში ჩაბჟუტავს ღიმილს
და ატკივებულ სიცოცხლეს ითმენს...

2009

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატა ვარდა

ჯერ ხეები, მდინარეები, ქვები. ჩვენც

ივლისი. გაჩვილდა შემოდგომა.—
— ჯერ ჩვენ — შრიალებენ ტანწვრილი ნეკერჩხლები.
ქვებიც, დათლილები, დგანან, გვდარაჯობენ.

ასე ჩამოქანცულ დილას ამ ზაფხულის
გვერდი ავუარე, ალვას ავაცქერდი.
თავი მოწიწებით მერე დავუხარე,
მე ხომ ისევ მახსოვს
შუა ბავშვობაში ხევთან მდგარი ალვა,
უყვავილო, ფოთოლს ათი ათასს ერთხმად აამტვერებს,
მამის განრისხებულ გულს რომ გააყოლოს:
ერთი. დაკვრა.
მეორეც. აცდეს გოგოს ცრემლი.
ცულსა ცუნცულასა ტარი გადაუტყდეს.

ქვები?!
პაპის ძალას ქვები აწონიდნენ. თავს აიმჩვილებდნენ.
როცა გწამს, ისევ მოგყვება ჯანი და
ქვებსაც გადაზიდავ ბაღიდან ეზოში —
ესე იგი, ცოცხლობ.

აქ: მშიერი ლეკვივით ავეკარი
მღვრიე მდინარის დამშრალ კალაპოტს.
იქ: დედაჩემი უეცრად გამიბავშვდა,
ჯიუტად მოითხოვს ტკბილეულს, გასართობს.
უკბილო — მხედავს და გულღიად იცინის —
მე უნდა ვიშვილო!

ტანით ვგრძნობ:
ივლისი. ჩვილდება შემოდგომა.
მორჩილად ჩაბრუნების უსულო მდგომთა
იწყება სპექტაკლი ჩვენთვის —
სულიერთა გადაღლილ არსებების,
ადამის ცოდვიან მოდგმა-ჯილაგისთვის.

მზე გადავიდა შენს გამო

მზე ბუნიაობს. მზე შუბის ტარზე. მზე გადატყდა
თუ სხივები ხმება. დროს რიტუალის
წამით თვალებში გიწვენ გათანგულს.
განდი დამშრალა, ცეცხლი ჩანაცრდა.
— მაგრამ ეს ახლა აღარც კი მახსოვს,
ჩემი ქმარი დღეს ცოცხალია.

ადრე კი, წინათ, ქვრივისთვის სარის
ვინ შეკერავდა თეთრსა, საამოს.
ეთერზეთებით ტანის განბანვა,
ველურ ყაყაჩოს დამათრობელი წვენი
უზომოდ. თრობაა ამო.
სუნთქვა დაფქული ჰაშიშით —
სუნი ჯერ კიდევ მახსოვს — სუნელია,
ვამატებდი ტკბილ თაფლის ღვეზელს,
სახლში რომ გყავდი.

ახლა კი დართულ, უხანოდ წასულ
სიყვარულს, სწამთ რომ, დამავიწყებენ.
მაშინ, როდესაც მერქვა ინდი, შენ დაგიქვრივდი.
გურუ.
— რა საბრალოა — ამბობდა ჩემზე მოხუცი ქალი,
სხვა სოფლის მკვიდრი.
მე კი ნახევრად გაბანგული, გულში ჩვენს ბუდას,

ათასხელიანს, აღვუვლენდი ჰიმნებს:
წყალობას ამგვარს ველოდით შენგან,
უფალო.
მპოხავენ გრილი ნელსაცხებლებით,
მიშლიან თმას და ფეხს მიშიშვლებენ,
მოხოხავენ
ვერ დაგვიშლიან
ერთი გაკვრა
ერთად
აბრიალება
ყოფნას,
ენები
ცეცხლის მილოკავენ ყავისფერ სხეულს,
გორგონასავით ვიკლაკნები უწმინდური ვიწვები, მაინც...
მხოლოდ შენ გხედავ. მათ რა იციან, ნაცრად მიწას აგეზილები.
ესეც შერწყმაა. ერთად ვწვებით. მათ არ იციან.

ეს იყო ადრე.
მზე გადავიდა, მზე გადავიდა, მზე გალღვა ზღვაში.
ხელის აქნევით აბეზარ ფიქრს მოვიშორებ, — კარს გაგიღებ.
ოღონდაც მოდი. ადრესატი დღეს უცვლელია.
— ნახე სარკეში, შუბლზე ხალივით მუქი ლაქა გაქვს.
— იმ დროს, როდესაც დამწვეს შენს გამო.

თვითმკვლელთა გალობა

Soon, soon the flesh The grave cave ate will be At home on me And
I a smiling woman.
I am only thirty.
And like the cat I have nine times to die.
Sylvia Plath

ჰეი, ტედ...
ეს მე ვარ, შენი პატარა
გარეული გედი. კეთროვანი.
ისე სხვაგან ვარ და ისე ცალკე
და ისე არვინ არ მეკარება,
შორიახლოს
ჩემი სიტყვები ცვივიან და იშლებიან
ათი ათასად, ჰო, არავინ მეპასუხება.
იჰ, არავინ მისწორებს ნიშნებს,

სასვენს, სასიცოცხლო ნიშნებს რომ გავყვე,
ჩავეჭიდო. წამოვდგე ფეხზე.

ჰეი, ტედ...
ეს მე ვარ. ჩემი ხმა კნუტის კნავილივით ნაზია,
გესმის, ამ დილაბნელზე,
წამომხტარი ცივ საწოლიდან
დავბორიალებ. შველას არ ველი.
გაყინული პეიზაჟებიდან
მოდის დამდნარი სიძულვილი,
ყველა გვერდს მივლის...
მშიერი ძაღლი,
სანაგვე ურნას ჩაყუდებული,
„ოლვეისების“ შემგროვებელი წვერიანი
კაც-საათი, კაცი ვამპირი.
მდინარეების წყალს კი
ხმები მოაქვს,
უცხოთა ხმები... ვინც დინებას მიენდო და დაფარა
წყლებმა.

აქ
ისე ცივა. წითლად რომ ბრდღვიალებენ,
ჩემ მსგავსების გულებისგან
გამოწურული, სისხლისგან მოდღაბნილი
საჰაერო ბუშტებია.

ჰეი, ტედ.
ყური გატყუებს...

არ შეგვიწყალე, უფალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად ყვარაცხელია

მელქიორის ჯვარცმა

„ნუ იტანჯები, დარლაო“
ვაჟა-ფშაველა

სუფრამ ყრუდ ამოიგმინა და შიშის დიდ, გაფართოებულ თვალებად გადაექცა ყველას სახე — შემსწრე ადამიანებსაც, შემსწრე კედლებსაც, ჩოფურა მამაკაცს (სისხლი რომ სდიოდა პირიდან) და იმასაც, სისხლიანი დანა რომ ეჭირა ხელში.

— აქამდე უნდა მომეკლა, აქამდე უნდა ჩამეძაღლებინა! — დანის პირს დასცქეროდა ბიჭი და თითქოს ნიშნს უგებდა ფეხზე წამოცვენილ მოქეიფეებს: აბა, უთქვენოდ რას ვიზამდი, სად უნდა მეპოვნა ეს ძაღლიშვილიო.

ნიშნს უგებდა და თან ემადლიერებოდა შეფარვით.

ოთახში ჩამოცხა. ყველა ერთმანეთს მიაჩერდა გამომცდელად. სიჩუმემ, როგორც უჩინარმა ჩრდილმა, ჩამოიარა ქუჩის მათხოვარივით და გაშლილ მუჭაში ჩააგროვა შიში, სირცხვილი, სინანული და გაფითრება — ერთად განცდილი.

— სანამდის მიყურებთ ასე... შემოსასვლელში ტელეფონია. თუ გკითხეს, სასწრაფო გამოძახებაა-თქო — განზრახ მკვლელობა...

•

პირველად ნაპო-ჯიჯი წამოსტკივდა სოფელს, როგორც დიდი ხნის ჭრილობა, რომელიც სათვალავში აღარც ჰქონდა უკვე. შებინდება იყო, კარის მეზობლებთან შეიხედა ბერიკაცმა, ჩემდა ჭირად, რაღაც დაემართა ამ ტელევიზორს და უკანასკნელ ცნობებს თქვენთან გავიგებო.

მშვიდად უცქირა კაიხანს, მერე უხმაუროდ გამოიხურა კარი და ჭიშკრამდე მისული არც იქნებოდა, წაბარბაცდა ცოტათი. სახელურს ჩამოეყრდნო, მარცხენა ხელი ბოძს შემოხვია, გულისცემა გაუხშირდა და მოეჩვენა კიდეც, რომ ჭიშკრის სვეტები კი არა, ასფალტიც, გაცრეცილი ბალახიცა და ჭიშკრის გვერდით დაკრული გასანთლული ჯვარიც მის ფეთქვას იმეორებდა დინჯად თუ აჩქარებით.

— ნათო! — დაიძახა გაბედულად. იქნებ გამიაროსო, ოდნავ შეუშვა სახელურს ხელი, მაგრამ გვიანღა იყო — ფეხზე დგომა აღარ შეეძლო უკვე.

ხმაურმა და ცივი წყლის შხეფმა გამოაფხიზლა ბურანიდან. ხემსად გამოახილა თვალები. ოთახი სავსე იყო მეზობლებით, ნათოს კივილზე რომ მოცვენილიყვნენ, ტახტზე წამოეწვინათ გულწასული და მის გონზე მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ.

— ვოი, დიდა! — გამოფხიზლებულს სიხარულით მიეჭრა ნათო, ხელის მტევანი წაართვა, ორთავ მუჭში მოიქცია და მიეფერა ელდა-მწუხარების გასაქარვებლად.

მოხუცი ხმას არ იღებდა. იქნებ ერჩივნა კიდეც, გარინდულ, ბურანის ქვეყანაში დარჩენილიყო, ვიდრე აქ, სიგარეტით გაბოლილ და ცნობისწადილით გაყურსულ ოთახში გათენებოდა. იქაურობა რაღაცით ჰგავდა კიდეც ზღაპარში გაგონილ ქვეყანას, რომელზეც დედისგან სმენოდა ნაპო-ჯიჯის და გულიც დედასთან მიუწევდა, მონატრების სიცარიელე რომ შეევსო.

— ეხ, შალვა, შალვა, ღირდა ჩემი გამოღვიძება ამ ყიამეთში დროის ხარჯვად და პოტიკწვალებად?

შალვა გამოერკვა; ეტყობა, არ მოელოდა შეკითხვას. წამწამები დააფახულა დანაშაულზე წასწრებულივით და იკადრა ავადმყოფთან მისვლა. „მალე კარგად იქნები, სულ მალე, ჯიჯი," — გაამხნევა ვითომ, არადა, თვითონაც არ სჯეროდა ფუჭი დაპირებისა.

— ვითომ? — მოხუცი დაეჭვდა, ცოტათი ეუცხოვა შალვას ნუგეში, ცუდად ენიშნა.

„მაქვს პატივი, წარმოგიდგეთ: ექიმი შალვა," — პირველად რომ გაეცნო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ძმისწული, გაუკვირდა, მაგრამ ხმამაღლა თქმას მოერიდა — თურმე ლენჩებიც ხდებიან ექიმებიო. გადაკოცნა ახალმოსული, ჯიბეში ფული ჩაუკუჭა და სახელდახელო სუფრაზე გაანდო, სთხოვა და დაანამუსა კიდეც, შენი ყველაზე დიდი სამსახური სოფლის განკურნება უნდა იყოს, ავადმყოფი და ატკიებული კაცი არ უნდა ვნახო აქაობაშიო.

მას შემდეგ ბევრი გამოჯანმრთელდა და ბევრმაც უდრტვინველად დალია სული სოფლის სამოხიოში, მაგრამ ნაპო-ჯიჯის რატომღაც ცუდად ჰქონდა შალვას ნუგეში დაცდილი. „ქსენიას უთხრა — არაგიშავსო და მეორე დღეს ლოგინში ნახეს გაციებული მკვდარი!," „ბოჩოს რომ ჩაქცევა დაემართა, დაუმშვიდებია თურმე და ისემც შენი მტერი დამშვიდდა..." „ფლორა რომ გახდა და გაილია, ნევროზმა იცისო და კიბო ჰქონია ქალს..."

შალვამაც კარგად უწყოდა ბიძამისის ახირება. ახლაც ისე, საეგებიოდ დაუყარა იმედის სიტყვები, როგორც ტყე-ტყე წანწალისას ნაპოვნი ხმელი ფიჩხი, და გაიტრუნა.

— მე საბოლოოდ გადავწყვიტე: აღარ ღირს ამ გახრწნილ და დანგრეულ ქვეყანაში ცხოვრება! თქვენ ვინ გეხვეწებოდათ, სიკვდილი რომ არ დამანებეთ?! ა?.. რას გაფხორილხართ „პარნიკის" ყვავილებივით?! შალვა, მაგიდაზეა, ბიძი, წყალი, გადაყლურწე და პასუხი გამეცი, — ვინ გექაჩებოდა ჩემს გაღვიძებას?

— მე... ისა...

— იბლუყუნე ახლა, სანამ პირი არ გაგიშრება! წყლის დალევას აცლიან პატიმარს და ამ გადაღრძუებული მოხუცისთვისაც გეცლიათ სიკვდილი, რა იქნებოდა? ნეტა, მართლა გადარდებდეთ ჩემი სიცოცხლე!

— რას ამბობ, სქან ჭირმა, — ბრაზი წაეკიდა ნათოს, — რაც შეგვეძლო, გვერდში გედექით სულ...

— ვიცი, კარგად ვიცი, ცდა არ დაგიკლიათ, ადამიანად მეგრძნო თავი, მაგრამ ამდენ ავადმყოფობასა და გაჭირვებას რომ შეეყრები, ფარხმალი უნდა დაყარო ღვთისნიერმა კაცმა. რაღა დროის ჩემი გაბრძოლებაა — ჭიშკრამდე ძლივს მივიტანე თავი და მოსასულიერებელი გავხდი. ამ თახსირ ცხოვრებაში გონს მოსვლა და გაღვიძება მაინც უნდა შეგეძლოს შენით, თორემ გამოჩნდებიან ისეთებიც, ვინც თვალებს ჩამოგიხუჭავენ — ღია დარჩენიაო, გულზე დაგიკრეფენ ხელებს, ყბას აგიკრავენ უხეში ნაჭრით — პირმოღებული არ ეგდოსო.

— ერთხელ ცოცხლობ და ცუდ რაღაცებზე რა გაფიქრებს, ჯიჯი, — ვეღარ მოითმინა კუთხეში ატუზულმა მაყვალამ, რომელიც უკმაყოფილებას არ მალავდა მოხუცის სიტყვებზე და, სახე-პირის

მანჭვა-გრეხით რომ ვერაფერი გააწყო, ქადაგად დავარდა ყველას თვალწინ.

— ნუ ღელავ, მოიძებნება საშველი, — შალვამაც ამოიდგა ენა, თითქოს ერთიანად შეიკრნენ ნაპო-ჯიჯის მოსათვინიერებლადო, — ჩემი თუ არ გჯერა, ახლავე გავქანდები ქალაქისკენ, კარდიოლოგების მეტი რაა, სახლში მივაკითხავ სათითაოდ. გამომყვებიან... უნდა გამომყვნენ წესით...

— ამ შუაღამისას რა გინდა ქალაქში?! ვათანძარებით გადავსებულია იქაურობა, იქნებ გგონია, სახეზე გიცნობს და დაგინდობს რომელიმე... — შეიცხადა მაყვალამ, — ნაპოს არაუშავს, უკეთაა, დილამდე მოითმენს, მგონია, მერე მარტო შენ კი არა, ბიჭებიც გამოგყვებიან, რას მიკეთებენ...

— მეც წამოგყვები, შალიკო, — ავთომაც წამოყო თავი, უფროს ძმას აეტორღიალა, — ღამე მაინც არ დამეძინება.

— დაეტიე შენს ადგილას, სად გათრიო ათი წლის ღლაპი. თუ ვაჟკაცი ხარ, ნაპო-ჯიჯის უთიე ღამე, სანამ ექიმს მოვიყვანდე. რაღაცები მოუყევი.

შალვამ თბილი ლაბადა მოიხურა, კარი გამოაღო და ლამპისა და მთვარის შუქი აიხლართნენ აივნის კუთხეში.

— გაგინათებ, ფეხი არაფერს წამოკრა, კისერი არ მოიტეხო, — გამოსძახა ნათომ, მაგრამ შალვა კიბეს ჩასცდენოდა უკვე.

— სორდიებს შეუარე აქეთობისას. ამას წინათ შემპირდნენ, თუთუნს გადაგინახავთო. შეახსენე, თუ ძმა ხარ.

კოჭლი ლანდი აისვეტა ჭიშკართან.

ეს თარსი საიდან ამეკიდაო, — გზაში წყრებოდა შალვა.

•

— ბაგაჟნიკი გამიხსენი, წიე!

— ქალაქში მეჩქარება, ბიჭებო, ავადმყოფი დავტოვე, მოხუცი, წნევიანი, რა დროს გაუმეორებს...

— აი, აქამდე მაქვს თქვენი რიჟა ბაზარი ამოსული... ყველას რაღაც სჭირს, ყველას ვიღაც უკვდება... ჯანმრთელი კაცი დამანახეთ, ტო!

— მოხუცია, წნევიანი... ექიმს უნდა მივუსწრო. ისიც არ ვიცი, ადგილზე დამხვდება თუ არა. ასე უცბად გამოვიქეცი...

— ბაგაჟნიკში არაფერია, ერთი დაშვებული პაკრიშკა. გაუშვი, ერთი მაგის კარგიც... ვის რა უნდა დაუშავონ...

— შიგნით შეიხედე, გაჩხრიკე მანქანა. ეშმაკმა იცის, რას მალავენ ეს ახვრები. გაატარებ, სუფთაა და მერე თურმე ხუთი კილო ტროტილი ჰქონიათ, იარაღის მთელი საწყობი.

— მე ექიმთან მივდივარ... ექიმი ვარ თვითონაც, მაგრამ... ის, ქალაქში, უფრო გამოცდილია. ბიძაჩემი ცუდ დღეშია, იქნებ უშველოს რამე, მომაკვდავია კაცი...

— კოვრიკები შეამოწმე — მანდ არ ჰქონდეთ შემალული, ბარდაჩოკიც — გაინძერი, გაინძერი!

— ყველაფერს გეფიცებით, არაფერი ისეთი მანქანაში არ მიდევს, აზრი არა აქვს ტყუილა შემოწმებას, რამე რომ იყოს...

— მოკეტე, რა, ისედაც ეკლებზე ვზივარ! სამი სუტკაა, ამ პოსტზე ვათენებთ, ძილი ჩვენთვის არ არი და მოსვენება. ახლა კიდე შენისთანების ლაყაფი მინდა? მომეცი გასაღები, შტაბში უნდა წავიყვანოთ მანქანა!

— ძალიან გთხოვთ... ნუ წამართმევ, ძამია, ავადმყოფი, გაჭირვებული მელოდება... ხალხი ჩემს იმედზეა...

— გასაღები-მეთქი, გითხარი...

•

— იმ ჩათლახმა კიდე, არც ჩემი და არც თქვენიო, აიღო და პირდაპირ მდინარისკენ არ დაიქნია გასაღები?!. — ზიზღით ჰყვებოდა რატი, ყვრიმალები უწითლდებოდა და მარცხენა თვალს ჭუტავდა ოდნავ.

სუფრა ბორგავდა მოლოდინით, ცნობისწადილი იყო ღვინოცა და პურიც სერობაზე, საიდუმლოს შეტყობის სურვილი, სიმთვრალეში რომ მოგეკიდება და არ გასვენებს.

— პირველი სეტერამ გაუქანა. ხმა კაი ჰქონდა დარყტმას, მაგრამ ტიპი არც შექანებულა, თითქოს

ამას უცდიდაო, გაისწორა და, გამოხედვა ვერ მოვასწარი, მიწაზე ფართხალებდა სეტერა.

ხელები აუცახცახდა რატის. სიგარეტი ძლივს ჩაჭყლიტა ნამწვით სავსე საფერფლეში. ნერწყვი გადაყლაპა. გაშეთებული შესცქეროდა ხალხი. წინ მჯდომს შეხედა მხოლოდ — ყმაწვილს ნესტოები უთამაშებდა, გაქვავებოდა თვალები.

— სანამ ჩემკენაც დააპირებდა, ხელს ფეხი შევაშველე და ქუსლი ჩავაზილე მუცელში. ზურგით გადაემხო კაპოტზე. ვიფიქრე, მორჩა, მაგრამ იმ წუთში საფეთქელთან ვიგრძენი დარტყმა და დავზადნე გვარიანად.

ყმაწვილს ჭიქა გაუსხლტა ხელიდან. რატიმ შეატყო, ისიც ღელავდა, უცახცახებდა თითები, ძარღვი უთრთოდა ყელთან და საფეთქელში...

ჭიქა დაიმსხვრა, წყალმა იატაკზე იპოვა სადინარი.

— ჩხუბის კანონია: ფეხი არ უნდა აგერიოს და თვალი უნდა გიჭრიდეს. თვალია მთავარი, ძალაც და ოსტატობაც მაგაზეა. მაშინვე შევატყვე — თვალით მიგებდა, ამიტომ მარცხენათი რომ დავუქნიე, აღარც გამიხედავს მისკენ. ატორტმანდა, ხელი აიფარა სახეზე. მაშინ კი ვიხელთე დრო...

აზარტს მიენდო მთხრობელი. სანამ ნაძალადევი დუმილი ჩაივლიდა, ოთხივე კუთხე „დაალივერა". ქალები იცრემლებოდნენ, კაცები ბრდღვინავდნენ და აწუხებდათ გულში ჩაჭყლეტილი უმოქმედობა. ყმაწვილი, წინ რომ ეჯდა, თითებს აწვალებდა და ღელავდა უწინდებურად. პერანგი შეეხსნა, ცარიელ თეფშზე გარდიგარდმო ეწყო მელქიორის დანა-ჩანგალი, თითქოს ქრისტეს ჯვარი შემოეტანათ სერობაზე.

— მერე, მერე როგორ იყო? — ვერ მოითმინა ერთმა, სხვების ნაცვლადაც იკითხა.

— აზრზე მოსვლა არ ვაცალეთ. ჯერ ორი მუშტი ჩავაფეთე — წარბთან და ნიკაპის ძირში, მანამ სეტერამაც წამოკრიფა სხეული მიწიდან და, რაც პირველი მოიხელთა — გადაჭრილი თოფი იყო, მგონი — კონდახით ჩამოამხო თავზე.

სისხლმა იფეთქა. მეტის ღირსია ეგ ფარჩაკიო! — არ მოეშვა სეტერა და, ხათქახუთქით რომ გული ვიჯერეთ, პირაღმა დაემხო ტიპი, ხმა გაკმინდა სამუდამოდ.

ხმა სუფრასაც გაეკმინდა. სკამებს შეხორცებოდა გალურსული და ენანართმეული ადამიანების მწკრივი, ხეში ნაკვეთი უსულო ქანდაკებასავით. სიცოცხლის ნიშატი არ ეტყობოდათ, ვიდრე ერთი კაცის გაბედულებამ თავდაყირა არ დააყენა ყველაფერი:

— ფეხზე დადექი, ნაბიჭვარო!

მღელვარების და მრისხანებისა არ ეთქმოდა, უფრო განწირული, თავზეხელაღებული კაცის ხმას ჰგავდა, სუფრას რომ გადაუვლის, ყველა კალაპოტს მიაწყდება და ხევში დაიღმუვლებს მთიდან დაძრული მდინარესავით.

— ფეხზე დამიდექი!

რატი წამოიწია, გაოცების ჩუმი, რძისფერი ნაღველი ჩაუდგა თვალებში. მუშტებით დაებჯინა მაგიდაზე და ქვემოდან ამოხედა გამწყრალ პროფილს, ჩახუთულ სივრცეს.

არ განძრეულა. განძრევაც ისეთივე უაზრო და უადგილო იქნებოდა, როგორც ყველაფრის უარყოფა, რაც აქამდე გაემხილა, მღელვარედ და სულმოუთქმელად.

იდგა და ითვლიდა, როგორ სერავდნენ ვერცხლისფერი დანა-ჩანგლები მკვლელსა და მსხვერპლს შორის ატოტილ საზღვარს, ნაკუწნაკუწ გაჰქონდათ სისხლი და ხორცი დარღვეული ციხე-კოშკიდან. უცებ მოეჩვენა — სიცოცხლეს კი არა, მხოლოდ სულის ჟანგიან ნაფლეთებს მიეზიდებოდნენ თანდათან, როგორც დღიურ ყოფაში დაგროვილ ნაგავს. თვითონაც, სანიმუშოდ აქნილი და დასახიჩრებული, ჯვარზე გაკრულს უფრო ჰგავდა საკუთარი ცოდვების გამო.

— ავთო, ავთო, ეს რა ქენი!

ძლივს ლუღლუღებდა ვიღაც, უნიათოდ.

ღია ფანჯარაში მთვარეს შემოედგა გალეული სხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ წიკლაური

დედაციცინათელა

„სინათლის დედა“ დამაქვს მუცლით და
სკნელის ჭერხოზე დავალ კარდაკარ.
ღამე კი არა, ათასწლეულიც
ჩემს სიფრიფანა ფრთებზე გადატყდა.
ან შარავანდედს მე რას ვზიდავდი,
უფალი ირჩევს ნათლისთვის შუბლებს.
სიტყვის ბალახში დავღოლავ მღილი,
სკნელებს ციმციმით პერანგებს ვუბნევ.
ღამეულ მინდვრებს ისე ვუხდები,
თითქოს ცას ვმღერდე, ვარსკვლავქარიანს,
როგორც ქადაგის დაყურსულ ფიქრში,
ჩემშიც საუფლო ნათლის კვალია.
მე ვარ, მე... დედაციცინათელა.
ტანის აზიდვა მიჭირს მიწიდან,
სინათლის ფესვი გავიდგი ბნელში.
სიხარული რომ ფრთიდან მიცვივა,
ნათლის ცვარ-ნამად ვაქუჩებ აქვე,
რომ ცას ემსგავსოს მიწაც ღამეში,
მე და სიბნელე ერთმანეთს ვშვენით,
როგორც ენქიდუ და გილგამეში.
სხივის სკვნილივით ვკიდივარ მთვარეს,

სიჩუმის ქნარზე სიმს ვარხევ ნათლის,
ღამე რომ ცისკრად იძვრება ხოლმე,
ერთ მზის სალამურს ჩემგანაც გათლის
და შეეხება, ვით პირველ საკრავს —
სიკვდილს! კენწერო დრიკონ კედრებმა...
ეს ღამეც, ვით სხვა ღამე ათასი,
თენდება, კვდება, ისევ თენდება...
ბალახის ნიკბზე მიცდება ფეხი,
ბალახიც სინას მთა არის ჩემთვის.
მე ცეცხლის ერთი კურცხალი დამაქვს,
ეზოს ბოლოშიც მიპოვის ღმერთი.

ან რად მინდოდა

დილაადრიან მოაკითხავენ
შენი ჩიტები ჩემს მონატრებას.
აჭიკჭიკდება ბაღი, დაღლილი,
გადაიზნიქავს წელს სიმარტოვე.
გადაიყოლებს ჩემი სიზმარიც
დღის მირაჟისკენ ღამის კენწეროს.
ესეც ბედია, მთელი სიცოცხლე
რომ სიყვარულის ჯვარი გეწეროს.
ქარის ექოში შენს ხმას დავეძებ
გაფაციცებით... ყველას ვაჩუმებ.
გამოგვაკერეს ავგაროზივით
ჩვენ ერთმანეთის სიზმრის სარჩულებს.
აღარც ვაჩნივარ ცხადის ქალაქებს,
როგორც დღეს — თეთრი მთვარის ფრანები.
სიყვარულს თავიც კი მოვაბეზრე
ბედნიერების გადაბრალებით.
ან რად მინდოდა, ოდესღაც ღვთისგან
სიხარულივით რომ ვინათხოვრე
ყველაზე დიდი და სევდიანი
უსიყვარულო ცის სიმარტოვე.

თეთრი ირემი

წინაპრის ლანდი ცხად-სიზმრის დარდებს —
ბინდის სახვევებს აცლის ლაზარეს.
დგას წიწამურთან თეთრი ირემი
და თავის სიკვდილს ხედავს, საზარელს.
სისხლიან შუბლით ახევებს ჰაერს,
რქებში უნთია ცეცხლის მტევნები.
მცხეთასთან მდორედ მიდის არაგვი,
სულეთის ღამე მისდევს თენებით.
დღესასწაულთა ამარა რჩება
ჩემი ქვეყანა — მწირველი ბრძოლით,
მამულს, ენას და რჯულს რომ შესწირა
მშვიდობაც, ლხენაც, შენებაც, ომიც.
მთის სიმაღლით დგას დედამიწაზე
ქრისტეს ნათელით სავსე ბარძიმი,
ხან საფარველი დაადო ჟამმა,
ხან ანიავა ძველი განძივით.
ხან სანაწილე ვიყავით უფლის —
ჩვენში მარხავდა სიტყვას გაუხრწნელს.
დღემდე უწყვეტი სულთა კავშირი
მარადისობის ნიშანს გვაუწყებს.
ჩამომავალნი ზეცის ეთნოსთა
სულ ვარსებობდით მზისწილიანნი
და აღარ დავთმეთ ჩვენი ნათელი —
დავითიანი და ილიანი.
ლიტურგიები ომის და ცეცხლის
და მღვიძარება დიდი წინაპრის,
სულ მსხვერპლი, მსხვერპლი ორთავ სოფლისთვის —
უძვირფასესი შესაწირავი.
გაცემის ჟამი გვედგა ყოველთვის,
რამდენს დაერქვა „საუფლო ძღვენი“.
მსხვერპლად ვიღებდით, რაც რამ გვებადა,
რომ დაგვრჩენოდა უფლება შენი;
ჩემო მამულო, წმინდანთა მიწავ,
„დღეს სამიკიტნო-დუქნად ქცეულხარ,“
სვამ სადღეგრძელოს, განა თუ სიტყვას
და ღვაწლს აგრძელებ შენსავ რჩეულთა?!
შეხსენი კარი, შედი შენს თავში,
ჩახედე თვალებს გრძნეული ქართვლის,
ჰკითხე, მას ჰკითხე — შენ ბებერ დედას,

ღირსეულ შვილად, ვაითუ, არც გთვლის?
„არც მტერი ჰყავდა ღირსი“ ბრძოლისა,
არც მოყვარე ჰყავს ავსილი სიბრძნით.
მყინვარს გავხედოთ, ეგება ადგას
ცისარტყელების ნათელი ბინდი?
ნუთუ ამ მთების მაღალ მწვერვალებს
მხოლოდ ტაშის ხმის ეყოფათ ექო?
მამულო ჩემო, როგორ მინდოდა,
თავისუფლება ღმერთივით გვეგრძნო.
მთის მწვერვალებზე ეფრინათ სულებს —
ნისლიან მხედრებს გმირულ მხნეობით,
შენივე თავით აღვსილს გეხარა
და არა მონურ კეთილდღეობით.
მაგრამ, რაც უნდა ვთქვა, ვივალალო,
მიყვარდეს ჩემი წუხილიც, ცრემლიც,
არ დაელევა უფალს დიდება,
არ წაექცევა ქართვლს მცხეთის ძელი.
არაფრობისთვის თუ არ გაგვწირავს
უფალი ჩვენივ ცოდვების გამო,
მამული — ტანჯვით ნამარხულევი,
ისევ მიაგნებს სიცოცხლის წყაროს.
რადგან ასეთი ჰყავს წინაპარი,
მარადი ჟამის მადლითაც ვცოცხლობ,
მინდა, ეს მიწა — ღვთის ნატერფალი,
მორჩილებით და ნუგეშით ვკოცნო.
მრავალჟამიერ, გაძლებისათვის,
უწყვეტი ომის და ლხინის ველო,
მართალი კაცის ღვთიური სიტყვით
მარადისობის ღამისმთეველო.
წინაპრის ლანდი ცხად-სიზმრის დარდებს
აცლის ლაზარეს, როგორც სახვევებს,
დგას წიწამურთან თეთრი ირემი
და დღესაც მგელთა ხროვას ახელებს.

დარდიანია ხშირად ჩემი ბედნიერება

დარდიანია ხშირად ჩემი ბედნიერება.
ვარდიც მოიწყენს,
ალიონიც დაიღრუბლება,
მზე ჩაიკეცავს სახვალიო
ნათელს მთის იქით,
თითქოს არ ჰქონდეს
ზეცის ტახტზე ჯდომის უფლება.
დარდიანია ხშირად ჩემი ბედნიერება,
სველი ჩიტივით
შეიფრთხიალებს და ჩქამის ექოს
ავედევნები ფეხშიშველა,
ცეტი მწყემსივით,
აყვავებული მინდვრები რომ
წინ გავირეკო.
ვიცი, ზამთარი მომაჩეჩებს
მოწყენას, დაღლას,
სიმარტოვეთა მონასტრების
ტროპარებს, ლოცვებს,
როგორ არ მინდა, რომ დავბერდე,
როგორ არ მინდა,
უსიყვარულო ბედნიერების
მტკიცებით მოვცდე.
მაჯაზე უზის ბედისწერას თეთრი მიმინო,
სიყვარულზეა დაგეშილი
და მოჰქრის რისხვად.
მაგრამ ვინ იყო, აშინებდა ბედნიერებას?!
დარდიანიც კი
ცეცხლისფერა ბილილებს ისხამს.
რომ მერე, სადღაც, ზეცის იქით,
სკნელების იქით,
სიყვარულის ჰერბარიუმი
გაშალოს რიდით.
დარდიანია ხშირად ჩემი ბედნიერება,
დარდიანია და
მწუხრივით უხმო და მშვიდი.



•

გზადაგზა ვფინე ნათელი —
გამოყოლილი მზიდანა,
შავიღა დავრჩი აჩრდილი —
დამსხლტარი ღრუბლის ფრთიდანა.
ცრემლებადა მდის — რაც კია
ტკივილად მოდის ციდანა,
ვერ შევქმენ, ვერა, ამინდი
სამყაროების ცვლიდანა.

•

დღეს?! —
დღეს ნუ იტყვით,
ხვალ თვითონ მოვალ,
მოვალ ქარებით,
მოვალ გვალვებით,
რომ პლანეტათა დასრულდეს
გლოვა —
მე მზესთან ერთად
დავიკრძალები.

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიელ ხარხლოპში

•

მთებო, ნისლები უნდა აგყაროთ, —
არაფერს ვტოვებ ნისლების გარდა.
გახედეთ ერთი! — არ ჰგავს სამყარო
ფშაველი ქალის მოქსოვილ ფარდაგს...

•

ჩაქრნენ ვარსკვლავნი,
ზეცა იცლება,
ცვარად ეღვრება
ციდან იელებს,
ვეღარც მზის მოსვლით
ვერ შეივსება
ეს შემზარავი სიცარიელე.
კლდეებს ნაწყლულევთ
ნისლით ვუხვევდი,
ცაო, როგორ მღლი
შენი უფლობით...
წუხელ სიკვდილი მეწვა
მუხლებზე
და მე და ქარი
ვჭირისუფლობდით.

ბიბლიო

•

დღეს თუ არ მოვკვდი, ცოცხალი
აღარ ვიქნები ხვალიდან.
ჩამოებერტყა ვარსკვლავნი,
მზე ჩამოიღო მხარიდან,
შეაღო სულეთის კარი
დაუკითხავად ჩავიდა...

•

რბილი მყარს შემოვაწყვიტე,
მთა — მთას, მწვერვალი — მწვერვალსა,
ბარემ ერთბაშად დაგვწყვიტე
ცოტცოტაობით ლევასა.
ბარემ ერთბაშად მოგვლიე,
ვინც ვბობოქრობთ და ავვზნეობთ,
იქაც ასეთნი მოგივალთ
ვერდატეულნი სამზეოს.
იქაც ასეთნი გაგიმღვრევთ
ნათლის ბინდებით შემკვრელნი,
მერე რის კარებს გაგვიღებ —
ქვესკნელისა თუ ზესკნელის?..
ღმერთო, ვიდრემდის დაგვშლიდე,
დაგვლევდე მიწის პირამდის,
ვერც ჯოჯოხეთით დაშინდეს
ჩვენი ჯიში და ჯილაგი.
ისევ აქ ამოგვაშენე,
აქა გვლიე და გვამრავლე,
მოგვეცი თავშისაშენიც,
გზაც — აქეთ-იქით სავალი,
მზე იჯდეს ციხის ჭერხოზე
ბანზე ყიოდეს მამალი.

•

ვინ თქვა ღრუბლების ტირილი
ან ცრემლი ვინ თქვა ღრუბლისა,
წვეთებად ცნობა ვინა თქვა
შავად დამდნარი შუბლისა...
ეს ვარამია, მსოფლიო,
ჩვენში რომ იწყებს დუღილსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადნობა კაცთა გონების —
დილის, შუადღის, მწუხრისა...
ჩვენ გვიბრუნდება უკანვე
ღამეულ ფიქრთა საქსოვად,
მიწა ხან წვიმად იღვრება,
ციდან ჩამოდის ხან თოვლად...

•

რა ცივი ქარი მიბერავს,
ცა ოდნავ უნდა ავწიო,
ჰბერდები, შენი სიბერე
ვინ სთქვა — შატილის არწივო?!.
ნებას ნუ მივცემთ ყვავ-ყორნებს —
სამშობლო დაგვინაწილონ.

•

გუშინ რომ შაშვი გალობდა
ტყეში,
გუშინ რომ იყო ფერებით
შეშლა,
გუშინ მზე იდგა, მზე
იდგა შენში,
დღეს კი სახეზე ღიმილიც
შეშრა...
შუბლს წაეფარა ბინდი
უმთვარესს
და წამწამთ თვალთა
მოსაჩრდილებლად,
ო, სასურველო, ეს სიმწუხარე
გაპარტახებულ გულს აჩვილებდა.

ჯდა მტირალი

რაის უცხო, ჩემო სისხლო,
შენზე ყველაფერი ვიცი;
შენ არც ავთანდილის ძმა ხარ,
არც ფრიდონის ძმადნაფიცი.

აღარც ხერხი, აღარც ღონე,
არა სვე და არა ბედი;
თან ზიხარ და ცრემლს აგორებ,
თითქოს მთელი არაბეთი

შენს საშველად დასცემოდეს
ციხესა და ციხის ლიბოს, —
რომ დაამხოს საქაჯეთი,
გადასხლას და გადასხიპოს.

თითქოს ვეფხის ტყავი გეცვას,
თითქოს ნეკით ჭიდაობდე,
თითქოს გესხას მარგალიტი
შავი ცხენის ჯიდაოზე...

შენ ტირილი არ გიხდება,
ნაცემო და ყოვლის მთმენო;

ელა გიჩიაშვილი

ვეფხვებს უნდა ერეოდე,
ტირილი რომ დაიმშვენო.

არ გიხდება შენ ტირილი,
განა ავთანდილის ძმა ხარ!
ვინ გადადებს ქორწილს შენთვის...
ვინ შეიშლის სადილ-სამხარს...

მოფრიალებს დილეგიდან
სახსოვარი თავმანდილი...
შენი თავის მოყმეც შენ ხარ,
ფრიდონიც და ავთანდილიც.

მკლავნი გაიმამაცურე, —
გეხვეოდეს ირგვლივ ჯარი;
შენვე უნდა გამოძერწო
შენი ნესტან-დარეჯანი!

მზე ბერწია უნესტანოდ,
და სამზეო ჩირად ღირსა;
. . . . . .
ჯდა მტირალი... ჯდა მტირალი...
ჯდა მტირალი წყლისა პირსა...

აჰა, სარკე!

აჰა, ხმალი! აჰა, სიტყვა,
ლოცვანი და საჭრეთელი!
მაგრამ, ყოვლის უწინარეს,
აჰა, სარკე საჭვრეტელი!

ბეჩავო და თავმოჭრილო,
ყველას წიხლით გასათელო,
საქართველო, შე მშიშარა!
შე მძინარა საქართველო!

დალპი მხარ-თეძოზე გდებით.
წყლულებიდან ჩირქი გდისა;
გახსოვს მაინც?! — როდის გქონდა
მუხლი მგლის და შავარდნისა...

გახსოვს მაინც?! — ხის აბჯარში
რკინის გული გიფეთქავდა...
გახსოვს?! — ხმალი — ჯავარდენი...
გახსოვს?! — ლურჯა ლაგამს ხრავდა...

მტრის მახვილზე გადალეწილს
ზიარებაც არ უნდაო...
უწურთნელო! ეს შენა ხარ?! —
ყველა გიჟის საგუნდაო.

იმ ქორებულ თვალებს ვნატრობ,
იმ შორეულ ცეცხლზე ვთბები;
შენი სიყვარულის პატრონს
რა სინდისით მეღუპები!

შე სამშობლოს მინამგვანო,
აღარც მხნევ და აღარც მრთელო;
გასკდა გული! რა გაძინებს!
გაიღვიძე, საქართველო!

გაიღვიძე, — ასწი ბეჭი!
აჰა, გული! აჰა, სარკე!
... და ტაატით გაჰყევ ბილიკს
საკუთარი თავისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო სადღიმოლაშვილი

სახედარი

დავიბადე თუ არა,
შენც იმ დღესვე შემოგაგდეს
ჩემს ეზოში,
გარედან კარი მოგიკეტეს და
დაგტოვეს სამუდამოდ.
რა იყო ჩვენი სიმდიდრე? —
ცოტა პური და მტვრიანი ქერი.
მე ვიზრდებოდი და
შენ კი თვალებში
წყალი გიღრმავდებოდა.
საწყალო, სად აღარ გატარე!
აგკიდებდი ხოლმე
ამდენ პატრონგამონაცვალ ხერხემალზე,
თუ რამე მებადა,
გავშლიდი სიზმრებიდან გადმოხატულ
რუკას,
დავხუჭავდი თვალებს და
დავასობდი საჩვენებელ თითს —
აი ამ ქალაქს,
ამ ხეივანს გამატარებ, სახედარო!
— მღვრიედ გეტყოდი...
ან რა ჩვენი ქალაქი ის იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან რა ჩვენი გასავლელი ხეივანი!..
სულ თავქვე გატარე, ცისთვალებავ.
როცა უმიზნოდ დაეხეტები —
თავქვე დადიხარ, აბა, რა არის!
რამდენჯერ უხმოდ ჩაიჩოქე,
ჩემთვის არც კი ამოგიხედავს.
ასე მხოლოდ დედები იჩოქებენ,
შვილებს რომ არ დაენახონ,
ისიც ხანდახან...
რამდენჯერ მიწაში წარგე ტუჩები,
სიმწრის ნერწყვით დაასველე და
იმანაც,
თითქოს ცამდე ამ სისველით გაფუებულმა,
წვიმით გიწამლა!
ან როგორ თოვდა შენს გარშემო
ცაცხვის ფოთოლი!
ან რა სიმშვიდით მიათრევდი
ყველაზე მძიმეს სამყაროში —
ჩრდილის საპალნეს...
მაგ გამობუგულ ფერდებშიც
რამდენჯერ მოგხვდა!
სახედრის წესია —
ურჩობისთვის უნდა დაირტყას
მათრახი!
სახედრის წესია —
ერთი გზით მაინც პატრონის გზას გადაუხვიოს,
ერთი ნებით მაინც მის ნებას ასცდეს,
მერე გიჟივით გახევდეს მზისქვეშეთში და
პატრონს ისიც კი აფიქრებინოს:
წამი გაქვავდა!
როცა სახედრის პატრონი გქვია,
მათრახიც თან უნდა გქონდეს...
როცა წინ
სიზმრებიდან გადმოწერილი რუკა გაქვს
გაშლილი,
მათრახსაც ნიავის გემო აქვს.
თვალებანთებული მიდიხარ
ქალაქისკენ,
გზა მაგნოლიის ხავერდით გსუსხავს
და
გული — ამდენჯერ პატრონგამოცვლილი
ბებერი სახედარი —
ზურგით მაცხოვარს მიატორტმანებს.

მამა მდინარე

ჩემამდე რა გზებით იარე, მამაჩემო,
ან წყალში ტუჩი რამდენმა ჩაგიყო...
ვინ შემოგხვდა რიყე-ნაპირებზე,
ქვიშის ჯებირები ვიღამ აგიგო?
ან, თუ როდისმე შეგეშინდა, მამაჩემო,
ბნელში თვალი მოგჭრა და
შენმავე მარგალიტმა შეგაშინა,
ან, თუ ნაფეხურის შეგეშინდა, მამაჩემო,
ღმერთმა ტალღაზე რომ დაგაჭირა,
ან იქნებ ქარის შეგეშინდა და
იმის ლოდინში ფიქრებმა წაგიღო?..
მერე კი კვიცებივით გახედნე ჩქერები,
თოვლსა და გაზაფხულს სიმღერით ჩაუარე,
დადიდდნენ ჩქერები და გახდნენ ცხენები და
მინდვრები გადალახეს ღრუბლისგან გაუვალი...
მდინარეებიც ასე კვდებიან — შვილების მუცლებში?..
მდინარე ზღვის სიზმარია,
ფსკერი აქვს ცის...
მე ვწევარ,
ჩემი მუცლის მარილში მარხია მამა და
ტალღის ნაპობიდან
მზიანი ქვირითი გვდის...

ღამე

ჩემს მარიამს

ღამეა ღვთისმშობელი.
არა ცისკარი,
არც შუადღე,
როცა მზე ხელისგულზე უდევს
სამყაროს,
არც შებინდების ლურჯი ჩქერი
არაა იგი,
არამედ
ღვთისმშობელი არის ღამე და
ის დღეებით დაჭრილ ხორცზე გვაფარია.
ღვთისმშობელი არის
ერთი დიდი, გაბმული ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღეები ხავერდის კალთაზე
ბავშვებივით ეტატებიან.
ის მოვიდა სამყაროში,
როგორც ყვავილი,
მისი სუნთქვაც
გულის ზანზარს ჰგავს.
ამიტომ არის ყველაფერი
უფრო ადვილი,
როცა ღამეში ჩაფლული ხარ,
როცა თავი გაქვს შერგული მასში
და დედამიწის ვარსკვლავებიც —
საფლავის ქვები
გარშემო თეთრი აკვნებივით მიმოფანტულა.
ღამე არის ხსოვნა
და სხვას ყველაფერს
ჩიტის ფასი აქვს.
ვყრივართ ჩვენივე
სიცოცხლისგან დახოცილები,
ღვთისმშობელი ფეხაკრეფით დაიარება
და სასთუმლის ბალიშიდან ამოტანილ
თივის ღერებით
თავზე სინათლის გვირგვინებს გვადგამს.

•

სული ჩემი განაპირა მდინარეა...
ის მოდის მინდვრიდან ჭალაზე,
ყანიდან ტყისკენ...
ის მოდის დიდ პაპის ყელიდან,
ურმული ქვებზე
თოხარიკით მოაქვს და
ისეთი ბედნიერია,
როცა სიმღერით მოდის!..
სული ჩემი განაპირა მდინარეა
და რა ძალა აქვთ მდინარეებს,
რომლებიც მთვარის ძირში წვანან?
წამოაგებთ ხოლმე ხანდახან
ფსკერის სიზმარი,
ვარსკვლავი გადაცდებათ
ელდისგან,
შფოთავენ თვალებდაჭყეტილები და

ეს შფოთვაც რაღაცის გახსენებაა ალბათ...
როცა სული განაპირა მდინარეა,
შეგიძლია შენ თავსვე გაუნაპირდე,
მუხლებქვეშ შეიკეცო ტალღები და გაუყვე გზას...
ლურჯია მისი ტევრი და
ალაგ-ალაგ თევზები
ბატონებად აყრია...
დგახარ, მაგრამ
ტანში მდინარე დაგიდის,
დუმხარ, მაგრამ
საიდანღაც მღერი...
ასე მღეროდნენ შენამდე
ამვლელ-ჩამვლელები,
ზაფხული იყო მათი ტემბრი და
თუთის წვენი — ტკბილხმოვანება,
მიჰქონდ-მოჰქონდათ პირით წყალი,
მარტოობის ჭაში ასხამდნენ,
საღამოობით წკრიალებდა ხოლმე
ჭის ოწინარი და
ეს დრო იყო,
მდინარე რომ ფსკერზე
კენჭებს ითვლიდა...
თითო კენჭი —
თითო წელი, თითო საათი...
სიმღერა სჯობდა
წარმავალის უგუნებობას...
როცა სული განაპირა მდინარეა და
შენ კი ვინმეს
ნესტოებდაბერილი დაეძებ,
ჩახედე ტალღებს,
ფურცელ-ფურცელ რომ მოაქვთ
ცისკრის ფსალმუნი,
მწვერვალის ცრემლივით
ქვევითკენ გორავენ...
ჩახედე მათ და
გაიხსენი გულისპირი,
შენც ის ხარ,
ვინც უნდა ტალღებთან იცეკვოს,
ვინც მდინარეში ტაატით შევა და
თავზე სხივებს გადაიფარებს...
სული ჩემი განაპირა მდინარეა,
მიდის, მიყავხარ
მოღიღინე მარადისობა.

ნიკუშა ანთაძე

მეორე კარი

ამსტერდამში ხშირად მახსენდებოდა პეკინის ეზო. ვიწექი ხოლმე თვალდახუჭული და პატარა შავ-თეთრ სურათს ვაწყობდი; კინო „თანამგზავრის“ კუთხეში შეტეხილი ბილიკი, აქეთ-იქით ოთხსართულიანი სახლები, მარცხნივ, საბავშვო ბაღის თავზე, ჩემი აივანია.

აქ მეოთხე კლასამდე ვცხოვრობდი, მერე გადავედით.

ყველანი ეზოში ვართ ბავშვები, ვინც მახსოვს — გური, თამუნა, რეზო, ანი, კეკელიძეები, თოკო. გვენცას რიკულებიანი ფანჯრების წინ ვდგავართ.

— დათოო! გვენცაა! ჩამო რა, დროზე!

გვენცას ფანჯრები ბილიკს უყურებს, პირველი სართულია, სადარბაზო კი შიგნით არის, ეზოში. მთელ სახლს უნდა შემოუარო — ბილიკს უნდა მორჩე, მერე ფანჯრების გრძელ რიგს უნდა ჩაუარო, მერე მარჯვნივ სტადიონს აუყვე, მერე ისევ მარჯვნივ, საქანელები, სკამები და აი, გვენცა ჩამორბის კიბეზე. რვა წლისაა, ცისფერთვალა, მოკლედ აჭრილი ჟღალი თმით. ბუზღუნებს:

— რა დავაშავე, რა! რატო უნდა ვურტყა ყოველ წუთში წრეები მთელ ეზოს!

ამ დროს ცუდად შეკრულ ზონარზე ფეხი დაედგა, წაიქცა. ხელისგულები გადაეგლიჯა, მუხლებიდან სისხლი წამოუვიდა და ატირდა. მე და გურიმ ავაყენეთ.

— ნუ გეშინია, ნაკაწრებია.

— აღარ მინდა აქ ცხოვრება! ამის ბრალია ყველაფერი! ყველას სადარბაზო ქუჩაში გამოდის პირდაპირ, მე რა დავაშავე!

სულ ვიცინოდით — როგორ ბრაზობდა, როგორ აგინებდა არქიტექტორებს, მშენებლებს და ყველას ვისაც რამე წვლილი შეეტანა ამ სახლის აშენებაში.

— კაი, ფანჯრებიც რომ იქით ქონდეს, ჯანდაბას, გასაგები იქნებოდა, მაგრამ ეს რა წესია! ფანჯრები აქეთ, კარი კიდე ხუთას მეტრში! ამის მომფიქრებელ-გამკეთებლის...

მართლა სერიოზულად აწუხებდა ეს ამბავი — დილით სკოლისკენ მიმავალი, უღიმღამოდ შემოუვლიდა ხოლმე სახლს და თან უკმაყოფილო სახით ბუტბუტებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

თვითმფრინავში რაღაც გამოაცხადეს. უკვე გათენებულიყო. დაშვება ერთ საათში. ძილის შებრუნებას აზრი აღარა აქვს. სტიუარდესას ყავა მოვატანინე.

ამსტერდამის დიდი იმედი მქონდა. მეგონა, სულ ცოტა, 5-6 წელი დავრჩებოდი, ვისწავლიდი, ვიმუშავებდი, მერე მოქალაქეობა და მთელი ამბები, მაგრამ... 2 წელი და 3 თვე გავიდა ზუსტად...

•

27 წლისა ისე გავხდი, ვერაფერი სერიოზული ვერ გავაკეთე და ჩემი საკუთარი არაფერი მქონდა. კარგია, როცა მშობლებს შეუძლიათ დაგეხმარონ, შენ კი გართობაში და უსაქმურობაში გაატარო დრო, მაგრამ... კარგია? ვხატავდი, სურათებს ვიღებდი, რამდენიმე გამოფენაც მოვაწყვე. ჩემებს უნდოდათ, სამხატვროში ჩამებარებინა, მაგრამ ხატვის „სწავლა" შრომატევადია და, სიმართლე გითხრათ, მეზარებოდა. თეატრალურში ჩავაბარე, სარეჟისოროზე. არ არის კინო საქართველოში და, კაცმა არ იცის, იქნება თუ არაო, მეუბნებოდნენ, მაგრამ ვპასუხობდი, თუ არ ვისწავლეთ და თუ არ ვაკეთეთ, რა თქმა უნდა, არ იქნება-მეთქი. არ მახსოვს, მართლა ასე ვფიქრობდი თუ, უბრალოდ, ვიცოდი, რომ თეატრალურში ბევრს არ მომთხოვდნენ და ვივლიდი ისევ ჩემს ჭკუაზე. საერთოდ, ეგეთი ტიპი ვარ, როგორც წესი, დილიდან გასული მარტო დასაძინებლად თუ მივდიოდი ხოლმე სახლში. ან არც მივდიოდი. ვითომ კი ვაკეთებდი რაღაცებს, ფოტოაპარატი თან მქონდა სულ, ძმაკაცებს ვეხმარებოდი გადაღებებში, მაგრამ საერთო ჯამში — არაფერი. დიპლომი ავიღე, მაგრამ სადიპლომოს მერე ფილმი არ გადამიღია და გადაბმულად ერთი თვეც არ მიმუშავია არც ტელევიზიაში, არც არსად. ბოლოს ცოლის მოყვანა გადავწყვიტე. ცოლის მოყვანა რა, ფორმალური მხარეები და მმაჩის ბიუროები დიდად არ მადარდებს, უბრალოდ, გამოჩნდა გოგო, რომელთან ერთადაც ცხოვრება მინდოდა — მაიკო. მინდოდა, მაგრამ სად არის ეგრე. სახლში ხომ არ მივიყვანდი, დედასთან და მამასთან? ეგ გამორიცხული იყო. კაცმა იმაზე უნდა იფიქრო, შენ როგორ შეგეწყობა ქალი და რამდენად მოახერხებთ ერთად ცხოვრებას, და ამ დროს სრულიად ზედმეტია იმაზე ფიქრი, როგორ შეეწყობა ეს ქალი დედაშენს. აქაც მშობლებმა მიშველეს — მომანდეს თავიანთი დანაზოგი, არც ისე მცირე თანხა, რომე-

ლიც თავისუფლად გაწვდებოდა პატარა სახლს, მე და მაიკოს რომ გვეყოფოდა, ისეთს. უკვე თითქმის შერჩეული გვქონდა ბინა, ჰოლანდიის იდეა რომ გაჩნდა. მაიკოს ნათესავი ცხოვრობდა იქ და მოიწერა, შანსი არის, ამსტერდამის ხელოვნების აკადემიაში ისწავლოთ და ცოტა ხანი ჩემთანაც გაცხოვრებთ, სანამ რამეს იზამთო. ფული იყო საჭირო ანგარიშზე (2000 ევრო ჯდებოდა სწავლა წელიწადში და აკადემიას უნდა ჰქონოდა გარანტია, რომ შენ ყველა შემთხვევაში შეგეძლო გადახდა). ჩვენი ფული საკმარისი აღმოჩნდა. მომინდა. ისედაც ხშირად ვამბობდი, არ შემიძლია აქ ესე უაზროდ ყოფნა, მარაზმია ეს ქვეყანა, არაფერი არ გამოვა და სადმე სიამოვნებით წავიდოდი-მეთქი (ახლა რომ ვაკვირდები, ეს რაღაც თავის მართლებას უფრო ჰგავდა). მოკლედ, ვირბინეთ ვიზებზე, საბუთებზე, აქეთ-იქით და წავედით.

როცა ინგლისური იცი, მეორე ენის სწავლა ძნელია, გერევა მერე ერთმანეთში, მე კიდე ინგლისურს ვერ ვიტანდი ბავშვობიდან და თითქმის არც მისწავლია, ამიტომ მეგონა, ჰოლანდიური არ გამიჭირდებოდა. გამიჭირდა. ვერაფრით ვერ შევეგუე ამათ ხ-ებს და ენის მოტეხვებს. მაიკომ უფრო აუღო ალღო. გერიტ-რიტვილდის აკადემია ყველაზე სახელგანთქმულია ჰოლანდიაში. ფოტო-ხელოვნების ფაკულტეტზე ჩავირიცხეთ. ყველანაირი ხალხი სწავლობდა, საინტერესოებიც, უინტერესოებიც, ძირითადად ნიჭიერები, მაგრამ უნიჭოებიც, ჩვენსავით სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები, ცოტა გიუები და რამდენიმე იქაური „ძველი ბიჭიც“ კი აღმოვაჩინე. ჩვენ, მგონი, ყველაზე მეტს ვიხდიდით — ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან არ ხართო და...

სხვებისთვის, მაგალითად, ესპანელებისთვის, 1000 ევრო ღირდა და ამასაც მათი მთავრობა აფინანსებდა. დავალებები გვქონდა უამრავი, დილით ადრე ადგომა მკლავდა, მაგრამ ვცდილობდი და ვინდომებდი ყველანაირად. მუშაობაც დასაწყები იყო, ცალკე ხომ უნდა გადავსულიყავით. მაიკოს ნათესავთან „ცოტა ხანი“ ცხოვრება ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა.

ძირითადად ველოსიპედით ვმოძრაობდი. ეს ამსტერდამში ყველაზე გავრცელებული ტრანსპორტია და, სტატისტიკის მიხედვით, დღეში 2000 ველოსიპედს იპარავენ. ამიტომ ყიდვაც იაფია. უპრობლემოდ იყიდი 10-15 ევროდ ბომჟებისგან, იქაური ჯანქებისგან ანუ. დედოფლის მოედანზე არის ერთი სპეციალური ადგილი, სადაც უნდა მიხვიდე ღამე, პირველ-ორ საათზე და დადგე. ეს ნიშნავს, რომ ველოსიპედის ყიდვა გინდა. მაშინვე გამოძვრებიან საიდანღაც ჯანქები. მთავარია, პოლიციამ არ გამოგიჭიროს, თორემ დაისჯები, რადგან ჯანქისგან ყიდვა ისეთივე კანონის დარღვევაა, როგორც გაყიდვა. თვითონ არიან ხოლმე გადაცმულები ჯანქებად, თუ შეცდი და მოგყიდეს, მერე გიჭერენ. სპეციალური ციხე აქვთ გაკეთებული და რამდენიმე დღით გსვამენ. წარმოიდგინეთ, რეკავენ თბილისში:

— ლადო დაიჭირეს!

ოჯახში პანიკა იწყება.

— რაზე?!

— რაზე და ველოსიპედის ყიდვაზე!

აი ასეთი ამბავია, მაგრამ არსებობს მექანიზმი — ჯანქი რომ მოდის, შენ უნდა კითხო „Are you policeman?“ გიპასუხებს „No“, კიდევ უნდა კითხო „Are you policeman?“, „No“ ისევ, მესამეჯერ „Are you policeman?“ და, თუ პოლიციელია, უკვე აღარა აქვს მოტყუების უფლება, მესამე კითხვაზე უნდა გიპასუხოს „Yes, I'm policeman!“. შენ ეტყვი „Fuck Off!“ და მორჩა, ვერ ჩაგავლებს. მე მაინცდამაინც არ ვეძიებოდი ხოლმე, ერთხელ ვკითხე და პირდაპირ „No, No, No, I'm human“-ო, გამიღიმა. ეტყობა, იქაც, ჩვენი არ იყოს, ადამიანებად არ თვლიან ფორმიანებს.

ნორმალური ბინა ვიქირავეთ. ფული ჩვენს ანგარიშზე შენახული დანაზოგიდან მოვხსენით იმ პირობით, რომ ვიმუშავებდით და დავაბრუნებდით. პატრონი სლოვენიელი გოგო იყო, ჩემხელა, ყოფილი მოდელი, საზიზღარი ტიპშა. მაგან მითხრა ყველაზე საშინელი რამე, რაც იქ ყოფნის დროს გავიგე საერთოდ. ოფიციანტად ვმუშაობდიო და კლიენტები რომ „ხურდას“ მაძლევდნენ, ვიპარა-

ვდიო. არადა, წესია, რომ ყველა ოფიციანტი აგროვებს ერთად ამ „ხურდას“ და მერე იყოფენ. ამან რაო, არ უნდა მომეპარაო? მე თეთრი ვარ, ლამაზი და ჭკვიანი, ისინი ჭუჭყიანები, ზანგები და სუნიანები არიანო. ეს ხდება ჰოლანდიაში, ვითომ რომ აბა ევროპაა, ცივილიზაცია, ინტეგრაცია, კოსმოპოლიტიზმი და ასე შემდეგ... თვეში 500 ევროზე მოვრიგდით. პირველ გადასახადთან ერთად კიდევ 250 გამოგვართვა, თუ რამეს გააფუჭებთ, ეს მე დამრჩება, თუ არადა, აქედან გადასვლის წინ დაგიბრუნებთო. ყველაფერი რიგზე იყო ერთი შეხედვით, თითქოს მართლდებოდა ჩემი და მაიკოს გეგმები და სურვილები, მაგრამ ეს იქამდე, სანამ ისევ სიზარმაცემ არ მაჯობა. გავზარმაცდი და აკადემიიდან გამომაგდეს.

მეგობრებს ხშირად ვუკავშირდებოდი ინტერნეტკაფეებიდან. მაინტერესებდა ამბები. ბავშვობიდან რამდენიმე მეგობარი შემრჩა და ისინი მეძვირფასებიან ყველაზე მეტად. რეზო მწერდა რაღაცებს, თამუნა გათხოვილა, ჩემი კარის მეზობელი, ბავშვს ელოდებაო. გურის ბიზნესი წამოუწყია, გვენცა ცოტ-ცოტას მუშაობს, მაგრამ ძირითადად სვამს და უბანში დაბოდიალებს თავისი ფანჯრებიდან სადარბაზომდე წინ და უკანო. მშობლებიც კარგად იყვნენ, მუშაობდნენ ძველებურად და ჩემი დახმარება არ სჭირდებოდათ. მიხაროდა. აბა მე რითი დავეხმარებოდი...

თბილისში ახალგაზრდა ბიჭი ვერ იმუშავებს ოფიციანტად, ჭურჭლის მრეცხავად ან გამყიველად. რატომ? ჯერ ერთი, ხელფასი არ არის საკმარისი, იმდენად ცოტას იხდიან, გინდ ყოფილა, გინდ არა და, კიდევ მეორე, პრინციპში შეიძლება უფრო მთავარი მიზეზი... ტეხავს. თბილისი ისეთი პატარაა, ყველა ყველას იცნობს და ნაცნობებთან, უბნელებთან, მეგობრებთან, გოგოებთან ხომ საერთოდ... სირცხვილია.

ამსტერდამის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე სამი რესტორანი იდგა მიყოლებით — არგენტინული, ბერძნული და იტალიური. სამივე ერთ ორმოცსმიღწეულ ეგვიპტელს ეკუთვნოდა. მე არგენტინულში ამიყვანა მზარეულად. სალათებს ვჭრიდი. 4 ევრო მეკუთვნოდა საათში. თუ ხარ სტუდენტი აღმოსავლეთ ევროპიდან, აზიიდან, აფრიკიდან ან სამხრეთ ამერიკიდან, აქ სამუშაოს იოლად ვერ იშოვი. მეზობელ გერმანიაში ასე არ არის, იქ ყველა სტუდენტი თანასწორია, მაგრამ რა ვიცი.. მე მუშაობის უფლება არ მქონდა. თან ოფიციალურად, რომ არ გაახურო, ისე აქვთ მოწყობილი, ვითომ გაქვს უფლება. სამსახურში არ მიგიღებენ, სანამ არ აჩვენებ ამ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ამ დოკუმენტს კი იქამდე არ გაძლევენ, სანამ სამსახურში არ მიგიღებენ. ბოსმა უნდა მოითხოვოს პოლიციაში, რომ ეს ქაღალდი მოგცენ, მაგრამ ამით თავს არავინ იწუხებს. შენით თუ მიიტან, აგიყვანს, თუ არადა, რა ენაღვლება, ამუშავებს იტალიელს ან ვინმეს და დროს ტყუილად არ დაკარგავს შენზე. შენ კიდევ შენით ვერ მიგაქვს.. ერთი სიტყვით, ასეთი ხათაბალაა. ძლივს მოვხვდი ამ არგენტინულ რესტორანში. ისე, ხო მაგარია, არგენტინულ რესტორანს რომ ხსნის ეგვიპტელი და საჭმელს ამზადებენ ერაყელები, ირანელები და მე... თან რა ტიპები არიან... პირველად რომ გამოვშტერდი, მახსოვს... არსებობს არგენტინული სტეიკი, სხვებისგან გამორჩეულია იმით, რომ ნახშირზე იწვება გემრიელად და დიდი მოთხოვნა იყო ამაზე. უკვეთავ, მოაქვთ ორი მოზრდილი ნაჭერი. ვთქვათ, ერთი შეჭამე, მეორეს ველარ მოერიე. შემოიტანეს ერთხელ სამზარეულოში ასე ვიღაცის დატოვებული, მე ჩავაგდე ნაგვის ყუთში და შეფმა — შენ გიჟი ხომ არ ხარო?! რას აკეთებო?! ამოიღეს ნაგვიდან, დადეს თეფშზე და სხვას წაუღეს. იმ პირველმა იქნებ დააფურთხა, ალოკა, მოკბიჩა ცოტა.. როგორც მერე გავიგე, ეს ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. ჯგუფელებთან რომ მოვყევი, ყველგან ეგრე ხდებაო (სტუდენტები, ჰოლანდიელებიც კი, ძირითადად კაფეებში და რესტორნებში მუშაობენ, ჯიბის ფულს აკეთებენ), მნიშვნელობა არა აქვს, სირიელია თუ ბელგიელი, ეგრე იქცევიანო... მაიკო სწავლობდა, საღამოობით კი ჯაზკლუბში მუშაობდა ბარმენად. მე სამსახურების ცვლა ხშირად მიწევდა, რადგან მაგდებდნენ. ვმუშაობდი სუვენირების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღაზიაში; თვეში 100 ევროდ სკოლიდან გამომყავდა და სახლში მიმყავდა პორტუგალიელი ბავშვი, 6 წლის პედრო, ერთ მაღაზიაში სუნელებს ვახარისხებდი. ყველაზე დიდხანს მაინც Sbarro-ში გავჩერდი. Sbarro ცნობილი Fast Food ქსელია, McDonald's-ისნაირი, ოღონდ პიცების ამბავში. საათში 8 ევრო, დღეში 8 საათი, კვირაში 3 დღე. ჯამში 1000 გამომდიოდა. ეს იყო ჩემი მაქსიმუმი.

•

სტიუარდესამ — ღვედები შეიკარით, მალე დავეშვებითო. როგორ მიყვარდა ბავშვობაში სადმე წამოწოლილს ღრუბლების ყურება, ახლოდან კი აღარ მომწონს. ისე, ბევრ რამეს უფიქრდები თვითმფრინავში... მთელი ძალით მიექანები და ვერ გრძნობ, რომ ცაში ხარ გამოკიდებული.

•

ნელ-ნელა ყველაფერი მომბეზრდა. ეს ქალაქი, რომელიც მზეს არ უყვარს, ველოსიპედები, უდარდელი ხალხი, მოსაწევიც (ყველა Coffee Shop-ის მენიუ ზეპირად ვიცოდი), სახლიც... ხო, სახლი... სლოვენიელი გოგოს ბინაზე რომ გითხარით, რვა თვე ვიცხოვრეთ და მერე უფრო იაფიანში მოგვიწია გადასვლა. ბარგი რომ ჩავალაგეთ უკვე, ამ გოგოს ვეუბნები, მივდივართ და ის 250 დამიბრუნე, თავიდან რომ გამომართვი-მეთქი. არაო. რატომ-მეთქი? აშკარად არც გამიფუჭებია რამე, არც გამიტეხავს, მაგრამ არაო. არაო და ეს 250 ხომ გამოიდოდა ზუსტად ორი კვირის და ვუთხარი, მაშინ კიდევ ორი კვირა დავრჩებით-მეთქი. გაპათოლოგდა, რომ არ იქნებით, მოვალ და ყველაფერს ფანჯრიდან გადაგიყრითო, მეგობრებს დავიხმარებო, თან გამკეთებელი იყო, მომპარავიც იყო, შეიძლება ამოეცალა რამე, „ხურდაზე" რაც მოყვა, იმის მერე არ გამიკვირდებოდა. ხოდა, ავიღე და ორი კვირა დავჯექი სახლში, ფეხი არ გამიდგამს არსად საერთოდ. წარმოიდგინეთ, ორი კვირა! ძალიან დიდი დროა, ჩემთვის მითუმეტეს — ცხოვრებაში ზედიზედ სამი დღე რომ არ გავჩერებულვარ შინ, უცებ ორი კვირით გამოვიკეტე. ამაზე არანორმალური პერიოდი არ მქონია. სლოვენიელი მოდიოდა, მიდიოდა, გიჟდებოდა უკვე, შიგადაშიგ იმუქრებოდა პოლიციას მოვიყვანო (არადა, ვერ მოიყვანდა, ბინის გაქირავების უფლება არ ჰქონდა კანონით და თვითონ წაუვიდოდა საქმე ცუდად); უბრალოდ, ვერ აანალიზებდა, როგორ შეიძლება ასეთი პრინციპული ყოფილიყო ადამიანი.

პრინციპული ნამდვილად ვარ, მაგრამ ამდენად არა. ბოლო-ბოლო შევეშვებოდი ფულს და ასეთ საშინელ დღეში არ ჩავიგდებდი თავს, რომ არა ერთი მომენტი, რომელიც ამ გოგომ არ იცოდა. ამ დროს, სადაც უნდა გადავსულიყავით, იმ ბინაზე რაღაც პრობლემა შეიქმნა, უარი გვითხრეს და ახალი გაგვიხდა მოსაძებნი. ანუ, რეალურად, მე უკვე აღარ მინდოდა, რომ დაებრუნებინა ფული. 250 ევროთი ვერსად წავიდოდი ასე უცებ, სასტუმროში ერთ დღესაც არ ეყოფოდა. პირველად რომ გავედი ამ ორი კვირის მერე გარეთ, მაიკოს მივაკითხე აკადემიაში და რაღაც უაზრობაზე დავცხე იქაურ „ძველ ბიჭს". როგორც მომიყვნენ, ვკლავდი თურმე, ყელში ვწვდი და ვახრჩობდი. სახე გაწითლებია, ხმას ვეღარ იღებდა, ჩემს მოშორებას კი ოთხი კაცი ცდილობდა და ვერ ახერხებდა. ისე გამოვიდა, ფილმებში რომ წესიერი ტიპები ციხეში ხვდებიან და მერე იქიდან გაგიჟებულები გამოდიან ხოლმე.

ამასობაში ჩემს ვიზას ვადა გაუვიდა და აღარ გამიგრძელეს, რადგან აკადემიაში აღარ ვსწავლობდი. დარჩენის შანსი იყო — ფიქტიურად უნდა მომეწერა ხელი ჰოლანდიის მოქალაქესთან. დამთანხმდა კიდეც ერთი მაიკოს ჯგუფელი, სანდრა, მაგრამ ამასაც დრო სჭირდებოდა, დრო კი აღარ მქონდა. ადვოკატმა — წადი ახლა და საქმეს რომ მოვაგვარებთ, მერე ჩამოხვალო. მაიკომ — მე არ დავრჩები უშენოდ და არ გაგიშვებ უჩემოდო, მაგრამ სწორი ვიქნებოდი, რომ წამომეყვანა? იქნებ ვეღარც დავბრუნებულიყავი უკან... რა ვიცი... არავინ გამიფრთხილებია, რომ მოვდიოდი. ჩავაწყვე მარტო აუცილებლი რაღაცები, დანარჩენს, თუ რამეა, მერე გამოვაგზავნინებ-მეთქი, გადავწყვიტე და ავიღე ბილეთი.

•

თბილისში 10 საათი ხდებოდა. ჩემი ზურგჩანთა ტაქსის უკანა სავარძელზე მოვათავსე.

— საით, ჯიგარო?

საით? სახლში? მამაჩემი უკვე წასული იქნება სამსახურში, დედას ალბათ ჯერ ძინავს. ვის დავადგე? მაგარია... ორი წელია არ ვყოფილვარ, ჩამოვედი და არ ვიცი, სად წავიდე.

— სად მივდივართ, ჯიგარო? — გამიმეორა ტაქსისტმა.

— პეკინზე...

დაბრუნება ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობაა, სასიამოვნო. ფანჯარა ბოლომდე ჩამოვწიე.

მძღოლი მთელი გზა ჩუმად იჯდა, უკვე სადღაც გმირთა მოედანზე ვიყავით, ხმა რომ ამოიღო.

— პეკინზე რა ადგილას გინდა?

— „თანამგზავრთან."

— ჰეჰ... თანამგზავრში მაქვს გატარებული მთელი ბავშვობა. დილით რომ შევიდოდი, საღამომდე არ გამოვდიოდი ხოლმე. ახლა სადღაა... შენ გახსოვს?

— კი, მეც დავდიოდი.

— სადღაა, გაყიდეს ნაწილ-ნაწილ და მაღაზიები გააკეთეს. შენ უცხოეთიდან მოდიხარ ხო?

— ჰოლანდიიდან.

— კარგი ქვეყანაა? ეგენიც ხომ ცოტანი არიან, ჩვენსავით.

— კი, კარგია.

— პლანი, ქალები?!

— ყველაფერი.

— ეუჰ...

— აქ გამიჩერე სადმე...

ჯინსების მაღაზიაა და ფოტოსამყარო. ეზოში შევუხვიე. სახლები არ შეცვლილა. საბავშვო ბაღიც ისევ აქ არის. ჩემი აივანი... ვინ ცხოვრობს ახლა, ნეტა? ხომ არ ავიდე? არა, ტეხავს... გამარჯობა. იცით, მე აქ ვცხოვრობდი ოცი წლის წინათ... ნწ..

— ლადო! — იყვირა ამ დროს ვიღაცამ, — ლადუშ!

შემოვბრუნდი და გვენცას ფანჯრების წინ ჩასუქებული, ჟღალთმიანი ბიჭი დავინახე. ერთ ხელში ლუდის ბოთლი ეჭირა, მეორე ხელს კი მე მიქნევდა. გვანცა იყო.

— როდის ჩამოხვედი, ბიჭო, არ უნდა გეთქვა? — გადამეხვია.

— ახლა ჩამოვედი, ნახევარი საათია.

— მართლა?

— ხო, აბა, მაგას გამოგაპარებდი?

— ჰა, რა ხდება ჰოლანდიაში? სულ დაბრუნდი?

— არა, 1-2 თვით ალბათ. მშვიდობაა, აქ რა ხდება? შენ რას შვები? როგორ ხარ?

— მე არამიშავს, მოყევი რა, ამბები.

— სმას ვერ შეეშვი, ხო?

— გინდა? — ბოთლი გამომიწოდა.

— არა.

— ნახე, — ზურგს უკან მანიშნა თავით.

აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე. მარტო ორი ფანჯარაღა იყო, დანარჩენი ორის ადგილას კი შავი რკინის კარი.

— ეს რა გიქნია, ტო.

— ხო, აბა იქიდან სიარულის დედაც ვატირე, — ლუდი მოსვა და ბედნიერი სახით გამიღიმა, — წამო, შევიდეთ.

ისე, ბევრ რამეს უფიქრდები თვითმფრინავში... მთელი ძალით მიექანები და ვერ გრძნობ, რომ ცაში ხარ გამოკიდებული.

ძახილი

დიდი ხანია, არათუ ლექსი,
ვერც ერთი სიტყვა, შენზე თქმული, ვერ ვანდე ფურცელს.
ახლა კი უცებ —
ამ ბრიალა აგვისტოს ფონზე,
შენი ხმა მომდევს,
შენი სუნთქვის სიხშირე მომდევს
და პულსაციას ვუთანაბრებ სიჩქარის ნიშნულს,
ქუჩებს — ქარიანს...
და ვშლი, რაც წეღან ფურცელს გავანდე.
უშენოდ მე ვარ ამომშრალი ამუდარია,
სათავიდან შესართავამდე.

ავტოპორტრეტი

რამდენჯერ მითხრეს, ნუ ბაძავო აფრენილ ორბებს,
სულ ფრთებს რომ ძერწავ, დაზოგეო სანთლისთვის ცვილი;
ერთ დღეს თქვეს ასეც, — წასულაო სახლიდან რობი —
უძღები შვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომეო მესხი

შენთვის წავედი... მოვიარე თაკარა აკრა,
უფრო სამხრეთით — კართაგენი, მემფისი, თებე;
მერე მზის ეტლშიც დავაპირე ჩაჯდომა, მაგრამ...
დამიდნა ფრთები!..

რა უნდა გითხრა, დაიაურო?!

რა უნდა გითხრა, დაიაურო?! —
ქვაზე უფრო მძიმეა ცრემლი
და ნატყვიარი ნიამორის ფერი აქვს არღუნს.
დიაც ყოფილა, —
მოისინჯა ამდენი კაბა,
ვიწრო და თალხი,
ღრიალებს ახლა და მაღალ მთებს
ცვრიან შუბლს ახლის.
დამუნჯდა მუცო...
რა უნდა გითხრა, დაიაურო?! —
ისედაც იცი,
ფხად მადგას ლექსი გამშრალ ყელთან
(გზა მოჰყვა სიცილს,

ქუჩი გიხმობს,
ბულბული გალობს...),
რა გითხრა, ძმაო,
მთები დგანან,
დგანან და დუმან
და ქვაზე უფრო მძიმეა ცრემლი.

ხუთი ათას მეერთე

როდესაც ცივა
და ჩემი უფერული ყოფიდან შენს უსასრულო არყოფნაში
ქაღალდის მეთოვლიებს ვაგზავნი,
ისინი მიჰყვებიან ქარს,
გზადაგზა იზეპირებენ ჰამლეტის სევდას
და ოდესღაც მიტოვებულ ბუდეებს
აბრეშუმის.

მე „აღუვსებელი საწყაული“ ვარ, უფალო, —
მყიფე,
მსხვრევადი,
მტვრევადი,
მაგრამ „აღუვსებელი,“
ამიტომაც ვუფრთხი სავსე მთვარეს,
უსარქველო ჭებს ნაწვიმარზე
და მწიფე ბროწეულის გამოხედვას ფოთლებიდან.

მე რვალის სამსჭვალი ვარ, უფალო,
სწორედ ჩემი ნაჭრილობევიდან დაგდის სისხლი
და იმიტომაც ამოწყდა თევზი იორდანეში,
რომ ამღვრეული მორევი,
ცადაჭრილი ქარი და
ასეთივე ქვიშა იხილა ერთდროულად
და სალომეას ცეკვა — ცეცხლოვანი.

შენ ის მითხარი, —
ხუთი პური რანაირად აკმარე ხუთი ათას უდღეურს
და კიდევ მე — ხუთი ათას მეერთეს,
ყველაზე უდღეურს მათ შორის
და აღუვსებელს,
როგორც ზემოთ დავწერე,

უძირო ქვევრივით, —
და გპირდები,
ვიპოვი ყველა ელემენტს,
უკლებლივ ყველას,
რაც კი ჩემი მოზელისას მიგაკლდა:
ჰაერს,
სინანულს,
მარილს
და ტყვიას.

ჭადრები

ლ-ს

რა უცნაური ხიბლი აქვს სიონს.
ჭადრები ჰგვანან არაზუსტ რითმებს;
მოულოდნელად მოფრინდა სიო
და ბაღმაც სული მოითქვა თითქმის.
და უკვე რუხი ცა იფშვნეტს თითებს —
ღრუბლებს — (ხატოვნად) — სქელსა და მტკივანს,
წავიდა ყველა და ბაღში წითელ
საქანელებზე აცეკვდა წვიმა.

•

დალიეთ წყალი, ყვავილებო, დალიეთ წყალი,
მე შეიძლება აღარც ვიყო ხვალ და დაგცხებათ, —
თიბათვის ხვატი თვითონ მზესაც უკარგავს ხალისს,
არც რამე ნიღაბს ხმარობს ზეცა, არც ნელსაცხებელს,
უბრალოდ, ღრუბლის ბოკალიდან მიირთმევს შარბათს,
არ აქცევს წვეთსაც... და ფერი აქვს ისე უძირო...
დალიეთ წყალი, ყვავილებო, დალიეთ ხარბად,
რომ გაიშალოთ და ერთმანეთს დიდხანს უცქიროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხო მოსულიშვილი

დაზვერვაზე ალან რიჩარდ მიიკანთან ერთად

Go reconnaitring with Alan Richard Meechan

„დამისხი, დამალევინე,
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი!“

ვაჟა-ფშაველა

„კაცი ვარ და ქუდი მხურავს,
ქედს არ ვუხრი არავის.
არც არავის ვემონები,
არც ვბატონობ არავის.“

რობერტ ბერნსი *(თამარ ერისთავის თარგმანი)*

ძველით ახალი წელი ორიოდე კვირის ჩავლილი იყო, ნინო დარბაისელმა რომ დამირეკა, მე და ჩემ შოტლანდიელ ქმარს შეხვედრა გვინდა შენთანო და, — კი ბატონო, შვიდი საათის მერე-მეთქი, რადგან მაგ დროს ვრჩები ჯერ კიდევ მუშაობას...

კარგიაო, ჩვენც კბილის ექიმთან მივალთო და, იქიდან რო გამოვალთ, დაგირეკავთო.

ვის დასჭირდა კბილის ექიმი-მეთქი, და — გოზინაყზე მოიტეხა კბილი ჩემმა ქმარმაო.

აი, ეგ კი სუ შენი ბრალია, რად გაუკეთე მაგარი გოზინაყი-მეთქი?..

რა ვქნა, მაგარი გამომივიდაო.

ჩემებსაც მაგარი გამოუვიდათ და ჩემს გარდა ვერავინ ჭამს-მეთქი კბილების მოუმტვრევლად...

მოკლედ, დამირეკეს, მართლაც, და სადღაც ვერაზე, რომელიღაც დუქან-ტავერნაში დავსხედით — ხმელ-ხმელი, წვერიანი და ლურჯთვალა ჯეელია ეს ალანი, დაახლოებით, ჩემი ხნისა...

და, რა ვქნა, რა ვუყო, კაცო, რომ ინგლისურად მარტო კითხვა ვიცი, ისიც გაჭირვებული, და იმათ ლაპარაკში რამდენიმე სიტყვას თუ ვარჩევ და ისე არაფერი მესმის?

და კიდევ კარგი, ნინო იქ არის — ძაან მაგარ ინგლისურს ლაპარაკობს...

ჰოდა, დავნიშნეთ ეს ჩვენი ნინო თარჯიმნად და, — ალანი კბილის ექიმიდან მოდისო, — ნინო მიხსნის, — ბარემ იქ ვიყავით და, რაც სამკურნალო ჰქონდა, ყველა კბილს ვუმკურნალეთო და ორი საათი ჯერ ვერაფერს შეჭამს და დალევსო.

საწყალი კაცი, შენ უნდა მოკლა-მეთქი? — და, რომ უთარგმნა ნინომ, აუტყდა ალანს სიცილი.

მეო, იემენში ვერ მომკლეს შვიდი წელიწადი რუსების გაწვრთნილმა ალაგობრივმა მეომრებმაო და ეს ჩემი ცოლი რას დამაკლებსო? — მეკობრესავით ეცინება ალანს და — შენ რას დალევო?

მე დავლევ-მეთქი თქვენი, სკოტების შესანიშნავ და ლამის გენიალურ გამოგონებას — რომელიმე ვისკის... „ჯონი უოლკერს," მაგალითად...

რას ამბობო? — გაოცებულია ალანი, — ვისკით როგორ უნდა ვიქეიფოთო?

რატო-მეთქი?

ვისკის ხომ ჭკუიდან გადაჰყავს კაციო და...

ვაჰ, მე კიდე ჭკუიდან გადაყვანა მინდა-მეთქი?..

არაო, — ნინომ, — არ გინდაო...

მინდა, როგორ არ მინდა, — აბა, სულ ეგრე სწორად ჩემმა და შენმა მტერმა უყურა ამ ალმაცერ ქვეყანას, მეც ყირამალა უნდა შევხედო ხანდახან-მეთქი. და — მაიტათ ვისკი!..

არც კი ექნებათ აქო, — ისევ რომელიღაც მეკობრესავით (თუნდაც სტივენსონის „განძთა კუნძულიდან") ეცინება ალანს, მაგრამ, აბა, მეკობრესავით როგორ — ისინი ხომ რომს ურტყამდნენ ხოლმე?

ვისკი თუ გაქვთო, — ნინომ ჰკითხა მომტანს და უარყოფითმა პასუხმა ძალიან გაამხიარულა.

კაი, მაშინ იყოს გაყინული „უშბა"-მეთქი.

იყოსო, გაუხარდა ალანსაც, და რა შევჭამოთო?

მე რო შინ მოვედი, კაი მუჟუჟი გეახელით და ბევრი არა მინდა რა, დავუშვათ, ხუთიოდე ხინკალი...

კარგიო, ამას ხუთი ხინკალიო და ჩვენაო... აღარ მახსოვს, ხაჭაპური შეუკვეთეს თუ ქაბაბი... თუ ორივე ერთად...

ვზივარ, ვუყურებ ამ ალანს, გადავხედავ ნინოს და მეცინება, — მუჟუჟს უხსნის და, რო ვუყურებ,

სუ ნერწყვი ადგება ალანს, ეგრევე ხვდება, რასთან მოელის შეხვედრა...

ჰა, აბა, რა ვქნათ, წავიდეთ მე და შენ დაზვერვაში-მეთქი? — არაყს ვისხამ თან. — რუსები რო საქართველოს ბომბავენ, არ მიყვარან, მაგრამ ეს კაი გამოთქმა აქვთ, რო — შენთან ერთად დაზვერვაში წამოვალ ან არ წამოვალ...

ნინო უთარგმნის.

ჰოდა, მე მოვდივარ შენთან ერთად და შენ თუ წამოხვალ-მეთქი?

კიო, — იღიმის, მეკობრესავით აღარ, უფრო მელ გიბსონივით, — მეც წამოვალ, ერთი დრომ გაიაროსო, — კბილებისკენ მანიშნებს...

და — დაზვერვა დაიწყო ჯერ ჩემი ნათქვამი სადღეგრძელოთი, რომ შოტლანდიელები იგივე ქართველები არიან, რაკი იბერიელები იმ თავიანთი გუდასტვირებით გადასხდნენ თავის დროზე კუნძულზე და იქაურ კელტ-იბერებად ქცეულებმა იქით ირლანდია და აქეთ ეს შოტლანდია სულ გუდასტვირების საომარი დაკვრა-დაკვრით აიღეს, თავისი ლედი მაკბეთიანად, რობერტ ბერნსიანად, იმ კაი ლუდიანად და მაგრის ერთი ვისკიანად და, რაც მთავარია, მელ გიბსონიანად უილიამ უოლესის როლში... „მამაცი გული!" იეეეეს!

და, თურმე, რაის გიბსონი, — ეუბნები გიბსონს და ის ვერაფერს იგებს.

და, როგორც კი ნინომ უთხრა — მელ ჯიბსონიო! — ეგრევე მიხვდა ალანი, ვისზეც ვეუბნეოდი... და, ქართველები, აბა, როგორ გამოვდივართ, როცა ჩვენ ქერათმიანები და ლურჯთვალება ვართო?

და გვყავს ჩვენც მთაში, ეგეთები რო არიანმეთქი...

ეგო, რუსებმა ხო არ იეშმაკეს რამეო, — ინტერესდება და...

იმათ მთაში რა იციან, სტეპი და ვაკე ადგილებია მაგათი-მეთქი და, ადრე ცხენებზე და ახლა ტანკში უყვართ-მეთქი ცხოვრება, კაი პშენიჩნი ვოდკაც თუ აქვთ...

და, აბა, რანაირად გამოდის ეგრეო, რომ, თუ ირლანდიელები ჩვენიანები იყვნენ, იმდენი რო ვეომეთო?

ზი ჰიპოთეზ, ზის იზ ზი ჰიპოთეზ... — სულ ამ სიტყვებით აწყნარებს ნინო, თორემ აშკარად შფოთავს...

და მე კიდე — მეცინება ძაან და...

ეცინება იმასაც — დაზვერვაზე ვართ, დაზვერვაზეო... და ნინოს საათზე ანიშნებს, — დანტისტის დანიშნული დრო ამოიწურაო!..

ჰოდა, ამოიწურა და უცებვე წამოეწია იმ ჩემ ერთ დალეულ ჭიქას.

წამოეწია და, — გადამასწრო ეგრევე იმით, რომ რობერტ ბერნსის სადღეგრძელოზე სუ იმისი ლექსები მიკითხა ამ ადრე სამხედრო და ამჟამად სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მენეჯერმა კაცმა ყაზახეთის ნავთობპროექტში გინდა, ბაქო-სუფსისა, ბაქო-ჯეიჰანისა თუ სულაც ჩინეთის გაზის „საუკუნის პროექტში..."

და არ გამხარებოდა და მე კიდევ ვაჟა-ფშაველაზე არაფერი მეთქვა?

ჰოდა, დაზვერვა გაგრძელდა აქეთ ვაჟა-ფშაველას და იქით რობერტ ბერნსის სამფლობელოების საფუძვლიანი დათვალიერებით...

მერე კიდევ, შოტლანდიაზე რომ ლაპარაკობ, მოჩვენებები ხომ მაშინვე უნდა გამოილანდონ და იქვე უნდა გაგახსენდეს ლედი მაკბეთ, რომლის ამბავში მოჩვენებებიც ხომ საკმაოდაა და სამი კუდიანი დედაბერი კიდევ იმ თავის ფაფას ხარშავს... და არ უნდა ათქმევინო, დედნის ენაზე ეს მაჩაბელის ნათარგმანები, აბა, როგორ გამოითქმის:

„სიცოცხლე მხოლოდ
ჩრდილი ყოფილა მოარული; ტაკიმასხარა,
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მაღალ სცენაზედ
და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე.
სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის,
თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით".

ეს კიდევ შექსპირია და შექსპირიდან რუსთაველამდე ზოგ-ზოგიერთ ლიტმცოდნეს ჰგონია დიდი მანძილი, თორემ სინამდვილეში ერთი პატარა ნაბიჯია... თანაც „უშბას" გრადუსებიც მიამატე და, — ავოეეე, ქაჯების კოშკი რო იგივე ალამუთის

ციხეა და ჰასან იბნ საბაჰიდან და იმისი ასასინებიდან რომ მოდიან მთელი მასონები აქეთ ევროპაში და იქით კიდევ უსამა ბინ ლადენი და მთელი თალიბანი...

მერე ბუნდოვნად მახსოვს, დაზვერვა რა მიმართულებით და როგორ გაგრძელდა...

ნეპალელ გურხებზე — ვიგონებ და ვერც ვიგონებ... ინგლისის თავდაცვის სამინისტროს წინ რომ გურხას ძეგლია, ისიც ვთქვი, მგონი, და იმათ მოკაუჭებულ დანებზე — „კიუკრებზეც“ ვილაპარაკეთ... ალანმა უფრო ბევრი, რაკი შვიდი წელი უმსახურნია ბრიტანულ არმიაში და სცნობია გურხები...

•

მოკლედ, მეორე დილას ჩემებმა მითხრეს, შინ რომ მოხვედი, ინგლისურად გველაპარაკებოდი, და სანამ ანიმ (ჩემმა შვილმა) ინგლისურადვე არ დაგიცაცხანა, რომ — არა ხარ შენ „მამაცი გული“ უილიამ უოლესიო და ეგ იატაკის საწმენდი ჯოხია და არა უილიამ უოლესის ხმალიო, ქართულად ვერაფერი შეგასმინეთ და ლოგინში ვერ დაგაწვინეთ, შოტლანდიის თავისუფლების დასაცავად მიდიოდი „პოლისჯოხით“ და ცოცხითო...

„პოლისჯოხი“ — გავიგე, ხმალი მეგონა, ეს კარგი და...

ცოცხი რაღად მინდოდა, ამას ვერ ვხვდები...

ცოცხით ფრენა ხომ კუდიანმა დედაბრებმა იციან?

და მე კიდევ უილიამ უოლესი ვიყავი და...

სწორედ ის სერ უილიამ უოლესი, დაახლოებით 1270 წელს რომ დაიბადა ქალაქ პეიზლიში და 1305 წლის 23 აგვისტოს სიკვდილით დასაჯეს შუაგულ ლონდონში; იმის გამო დასაჯეს, რომ შოტლანდიელი რაინდი იყო და სათავეში ედგა ინგლისური ოკუპაციის საწინააღმდეგო მოძრაობას შოტლანდიის დამოუკიდებლობისთვის ომში. მოკლედ, ის ფილმიც გეცოდინებათ Braveheart და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მართლა მაგრების ერთი ვინმე იყო და... აბა, იმასთან ცოცხი რანაირად?..

ცოცხი რომ ცხენი მგონებოდა, შეიძლება, ნეტავ?..

2010

თოვლის ფიფქების ჩუმი შრიალი

(თოვაში ჩაწერილი ხმა)

გუშინ ჩამოვედი არჩანდაში.

თოვდა.

მაღლა, გორაკებზე დაედო უკვე. ჩვენ სახლში ღუმელი იყო გახურებული და, ფანჯრებში რომ გამოიხედავდი, თოვლის ფიფქების ფარდა ეფარა სოფელს.

დილით ადრე ავდექი.

არაყი დავლიე და დანგრეული, ნათავადარი სასახლის სანახავად წავედი და გზად ეს სურათი დამამახსოვრდა — ურმის თვალი ეგდო გაშიშვლებული კაკლის ქვეშ...

ჯერ კიდევ იდგა ანდრონიკაშვილების დამწვარი სასახლე.

შიგ ეშმაკმა დაიბუდაო, მიმტკიცებდა გუშინ ჩომახა, ყვავზე შემომჯდარმა ეშმაკმაო.

რატომ-მეთქი?

უპატრონობისგანაო.

ათოვდა ჩამოცვენილ კოჭებსაც.

თეთრდებოდა მიდამო.

შემცივდა.

ინდაურის რუყრუყი ისმოდა ვიღაცის ეზოდან.

მორყეულ მაგიდასთან მივედი, ბუხართან რომ ეგდო ამოტრიალებული, დავაყენე ფეხზე. სკამი მივუდგი. აქ წერაც შეიძლებოდა. ხვალ მოვალ და დავწერ-მეთქი, ვიფიქრე.

შინ დავბრუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლის ფიფქები ჩამოვიფერთხე და აგუგუნებულ ღუმელს მივუჯექი.

დედას ველაპარაკებოდი.

ჩემი ძმა გარეთ დასტრიალებდა მანქანას.

ნინო კი ჩვენს ლაპარაკს უსმენდა.

დედას სტუდენტურ ცხოვრებაზე ვუამბობდი. ის მარიგებდა.

მერე დედაჩემის დეიდაშვილი მოვიდა. ვსვით და ვსვით.

წავიდა ნათესავი.

მარტო დავრჩი.

გასვლა მომინდა სადმე.

მამის თოფი ავიკიდე,, პატრონები ამოვიღე მუყაოს ყუთიდან და მეზობლის ბოსტნის გავლით წმინდა გიორგის საყდრის გზას დავადექი.

ტყეშია, იქით, მდინარე ლაკბის ხეობისკენ.

არ წახვიდე, არ წახვიდეო! — მომკიოდა დედაჩემი.

გზად, არხთან, ჩემი ძმა წამომეწია, — არ წახვიდეო, — თოფზე მიტაცა ხელი, — ვინმე წაგართმევსო.

მაინც წავედი.

გავიარე წიწილების ფერმასთან, რომლის გადაღმა ლამაზად დათოვლილი ქოდალოს ღვთისმშობლის ეკლესია გამოჩნდა — წინა საუკუნეში აგებული ანდრონიკაშვილების საგვარეულო სალოცავი.

ძაღლებმა ყეფა ამიტეხეს — ახლა ამათ უნდა შემიყარონ ქვეყანა?

მე ბუჩქ-ხეებს ამოვეფარე და ისე დავიწყე წერა.

თოფი დაშლილია და ისე მკიდია თასმით კისერზე — ვინძლო ვინმე შემხვდეს, ღორების მძებნელად მოვაჩვენებ თავს.

აბა, ადექი და მოუყევი, რომ თავგადასავალი გინდა ჩაიწერო, ცოცხლად, ძარღვიანად. წახვიდე, ნახო, განიცადო და ახალი რამე დაწერო — ამას ხომ არ ავუხსნი.

თოვს. თოვს. თოვს.

გიჟის წერილი მაჩვენეს ადრე და ეგრე წერდა:

„ფიფქავს. ფიფქავს. ფიფქავს.

მე მფიქრავს“.

კუსალიის გორა ბუნდოვნად ჩანს დასავლეთით.

გავიქეცი.

თოვლში ჩავემხე.

ვქაქანებ.

თეთრი ქვეყანა, თოვლის ქვეყანა.

ვცეკვავთ მე და ფიფქები.

ჩავჯექი, ვისვენებ.

წმინდა გიორგის საყდრამდე უნდა მივაღწიო, თუმცა ამაში ხევი მიშლის ხელს; ღრმა ხევია და ქვემოთ მდინარე ლაკბეს უერთდება.

იქიდან კი ან ლაკბეში ჩავალ, ან იქვე დავანთებ ცეცხლს, გაყინულ ხელებს მივუფიცხებ და, გავთბები თუ არა, მაშინვე ჩავიწერ თავგადასავალს.

შევედი ტყეში.

ესეც თითქმის თეთრია.

მიწაზე ალაგ-ალაგ დევს; ხეთა ტოტებზე კი თოვლის ფუმფულა ქულები მოჩანს.

იშვიათად დავინახავ ხოლმე ხეებში მდინარე ლაკბის იქითა ფერდობზე თეთრად შებურულ ტყეს.

შევდექი.

ნახევრად შეჭმული ძროხა აგდია ძირს და ზემოდან თოვლი ადევს.

გარშემო ჩემი ნაფეხურების გარდა სხვა რამ ნაკვალევი არ ჩანს.

ირგვლივ კი დიდი დუმილია.

მხოლოდ ჩემი ფანქრის ხმა მესმის.

ქარმა შემოუბერა, ფიფქები ნაწერზე შემომაყარა.

სულის შებერვა არ შეიძლება, გადნება. ისე, ხელით გავფერთხე.

ფეხები გამეყინება, თუ არ ვიმოძრავებ.

თოვლის თეთრი ფარდა აფარია ქვეყანას.

ლაკბისკენ მიმავალ ერთ ბილიკს ჩავუყევი დაბლა, ხეობისკენ.

ჩავედი ხევში.

აქ ნაკადული მიჩუხჩუხებს.

გავჩერდი.

მიდამოს დავაყურადე.

მარტო ამ ნაკადულის ლიკლიკი ისმის ყინულის ქვეშიდან და თოვლის ფიფქების ჩუმი შრიალი.

ნაკადულის ზედაპირია მარტო გაყინული.

ყინული ადგილ-ადგილ ჩამტყდარია და იქიდან მომესმის წყლის ჩუხჩუხი.

ახლა საჭიროა, მეორე ფერდი ავიარო ტყიანში, რათა წმინდა გიორგის საყდრამდე მივაღწიო.

აქ აღარავინ აღარ შემხვდება.

თოფი ავაწყე. თითო პატრონა მივეცი ლულებს პირში, გადავკეტე და ეკალბარდიან შემაღლებაზე დავაპირე ასვლა, მაგრამ ისევ უკან ჩამოვგორდი ნაკადულის კალაპოტში.

მერე სხვა მხრიდან წავედი. დავიწყე ასვლა.

თოვლის კაცივით მივამტვრევ ხმელ ტოტებს, სულ ლიწინ-ლიწინი რომ გაუდის.

ჩემი ნაბიჯების ქვეშ გამხმარი ფოთლების ხრაშუნი ისმის.

გულმა ძგარძგარი დამიწყო.

მაღალი ხეებიდან თოვლი მეყრება.

გავყუჩდი.

თითქოს რაღაც ხმაური მომესმა. გეგონება, ვიღაც თუ რაღაც მოაბიჯებს.

ნადირობის ძველისძველი აზარტი გეჯახება ხოლმე ამ დროს.

გავქვავდი.

გავხევდი ადგილზე.

ხეებს მივბაძე, კი.

თოფის საკეტი ღილაკი წინ წავწიე თანაც.

ვიღაც თუ რაღაც უნდა მოაბიჯებდეს ჩემკენ.

თანაც ორი მხრიდან.

ეგებ ჩემზე ნადირობენ?

არა მგონია.

გარინდული ვარ.

იმ მონადირეთა ნებისყოფაზე ვფიქრობ, საათობით რომ ელიან ხოლმე საკბილოს.

ხმაური აღარ მესმის.

თოვლი მეყრება დამძიმებული ტოტებიდან. თავისით.

გამეყინა ფეხები...

სიგარეტს მოვუკიდე.

გემრიელი ნაფაზი დავარტყი და იქვე, ხის ძირში ჩავჯექი.

მეგობარზე დავიწყე ფიქრი. ალბათ, უკვე ადგა, პირის დაბანა დაეზარა, — ბრრრ, რა ცივაო, — დედამისს უთხრა. ჩაი მომიდუღე მურაბითო, — სთხოვა. მერე რადიატორთან დაჯდა და დღევანდელი პრესის გაცნობა დაიწყო, თანაც წაკითხულს დედამისს უყვება.

ცაში ვიყურები.

ფიფქები ცვივა და არაფერი ჩანს.

მზე გადაკარგულია სამხრეთის მხარეს.

ჩავიწერე ყველაფერი.

ვდგები.

სასროლად გამზადებული თოფი მიმაქვს თან. ვცდილობ, არ დავგორდე.

უცებ ხეთა ტოტებში იელვა წმინდა გიორგის საყდარმა. სამრეკლოდან ზარია მოხსნილი, სახურავზე კი ბუჩქებია ამოსული.

მივრბივარ და მივბღოტიალებ აღმართზე.

მერე თოვლზე ვცურდები.

თოფს არ ვუშვებ ხელიდან.

მივგორავ.

ბუჩქს რომ დავეჯახე, არ ვიცი, რანაირად, მაგრამ იქუხა. ჯერ მეხი მეგონა და გადაფიფქული ცისკენ ავიხედე, მერე გარემო მოვათვალიერე და, ჩემს ფეხებთან ამოთხრილი მიწა რომ დავინახე, გავშრი.

ბეწვზე გადავრჩი.

თოფი გავხსენი.

დაცლილი ჰილზი ამოვიღე და ახალი ჩავდე.

უკვე ვფრთხილობდი, ნელა ვადგამდი ნაბიჯებს.

შევედი საყდარში.

კედლებზე წარწერებია ამოჩხაპნილი.

რამდენჯერმე შემოვუარე საყდარს, ჩვენი საგვარეულო ზედაშე ვნახე.

თანაც ფიჩხი და შეშა შევაგროვე. ხმელი.

ცეცხლი უნდა ავანთო საყდარში, თორემ ძალიან შემცივდა.

ასანთის ცეცხლი ვერ მოედო თოვლიან ფიჩხს.

იქვე ჩამოვჯექი, ფილაქანზე, და ახლა გაზეთით ვცადე ანთება. მოეკიდა.

მერე სიგარეტის კოლოფი ამოვიღე, უკანასკნელ ღერს მოვუკიდე.

ისევ დავიწყე წერა.

ახრჩოლდა კოცონი.

ამეწვა თვალები.

საყდარი ბოლით აივსო.

მაინც ვიწერდი.

დავშალე თოფი, ისევ კისერზე ჩამოვიკიდე და შინისკენ ავიღე გეზი.

ფერმასთან რომ მივედი, უკან მივიხედე.

საყდრიდან ისევ ამოდიოდა ბოლი.

უცებ ნაგაზის თავი გამოჩნდა თოვლიდან და ყეფაც გაისმა.

ძაღლი წამომდგარიყო, მიყეფდა და თან უკან იყურებოდა, სხვებიც მომეშველეთო.

ამის ყეფაზე ერთი ხუთი მაინც მოვიდა.

ჯერ ვერ ბედავდნენ ახლოს მოსვლას, მერე ერთი შავპირიანი ნაგაზი გამომიქანდა, არ იყეფებოდა და გამალებული მორბოდა.

შავად იყო ჩემი საქმე.

იმას სხვა ძაღლებიც მოსდევდნენ უკვე.

ვერა, სახარბიელოდ ვერ იყო საქმე.

თოფი კიდევ კისერზე მეკიდა, ჩამოხსნას ველარ მოვასწრებდი.

ვიუუუ-იუუ-უუუ," — ვიხავლე მთელი ხმით და უცნაურად შევიკუნტრუშე, თანაც ვითომ მათკენ დავაპირე გაქცევა.

ამან გაჭრა.

შეშინდნენ ძაღლები.

ეგეთი ცხოველი ჯერ არ გვინახავსო, დაასკვნეს და სასწრაფოდ გაიძურწნენ ფერმისკენ. კუდამოძუებულები მიდიოდნენ. მოშორებით რომ გავიდნენ, ისევ ატეხეს ყეფა-გნიასი.

გამოვიდა მწყემსი.

გაბარბაცდა და იქით მხარეს, ტყეს დაახალა თოფი.

ჩაჩუმდნენ ძაღლები.

იმან ხელახლა დატენა ცალლულიანი.

ფერდობზე დავეშვი.

ეს გიჟია ვიღაცა, არ მომკლას-მეთქი.

ისევ ავაწყე თოფი.

მივდიოდი და მივახრაშუნებდი თოვლქვეშ მოყოლილ ფოთლებს.

ერთი-ორგან წავიქეცი.

გადავაბიჯე იმ მოჩუხჩუხე ნაკადულზე.

ავედი ფერდობზე.

გადავიარე თოვლიანი სერი.

გავედი სამანქანო, ხრეშიან გზაზე, გავუყევი და საღამოს სახლში მივედი.

მამაჩემი მოსულიყო. იმისი თოფი მქონდა მოპარული.

ჩუმად შევედი სახლში და თავის ადგილზე დავდე თოფიც და პატრონებიც.

დედა მოვიდა: — შენ უნდა მომინელო, შენ! ახლა საქონ-საყოლი უნდა დამებინავებინა და შენ საძებნელად წამოვსულიყავი!

— შენ ხომ ყველგან უკან უნდა გამომედევნო, რა... — მეწყინა.

— თავს გაუფრთხილდი, თავს, — მითხრა დედამ. — მამაშენს არ უჩხუბია, თოფი რომ მოჰპარე. საძებნად მივალ-მეთქი და, — დაანებე თავი, თვითონ მოვაო, — თქვა...

•

ლაკბეში ჩასავლელ გზაზე თოვლის ფიფქების ჩუმ შრიალში ნაბდისქუდიანი და დაბამბულქურთუკიანი მწყემსები იდგნენ და უფილტრო სიგარეტს ეწეოდნენ.

— შეჭმული ძროხა ვნახე, შენი ხო არ იყო, ნეტა?.. — იქვე მდგარ, თოვლით მორთულ ბერმუხას ჰკითხა ერთმა.

— მიტოსია, ორი დღის წინ დაუგლიჯა მგელმა, — წმინდა გიორგის საყდარს უპასუხა მეორემ, დათოვლილ ტოტებში რომ მოჩანდა გაღმა ფერდობზე და კვამლი აღარ ასდიოდა.

მინაწერი: თოვლის ფიფქების ჩუმი შრიალი ჩაწერილია ათას ცხრაას ოთხმოცდაერთ წელს და კიდევ ერთხელ მოსმენილია ოცდაათი წლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ქოქოსაძე

ხელუკუღმა

დაიჭი, ზღვაო!
ეს ბეჭედი — არათითზე რომ გამიშავდა...
ეს სამაჯურიც გავიმეტე —
ქრიზოლითებით...
დღეს მე მაცვია
ჩამავალიმზისფერი კაბა
და ცხელი... ცხელი....
ცხელი ქვიშა
დამაქვს ქოშებით.
გიბრუნებ, ზღვაო!
ყელსაბამებს —
მარჯნის, სადაფის,
ჰა, სავსე მთვარის მესამედიც —
ჩემი საყურე.
მე შეგიგროვე ჩემი მკვდარი,
ჩემი ცოცხალი,
მოვედი შენთან —
ხელუკუღმა გადმოგაყარე!
დღეს იმედები,
შორეული ნაოსნობის მეზღვაურები,
კოცნიან კონცხებს,
ზღვაში პეშვით გამოწვდილ მიწას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახურავს ჩადრი,
შავი ჩადრი,
და ბოლო კადრში
მოელვარე თვალები მიჩანს.

მოლბერტი ორისთვის

მონეს ნახატია ეს ბაღი,
უტოვებს იმპრესიას ფოთოლთა,
პასტელის ფერი აქვთ ბუტონებს
კორომთან.
...თითქოს ქოლგიანი ქალები
ვიწრო წელითა და მარმაშით,
თეთრ კამელიებზე მზის სხივი
თამაშობს.
...თითქოს ფაიანსის ბავშვები,
ჩალის ქუდები და კულული,
ზეცაში ფრანების აშვებას
უყურებს.
ორისთვის გავშალეთ მოლბერტი,
ფერს ფერი,
ხელს ხელი მიგვეყრდნო,
ამ „ტილოს“ მუსიკა შენია,
ჩემია ლიბრეტო.

განდეგილი

შენ მზისდარი ტალავარი უნდა გეტარებინა
და ფშავის ზეცა — ლურჯი თოლებით.
მე, ლექსისქალას,
ტოლებიდან ამომარჩევდი,
ცხენზე შემსვამდი,
ბორბალოსკენ გამაქანებდი.
გადაგვიხდიდნენ მთაში ქორწილს
და იქნებ კიდეც
დაიაური ყოფილიყო ხელისმომკიდე,
მაყრად დევები...
მაგრამ შენ სად ხარ?

სად შეები სხვა უღელს, ჩემო,
სად გისველდება მტკივან მკლავზე
ბერის სახელო.
ნუთუ ჩემს სახელს
იხსენიებ მხოლოდ მწუხრზე
ანდა ცისკრისას...

სიმაღლე

მწიფე კახეთი.
ჩაიხატა მთვარე მტევანში.
ღამისთევაში ისევ შენზე ფიქრმა გამათბო.
შარშან რომ გნახე,
დამელანდე კვლავ იმ კაბაში,
თეთრი მარმაში,
თლილი ყელი,
ლურჯი საყელო.
შენი სახელი ახლა ღრუბელს
წვიმად დასცვივა,
დამიფეთდება ამ ტაძართან
ჩემი თეთრონი,
იცი? აქ ღმერთთან სიახლოვე
ცხადზე ცხადია,
რადგან სიმაღლე
იზომება ალავერდობით.

უშიშნი, ვითარცა უხორცო

ხელფასი თოვლის ფიფქივითაა, დაგეცა ხელზე და ეგრევე დადნა.

„არ მესმის, სამ სამსახურში ვმუშაობ, თითქოს კარგადაც მიხდიან და მაინც სულ უფულოდ როგორ ვარ?!“ უკვე ჩემი ცხოვრების თავსატეხად იქცა.

— რაციონალურად ხარჯვა უნდა ვისწავლოთ, — მეუბნება დედა.

— ვსიო, დღეიდან ჩოთქვას ვიწყებ, — ვეთანხმები მეც, მაგრამ როგორც კი ფული მოდის, ერთ კვირაში ისევ ნულზე ვართ.

ახლაც ასე მოხდა: თვის დასაწყისი იყო და, უკვე ისე ვიყავით, გეგონებოდა, ეს-ესაა, დიდი ხნის ჩხრეკის შემდეგ დაგვეხსნა საგადასახადო ინსპექცია.

— არა უშავს, ვისესხებთ სადმე, — ვთქვი ომახიანად და საკუთარ გაბზარულეკრანიან მობილურს დავწვდი ფულიანი ნათესავებისა თუ მეგობრების „თვალუწვდენელი“ სიის კიდევ ერთხელ გადასახედად.

არა, სია მოზრდილია, მაგრამ გააჩნია, რა მიზნით რეკავ: მოსაკითხად — დიდი, რამე ჭკვიანურის მოსასმენად — პატარა, ქორწილში ან დაბადების დღეზე დასაპატიჟებლად — თვალუწვდენელი, როგორც ოკეანე, აი ფულის სასესხებლად კი, როგორც ჩვენთან, უბანში იტყვიან, „მკვდარზე ყვავილები,“ ანუ სრულიად გამოუსადეგარი.

ორჯერ უარი მითხრეს, ორჯერ ისე იცინეს, რომ ლამის დაიხრჩვნენ, ერთი ათჯერ კი აქეთ დამასწრეს, ხუთი დღით ოცი ლარი ხომ არ გექნებაო, და მე და დედამ ერთად ჩავიქნიეთ ხელი.

დილას ვარჯიში მქონდა. წინა ღამით მაგრად მოეწვიმა და სტადიონზე არ შეგვიშვეს, ვიცით თქვენი ამბავი, ისე გადათხრით იქაურობას, კუზანოვის ცუდად ნაოპერაციებ სახეს დაამსგავსებთო და გამოგვიშვეს.

— დავაი, ვაკის პარკში, — თქვა ჩვენმა მწვრთნელმა და საკუთარი მანქანით დაიძრა იმ თეთრი რკინის ჭიშკრისკენ, რომლის იქითაც მწვანე ხეები და მოწითალო-მოაგურისფრო ხრეშიანი მიწა იწყებოდა.

რაღა უნდა გვექნა, გავყევით, მერე გუნდად შევიკარით და ეგრე ზვიადისტებივით ერთად დავიწყეთ პარკში სირბილი.

გრილოდა, ნაცრისფერ ცაზე ხანდახან თუ გამოჩნდებოდა მზის სხივები, ამიტომ პარკში ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო კილასონია

არცთუ ისე ბევრი იყო: ცისფერ კორტზე გოგოები დასდევდნენ ყვითელ ბურთს; შავთმიანი მსუქანი ქალი პატარა ბუსქუნა ბიჭს ასეირნებდა; როდესაც გვერდზე ჩავურბინეთ, ენას მოუჩლიქა და ხმამაღლა, ჩვენს გასაგონად უთხრა ბავშვს:

— ლაო, ბებო, გინდა ამ ბიჭებს გაგაკოლო?

— ეგლა გვაკლია, — ჩაიბურტყუნა ჩემს გვერდით მოძუნძულე ბაირამამ, — ოფლის მაგივრად არაყი მომდის, ისეთ პახმელიაზე ვარ და ახლა კიდე ამისი დებილი შვილიშვილი ათრიე.

მერე ვილაცის ლაიკა წამოგვეწია; ლამაზი იყო, ნაცრისფერი შავში, ღია ცისფერი შუშის თვალებით. ცოტა ხანი ჩვენთან ერთად იძუნძულა, მაგრამ, ეტყობა, მობეზრდა და მოგვშორდა.

წრეზე სირბილი მაგარი მოსაწყენია (ჩვენ კიდევ სამი უნდა გვერბინა), სულ ერთი და იგივე მეორდება, მაგრამ წამალიც არსებობს — რამე ისეთი სურათი უნდა მოძებნო, აარჩიო და დააკვირდე, როგორ იცვლება შენი არყოფნის დროს.

ამჯერად ასეთი გვერგო: ყველაზე მშრალ, ოდესღაც ცისფერ ხის სკამზე ბიჭი და გოგო ჩამომსხდარიყვნენ, ერთმანეთს უყურებდნენ და ლაპარაკობდნენ. პირველ წრეზე ოდნავ შორიშორს ისხდნენ ნაჩხუბარი წყვილივით, მეორეზე — უკვე ახლოს მიწეულიყვნენ, ხოლო, როდესაც მესამედ ჩავურბინეთ, ბიჭს გოგო მკლავებში მოექცია და ისე გაშმაგებით კოცნიდა, გეგონებოდათ, პითონი ყლაპავს უზარმაზარ კვერცხსო.

სირბილის შემდეგ სახლებში გაგვიშვეს. მე და ბაირამა ერთად წამოვედით, ტელევიზორში რაგბია და ბარემ შენთან ვუყუროთო, მითხრა. ორივენი სასწრაფოდ ავახტით ყვითელ ავტობუსს და ასე, ბოლო რიგის კუთხეში შეკუჭულებმა (ადგილი რომ არავისთვის დაგვეთმო), ვიჯაყჯაყეთ ვაგზლამდე, საბედნიეროდ, კონტროლიორები არ ამოსულან.

— დედა, რა გვაქვს საჭმელი? — ვიკითხე კარიდანვე.

— წყალი და, თუ გინდათ, გაგიცხელებთ, — მიპასუხა დედამ და ყვავილების მორწყვა გააგრძელა.

ტელევიზორთან დავსხედით, ჩავრთეთ; როგორც ყოველთვის — ბრაზილიური სერიალები, რეკლამები და ანონსები, რას ვიხილავთ* დღეს საღამოს P.S.-ის ეთერში, გადაიხარა თუ არა დედამიწა რვა სანტიმერტით საკუთარი ორბიტიდან, დავით გომართელის პოლიტიკური პროგნოზები, ვისთან იყენებს ვარცხნილობას ჯონდი ბაღათურია და რჩევა, როგორ დავხარჯოთ მილიონი.

— აუ, აი, მაგის სწავლება თუ მჭირდებოდეს, ბოზიშვილი ვიყო, — თქვა ბაირამამ და ტელეფონმაც დარეკა; ბებერო იყო, ჩვენი ძმაკაცი.

— რას შვები, ბრადიაგა? — მკითხა ქურდულად.

— რავი, რაგბის ველოდებით მე და ბაირამა, — ვუპასუხე.

— დღეს დილას ბერი ჩამოვიდა, წეღან ველაპარაკე; მოვა ახლა, მეც გადმოვალ, — და დამიკიდა.

ბერი ჩვენი ძმაკაცი და გუნდელია, ორი თვის წინათ წავიდა ამერიკაში და დენვერში თამაშობდა, ახლა კი უკან ჩამობლაყუნებულა. ისე, ლამის მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი, ძირითადად აფერისტობით, სივებს გზავნის, 190 სანტიმეტრი და 105 კილო ვარო, ისინიც იწვევენ, მაგრამ, როდესაც ხელში ქართველი ტიტანის ნაცვლად ვაგზლელი შავტუხა, სქელი და კონტრაბასის ფორმის ტანის მქონე კაცი შერჩებათ — აგდებენ. ისეც მომხდარა, რომ კვირაობით ყოფილა მშიერი სრულიად მარტო (თონის პურებით მიდიხარ აქედანო, ეღადავებიან ხოლმე) უცხო ქვეყანაში და ყველასთვის გამოცანად რჩება, როგორ ბრუნდება უკან.

— ვაა, ბერი ჩამოსულა, — მივუბრუნდი ბაირამას.

— როდის?

— დღეს დილას. ბებერო მელაპარაკა, მალე მოვლენ.

— შენც იმაზე ფიქრობ, რაზეც მე? — მკითხა ბაირამამ.

— ხინკალი, — ვუპასუხე და ორივეს სიცილი აგვიტყდა.

ათ წუთში კარზე დააზარუნეს. ბერი მაგრად „დაზაგრულიყო," ლას-ვეგასში დავირტყიო, ბებეროს კი ჩვეულებრივი თბილისური ფერი ედო, რაღაცა შუალედური მალბორო ლაითის კოლოფსა და ორლიტრიანი ნატახტარის ბოთლს შორის.

იერიში სიტუაციის გამოკითხვით დაიწყო, მოეწონა თუ არა, როგორი დონეა რაგბის მხრივ, ნაშების ამბები, სად ცხოვრობდა. არ დავცინოდით, ბიჭისთვის, აგერ, ხუთ წუთში ფული უნდა გაგვეწია და გვეშინოდა, რამე არ წყენოდა, მაგრამ, როდესაც ბებეროს კითხვაზე, რამდენჯერ ჭამდი დღეშიო, სრულიად ალალად გვითხრა — იცი, მაგარი კალორიული საჭმელი აქვთო, თავი ველარ შევიკავეთ და ავხარხარდით, თუმცა მალევე მოვეგეთ გონს, ბებეროც მიგვიხვდა და პირველი თვითონ დაიწყო: — ჰა ახლა, გააძრეთ რამე, ბიჭი სამი თვეა არ გვინახავს და ხინკალი ვაჭამოთო, რასაც ეგრევე მოჰყვა ჩემი — კაჟა ბუღავასავით გაზეპირებული, დაუჯერებელი და სევდიანი ისტორია ალალ ლადოზე და მის სასტიკ ბუღალტერზე.

— ოცდაათ დოლარს მე გამოვალ, — თქვა ბერიმ და ეგრევე გადაწყდა: სახინკლე, ლუდი, არაყი.

— თქვენ „პრიპასები" მომიტანეთ, ხინკალი კი ჩემზე იყოს, — ოთახში დედა შემოვიდა.

ჯერ ფული გადავახურდავეთ, მერე კი დავიქსაქსეთ — მე ფარშზე გავფრინდი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბაირამა — ფქვილზე, ბებერო და ბერი — ლუდზე. დედამ ცომი მოზილა, ერთ საათში კი მობუყბუყე, ადუღებულ წყალში აკვალანგისტებივით ჩაეშვნენ თეთრი ცომის გუნდები.

და, მართალია, თამაში, რომელსაც ველოდებოდით, მაგარი უინტერესო გამოდგა, ხინკალმა დაგლიჯა. კი არ ვჭამდით, ვყლაპავდით, მერე, როდესაც ცოტა სული მოვითქვით, ჩემი მოპირდაპირე მეზობელი „კიბოც" შემოგვესწრო, ისეთივე უსაქმური და არაფრის გამკეთებელი, როგორც წარწერა „ნუ მიეყრდნობით" მეტროს ვაგონის კარზე (ორი თავი ხახვის სათხოვნელად შემოეშვა დედამისს), რასაც მამაჩემის ხილის არაყი და სადღეგრძელოებიც მივაშველეთ და ცოტა გავმხიარულდით, ბერი კი ყვებოდა და ყვებოდა:

— კაია იქ, მარა, აი, ID რომ არ მაქვს, ეგ მღუპავს... რა არი და პირადობის მოწმობის პონტია, ეგ თუ დაითრიე, მორჩა, სამუშაო ნაშოვნი გაქვს.

— აბა, ვმუშაობდიო?! — გაუკვირდა ბებეროს.

— ბიჭო, კი ვმუშაობდი, მარა სულ არა, მუდმივი არ იყო — თვეში ერთი კვირა და ხან სად და ხან სად.

— გყოფნიდა რო? — ჩავერთე მეც.

— კი, ერთი კვირა რო გადააბა, 700 დოლარია, თან საჭმელი და სასმელი ძაან იაფია.

— და სად მუშაობდი? — ბაირამამ ლუდი მოწრუპა.

— ჩვენი გუნდის სპონსორთან, შეშას ვჩეხავდი. რას იცინით, ნაჯახით კი არა, სპეციალური დაზგებია, დადებ, გაატარებ, ის შუაში გაჭრის და მერე ალაგებ.

— კიდე? — აღარ მოვეშვი მე, ხინკალი უკვე გააძრო, ასე რომ ღადაობა ხსნილია.

— კიდე, რავი, პარკინგ არეაზე, მანქანების დაყენებაში ვეხმარებოდი.

— მაიცა რა, სტაიანშიკი იყავი? — ვეღარ მოითმინა ბებერომ.

— სტაიანშიკი ეძახე და, იცი, რა მაგრად იხდიან, ხუთი დოლარი, ათი დოლარი, ზოგი ოცსაც აძრობს. ერთი ეგ არის ცუდი, რო მუდმივი არაა, მარა, ახლა რო ჩავალ, ID-ს მიკეთებენ და თვეში ორი ათასზე ავალ ალბათ.

— სტაიანშიკობა თუ გინდოდა, დენვერში რაღას მიდიოდი, აქ დაგეწყო, — შევუტიეთ ერთად.

— და რაგბი?

— რაგბისაც ვთამაშობ, უცნაურად უბერავენ და ამიტომ ცოტა გამიჭირდა, — გაეხარდა ბერის, რომ სხვა რამეზე დავიწყეთ ლაპარაკი, — ფერებით, ლურჯი ბურთს იღებს, მწვანე და წითელი ყრიან, დაცვაშიც რაღაც მაგარი სტრანნი პონტია, მარა ჯანზე არიან და ზეთოთხმეტულს უბერავენ. ერთხელ აფსაიტში ჩავრჩი იმათ რაქში და იმდენი მირტყეს წიხლები, რო ლამის გამადებილეს.

— მერე, ტო, არაფერი არ უთხარი? — ვეღარ მოითმინა კიბომ, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა.

— და რა უნდა მექნა? — გაუკვირდა ბერის.

— რავი, მე უეჭველი დედას მოვუტყნავდი.

ვსვამდით და ვსვამდით, დედმამიშვილებს დედები მოჰყვა, წასულებს — ცოცხლები, ქვეყანას — თბილისი, მეგობრობას — სიყვარული და, ალბათ არც გავჩერდებოდით, დედა რომ არ შემოვარდნილიყო ოთახში.

— ომი დაიწყო, რუსების ტანკები სომხეთიდან მოდიან, — თქვა, ტელევიზორის პულტს ხელი დააჭირა და აციმციმებულ ეკრანზე ახალგაზრდა კაცის აღელვებული სახე გამოჩნდა, ავტომატის ჯერივით რომ აყრიდა საშინელ სიტყვებს ერთმანეთს: რომ სომხეთში დისლოცირებულმა რუსულმა სახალხო არმიამ საქართველოს საზღვრები გადმოკვეთა და ახლა დედაქალაქისკენ მოემართება, რომ ქართული სამხედრო ქვედანაყოფების ნაწილმა უარი განაცხადა სააკაშვილის დანაშაულებრივი მთავრობის დაცვაზე და გორში დაბანაკდა, სადაც რუსეთთან შეკრული ეგრეთ წოდებული სახალხო მთავრობის, ანუ ბურჯანაძე-ნოღაიდელის ბრძანებებს ელის, რომლებიც თურმე მოუძღვიან რუსეთის ჯარს, რომ მცხეთასთან უკვე ბრძოლები მიმდინარეობს, რომ პრეზიდენტი მოკლულია და ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს საქართველოს მთავრობა დედაქალაქის დაცვისკენ მოუწოდებს.

— სამოქალაქო ომზეც წავიდნენ, — თქვა დედამ. ბიჭებმა ერთმანეთს გადავხედეთ და უეცრად ყველამ ვიგრძენით, როგორ ცოცხით გადახვეტილი მტვრის ფენასავით გაქრა სიმთვრალე.

პირველი კიბო ეცა ტელეფონს და ძმას დაურეკა.

— სად ხარ?.. სად დაეთრევი, შე ჩემა, ამ ღამღამობით. ახლა ტელეფონი გათიშე და ეგრევე სახლში გამოგაზე... მგონი, ომი დაიწყო. — და ამ სიტყვებზე გარეთ გავარდა.

— ჩემი ბედის დედა მოვტყან, რას მოვდიოდი. ხო მეუბნებოდნენ, დარჩი, ვინ არ ყოფილა არალეგალადო?! — იყვირა უცებ ბერიმ და ორივე ხელი შუბლზე შემოირტყა.

მეც ყურმილს ვეცი, ჩემ ძმას დავურეკე და გავაფრთხილე, ტელეფონი გაეთიშა, სახლიდან არ გასულიყო და სავალდებულო სამსახურისკენ არც კი გაეხედა.

— რა უნდა ვქნათ? — ჩუმი ხმით იკითხა ბებერომ. ბიჭებმა კიდევ ერთხელ შევავლეთ ერთმანეთის გაფითრებულ სახეებს თვალი და იმ მიყრუებული ადგილების წარმოსახვით ჩამონათვალს დავუწყეთ ძებნა, სადაც რუსის ჯარი კი არა, მამაზეციერიც ვერ მოგვაგნებდა, რომ უცებ საინფორმაციო გამოშვება დამთავრდა, ეკრანზე იმ ბიჭის მაგივრად ვიღაც შავთმიანი ქალი გამოჩნდა და აგვიხსნა, რომ ეს ეგრეთ წოდებული მომავლის ქრონიკაა და რომ აქ აღწერილი ამბები სინამდვილეში კი არ ხდება, არამედ შესაძლებელია მოხდეს.

ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ერთი მოთხრობაა, სადაც მთავარი გმირი ვიღაცებს აგინებს, იმათ დედებს კი ღამღამობით ასლოკინებთ. ჰოდა, თუ მაგ წამყვანის დედა სლოკინით სიკვდილს გადაურჩა ამაღამ, ხომ კარგი, თორემ ბერის სახის შემხედვარე ნაღდად ვიცი, რომ ამერიკის საელჩოს კონსულის დედა დილას ვერ მიაღწევს, იმ კონსულისა, რომელმაც ერთწლიანი ვიზის მაგივრად სამთვიანი ჩაურტყა და ალბათ სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც დააბრუნა მშობლიურ მიწაწყალზე.

•

ცხოვრება რა რთულია,
როდესაც ქართულია!..

•

ჩვენში რამდენიც არის პარტია,
ზუსტად იმდენი ბონაპარტია!..

საქართველო

საქართველო გაიხლიჩა:
აქეთ — გოჩა, იქით — ხვიჩა!

•

ყველაფრის ფასი ნულია,
რაც არ არს ეროვნულია!..

მასონი

მყის დაავიწყდა მას ონი,
როგორც კი გახდა მასონი...

ტელევიზია

როდესაც გვქონდა სულ ერთი არხი,
მშვიდად ცხოვრობდა ქართველი ხალხი!..

ნუგზარ ეროგომლიძე

ქართველები ევროპაში

როს დავტოვეთ, ძმებო, ვენა,
დამშვიდდა და მოისვენა!..

მომავალი

ღმერთმა ნუ ქნას, მომავალი
იქცეს სიტყვად: „მომე ვალი!..“

წამალზე დაჭერილის ლექსი

შპრიცს ვეძებდი „ლომკაში“
მოვხვდი „მიშალოვკაში...“

ძველი „ტურბაზების“ მეხოტბეთ

დამიჯერეთ, ტურბაზას
უკან მოსდევს რუსთ ბაზა!..
— *თუმცა...*—
რატომღაც ყველა ტანიას
ძალიან კარგი ტანი აქვს!..

ადამიანი

ადამიანი ჰქვია არსებას,
რომელიც ცხოველს არ ემსგავსება!..

7 ნოემბერი

დღეს 7 ნოემბერია —
ტრიბუნასთან დგას ბერია,
გავიგებთ, ვისი ჯერია!..

•

ფილოსოფიის საგანი:
თბილისს უხდება საკანი...

ნიკალა

ეს პარიზელი დამა კარგია,
მთელი ცხოვრება დამაკარგია...

მადრიდი

გახსენდება მადრიდი,
დონ-კიხოტს რომ მადრიდი?!.

მობილური სიყვარული

მომკლა შენმა მესიჯებმა,
პულსი აღარ მესინჯება!..

ავტონომია

გემზე ვართ, ბარის სალონში.
გემი დგას ბარსელონაში,
საქართველოში ომია, —
გაგვირბის ავტონომია.
კატალონიაც ტომია,
აქაც აქვთ ავტონომია.
არსად გამქცევებს არ ჰგვანან,
რა ვიცი, ასე მგონია...
ქე დაფიქრდები ხანდახან:
ავტონ-ომია ომია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თემურ ჩხეიძე

როლების განაწილება სიუჟეტის გადაწყვეტასაც ნიშნავს

დიდი მაესტრო!..

თემურ ჩხეიძე დღევანდელობის უდიდესი რეჟისორია...

მსოფლიოს წამყვან თეატრებში აქვს სპექტაკლები დადგმული... სხვა რომ არაფერი, „მეტროპოლიტენ ოპერა“ და „ლა-სკალა“ რად ღირს?!

თემურ ჩხეიძე ჩვენი თანამედროვეა...

და რა გულდასაწყვეტია, რომ მის შემოქმედებას საქართველოში ახალი თაობა ნაკლებად იცნობს... ეს ის სამწუხარო რეალობაა, რომელშიც გვიწევს ამ რეჟისორის თანამედროვეთ ცხოვრება...

ვერც წიგნს მოიძიებთ ამ დიდ შემოქმედზე. არადა, დალაგებულ ქვეყანასა და ყოფაში რომ ვცხოვრობდეთ, წიგნი წიგნზე უნდა გამოდიოდეს, თეატრმცოდნეები ერთმანეთს უნდა ასწრებდნენ თემურ ჩხეიძეზე წიგნის დაწერას, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა სულ სხვაა... და, იქნებ, ამიტომაც გავკადნიერდი და მოვინდომე, ეს სიცარიელე ამომევსო. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, გამომეწვია ის სპეციალისტები, რომელთაც ეს საქმე ევალებათ და ხელეწიფებათ კიდეც. ჩემი წიგნი ***„სადად თხრობა რთულ საკითხებზე“*** *(რომელიც მალე დაისტამბება გამომცემლობა* ***„პეგასში“****, გამომცემელი* ***მარინე ცხადაია****) პირველი მოკრძალებული ცდაა თემურ ჩხეიძეზე წიგნის დაწერისა...*

გთავაზობთ პატარა ფრაგმენტს ამ წიგნიდან...

ნაწილი მესამე:

მესამე მოქმედება იმავე ინტერიერში მიმდინარეობს. დეკორაცია და მოქმედი პირნი არ იცვლებიან. ემატება განათება (გამოკვეთილია რეჟისორის სამუშაო მაგიდა, სადაც მიხეილ თუმანიშვილის ქანდაკების პატარა ასლი დევს. იგი ჩემთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახლავთ სიმბოლო მიხეილ თუმანიშვილის პრემიისა, რომლის მფლობელიცაა ბატონი თემური) და მუსიკალური გაფორმება (კარგი იქნება, თუ აჟღერდება კარლოს სანტანას კომპოზიცია „ევროპა“).

— ბატონო თემურ, რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი, იმ ატმოსფერომ, სადაც გაიზარდეთ?

— რა თქმა უნდა, ამანაც განაპირობა, თუმცა ექიმობაც მომწონოდა — ეს უკვე ბაბუას გავლენით — მაგრამ ბოლოს ისევ რეჟისორობა ვირჩიე.

— თქვენი ჯგუფის პედაგოგი დიმიტრი ალექსიძე იყო, არა?

— კურსის ხელმძღვანელი დიმიტრი ალექსიძე იყო, მაგრამ მეოთხე კურსის მეორე ნახევრიდან საქართველოდან უკრაინაში გადავიდა სამუშაოდ და „უპატრონოდ“ დავრჩით... ჩემზე, როგორც რეჟისორზე, უდიდესი ამაგი აქვს მიხეილ თუმანიშვილს.

— მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი ჩანაწერი მაგონდება, სადაც თავის მოწაფეებს ჩამოთვლის, მათ შორის გასახელებთ თქვენც, და იქვე დასძენს: რასაკვირველია, თუ ის თავის მასწავლებლად მიმიჩნევსო. არადა, ქართველ რეჟისორთაგან, ჩემი აზრით, თქვენ ყველაზე მეტად აგრძელებთ მისი სკოლის ტრადიციებს...

— პრინციპების მხრივ კი, მაგრამ... ესთეტიკის მხრივ არა, რადგან ბატონი მიშა უფრო მრავალმხრივი ესთეტიკის მქონე იყო.

— მიხეილ თუმანიშვილს თავის მოწაფედ მიაჩნდით.

— მეც ასე მიმაჩნია!.. ორი წელიწადი თეატრალურ ინსტიტუტში ბატონი მიშას ასისტენტი ვიყავი და ეს წლები ჩემთვის ასპირანტურის ტოლფასი იყო. მაშინ ყველაზე მეტი, ალბათ, მე მივიღე მისი გაკვეთილებიდან...

— კიდევ ვინ იყვნენ ის ადამიანები, ის პროფესიონალები, ვისგანაც სწავლობდით?

— უპირველესად მამაჩემი, ასევე, კოტე მახარაძე, ბაბუაჩემი — ვასილ ჩახავა; სხვადასხვა შეხედულებების, განსხვავებული მენტალიტეტის ადამიანები, რომლებიც არაფერს იშურებდნენ ჩემთვის. მათ გათამამებულ-განებივრებულიც კი ვყავდი. და მაინც... ჩემთვის, როგორც პროფესიონალისთვის, მთავარი ორიენტირი მიხეილ თუმანიშვილი იყო.

ცხოვრების მეორე ნახევარში ჩემი უფროსი და უახლოესი მეგობარი იყო კირილ ლავროვი, რომელთანაც ოცწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა.

— თუ გქონდათ შემოქმედებითი (და არა მხოლოდ შემოქმედებითი) ურთიერთობა ისეთ დიდ მსახიობებთან, როგორებიც იყვნენ ვერიკო, აკაკი ვასაძე, დედათქვენი — მედეა ჩახავა.

— ჯერ კიდევ რუსთაველის თეატრში ყოფნისას მომიწია რამაზ ჩხიკვაძესთან, გოგი გეგეჭკორთან, მარჯანიშვილში კი, როცა იბსენს ვდგამდი, ვერიკოსთან და ვასაძესთან მუშაობამ. ვასაძე ძალიან დიდი მსახიობი იყო.

ამ რანგის მსახიობებთან ურთიერთობა დიდი სკოლაა ახალგაზრდა რეჟისორისთვის.

გული მწყდება, სესილია თაყაიშვილთან რომ ვერ ვიმუშავე.

— დედათქვენთანაც ხომ მუშაობდით.

— კი, დედასთანაც მიმუშავნია. დედა დედაა მაინც...

— ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ზუგდიდში წახვედით, მაშინ, როცა შეგეძლოთ, მუშაობა გაგეგრძელებინათ თბილისის რომელიმე წამყვან თეატრში და... ამ დროს პერიფერია აირჩიეთ. რატომ?

— ინსტიტუტს რომ ვამთავრებდი, ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ შემომთავაზა, მარჯანიშვილის თეატრში დამედგა სადიპლომო სპექტაკლი.

— თქვენ კი სადიპლომო სპექტაკლი ზუგდიდში დადგით.

— მართალია, იქ დავდგი.

— რა პიესა იყო?

— ჯემალ მონიავას პიესა იყო ახალგაზრდულ თემატიკაზე, საერთო საცხოვრებელში ჩასახლებულ სტუდენტთა ყოფაზე — „კორპუსი 5. ოთახი, 55“.

— ზუგდიდში რომ წახვედით, რამდენი წლისა იყავით?

— წავედი და იქ, ნოემბერში, გავხდი 22 წლისა. ყველანი, ვინც კი წავედით, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით.

— ვინ და ვინ წახვედით?

— მსახიობთაგან ჟანრი ლოლაშვილი, ავთო მახარაძე, ჯოყოლა ფილფანი, ლილი ბურბუთაშვილი; მხატვრები მიშიკო ჭავჭავაძე და კაკი რამიშვილი.

— როგორი დასი დაგხვდათ იქ?

— ნორმალური. ისეთი, რომელთანაც მუშაობა შეიძლებოდა.

— რომელიმე მსახიობს ხომ არ გაიხსენებდით?

— უფროსი თაობიდან რამდენიმე საინტერესო მსახიობი იყო, მათ შორის დავით ყუფარაძე, ალიოშა როგავა...

იყვნენ ახალგაზრდებიც: ანზორ ჯვარელი, მზია ტოგონიძე, ზემფირა გუნია, ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი პეტრე წულაია, გურამ წერეთელი...

— მაყურებელი თუ გყავდათ?

— მხოლოდ პრემიერაზე იყო სავსე დარბაზი...

— რამდენი სპექტაკლი დადგით ზუგდიდში?

— ხუთი.

— რა პიესები აირჩიეთ?

— დიდი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, კლასიკა არც ერთი არ ყოფილა.

— რამდენი ხანი დაჰყავით ზუგდიდში?

— სეზონ-ნახევარი.

— რა მოგცათ იქ გატარებულმა წლებმა?

— რაც მთავარია — დამოუკიდებლობა. მივხვდი, რომ ყველაფერზე თვითონ უნდა აგო პასუხი!

— როგორც რეჟისორმა თუ როგორც პიროვნებამ?

— როგორც რეჟისორმა და როგორც პიროვნებამ.

— როცა თბილისში დაბრუნდით, სად დაიწყეთ მუშაობა?

— მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. იქ დამხვდნენ რეზო თავართქილაძე, ლადო მექვაბიშვილი, რუსლან მიქაბერიძე...

მოზარდი მაშინ საკმაოდ კარგი თეატრი იყო.

— საბავშვო თემატიკაზე გადართვა არ გაგიჭირდათ?

— „საბავშვო" თითქმის არაფერი დამიდგამს.

— აბა?

— დავდგი კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი" და „უბედურება", კიდევ — მაშინ ძალზე პოპულარული ჩეხი მწერლის, იან იტჩენაშეკის „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი", ვანიონ დარასელის „დივიზია №16 (კიკვიძე)".

— მოზარდ მაყურებელთა თეატრის შემდეგ მიხეილ თუმანიშვილმა მიგიწვიათ რუსთაველის თეატრში.

— დიახ..

— რუსთაველის თეატრში შეიქმნა თქვენი და რობერტ სტურუას გახმაურებული სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი". არ გაგიჭირდათ მეორე რეჟისორთან ერთად სპექტაკლზე მუშაობა?

— ერთად არ გვიმუშავია. ჯერ მე დავდგი სპექტაკლი, მერე ისე მოხდა, რომ სამხატვრო საბჭოს დიდად არ მოეწონა. ამ დროს ავად გავხდი, სპექტაკლი კი აუცილებლად უნდა გამოსულიყო და რობიკომ გააგრძელა მუშაობა. მინდა გითხრათ, სტურუა რომ არა, „სამანიშვილის დედინაცვალი" ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა.

— ბატონო თემურ, თუ ყოფილა შემთხვევა, აგიყვანიათ მსახიობი და მერე გინანიათ ან სულაც გაგითავისუფლებიათ როლიდან?

— ალბათ ყოფილა, მაგრამ ძალიან იშვიათად. საერთოდ, მსახიობს არ ვათავისუფლებ როლიდან. ჩემი არჩეულია, ამიტომაც ვალდებული ვარ, მასთან ერთად დავძლიო ყველა სირთულე და ბოლომდე მივიყვანო სამუშაო... და, თუ რაიმე არ გამოდის, მასთან ერთად უნდა ვაგო პასუხი.

— ესე იგი, ბოლომდე აძლევთ შანსს?

— იმასაც და ჩემს თავსაც.



— ახლა მომაგონდა, თავის დროზე „ჰამლეტის“ დადგმას აპირებდით, რეზო ჩხიკვიშვილს შესთავაზეთ, ეთამაშა ჰამლეტი...

— კი, მქონდა რაღაც ვერსია და ვაპირებდი, მაგრამ რეზო გერმანიაში წავიდა...

— სხვა მსახიობი ვერ „დაინახეთ“ ამ როლში?

— სხვა აღარ მიძებნია.

— „ჰამლეტი“ აღარ დადგით...

— არა და... უფრო მეტსაც გეტყვით, აღარც დავდგამ. მით უმეტეს ამ ასაკში. საერთოდ, როდის დგამ ბავშვობიდან ნაცნობ და საყვარელ ნაწარმოებს? როცა მიგაჩნია, რომ შენეული ვერსია საინტერესოა და არსებობის უფლება აქვს...

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება, ფსიქოლოგიურ თეატრში არსებობდეს დუბლიორთა სისტემა?

— შეიძლება, მაგრამ იშვიათად. მე პირადად არ ვარ ამის მომხრე, თუმცა თეატრს ეს სჭირდება. მეტიც, აუცილებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ შეიძლება, მსახიობი ავად გახდეს, მაშინ რა უნდა ქნა?

მაგრამ, ხომ გეუბნებით, მე დუბლიორი არ ამყავს, არ გამომდის იმიტომ, რომ როლების განაწილება სიუჟეტის გადაწყვეტასაც ნიშნავს და არ შემიძლია, ერთი და იგივე სპექტაკლი სხვადასხვანაირად გადავწყვიტო. მუშაობის დროს ძალიან ვეჩვევი მსახიობს.

მაქვს პიესები, რომელთა დადგმასაც ვაპირებდი, მაგრამ „მიზეზთა გამო“ სხვათა და სხვათა თავის დროზე ვერ დავდგი და ახლა უკვე მათი დადგმის დრო „გავიდა“.

— როგორ „გავიდა...?“

— აი ისე, გავიდა...

— ბატონო თემურ, აუცილებელია რეჟისორისთვის განსაკუთრებული ინტუიცია?

— რეჟისორისთვის ყველაფერი აუცილებელია.

— ყველაზე მეტად მაინც რა არის აუცილებელი?

— ბევრი რამ... ძალიან ბევრი...

— არა, ნამდვილად მძიმე პროფესიაა...

— იოლი პროფესია მე არ მეგულება...

ისე, რომ იცოდეთ, რა კარგია, წინდაწინ რომ არ იცი, რა გამოვა, ყველაფერი შეგრძნებებსა და ინტუიციაზე რომ არის დამყარებული...

— როგორ ფიქრობთ, უნდა აინტერესებდეს რეჟისორს ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი დაკვეთა?

— კი, ბატონო, მაინტერესებს, მაგრამ, თუ ვერ გავიგე, რაში მდგომარეობს ეს დაკვეთა? თანაც საზოგადოება არ არის ერთნიშნა ცნება, ის ხომ სხვადასხვა ტიპის მკვეთრი ინდივიდებისგან შედგება. ამ დროს როგორ გინდა, განსაზღვრო, ვის რა მოსწონს... ამიტომაც რეჟისორი დგამს იმას, რაც მისთვის არის ახლობელი და ამით სურს სხვათა „გამოწვევა". თავისი სპექტაკლით ემოციურ თანაგრძნობას ელის მაყურებლისგან და ამ თანაგრძნობას ზოგიერთისგან იღებს, ზოგიერთისგან — ვერა.

თეატრის ბედნიერება და უბედურებაც ის არის, რომ უაღრესად დემოკრატიულია. თეატრში მოდის ყველა: მოხუცი, ახალგაზრდა, მკვეთრად განსხვავებული გემოვნებისა და მოთხოვნილების მაყურებელი და... გეკითხებით, როგორ გამოვიცნო, ვის რა აინტერესებს?!.

— ხშირად წამიკითხავს, თეატრმცოდნეები წერენ — მაყურებელი სპექტაკლის ნაწილიაო. ეთანხმებით ამას?

— კი, ასეა. ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს. უნდა არსებობდეს „გადამცემი" (თეატრი) და „მიმღები" (მაყურებელი). თუ ეს არ ხდება, მაშინ თეატრალური აქტიც შეუმდგარია.

— მაგრამ რომ ვერ იქცეს მაყურებელი სპექტაკლის ნაწილად, მაშინ...

— სპექტაკლი არ ვარგა...

— შეუძლია რეჟისორს, იყოს მოდური, თანამედროვე და დროსაც გაუსწროს?

— ეგეც არ ვიცი, რას ნიშნავს... არასდროს ვყოფილვარ მოდური რეჟისორი და არც ჩემს სპექტაკლებზე მოსახვედრად ყოფილა თავპირისმტვრევა...

— ამ გამოთქმასაც — დროს უსწრებს — ხშირად ხმარობენ თეატრის კრიტიკოსები.

— არ ვიცი, მე, ალბათ, არ შემიძლია, დროს გავუსწრო...

— თქვენ ეს შეძელით სპექტაკლებით „გუშინდელნი," „ჰაკი აძბა," „ჯაყოს ხიზნები," რომლებიც თანამედროვე პრობლემებზეა დადგმული.

რაც შეეხება მოდას, ის ხომ მართლაც პირობითია... თუმცა თავის დროზე ხომ იყო მიხეილ თუმანიშვილი ძალიან მოდური რეჟისორი?

— აბა რა. მის სპექტაკლებზე ყოველთვის ანშლაგი იყო. მაგრამ გამონაკლისიც მახსოვს, მის შესანიშნავ „ანტიგონეს" ბევრი მაყურებელი არა ჰყოლია.

— რა კანონზომიერებაა ეს?

— მაგას რას გაიგებ...

— ტოვსტონოგოვი ერთგან წარმატებასა და წარუმატებლობაზე მსჯელობს და ბოლოს დასძენს: ზოგიერთი წარმატება ჩავარდნაზე უარესიაო. და რას გულისხმობს?

— უფრო დაუნდობლად რომ ვთქვათ, რას გულისხმობს, იცით? ის ფაქტი, რომ რომელიღაცა კონკრეტულ სპექტაკლზე მაყურებელი დადის და დარბაზიც გადაჭედილია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ სპექტაკლის წარმატებას. ოღონდ არ გეგონოთ, როცა ამას ვამბობ, თითქოს ისეთი სპექტაკლების წინააღმდეგი ვიყო, რომელზეც მაყურებელი დადის. ტყუილია, ამის წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ ყალბი პოპულარობისა... მწერლობაზეც ხომ შეიძლება იმავეს თქმა: ხშირად ყოფილა ამა თუ იმ მწერლის წიგნი ძალზე პოპულარული გამხდარა, მაგრამ გასულა დრო და...

— დროსთან ერთად ეს მწერალი და მისი ეს წიგნიც ყველას დავიწყებია.

— ასეა, პოპულარობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მწერლის შემოქმედება კლასიკად იქცევა... თეატრშიც ასეა, ხშირად სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება ესა თუ ის სპექტაკლი პოპულარული...

მეორე მხრივ, გავიხსენოთ, რას წერს ბრუკი: როდესაც თეატრში კრიზისია, მისი გადარჩენა მხოლოდ „უხეშ" თეატრს შეუძლიაო.

— *„უხეშ“ თეატრში რა იგულისხმება?*

— კომედია, ბუფონადა, მელოდრამა.

— *მე, პირადად, ბუფონადას კარგი მელოდრამა მირჩევნია.*

— კარგი ყველაფერი კარგია, მთავარია, ნიჭიერად იყოს დადგმული!

— *ბატონო თემურ, მოდით, შევეშვათ ამ თემაზე საუბარს და ისევ უშუალოდ, შემოქმედებით პროცესს დავუბრუნდეთ...*

— აბა, აქამდე რას ვაკეთებდით?!

— *რატომ ხდება, რომ ქართულ კლასიკას დგამთ და ამ დროს უცხოურ მუსიკას ირჩევთ გასაფორმებლად...*

— მაგალითად?

— *აი, თუნდაც „ჯაყოს ხიზნები“, ვერდის ჰანგები გაისმის.*

— მხოლოდ ერთხელ — მარგო და თეიმურაზი პირველ შეხვედრას რომ იხსენებენ, მარგო თხოვს, წარმოდგენაზე ბილეთი იყიდეთო. რატომღაც მივიჩნიე, ეს საოპერო სპექტაკლი უნდა ყოფილიყო, თან ვერდის „ტრავიატა“. მერე როდის ახსენდება ეს თეიმურაზს — როცა მარგო და ჯაყო ჯვარს იწერენ...

ჩემში სულ სხვა ასოციაცია წამოვიდა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო კონტრასტი.

ცხოვრებაშიც ხომ ასეა: ზოგჯერ დაძაბულ ვითარებაში ლირიკული მუსიკა გახსენდება ანდა პირიქით...

აი, „დონ კარლოსში,“ რომ იცოდეთ, შეფარულად ორი ქართული თემა ჟღერს.

ან „ჰაკი აძბა“. მთელი სპექტაკლი გაფორმებულია იმანდ კალნინშის მეორე სიმფონიით და ეს იმდენად ერწყმოდა სპექტაკლს, რომ მის „ქართულობაში“ ეჭვი არავის შეპარვია.

— *„არტში“ მთელი სპექტაკლი ისე მიდის, ვერც გრძნობ, მუსიკა თუ არ ისმის, რატომ გადაწყვიტეთ ასე?*

— ეს ჩემი კი არა, უშუალოდ პიესის ავტორის იდეა იყო და მომეწონა.

— *სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ძალიან მნიშვნელოვანი მგონია.*

— თუ რამეა ყველაზე მეტად განყენებული და განზოგადებული — მუსიკაა... და ძალიან რთულია ჰანგის ზუსტად მიგნება.

— *თქვენ ყოველთვის ახერხებთ ამას... ახლა ჯავახიშვილის „თეთრი კურდღელი“ მომაგონდა... რა ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო?!*

— ?!

— *ბატონო თემურ, თქვენს სპექტაკლებში გრიმს ნაკლებად იყენებენ მსახიობები და... გრიმს უარყოფთ?*

— რატომ, რატომ? „ჰაკი აძბაში“ კუზმა კილგას — ირაკლი უჩანეიშვილს ხომ ჰქონდა გრიმი, ჰაკისაც ეკეთა პარიკი. „ჯაყოში“ გივი ჩუგუაშვილი იყო გრიმში. ასე რომ, გრიმს კი არ უარვყოფ, ფაქიზად ვხმარობ, როგორც ყველაფერს...

— *ოტელოც კი თეთრი გყავდათ, ეს იყო რაღაც სიმბოლური გადაწყვეტა?*

— სიმბოლური დატვირთვა მერე, შეიძინა, თორემ...

— *თორემ რა?*

— სულ სხვა რამის გამო გადავწყვიტე, ოთარ მეღვინეთუხუცესს უგრიმოდ რომ უნდა ეთამაშა ოტელო... შემთხვევით მოხდა: ჯერ კიდევ ოთახში გავდიოდით რეპეტიციებს, სცენაზე არ ვიყავით გადასული, ცხადია, ოთარი უგრიმოდ იყო...

— *ესე იგი, თქვენს მომავალ სპექტაკლში ოტელო აუცილებლად შავი უნდა ყოფილიყო?!*

— აბა რა. მაგრამ... როცა იაგოსთან ერთ-ერთი სცენა დაამთავრა, სადაც ოტელო რაღაც ანგარიშმიუცემლად მოქმედებს (ვუთხარი, რომ იქვე დაყრილი ტომრები ერთი ადგილიდან სხვაგან უნდა გადაიტანოს და მერე უკანვე დააბრუნოს), დიდი ხნის პაუზის შემდეგ სრულიად გაფითრებული მეღვინეთუხუცესი დაჯდა და ისე გამწარდა, სახეზე სისხლი მოაწვა, მთლიანად გაწითლდა... რომ შევხედე, ისე შემეშინდა, ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი. ხმას ვერ ვიღებ, გატრუნული ვარ და უცებ სამარისებურ სიჩუმეში იწყებს მონოლოგს: „ცოლს რად ვირთავდი!..“ — ეს იყო მართლაც გენიალური მომენტი. ეს ფრაზები თქვა თუ არა, იმ წუთში გავაჩერე, ტექსტს ნუღა გააგრძელებ, რადგან ამ პაუზით იმდენი რამე მითხარი და ისე ითამაშე, სიტყვები საჭირო აღარაა-მეთქი.

გახსოვთ, ტექსტის შემცირებაზე, რომ ვსაუბრობდით, აი, ასეთ შემთხვევაში უნდა შეამციროს რეჟისორმა ტექსტი და არა მექანიკურად...

— ...

— ამ სცენის მერე შინ რომ წამოვედი, სულ იმაზე ვფიქრობდი: თუ ოტელო შავი იქნება, მაშინ მე დავკარგავ ცოცხალ ადამიანს და შევიძენ შეღებილს, არადა... რა ვქნა, რა ვქნა და უცებ მივხვდი, რომ ოთარს შავი გრიმი არ უნდა წავუსვა, მისი ოტელო თეთრი უნდა იყოს, რათა არ დაიკარგოს მთავარი — მსახიობის შესაძლებლობანი, მთელი ის არსენალი, რაც მეღვინეთუხუცესს აქვს. ჰოდა, ამის მერე მივეცი სიმბოლური დატვირთვა მის სითეთრეს. თუ გახსოვთ, დასაწყისში შავია და ფინალშიც შავ გრიმს უსვამენ...

— განათებაზე, მხატვრობაზე რას იტყოდით?

— მხატვარს, გამნათებელს სრულ თავისუფლებას ვაძლევ. მხატვარი მთავაზობს რამდენიმე ვერსიას და ვირჩევ იმას, რაც მჭირდება... თუმცა აუცილებლად ვითვალისწინებ მის ესთეტიკას.

რაც შეეხება განათებას, მისი პარტიტურაც ისეთივე რთულია, როგორც სპექტაკლისა. შემიძლია, დეკორაციის გარეშე დავდგა სპექტაკლი, მაგრამ განათების გარეშე — არა. ამიტომ ჩემთვის განათება იგივეა, რაც არის კინოში კადრირება.

იმას, თუ რას ვაჩვენებ, განა არა აქვს მნიშვნელობა?!

— ბატონო თემურ, ძალიან დაგღალეთ, კიდევ დამრჩა რამდენიმე შეკითხვა. მათგან ერთ-ერთს ამოვარჩევ და დღეს ამით მოვრჩეთ...

— გისმენთ...

— ბევრი ხელოვანი, მწერალი, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, ინტერვიუებში მისტიფიკაციას მიმართავს. თქვენ თუ გახასიათებთ ეს?

— არა. მისტიფიკაცია არ მიყვარს, მაგრამ მიყვარს უბრალო, თვალის ერთი შევლებით უჩინარი ეპიზოდის გაზვიადებულად წარმოჩენა, თუმცა ამ ეპიზოდს ნამდვილად არ ვამატებ რაიმეს, არც არაფერს ვიგონებ, კი არ ვტყუი... უბრალოდ, ჩემეულ ინტერპრეტაციას ვაძლევ.

— გასაგებია.

— ახლა გამახსენდა, არის ასეთი — ადოლფ შაპირო, ძალიან ცნობილი, კარგი რეჟისორი. ფინეთში რაღაც დადგა და მოსკოვში რომ ჩამოვიდა, ერთმანეთს შევხვდით. მითხრა: კარგ რაღაცას განახებო, გახსნა საფულე და იქიდან ამოიღო გაზეთიდან ამოჭრილი სოლჟენიცინის ფოტო, საბჭოთა კავშირიდან გაძევებული, ჰელსინკში რომ ჩავიდა სულ პირველად, სადგურში მატარებლიდან გადმოსულისთვის გადაუღიათ ეს ფოტო. სახეზე წუხილი და შეშფოთება ეწერა. რომ დავხედე, ვუთხარი: ამ ფოტოზე ყველაფერია ნათქვამი, ნახე, როგორი სახე აქვს-მეთქი და, იცით, შაპირომ რა მომიგო?

— რა?

— მატარებლიდან ახალი გადმოსულია და, ვინ იცის, იქნებ სულაც მებარგულს ეძებსო!

— საინტერესო ვერსიაა.

— არადა, იქნებ მართალი არის, მაგრამ, როცა იცი, ვისთან გაქვს საქმე, სურათს სულ სხვა ინტერპრეტაციას აძლევ...

— ახლა უეცრად, არ ვიცი, რატომ, „მარადი ქმარი“ მომაგონდა. სპექტაკლში თოჯინას გამოკვეთილი, სიმბოლური დატვირთვა აქვს. ფინალია განსაკუთრებით შთამბეჭდავი, ხელის ნაცვლად ლიზას თოჯინას რომ გაუწვდის...

— რომ იცოდეთ, ეგეც უნებურად გაჩნდა, ვიფიქრე, რომ ამ შემთხვევაში ტექსტზე მეტად თოჯინა „იმუშავებდა“.

— მოულოდნელი და ეფექტური ფინალია...

— რა ვიცი — რაც არის, არის...

— დასანანია, ეს სპექტაკლი რომ აღარ არის რეპერტუარში.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს...

ესაუბრა

ნინო ჩხიკვიშვილი

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ღამე

ნაწყვეტი „ფაუსტიდან“

მაღალთაღიანი გოტიკური ოთახი. ფაუსტი სამუშაო მაგიდასთან.

ფაუსტი

ფილოსოფიას შევწირე წლები,
დავშვერ სამართლით და მედიცინით,
ღვთისმეტყველების საბმურშიც ვები
და ვდგავარ ახლა, სიმწრით ვიცინი.
რა ბრიყვიც ვიყავ, დავრჩი იმადვე,
მისხალი ჭკუა ვერ შევიმატე.
მაგისტრიც მქვია, დოქტორიც მქვია
და მოწაფენი წყვდიად და წყვდიად
დამყავს ათწლობით წინა და უკმო,
ვაგლახ უგზოზე ხეტებავ უქმო!
არ ძალუძს მოკვდავს არაფრის ცოდნა,
გასივდა გული, სხეული მოდნა.
კი, მაინც ვჯობვარ, გავსილებს ბაქით,
დოქტორ-მაგისტრებს, ხუც-აქიმ-ვაქილთ.
არ მემართება ვაი და ვიში
ჯოჯოხეთის და ეშმაკის შიშით.
სამაგიეროდ წამერთვა შვება
და რას ვეწიე, რა მადლი მრჩება!
არაფრის მქონე, მცოდნე არარის,
იმას ვაგროვებ, რაც უხმარ-არის,
და უქმი უქმად მივიბარგები

კაცთა მოდგმისთვის არად სარგები.
რომელი ძაღლი აიტანს ამდენს,
და ბოლოს თავი მაგიას ვანდე, —
სულთა კარნახით და შემწეობით
ვინძლო იდუმალ ცოდნას ვწეოდი,
რომ სიმწრის ოფლით, ტანჯული სახით,
კვლავ აღარავის ვმოძღვრავდე ჩმახით,
ვჭვრეტდე იმ პირველ, უხილავ დვრიტას,
შიგნიდან იკვრის სამყარო რითაც,
აზრს მივყვებოდე ბოლო ხვანჯამდე
და მხოლოდ სიტყვებს არა ვხარჯავდე.

რას დამცქერ, მთვარევ, მთვარეო ბადრო,
ამ ჭირში აღარ გენახო სხვა დროს!
უწინაც ასე, დილის კარამდე,
ამ ეტრატებთან მჯდარს ამგვარადვე
თავს დამყურებდი, სავსე თუ მცხრალი,
თითქოს მეგობრის დამცქერდა თვალი.
იქ მიმიყვანა, ოდინდელ ჟამთან,
შენს ნათელ ბინდში მატარა მთა-მთა,
მაქროლა, სადაც ღამეში, გვიან,
ტყის სულები თუ ელფები ქრიან,
მომრეცხა შენი ცინცხალი ჩქერით
სწავლულებათა მჭვარტლი და მტვერი!

ნუთუ კვლავ აქ ვარ, აქ ვაყუდივარ,
მძიმე კედლებში მარტოდ ვხუთივარ,
სადაც მზის სხივიც ბუნდადღა მინათს,
ძლივს გამომცდარი მოხატულ მინას!
გარს — ერთმანეთზე დახვავებული
წიგნების გროვა სართულ-სართული,
მტვერდადებული, დაფხავებული,
პატრუქებისგან გადამჭვარტლული!
ლუსკუმ-შუშები, ხელსაწყოები,
პაპისპაპათა ხარახურანი!
ნუთუ ეს არის, ეს ძილ-ბურანი,
კაცის არსი და აზრი ცხოველი?

ჰოდა, რა გიკვირს, შემკრთალი გული
თუ გეწურება და სევდა გთრგუნავს,
თუ ჩუმად გართმევს უჩინო წყლული
საძრაობას და სიცოცხლის უნარს?
ცხოველმყოფელი ბუნების ნაცვლად,
სადაც ღვთისაგან დაგვედო წილი,
სენაკი გაკრავს, ქცეული საძვლედ,
გამოვსებული ობით და ჩრჩილით.

ნადი, გაშორდი ყოფას საზარელს,
ბნელი სოროდან დროზე გაძვერი,
ეს ეტრატიღა ითანამგზავრე,
ნოსტრადამუსის ხელით ნაწერი.
შეიცან ციურ ეტლთა დინება,
დედაბუნების ჩაწვდი საუფლოს
და განცდის მადლიც მოგეფინება,
რომლითაც სული სულთან საუბრობს.
ამ საიდუმლო ნიშნების ენას
ვერ ახსნი მშრალი გონების გვემით.
სულნო მაღალნო, აქა ხართ, სენაკს,
ხმა გამაგონეთ, თუ გესმით ჩემი!
(წიგნს გადაშლის და მაკროკოსმოსის ნიშანს დააცქერდება).
ჰა! თვალი ჩავკარ და ჟრუანტელმა
სხვაგვარი ძალით დამჟრჟოლა უმალ!
ყველა წუხილი უმალ განდევნა
ბედნიერებამ, მძაფრმა და სრულმა!
ვინც ეს მოხაზა, ვინ იყო, ღმერთი?
ვბრუნდები წლებთან, ჭაბუკურ ლაღთან!
თვალახელილი მიღმიერს ვერთვი,
ბუნების ძალნი განხმულან ჩემთვის,
საბურველების იწყებენ ახდას!
ნუთუ ღმერთი ვარ? ყველაფერი როგორ განათდა!
ნიშანთა შიგნით ვაყურადებ სამყაროს სუნთქვას!
ბუნების ყველა საიდუმლო მოდენს ამათგან,
სწორი ყოფილა ბრძენი იგი, რომელსაც უთქვამს:
„სულთა საუფლო არ არის ხშული,
გადაგეხსნებათ, გულს თუ გაიხსნით.
ადექ, შეგირდო, განიფრთხე რული
და განიბანე მკერდი აისით!“

იწვნის ყოველი, ერთმანეთს ერწყმის,
ვით ხმამრავლობა გალობის ერთხმის.
ძალნი ციერნი ადი-ჩადიან,
იცლებ-ივსება ოქროს ბადია,
რომ ახლად შობდეს დამლევი დამდეგს,
რომ ყოველ არსში, მიწიდან ცამდე,
მთელი სამყარო ჩანდეს და ჩქამდეს!

რა ხილვა იყო! მაგრამ ხილვა! მარტოდენ ხილვა!
როგორ მიმისხლტის ყველაფერი! უღონო ვქმნილვარ!
რაც არ ვიგვემე, ვერ ვეწიე ვერა საწადელს,
დედაბუნებავ, ძუძუს შენსას არ დამაწაფე!
ცასა და მიწას არწყულებენ რძესავსე ცურნი,
მე ვარ, მე დავრჩი ერთადერთი, ვერ ვიკლავ წყურვილს!
(უკმაყოფილო სახით ფურცლავს წიგნს და უეცრად

მიწის სულის მაგიურ ნიშანს დაინახავს).
ყოველი ნაკვთით საჩემოს ზრახავს,
სულო მიწისავ, შენი გორგალი!
ზეაზიდული ვგრძნობ ძალას ახალს,
ახალი ღვინით დავთვერ მბორგავით.
მზადა ვარ, ვზიდო მიწისეული
ყველა ტანჯვა და ყველა სიამე,
გინდაც დადრიკონ ჩემი სხეული,
ხომალდი ჩემი ჩასცდეს ყიამეთს!

ჯანღი მეხვევა...
სხივები აკრიფა მთვარემ...
ქრება ლამპარი...
იკვამლა! წითელი სხივი იკლაკნება,
გარს მერკალება...
ძრწოლა მობერავს თაღებიდან
გამჭოლველი, ბურძგლის ამშლელი...
სადღაც აქ ახლოს დარიალებ, სულო ხმობილო!
გიბრძანებ, აღჩნდე, დამენახო,
ყველა გრძნობით შემეგრძნობინო!
ვცახცახებ, თითქოს შეპყრობილი ავი ცხელებით,
გასკდომაზეა უკვე გული, ცემს გახელებით!
გაუძელ! მისწვდი! ყველა ძალა ერთად დაძარი!
გამოვიხმოთ და გინდ გვიმსხვერპლოს! იყოს, რაც არი!
(ისევ დასწვდება წიგნს და სულთა შელოცვას ბუტბუტებს.
უცებ ალი ამოვარდება და ალსშიგნიდან სული ამოჩნდება...).

სული
ვინ მიხმობს?

ფაუსტი
განვედ! ხარ ზარდამცემი!

სული
მძლავრი ღაღადით შემომღაღადე,
შემოაღწიე ჩემს წიაღამდე
და, აჰა...

ფაუსტი
მომკლავს! ვერ გადავრჩები!

სული
შემომვედრებდი გრძნებით მქშინარი,
ხმა გაგეგონა, სახე გენახა,
აჰა, მოველ და — ეს აქ ვინ არი,
შიშით რომ ხავის? ნუთუ შენა ხარ?
ძალთამხმეველი! ზეკაცი ლამის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იქნა შენი სულის ღაღადი,
აღტაცებისგან ცახცახის წამი,
თავს როცა ზესთა სწორად სახავდი!
ვერ გაგიბედავს თვალის გახელა,
ძრწი, იკლაკნები, ვით ჭიაყელა!
ეს შენ ხარ, ფაუსტ? ზეკაცისგან მღილიღა დარჩი?

ფაუსტი
ცეცხლსახოვანო, ვერ დამთრგუნავ, რაც გინდა, ქმენი;
დიახ, ეს მე ვარ, ფაუსტი ვარ, სწორი ვარ შენი!

სული
ყოფნის გრიგალში, სიცოცხლის ღვარში
საწყის და სასრულ
მიმოვსრბი მასრულ.
ბრუნავს საქსოვარი,
დგიმსავარცხლიანი!
ზღვის ღელვა მყოვარი,
ცხოვრების ტრიალი!
ვთხზავ შობა-სიკვდილებს, მაქო და ჯარა ვარ,
ვქსოვ დროის დაზგაზე ღვთის ცოცხალ ტალავარს.

ფაუსტი
დაუცხრომლობით, ო, რაოდენ ხარ ახლობელი!
მსგავსად და თვისად მიგირაცხავს შენი მხმობელი!

სული
ვინც შეგიცვნია, ხარ იმ სულთა მსგავსი და თვისი,
ჩემი — არასგზით!
(გაუჩინარდება).

ფაუსტი, *ჩამქრალი ხმით*
ვისიღა?
ვისი?
. . . . . .
მე, უფლის ხატი, ვინც წარუვალ ჭეშმარიტებას
მივეახლე და შევემსჭვალე — ასე ვგონებდი —
ვინც ზედროულში მიმოვსრბოდი თავმოწონებით
და მიწიერი არსებობა ზღვარს ვერ მიდებდა,
მე, ქერუბინზე უფრო მეტი, მე, ვისი ძალაც
ბუნების ძარღვებს ედებოდა ცხოვლივ განტოტვილს,
ვინც ვცისკროვნებდი, ღვთაებრივი ნათლით ვნათობდი,
მგრგვინავმა სიტყვამ მომისროლა, როგორც ნაფოტი,
და ისევ მტვერში მივსხმარტალებ, მივათრევ პალანს.

გერმანულიდან თარგმნა
დავით წერედიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის პასტერნაკი

აგვისტო

მზემ ამჯერადაც არ გაგვაწბილა
და გარიჟრაჟზე ასე თანდათან
ფარდას დაჰყვა და დივანს გასცილდა,
ზაფრანის ზოლად შემოანათა.

მცხუნვარე იყო, წითლად ღვიოდა,
მახლობელ ტყეს და სახლებს დაეცა,
სველ ბალიშზეც კი გამოსჭვიოდა,
მისწვდა წიგნებს და კედლის მხარესაც.

და გამახსენდა თუ რა მესიზმრა,
რად აჩნდა ბალიშს ცრემლი მცირედი,
სამგლოვიარო ჩუმ პროცესიას
მოსდევდით ერთად — მე მაცილებდით.

ერთ თქვენგანს, მავალს კენტად თუ წყვილად,
წამოაგონდა, შეეკრა სუნთქვა,
რომ ეს დღე — ექვსი აგვისტო წინათ
ფერისცვალებად უფლისად უთქვამთ.

ამ დღეს თაბორის მთიდან, ვით ძველად,
მოედინება შუქი უზღვავი,

შემოდგომა კი სხვა ნათლით ელავს —
სასწაულქმნილი და მომნუსხავი.

თქვენ დაფხავებულ კორომს გამოსცდით —
მეჩხერი იყო და გაქელილი,
უბადრუკი ტყე სასაფლაოსი
წითლად ღვიოდა თაფლისკვერივით.

კენწეროებს თუ თვალს აავლებდი,
ზედ თავზე ჩანდა ცა, მედიდური,
გადაყივლება სოფლად მამლების
სივრცეში იყო გადახიდული.

მომჩერებოდა სიკვდილი — იმწამს
გეგონებოდა მიწისმზომელი —
და მაზომავდა სამარის მიწას
ჩემთვის საფლავის გათხრის მდომელი.

მერე კი ყველამ არსებით მთელით
შეიგრძნო უცბად ხმა შემპარავი,
ჩემი ხმა ჟღერდა — წინასწარმთქმელი,
ხმა ადრინდელი, გაუბზარავი:

„მშვიდობით, ცაო ფერისცვალების,
ამ უკანასკნელ ჟამთა სიავეს
დამხსენ და ჩემი მწარე წამება
ქალის ალერსით კვლავ დამიამე.

წლების სიმწარევ, წარუხოცელო,
გემშვიდობები ამიერიდან,
შენც, ქალის მზერავ და გამოწვევავ,
იმ ქალის, ვისი ბრძოლის ველიც ვარ;

გემშვიდობები, ფრენის სილაღევ —
ქროლა რომ გიპყრობს და არ ნელდება,
სამყაროვ, ქმნილო სიტყვის წიაღში,
სასწაულო და შემოქმედებავ!“

რუსულიდან თარგმნა
ანდრო ბუაჩიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოსიფ მრიდსკი

•

იმ ფიქრით სავსე მივიკვლევდი გზას ჭალა-ჭალა,
რომ ჩემს ზურგს უკან მყის ქრებოდა ფიჭვის ხეები,
როგორც ფოთლები დაფენილი, რომლებიც მალე
ქრება, იხრწნება მიწის პირთან ნელი შეხებით.
რომ ის არსებობს, რაც წინ გვაქვს და იქიდან გვიხმობს:
მაგალითისთვის ეს მანქანაც, ძალიან გამძლე
ბეტონზე რომ დგას და რომელშიც უსიტყვოდ, უხმოდ
მელოდებიან, თუმცა სიგნალს არავინ მაძლევს.

ხმაურიანი ნაბიჯებით ამ სიბნელეში
მივიჩქაროდი, უშფოთველად ეძინა ჭალას.
ვიგერიებდი წვრილ-წვრილ ტოტებს ხელისგულებით,
უცებ მათ შორის გზა გამოჩნდა, მყის დაიმალა.
მთელი საათი მე ვარკვევდი ბილიკებს სავალს,
ნაბიჯი მქონდა ჯარისკაცის — მარდი, შვეული,
და დავინახე შემაღლებულ ბორცვზე რომ აველ —
ეს გზა ყოფილა უდაბური და მოხვეული.
ზეცა, მავთულს რომ დრეკდა თითქოს — ზუსტად ვერ მივხვდი,
გზას ეხებოდა თუ ერწყმოდა — მოჩანდა მკრთალად.
ასე უსიტყვოდ, უხმაუროდ მიმოვიხედე
და დავინახე ახლა უკვე მე სულ სხვა ჭალა.

რუსულიდან თარგმნა
ნათია ორმოცაძემ

ცისკარი

ყოველივე ზემოთქმული სახელდობრ ასე იყო, ამაზე ჟურნალ-გაზეთებშიც საკმაოდ ითქვა. დადებითი თვისება-ღირსებები სხვაც მრავალი ჰქონდა — ზოგი აღარ მახსენდება, ზოგის აღნიშვნა ზედმეტად მიმაჩნია. იმაზე მინდა ყურადღება გავამახვილო თუ რამ მოუტანა ოტიას ეს ღირსებები, რამ ჩამოაყალიბა ამ პიროვნების ასეთი ხილული სახე და — პოზა იყო ეს თუ მისი ჭეშმარიტი ბუნება.

ოტია ცნობილი ინტელიგენტის — ბატონ მიხეილ პაჭკორიას ოჯახში აღიზარდა და ყველა ასაკში თანატოლებზე მეტად ნასწავლი და ერუდირებული იყო. მარჯვე, სხარტი და მგრძნობიარე გონების თვალი, ანუ დაკვირვების, ანალიზისა და მიუკერძოებელი დასკვნის გამოტანის უნარი ბუნებით დაჰყვა. ამის წყალობით ჭაბუკობაშივე გონებრივად და სულიერად მზად იყო, ცხოვრების პროცესში მაქსიმალური გამოცდილება შეეძინა, სიბრძნეს ზიარებოდა, ავსა და კარგში ღრმად გარკვეულიყო, ადამიანის დანიშნულების საკუთარი კონცეფცია ჩამოეყალიბებინა და შეძენილი ცოდნა რწმენად, მრწამსად, ცისა ქვეშე ყოფნის, ადამიანებთან თანაცხოვრების განუხრელ წესად ექცია.

საფუძველი შემზადებული იყო და, მისდა ბედად, გამოცდილების შეძენის, დამოკიდებულების შემუშავების უმდიდრესი ასპარეზიც გამოჩნდა: გრძელი და მკაცრი, დამამცირებელი და ამაღლებული, სუსტთათვის უკანასკნელი და ძლიერთათვის ძლევამოსილების გზა, რომლის პირველივე მონაკვეთზე ცხადი ხდება, რომ ხსნა და გამარჯვება მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარე, კეთილმოსურნე, გამჭრიახი ადამიანების ხვედრია, ხოლო, რაც შეეხება შემართებასა და გამბედაობას — ამას პრაქტიკა იძლევა, ეს ისწავლება, თუ, რა თქმა უნდა, ცდის პირს ამ თვისებათა ემბრიონი მაინც გზის დასაწყისშივე აღმოაჩნდა. შეშინებული და, მით უმეტეს, მხდალი ამ გზას ბოლომდე ვერ გალევს, მუხლი უმტყუნებს, წაიქცევა.

ოტია პაჭკორიამ ფეხი ამ გზაზე მაშინ შედგა, როცა ყრმული და ჭაბუკური აყალმაყალებისა და მუშტი-კრივის, მეგობრობისა და უთანხმოებების, ძმაკაცური ერთგულებისა და ორპირი ამხანაგის ღალატის, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის დამკვიდრების სკოლა, მრავალი ქალაქელი ბიჭივით, უკვე გასრულებული ჰქონდა და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რადგან „ადამიანი შეცდომათა ქარცეცხლში გავლით უფრო უახლოვდება თავის ჭეშმარიტ ბუნებას, ვიდრე ორთოდოქსალური შეუცდომლობით," სწორედ თავისი ჭეშმარიტი ბუნების ძახილით ლაღად მიჰყვა წილად ხვდომილ სავალს.

იარა, გალია და გამარჯვებული მოვიდა. ნივთიერი და ხორციელი არაფერი მოუტანია, გარდა სულიერი ტვირთის ზიდვით გაკაჟებული საკუთარი კეთილაღნაგი სხეულისა. მისი განწმენდილი სული უკვე აღჭურვილი იყო იმის ცოდნით თუ როგორია სანდომიანი ღიმილი, რომლის იქით შური ჩასაფრებულა; რომ ზოგი უარყოფითი საქციელი გულუბრყვილობითა და პატიოსნებით არის გამოწვეული; რომ სიკვდილს სიცოცხლის ნიღაბი უკეთია; რომ მხოლოდ ის სიკეთეა ჭეშმარიტი, რომელსაც ლიბოდ უანგარობა უდევს, და არა ის, რომელიც იძულების შედეგია; რომ ნივთი ქიმერაა და ფიქრი — სამკაული; რომ განძთაგან უძვირფასესი ადამიანია და მასთან ურთიერთობას სიფრთხილე და სათუთი სიყვარული სჭირდება; რომ კაცისთვის განგებას სიცოცხლე — სამშობლოს, ერის სამსახურისთვის მიუცია და რომ სიკვდილი მხოლოდღა გარდაცვალებაა. კიდევ ბევრი რამ ჩამოჰყვა...

დასაწყისში ოტია პაჭკორიას ცხოვრების ხილული სახისა ვთქვით. მრავალი გვინახავს, სწორედ ასეთს რომ თამაშობს და ცოტა — ვინც ბუნებით ასეთია. ოტია ამ ცოტა კაცთაგანი იყო. არასოდეს არავითარი პოზა არ ჰქონია. ყველაფერი მისი ბუნებიდან მოდიოდა: მისი მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, გაძლების უნარი, ხმამაღალი ხარხარი, ჩუმი სევდა, განუმეორებელი დამოკიდებულება, სუნთქვა, გულისცემა, მისი მწერლობა...

ოტიას კერპი სერვანტესი იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დონ კიხოტის უკვდავებით მოსილი მწერალია, არამედ იმიტომაც, რომ ამ ბუმბერაზთან მას ბიოგრაფიული პარალელი აკავშირებდა. აი, ნაწყვეტი ოტიას წერილიდან „მიგელ დე სერვანტეს საავედრა:"

„თანდათანობით იბადება დამცინავი ღიმილი, იგი დაუნდობლად ექცევა თავის თავს. იძენს გარემოს ობიექტური შეფასების უნარს... ანალიზს მოჰყვება იუმორი, ფრთებს ისხამს „კომიკური გენია," რომელმაც უნდა ახსნას ბედმრუდობის მიზეზი და გადაარჩინოს სიკეთე და სამართლიანობა". ან კიდევ: სერვანტესისთვის „იუმორი კონცეფციაა, მსოფლშეგრძნებისა და მსოფლმხედველობის გამოვლენის ფორმა, რომელსაც განფენს სატირის, რომანტიკის და პაროდიის რთულ ნაერთში".

ყოველივე ეს ოტია პაჭკორიამ თვითანალიზის შედეგად დაწერა. ერთ უბედნიერეს დღეს იგი მიხვდა თუ რატომ იყო მუდამ პირმცინარი და ხუმრობისთვის მომართული: შეძენილი გამოცდილების ანალიზის წყალობით!

თვითანალიზმა მიიყვანა ოტია იმ თვალსაზრისამდეც, რომ სანჩო პანსა და დონ კიხოტი ერთსა და იმავე დროს კონტრასტისა და ჰარმონიული გაერთიანების საოცარ მაგალითს წარმოადგენენ... სანჩო პრაქტიკოსი ამჩნევს თავის პატრონის კომიზმს, მაგრამ იმდენად ძლიერია სურვილი „მიკრომიკონის" დაუფლებისა, რომ დონ კიხოტის ზღაპრული სამყარო მისთვის რეალურია, რადგან, „ამ სამყარომ უნდა მოუხვეჭოს დოვლათი".

ნივთიერი დოვლათისა რა მოგახსენოთ, ჟანგიანი ლურსმანი არ მიუმატებია ოტია პაჭკორიას მამისეული, მოკრძალებული არსებობისთვის ყოვლად აუცილებელი ქონებისთვის, რადგან მის სულში ერთად ისხდნენ დონ კიხოტი და სანჩო პანსა, მაგრამ მისი სანჩო პანსა სერვანტესის სანჩო პანსაზე მეტად წაიდონკიხოტებდა.

ამასთან ერთად, ოტია პაჭკორია არავის ერქაგრეხილებოდა, ზოგ-ზოგივით კედელი შუბლით არ გაუნგრევია. ეს სხვაზე უკეთ შეეძლო, მაგრამ იცოდა, კედლები ან სხვისია, ან ყველასი და მისი ზნეობა ამას ხელყოფად მიიჩნევდა.

შემმართებელი, მამაცი კაცი იყო. ამიტომ იცხოვრა და გარდაიცვალა ისე, როგორც იცხოვრა და გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგა მილოტავა

„სამოთხე უსიყვარულოდ“ და სამოთხე სიყვარულში

საით მიექანება ეს სამყარო? რა ელით ადამიანებს — იმათ, ვინც ახლა ცხოვრობს დედამიწაზე, და იმათაც, აწი რომ დაიბადებიან, აწი რომ ესტუმრებიან წუთისოფელს, მართლაც რომ წუთით შემოფარგლულსა და წარმავალს? ბანალური კითხვაა, თანაც ისეთი, ათასნაირი პასუხი რომ ეძებნება მრწამსიდან, კულტურული იდენტობისა და პიროვნული გამოცდილებიდან გამომდინარე. საბოლოოდ მაინც კონკრეტული ადამიანის გადასაწყვეტია, სად დაინახავს ხსნას ან, საერთოდ, იფიქრებს თუ არა ამაზე. ღმერთმა მას თავისუფალი ნება მისცა და, როგორც თავად სწადია და წარმოუდგენია, ისე მოეპყრობა თავის სიცოცხლეს, ამქვეყნიურს, ხორციელს და შემდეგ კი უკვე — მარადიულს. მაგრამ როგორია ადამიანის მიწიერი საცხოვრისი? რატომ ხდება ის თანდათან სულ უფრო ცივი და ძნელად ასატანი? ადამიანმა ცოდვის გამო დაკარგა სამოთხე, მაგრამ მასში შენახულია მოგონება, მის გულში ცხოვრობს სევდა და დაკარგულის მონატრება, მან კი ათასწლეულების განმავლობაში ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ წაეშალა ეს ხსოვნა, დაეთრგუნა თავისი მიწიერი სახლის იმისთვის მიმსგავსების სურვილი, რაც ოდესღაც ხელიდან გაუსხლტა.

სიცოცხლე საჩუქარია და ადამიანს თავის სულში სამოთხისკენ მიმავალი გზის საპოვნელად ეძლევა. დაუნდობელი ცხოვრების უკუნეთში ერთადერთი ლამპარი ალბათ სიყვარულია, რომელიც ჯანღიდან და ბურუსიდან გამოიყვანს, სწორ გეზს ააღებინებს. რა არის სამოთხე უსიყვარულოდ? განა ეს შესაძლებელია? არადა, სწორედ ასეთი სათაური აქვს შესანიშნავი მწერლის, მაკა ჯოხაძის ახალ წიგნს. არაჩვეულებრივი წიგნია, არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ გამორჩეულია თავისი სიღრმითა და უნატიფესი სიტყვიერი ქსოვილით, უნაზესი, შრიალა აბრეშუმის სიგრილით რომ შებურავს ჩვენს ტკივილითა და დარდით დასერილ გულებს, არამედ მართლაც უჩვეულოა, განსაკუთრებული, იმიტომ რომ ადამიანს პირდაპირ უყურებს, პირდაპირ მიმართავს და ამყარებს მასთან ისეთ მყარ შინაგან კავშირს, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ სიტყვაში ღვთიური მადლის შემოსვლით.

ხშირად გიგრძვნიათ ალბათ, ადამიანები ლაპარაკობენ, ბევრგან, სხვადასხვანაირად, ტელეეკრანიდან, ჩვეულებრივ ესაუბრებიან ერთმანეთს, წერენ, გადმოსცემენ თავიანთ აზრს თითქოს გამართულად, თითქოს დაწყობილად, ლოგიკაც რიგიანია, ლექსიკაც მდიდარი, მაგრამ... არაფერი. სრულიად არაფერი... ერთი სიმიც კი არ შეირხევა სულში, ერთი წამიერი ტკივილიც კი არ გაიელვებს... რადგან იქ არ არის სიყვარული. მაკა ჯოხაძის წიგნში კი დიდი და ჩვენი დაფლეთილი დრო-ჟამისთვის უჩვეულო სიყვარულია, იმდენი, რომ უსიყვარულოდ დარჩენილ მიწიერ სამოთხეს ეყოფა, რომელიც, შესაძლოა, მხოლოდ საქართველოა (მშვენიერი, უხვი, თბილი და ახლა უსიყვარულობით დამზრალი, სიძულვილით დაგლეჯილი, ცოდვით ავსებუ-

ლი), შესაძლოა — ზოგადად ადამიანის სიცოცხლე, ალბათ სულ ერთია, რას ვიგულისხმებთ, მეტიც, ისინი გადაფარავენ ერთმანეთს. მთავარი ის სიყვარულია, რომელსაც უშურველად გასცემს ეს წიგნი ადამიანის გულისთვის, რომ აღარ შეეშინდეს, არ იგრძნოს თავი დაკარგულად, უმწეოდ, ეულად სამოთხეში, საიდანაც სიყვარული სადღაც გაქრა. ეს წიგნი თავის მკითხველს ესაუბრება მშვენიერ, დახვეწილ ენაზე, არ უყვავებს, ერთი წამითაც არ აძლევს მოდუნების უფლებას, მაგრამ ავსებს იმედით, სინათლით, თვალისმომჭრელი ფერების სილამაზით, თბილი ბგერებითა და დახვეწილი სიტყვის სურნელით, რაც მთავარია, ისევ და ისევ ყოვლისმომცველი სიყვარულით, რომლის დასავიწყებლადაც ასე მონდომებით „იბრძვის" ათასი ხერხითა და ოინით „აღჭურვილი" თანამედროვე ადამიანი.

ამაზე სასაუბროდ იღება ამ წიგნის ათასწლოვანი სიბრძნითა და ქართული სიტყვის ორნამენტებით დამშვენებული ჭიშკარი. მიწვევა მიღებულია:

„**მოდი**, სიყვარულზე ვილაპარაკოთ..."
„**მოდი**, სინათლეზე ვილაპარაკოთ..."
„**მოდი**, წყურვილზე ვილაპარაკოთ..."
„**მოდი**, სიცოცხლეზე ვილაპარაკოთ..."
„**მოდი**, ნატვრაზე ვილაპარაკოთ..."
„**მოდი**, სიზმარზე ვილაპარაკოთ..."
„**მოდი**, ცხადზე ვილაპარაკოთ..."

მწერალი უხმობს თავის მკითხველს ფიფქზე, მეტაფორებზე, ნოსტალგიაზე, სინანულზე, იებზე, თბილისზე, იმედზე სალაპარაკოდ, ნატვრისთვის ეძახის, დაჩოქილი საქართველოს სადღეგრძელებლად, ხატის წინ მუხლმოსაყრელად... იმისთვის, რომ მოეფინოს მადლი და ნათელი ქვეყანას, სიცოცხლეს, სიტყვებს, თვალებს, გულებს. მწერალი მთელი სულიერი ძალების დაძაბვით, უკიდურესად გამძაფრებული მგრძნობელობით აღწევს საოცარ ეფექტს და მისი სწრაფვა სიყვარულისადმი, მისი იმედი, რომ ადამიანის სიყვარული ღმერთისკენ მიმავალი გზის გამაშუქებელი ლამპარია, ხორცს ისხამს და მკითხველს გადაეცემა, როგორც წიგნი. ეს არის იმედი იმედზე.

„**მოდი**, სიყვარული ვადღეგრძელოთ, მხოლოდ სიყვარული ვადღეგრძელოთ, მარტო სიყვარული ვადღეგრძელოთ და... იქნებ მოხდეს სასწაული, იქნებ გაიმარჯვოს სიყვარულმა, იქნებ მოგვხედოს უფალმა და გაგვიცოცხლოს **ლაზარე**".

ფერადოვან და უხვ სამყაროში შესასვლელ კარს აღებს მწერალი, ესთეტიკურ ტკბობას ჰპირდება, მაგრამ ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს მკითხველს, რადგან ის უნდა გახდეს იმ სულიერი სივრცის მოზიარე და თანამგრძნობელ-დამცველი, რომელსაც წიგნის ავტორი სთავაზობს. ეს სივრცე კი, თავის მხრივ, ეყრდნობა და მთლიანად ემთხვევა სამშობლოს, იმ საკრალურ სიბრტყეს, რომელსაც მთებთან, ტყეებთან, მინდორ-ველებთან, მჩქეფარე მდინარეებთან, უძირო ზღვასთან, ტაძრებთან, ნანგრევებთან, ცოცხალ სოფლებთან და ათასწლოვან ქალაქებთან ერთად მთლიანად ფარავს უძველესი ლეგენდების, ზღაპრების, მრავალხმიანი სიმღერის, სულში ჩამწვდომი საგალობლების, მზიანი ცეკვის და ფრესკის ფერთა სურნელოვანი საბურველი. ამ მონოლითურად შედუღაბებულ ფიზიკურ-სულიერ სივრცეში, რომელსაც სამშობლო ჰქვია, ვითარდებოდა და დღემდე მოვიდა კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა — ყველაფერი, რაც ერს ერად და ქვეყანას ქვეყანად აქცევს, მიუხედავად იმისა, როგორია მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ბედისწერა. მიწიერ ფარგლებში სულის და ნივთიერის, საგნის ერთიანობა, ჰარმონია იძლევა საშუალებას, შედგეს და გადარჩეს ერი და ქვეყანა. ამ ჰარმონიას, მისი ყოველი ნაკვთის დროში ურღვევობას კი უზრუნველყოფს ხსოვნა და სწორედ ამ ხსოვნას ეძღვნება მაკა ჯოხაძის არაჩვეულებრივი ესეი „ხსოვნის ფირფიტა", ხსოვნას, რომელიც უსაყვარლესის დაკარგვის შიშსა და ტკივილს გამოხატავს:

„უცნაურია მეხსიერება. იქნებ ყველაფერმა დაჰკარგა აზრი?! ყველა ფერმა, რადგან სადღაც თავგანწირვით მიჰქრის საბედისწერო სიტყვა სამშობლო, როგორც გზააბნეული მგზავრის ექო. ჰორიზონტზე მდგარი, დაისის მეწამულ შუქში ვეღარ გასტყორცნი სიტყვას **ქართული** — მიცურავს, მიდის სივრცეში გაშვებული სამი სფერო, სამი ხმოვანი ა უ ი, ქარიშხლიან დღეებში რომ დაეკარგათ თავთავიანთი თანხმოვნები — მეორე ნახევართა რწმენა, იმედი და სიყვარული. დარჩა მხოლოდ უთანხმოვნებო ა უ ი — როგორც გაფცქვნილი სამშობლოს გამოუთქმელი ტკივილი, ყრუდ, ჩუმად გასრესილი ქ რ თ ლ..."

ამ ტკივილის არსში ღრმა წვდომა იწვევს მის ამოსახსნელად და მეორე ადამიანამდე უდანაკარგოდ მისატანად გზების ძიებას. ერთი იმთავითვე ნათელია და არანაირ გარჩევასა და გადასინჯვას არ ექვემდებარება, მწერლის მიერ შემუშავებული ფორმულით გამყარებული: „...ხსოვნა მაშინაა მხოლოდ წყალობა, როცა გახსოვს და მაინც წინ მიიწევ..." „მაშ, წინ, ფესვებისაკენ!.."

მწერალს სურს, მოიცვას ხსოვნის წიაღიდან ამოზიდული სამშობლოს ცნებასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი; დამარცხება და გამარჯვება, ვნება და შურისძიება, სიხარული და ტკივილი... და უცებ თხრობა მიმართულებას იცვლის და ტექსტში თვალსა და ხელს შუა ჩნდება... მარადონა. დიახ, მარადონა — „მარადონა ტანმორჩილი, მზემოკიდებული, ასე რომ ჩამოჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს პერიფერიებში გაზრდილ ბიჭებს. მარადონა — არგენტინის მზით მოხალული ყავის მარცვალი, რომელსაც დაებნა თავისი თავი, გზააბნეული გადაიხალა და ისე განიავდა, ვეღარ შესძლო, გალეწვისას შეენარჩუნებინა თავისი სიმაგრე; დაეფქვა, გამოეხადა მუქი ზეთის არომატი, მაგიური შავი სითხე მოდუღებული მიერთმია საკუთარი გულშემატკივრისთვის, დაეთრო, დაეტკბო მაყურებელი". რა თქმა უნდა, მწერალი არგენტინას დიდ პატივს მიაგებს თუნდაც იმიტომ, რომ მან ბორხესი აჩუქა კაცობრიობას, მაგრამ ახლა მარადონას დამარცხების ტკივილით სავსე

შთამბეჭდავი სახე იმიტომ ამოტივტივდა ცნობიერების სიღრმიდან ტექსტის ზედაპირზე, რომ — იყოს თუნდაც ეგოიზმი და — „ეგების სხვის მარცხთან ზიარებამ ჭრილობას პირი მოუკრას...“ და თანაც ამ მარცხის მიღმა ეძებს სავარაუდო მიზეზებს, ისეთს, როგორიც არის შორეული ეროვნული შუღლი მექსიკასა და არგენტინას შორის და იქვე, უცებ ახსენდება, სად ცხოვრობს: „ისტორიის ჟანრში მომუშავე კონფლიქტოლოგივით ჩამისაფრდება კოსმოპოლიტიზმს თავშეფარებული ფუტურო პოლიტოლოგი. რა ლოკალური, ვიწრო კუთხურ-პატრიოტული სისხლი სჩქეფს ამ ქალბატონშიო, ჩამიშვებს ცენზორებთან. დღეს ხომ სამშობლოს სიყვარულიც ისევე საშიშია, როგორც სიტყვა პატრიოტიზმი“. მაგრამ მაკა ჯოხაძეს არ ეშინია, რადგან მწერლობა ღვთისგან ბოძებული მისიაა და მწერალი არ შეიძლება იყოს ანგარებიანი, მაამებელი, ძლიერთა კალთას შეფარების მოსურნე, საკუთარი აზრის დაცვის კულტურისგან დაცლილი და შეშინებული. მაკა ჯოხაძე მართლა მწერალია და ამიტომ არ ეშინია და მარადონას მარცხის ტკივილით შეძრული, ყავის სურნელითა და არგენტინის მზიანი ქარებით დაშაშრული სახის მიღმა ბორხესივით თავის სამშობლოს განსაცდელს სჭვრეტს და მის ბედზე წუხილს გამოხატავს — პირდაპირ და უშიშრად, ამაში კი ისევ ხსოვნა ეხმარება: „ხსოვნა გკლავს და გშველის კიდეც ერთდროულად, რომ ადამიანად დარჩე...“ და მწერლის მსგავსად პირდაპირ ჩახედო თვალებში განსაცდელს და იკითხო: დამარცხებული მარადონა კი წავიდა დიდი ფეხბურთიდან და „შენ საით მიდიხარ, გრძელი დერეფნით საით მიექანები, ჩემო ქვეყანავ, დასამარხად გამეტებულო სურნელოვანო ჯუჯა ხეხილო, დიდ აუქციონზე გატანილო ქრისტეს სისხლო, დასამეხად განწირულო წითელო ვენახო...

ა უ ი

ა უ ი ი ი

ა უ ი ი ი ი ი“

წერილი 1999 წელს არის გამოქვეყნებული და თან „ქომაგის“ რედაქციის მინაწერიც ახლავს, არ ვეთანხმებით ავტორის პოზიციას, მაგრამ მაკა ჯოხაძის შემოქმედების მნიშვნელობისა და პიროვნული ღირსების გათვალისწინებით მაინც ვბეჭდავთო. ძალიან კარგია, რომ ახლა ეს მინაწერი წიგნშიც შეიტანა მწერალმა და საინტერესოა, რაღას იტყვის ახლა ის (ისინი), ვინც ეს მინაწერი გააკეთა?

სამშობლო... სამშობლო... მართლა რამდენი მტერი გამოუჩნდა ამ სიტყვას, მის მიღმა კი უმთავრესს, ცნებას — ნამდვილი მტრებიც და „ცივილიზაციაში“ ფეხის შედგმის სურვილით შეპყრობილი სნობებიც, რომლებიც სამშობლოზე ნებისმიერ ხმის ამოღებას პათეტიკად ნათლავენ და დასცინიან. ორივე ძაფი გაწყვიტა მანკიერ სივრცეში თვითდამკვიდრების სურვილმა — როგორც პიროვნების, ადამიანის, შვილის, ისე ერის მთლიანი ორგანიზმის ნაწილის. პათეტიკა კი მართლა აუტანელია, მაგრამ იქ, სადაც თუნდაც მაკა ჯოხაძისეული გულწრფელობა, სისადავე, შინაგანი კულტურაა, ალბათ მთლად წყალწაღებული „ანტიეროვნული“ მკითხველებიც კი განიცდიან კათარზისს, თუ წაიკითხეს, რა თქმა უნდა. ჩვენი ეპოქის ერთი წყლულთაგანი კი ისიც არის, რომ მარტო ყბადაღებული ახალი „კომპიუტერული თაობა“ კი არა, ზრდასრული და ზოგჯერ გადაბერებული ინტელექტუალებიც კი აღარ კითხულობენ არაფერს. წიგნი კი, განსაკუთრებით ასეთი სიყვარულით და ღვთიური მადლით სავსე წიგნი, უნდა მივიდეს მკითხველამდე. ბევრი ალბათ წაიკითხავს, მაკა ჯოხაძის სახელისა და შემოქმედების მცოდნე და დამფასებლი, მაგრამ ყველასთან უნდა მივიდეს, რაც შეიძლება ბევრთან, რომ... გარდა მხატვრული ღირებულებით ტკბობისა, ადამიანებს... უბრალოდ, გაუადვილდეთ ცხოვრება.

სამშობლო კი მართლა არ არის მხოლოდ ლამაზი სიტყვა. ის ათასი შრით დაფარული და ათასი ფიზიკურ-სულიერი გარსით შებურული მარცვალია, რომლის შეცნობის და მსახურების უთვალავი გზა არსებობს. ამ მარცვალს უახლოვდება მაკა ჯოხაძე, როცა ესმა ონიანს უძღვნის წერილს. ესმა ონიანიც იმ ესთეტიკური სივრცის ნაწილია, რომელსაც თვითონ ეკუთვნის, და მათი შეხვედრა წერილის ტექსტში, კარგი შეხვედრა, სისავსისა და დაცულობის განცდას იწვევს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რაღაცნაირად ითრგუნება სიკვდილი და ხელშესახებად შესაგრძნობი ხდება ადამიანის შემოქმედების მუდმივობა და თანაც ყოველ სტრიქონში შეიგრძნობა, რომ სამყარო, რომელშიც ცხოვრობდა, ფიქრობდა, ხატავდა, წერდა ესმა ონიანი, სამყარო, რომელშიც მაკა ჯოხაძემ შეიმეცნა და სტრიქონებში გააცოცხლა ესმა ონიანის სულიერი ინტენსივობის ნაყოფით მიღებული შთაბეჭდილება, და სამყარო, სადაც ეს წაიკითხა მკითხველმა, ერთია, განუყოფელი, საუკუნეების სიღრმეში გაბმული ჯაჭვებით შეერთებული, წარუვალი — საქართველო. შემოქმედის ხელის შეხებით სამყარო გამოდის ბურუსიდან, ასე მიაჩნდა ესმა ონიანს და მისი შეხებით შობილი მწერალს უდანაკარგოდ მიაქვს მკითხველამდე: შენარჩუნებულია აზრის სიღრმე, გრძნობათა სიმძაფრე და ფერთა სითბო და ელვარება.

წერილი ვაჟა ხორნაულზე პაწაწინა მოგონებით იწყება: პოეტმა კურტ ვონეგუტის პიესაზე მსჯელობისას ვერ გაიხსენა ყველა გმირის სახელი, მარტო ვანდა ჯუნისა ახსოვდა, თუმცა ზუსტად შეიგრძნო თითოეულის ხასიათი და მათი მხატვრული მიზანდასახულობა. ამ „ვერგახსენებას“ მოჰყოლია მობოდიშება: „ადვილად მავიწყდება უარყოფითი (მავნე!) გმირების გვარ-სახელები. ამ შემთხვევაში ჩემი მეხსიერება იმ მაგნიტს წააგავს, რომელიც მხოლოდ ოქროს მარცვლებს ჩასჭიდებია და ჟანგიან რკინის ნაკუწებს წამიერად იმაგრებს...“ ფიქრის და ხსოვნის მოსარკულ ზედაპირზე პოეტის აზრის ამ წამიერმა გაელვებამ მწერალს საშუალება მისცა, სწორად და მკითხველისთვის შთამბეჭდავად გადაედგა პირველი ნაბიჯები თავისი „წერილის გზაზე“. გასაოცარი ოსტატობა ჩანს აქ — იმპულსმა ახალი იმპულსი აღძრა, სიტყვას სიტყვა მიება, გრძნო-

ბას კიდევ ერთი უეცარი განცდა და ჩვენს თვალწინ გაიბა მტკიცე ჯაჭვი, რომელშიც ერთი რგოლი მწარე ტკივილია, მეორე — ფიქრი, მესამე — დარდი, მეოთხე — ვაჟა ხორნაულის პოეზიის ზუსტი აღქმა, მეხუთე... და ასე უსასრულოდ. სწორედ ამ უცნაურმა, მაკა ჯოხაძისთვის ნიშანდობლივმა უნარმა, ერთმანეთს გადააბას და დაუკავშიროს ყველაფერი, რაც იმწუთას აინტერესებს და მტკივნეულია მისთვის, შექმნა ვაჟა ხორნაულისთვის მიძღვნილი წერილი „გულიდან ამოსული მზე". ასე გაიბა ეს ფიქრის ჯაჭვი, არა, უფრო ნატიფი ძეწკვი:

„ჟანგიანმა რკინის ნაკუწებმა" სულხან-საბას გენიალური განმარტება გამახსენა: „ჟანგ-რკინის გესლი". დღეს ეს გესლი ისე, როგორც არასდროს, სიტყვას მოედო და პოეზიის ასიმეტრიულ ბაღებში ღვარძლმა, შურისგებამ, გულნამცეცობამ, აპათიამ, ბილწსიტყვაობამ, სკეფსისმა და ნიჰილიზმმა ლექსის ყვავილები დააჭკნო".

ეს წიგნი კი სკეფსისისგან დაცლილია, რადგან მასში შემოქმედებითი წარმოსახვა ადვილად გადალახავს დროისა და სივრცის კონკრეტულ სამანებს. ამიტომაა, რომ ნებისმიერი სტროფი, მეტაფორა, შედარება თუ ხატი იმდენად პოეტური განწყობილებების შექმნას კი არ ემსახურება, რამდენადაც არსებობის საზრისს ამხელს, კაცად ყოფნის აზრიანობას ადასტურებს. ოღონდ ეს ისე ბუნებრივად ხდება, თითქოს აღმოსავლელი ბრძენის დაკვირვება ვაჟა ხორნაულის პოეზიას გამოეწვიოს: „ხელოვნება ის კი არ არის, სხეული ასახო, არამედ ის ძალები, რომლებმაც სხეული შექმნეს". სხეულის, სულის და მთელი სამყაროს შექმნაში რომ ღვთაებრივი ძალები მონაწილეობენ, ამაზე აქცენტის გასაკეთებლად წამით შეყოვნდა მწერალი და ისევ თანადროულობის ხარისხიდან და შინაარსიდან გამომდინარე გამოთქვამს უმთავრეს შთაბეჭდილებას, მეტიც, სიხარულს, „რომ XXI საუკუნის გარიჟრაჟზე პოეტური წარმოსახვა ამის განცდას არ კარგავს." ერთიც არის: როცა შემოქმედს ძალიან აწუხებს თავისი ქვეყნის, თავისი ერის და მისი სულიერი ხატის ამწუთას მოცემული მდგომარეობა, შესაძლოა, ისე გაჰყვეს თავისი განცდების ძეწკვს, რომ უშუალოდ გასაანალიზებლად შერჩეული პოეტური სამყაროსთვის აღარც დრო დარჩეს და აღარც ადგილი. მაკა ჯოხაძეს ამგვარი რამ არასოდეს დაემართება. მას აქვს, ალბათ ისევ ღვთისგან მიმადლებული, ნიჭი, შეგრძნება ზომიერების, სიტყვის ოქროს კვეთის (სხვათა შორის, პიროვნულად, ყოფით ურთიერთობებშიც ასეთია. ნაწერში ადამიანი ვერ დაიმალება, ნაწერმა არც ზრდილობა იცის, არც დელიკატურობა, არც დახვეწილობის გარსგადაკრული ტყავი. ადამიანი ის არის, როგორც წერს, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია და მაკა ჯოხაძის ნაწერი კი ადასტურებს, რომ მთლად უმართებულოდაც არ მგონია: მართლა ნატიფი და გულწრფელი ადამიანის ნაწერი ასეთივე ბუნებრივად ნატიფი და გულწრფელია). მაკა ჯოხაძეს თავისმა ტკივილიანმა ფიქრებმა ერთი წუთითაც არ დაავიწყა წერილის უმთავრესი მიზანი — წარმოეჩინა ვაჟა ხორნაულის პოეტური სამყაროს თვითმყოფადობა, მით უმეტეს, რომ, ასე ვთქვათ, ადამიანის არსებობის „წყევლაკრულვიანი" საკითხავების გასარჩევად და რეალობისა და წარმოსახვის ურთიერთგამსჭვალვის შედეგად მიღებულზე სასაუბროდ მან საოცარი თემა შეარჩია და მოუმზადა მკითხველს „მეფე ჩიგიდის ქვეყანასთან" შეხვედრა.

ლევან ბოლქვაძის შესახებ ქართველმა მკითხველმა მართლაც თითქმის არაფერი იცის და ამ უსამართლობის გამოსწორებას მაკა ჯოხაძე ჩვეული ტაქტით, ადამიანის სიყვარულითა და ნიჭისადმი ღრმა პატივისცემით შეეცადა. ლევან ბოლქვაძე საკმაოდ რთული ბედისა აღმოჩნდა, როგორც შემოქმედი და როგორც ადამიანი. მაკა ჯოხაძემ შექმნა მრავალპლანიანი ნაშრომი, რომელიც ერთდროულად მეცნიერული გამოკვლევაც არის, ლიტერატურული წერილიც და პოეტური ესეიც. ასეთი სინთეტურობა ძალიან მომხიბლავია, რადგან დღეს უცნაური და, ჩემი აზრით, არცთუ სასარგებლო ტენდენცია ჯიუტად კარნახობს და თითქმის აძალებს მკვლევარს, ლიტერატურათმცოდნეს, წეროს უცხო ტერმინებით გაძეძგილი ფსევდომეცნიერული სტილით, მაგარამ რა მოვუხერხოთ ესთეტიკურ გრძნობას, როგორ ვუთხრათ ლიტერატურული წერილის ავტორს, რომ მზის გულზე უპატრონოდ დაგდებულივით გამოაშროს თავისი სიტყვა, ან მართლა რაღა იქნება სალიტერატურო სივრცე, თუ სიყვარულით, სევდით, უსამართლობასთან და მორალურ სიმახინჯესთან შინაგანი დაპირისპირებით სავსე წარმოსახვით სივრცეებზე ისე არ დაწერენ, როგორც მაკა ჯოხაძე წერს ლევან ბოლქვაძის ზღაპარზე — ეპოქის მეტაფორაზე? მან შეძლო მკითხველისთვის სრულყოფილად გაეხსნა ლევან ბოლქვაძის მრავალპლანიანი და მრავალპრობლემიანი სამყარო, ასე აქტუალური დღეს და თან თითქოს მარადიული, დროში მოურჩენელი ტკივილებით სავსე:

ზღაპრის სამყაროს ასეთი მრავალმხრივი და საფუძვლიანი ანალიზის მთავარი მიზეზი ისევ სამშობლოს სიყვარულია, რომელსაც მუდმივად, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ თითქმის ყველა წერილში ჯიუტად უბრუნდება მწერალი. სამშობლოთი იწყება წერილი „ოდოჟღერი" — წარმავლობის საკმეველი". ირგვლივ გამეფებულ უზნეობასა და ჯოჯოხეთურ გაუსაძლის ტკივილებში, უიმედობაში თითქოს საუკუნეთა სიღრმიდან ამოდის ჩვენი თანამედროვე, მაგრამ მაინც წინაპრის სიდიადით შემოსილი მწერალი-პატრიარქი ოთარ ჩხეიძე.

„სამშობლოს სიყვარული! — ამის გააზრებასაც კეთილი ნება და ნანატრი სიმშვიდე სჭირდება თუ რაში მდგომარეობს, როგორ გამოიხატება ეს სიყვარული. არადა, რა დააცხრობს ისტერიული ტემპით გაჩაღებულ ნგრევა-შენებას, ყიდვა-გაყიდვას, კანონის მიღებას და უკანონობის დაკანონებას... ყველაფერთან ერთად იმედსაც ფასი დაუკარგეს," — წუხს ავტორი და, მართლაც, კაცმა არ იცის, რა ეშველება ახლა ამას ან... ეშველება კი? მაკა ჯოხაძემ

კი შემოქმედის ამოუცნობი ალღოთი ღვთის ნაპერწკალი დაინახა სწორედაც „წარმავლობის უჩვეულო ჰიმნში," ოთარ ჩხეიძის ნოველაში „ოდოჟღერი," რომელიც თითქოს გასაგებად ამბობს, რომ ყველაფერი ამ სამყაროში განწირულია დრო-ჟამის ხელით შესამუსრად:

„მაგრამ ჩვენი მეხსიერება მაინც გამოსტაცებს ბედნიერების იმ უცნაურ წამებს სამყაროს, როცა ფიზიკურად, ურჟოლვით აგიტანს რუსთველის სიბრძნის ფორმულა:

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი ნილი".

როგორ შეიძლება ამ უიშვიათეს მთლიანობას, სრულყოფილების ამ ნეტარ შეგრძნებას ტყუილუბრალოდ იმეტებდეს ღმერთი. ამიტომაც ოთარ ჩხეიძემ ჰიმნი უძღვნა მას. „ოდოჟღერი" წარმავლობის წამიერი მოხელთების ბრწყინვალე ნიმუშია, რომლის სურნელიც საკმეველივით ეზიდება ჩვენსკენ სოფლის ტკბილ-მწარე კვამლს და კიდევ ერთხელ გვაზიარებს მხატვრული სიტყვის სასწაულებრივ ძალას".

ამაღლებული განწყობილება იქმნება — თითქოს ისმის საგალობლის ხმა სადღაც შორიდან, არამიწიერი სფეროებიდან მომავალი. მაკა ჯოხაძის არა მარტო ფრაზის, არამედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „აზროვნების მუსიკალურობა" კარგად ჩანს ზაირა არსენიშვილის რომანისადმი მიძღვნილ წერილში „საბედისწერო რეკვიემი". ზაირა არსენიშვილის რომანი „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი" საბჭოთა რეპრესიების პერიოდში ხელოვანის ბედზე, ძალიან რთული, მძიმე ამბის მოსაყოლად არის დაწერილი, მისი შინაგანი მელოდია, ჰარმონია ქმნის განუმეორებელ „სიტყვიერ პარტიტურას," რომლის სწორად წაკითხვაშიც მაკა ჯოხაძე ფრთხილად, ფაქიზად ეხმარება მკითხველს, ისე, რომ აზრს არასდროს მოახვევს თავს, პირიქით, თავისი თანამოაზრის რანგში ხომ აჰყავს და აჰყავს, ახლა ზაირა არსენიშვილის მწარე პოეტური სამყაროს ორგანულ ნაწილადაც აქცევს.

საიდან შიძლება მოდიოდეს ფერის, ბგერის სურნელის და სიტყვის ერთ მთლიანობაში წარმოდგენის და შემდეგ პრობლემასთან უშეღავათოდ დაკავშირების ამგვარი უნარი? ალბათ ბავშვობიდან. ცეცხლში გახვეული ბეირუთის სიმხურვალიდან ამოიზიდება მეი ზიადას შორეულ-ახლობელი ბინდისფერი სახე არაჩვეულებრივ ესეიში „სამშობლოდ ქცეული ბავშვობა (მეი ზიადას ოაზისი)," საიდანაც, როგორც რაღაც თვალუწვდენელი სიღრმიდან (არ ვიცი — დროის, არ ვიცი — სივრცის) ისმის შიშველი ნერვის კივილი, მუსიკად ქცეული დარდი, სიტყვად ქცეული ტკივილი შემოქმედისა, რომელსაც „სამშობლოში სამშობლო მოენატრა" და კოსმოპოლიტიზმის ცუდი შემოტევით შეძრულმა, პოეზიისგან დაცლილი სულების შემყურემ მწარედ ამოთქვა:

„უსამართლობის შემყურე გული კიდევ ხმაურობს და მძვინვარებს: „რატომ ვარ მე ის, ვისაც სამშობლო არ გააჩნია?"

წერილი „გედის სიმღერა?(ბიბლიური ჭების პოეზია)" ლია რუსიაშვილის თვითმყოფად პოეტურ სამყაროს წარმოაჩენს. მაკა ჯოხაძემ ზუსტად შენიშნა ყველა თავისებურება, რაც ამ პოეტს ახასიათებს. მართლაც იბადებიან ადამიანები დროისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობით და, როგორც ჩანს, ის, რაც სხვისთვის მხოლოდ წლების დინებასა და ასაკს მოაქვს, ამ პოეტისთვის ახლავე ხელმისაწვდომია. ლია რუსიაშვილის ძალიან მგრძნობიარე, წარმავალობის განცდით გამსჭვალულ პოეზიაზე მსჯელობისას მწერალი ისევ ერთგულად იცავს უკვე ლამის შემოქმედებით მეთოდად ქცეულ პრინციპს: გამოკვეთოს კონკრეტული მხატვრული სამყაროს არსი გარემომცველთან მტკიცე კავშირში, პოეტურ სახეებზე საუბრისას არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული „პოეზიის სივრცის" თვისობრიობით, არამედ გამოთქვას თავისი სათქმელი, თავისი პოზიცია და ამ ჭრილში სრულყოფილად წარმოაჩინოს პოეტის სამყარო, როგორც ადამიანის სულში არეკლილი ზერეალობის ორგანული ნაწილი: „ამ წიგნს განსაცვიფრებელი რიტმიკა აქვს, უაღრესად თანამედროვე, ნევროზული, მშფოთვარე. ეს წიგნი ერთგვარი აღსარებაა და ლიამ არც კი იცის, რომ იგი დაწერილია უდიდესი ქვეცნობიერი სურვილით, საკუთარი სულიერი გამოცდილება, როგორც წინ მიმავალმა კაცმა, უკანა კაცის ხიდად გასდოს, წარმავალ ღირებულებებს გამოდევნებულ ადამიანს იმედგაცრუების, სასოწარკვეთის, დაცემებისა განწირულების ჟამს ნამდვილი ღირებულებების ფასი ასწავლოს".

როცა შემოქმედი ნამდვილია და ჭეშმარიტი ნიჭით აღბეჭდილი, საოცრად გულგაშლილია და სხვისი მხატვრული სამყაროს მიღება და შეგრძნება ერთიორად იოლად გამოსდის, რადგან ნიჭს სჩვევია ნიჭის თანადგომა, სილამაზეს — სილამაზის და კეთილშობილებას — კეთილშობილების, რა თქმა უნდა, იქ, სადაც ღვთის ხელი ურევია. როსტომ ჩხეიძის თავდადებული, მთელი გულითა და სულით შექმნილის ფასი შეიცნო და სრულად შეითვისა მაკა ჯოხაძემ. ის ერთ პატარა ესეიზე, „30 ვერცხლზე" როცა წერს, როსტომ ჩხეიძის დიდი ფერწერული პორტრეტის ესკიზსაც მოხაზავს და თითქმის აპოკალიფსური ტანჯვით, კოსმოპოლიტიზმის, საკუთარის უარყოფის, ყველაზე შემზარავის, რელიგიასთან დაპირისპირების ტკივილებით შეპყრობილი დროის ფონზე გამოსახავს. სწორედ ასეთ ფონზე ჩანს უფრო გამოკვეთილად „ხანი უნდობარში" აღწერილი პრობლემების სიმწვავე.

სიტყვით ხატვა — ესეც სრულიად განსაკუთრებული უნარია და ალბათ მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც ფლობენ ფერის, ხაზის, შუქჩრდილის საიდუმლოს ამოხსნის უნარს. ის, ვისაც ფერწერული ტილოს სიღრმეში შეღწევის უნარი აქვს და სახეებით გამოხატულ სათქმელს ზუსტად „შეისმენს თვალებით", „სიტყვით ხატვასაც" შეძლებს და ასეთი გასაოცარი რამ ხდება წერილში „ტანჯვით — რწმენისაკენ!", რომელშიც არაჩვეუ-

ლებრივი მხატვრის, თემო ჯაფარიძის სამყაროში „მიემგზავრება“ მწერალი.

მაკა ჯოხაძემ თავის დროზე შეძლო ჩასწვდომოდა დავით კლდიაშვილის სულის სიღრმეს, მისი თვითმყოფადობის საიდუმლოც ამოეხსნა ჩვეული ტაქტითა და სიფაქიზით, თუმცა ერთი შეხედვით ძალიან მოულოდნელია, როცა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარის, ლიტერატურათმცოდნის, ლალი ავალიანის პატარა პორტრეტის შესაქმნელად სწორედ დავით კლდიაშვილის სახეს მიმართავს. სინამდვილეში კი ალბათ არც არაფერია გასაკვირი — დავით კლდიაშვილი გრძნობდა ლიტერატურის შინაგან, უხილავ ძარღვებს და მისიას. როცა ლიტერატორებზე, მწერლებზე წერდა, ზუსტად გამოკვეთდა იმ მოვლენებს, რომლებიც აბრკოლებს ლიტერატურას. მოსწრებულად ადარებდა კუდაბზიკა აზნაურებს ყალბად, უაზროდ, ვითომდა რაღაც განსაკუთრებულის ცოდნით გაბერილ მწერლებს, რომლებსაც ადამიანი არ უყვართ. სხვადასხვა სახის სკოლებს გამოკიდებული ასეთი მწერლების შესაფასებლად წარმოთქმული დავით კლდიაშვილის სიტყვებით იწყებს ლალი ავალიანისადმი მიძღვნილ წერილს მაკა ჯოხაძე. მის შეფასებას მაკა ჯოხაძე „ზუსტ დიაგნოზს“ უწოდებს და თვითონაც ზუსტად უსადაგებს თანამედროვე სალიტერატურო პროცესის ლაბირინთებში ლიტერატორთა მიერ გზის გაკვლევის შესახებ საკუთარ შეხედულებას:

„რთული ტერმინოლოგიითა და ფილოსოფიური წიაღსვლებით დატვირთულ თანამედროვე ლიტერატორთა ნააზრევში, ბოლოს მაინც გუმანი, ინტუიცია იმარჯვებს და თეორეტიკოსებიც ხელოვნურად გართულებული აზრის ლაბირინთებიდან, რომელიც ასევე სტილისტურ გართულებებს მოიყოლიებს, სწორედ გუმანით გრძნობენ იმ სისადავისა და უბრალოების ფასს, ეს-ესაა რომ გამოჩნდა დიდი მწერლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში“.

ამ ღრმა და დამაფიქრებელი შუქ-ჩრდილებით გამდიდრებულ ფონზე უკვე არაჩვეულებრივი სიცხადით იკვეთება ლალი ავალიანის თითქმის მინიატიურული, მაგრამ შთამბეჭდავი პორტრეტი, რადგან ძნელად თუ შეძლებდა ვინმე სხვა, ასე შეეგრძნო ამ მკვლევარის თითქმის დროის მეტაფორად ქცეული სულიერი ინტენსივობის არსი.

ცნობილია, რომ ნოველისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დასაწყისს. აქედან იქმნება ის ემოციური ველი, რომელმაც უნდა „ჩაიხვიოს“ მკითხველი და მერე უკვე აღარც მისცეს ყურადღების მოდუნების საშუალება. მაკა ჯოხაძის წერილი „ო, ეს ბებერი კათარზისი...“ საუკეთესო გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ესხმება ხორცი მწერლის მიერ პროზაული ნაწარმოებების შექმნისას ნაგრძნობ თუ მიგნებულ ნიუანსებს მისსავე ლიტერატურულ წერილებსა და ესსეებში.

წერილი გენო კალანდიას წიგნს, „რეკვიემს“, აანალიზებს, როგორც შეეფერება მაღალკვალიფიციურ ლიტერატურათმცოდნეს, მაგრამ ამავე დროს ეს არის თანაგრძნობისა და თანაგანცდის იმ უზარმაზარი ტალღის სიტყვად ქცევის მცდელობაც, რომელიც მხოლოდ ზემგრძნობიარე სულის სიღრმეში აბობოქრდება ამ მართლაც განსაკუთრებული წიგნის წაკითხვის შემდეგ. მწერალი თავის წერილს ვარდისფერი ნიუარით იწყებს, იმ შორეული, სიყრმისდროინდელი ხმებით, რომლებიც ამ ნიუარიდან ისმის და თითქოს დაკარგული ზღვის ცრემლადქცეულ ტალღებზე ტივტივებს ეს წერილიც, თანაც ისე, რომ ერთი წუთითაც არ დუნდება ყურადღება და არ ყუჩდება ის საერთო ტკივილი, რომელმაც შექმნა გენო კალანდიას მძაფრი, დაუნდობელი და სიყვარულისგან მოგვრილი ტკივილით სავსე წიგნი.

2000 წელს დაიწერა წიგნი „მთვლემარე ვულკანები“, რომელიც ასე მთავრდება: „მოდის დეკემბერი. ბავშვობაში ყველაფერი იდუმალებითაა მოცული, ღმერთმა ინებოს, შობა-ახალმა წელმა ჩვენი სამშობლოს ყველა პატარას იმ ბენგალური ჩირაღდანივით, ყველაზე შუშხუნა და დიდი საჩუქარი — წართმეული ბავშვობა დაუბრუნოს“. წერილში კი უნიჭიერეს ფოტოგრაფზე ირინა აბჟანდაძეზეა ლაპარაკი (დღეს რატომღაც ამჯობინებენ ფოტოგრაფიას ფოტოხელოვნება უწოდონ, ფოტოგრაფს — ფოტოხელოვანი, არადა, ფოტოგრაფია თავისთავად, უპირობოდ უკვე ნიშნავს ხელოვნებას). ირინა აბჟანდაძემ მიმართა უმძიმეს თემას — ბავშვებს, რომლებმაც დაკარგეს ბავშვობა. მაკა ჯოხაძემ მის ფოტოებში ამოიკითხა თავისთვის უმნიშვნელოვანესი რამ — ნდობა და ამით განისაზღვრა წერილის ემოციური და აზრობრივი სახე:

„დახედეთ ამ სურათებს, როგორი ნდობით, როგორი ინტერესით იყურებიან ამ შავ-თეთრი კადრებიდან მათი ზეთისხილივით შავი და სველი თვალები. ეს ნდობა ირინა აბჟანდაძის ბრალია, მისი დამსახურებაა, მისი მონაპოვარია, რადგან იგი კი არ აფიქსირებს ამ უბედური გოგო-ბიჭების გაუსაძლის ყოფას, არამედ მისი ობიექტივის მგრძნობიარე თვალი გულივით ფეთქავს და განიცდის“.

თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში ბევრი ახალი, საინტერესო სახელი შემოვიდა, რომელთაც უკვე დაიმსახურეს მკითხველის სიმპათია. ერთ-ერთი მათგანის, მარიანა ნანობაშვილის მხატვრულ სამყაროს ეძღვნება წერილი „XXI საუკუნის მადონები,“ რომელშიც სიტყვიერ ქსოვილში ხორცი შეისხა ერთი მწერლის მიერ მეორე მწერლის სულიერი და ესთეტიკური მრწამსის გაგებამ, ბოლომდე შეგრძნებამ, თანაგანცდამ, რომელსაც ინტელექტუალური და შემოქმედებითი „თანამოძმეობის“ გარდა მარადქალურობის შინაგანი, ქვეცნობიერში მიმალული შრეც უდევს საფუძვლად. ეს ერთგვარი გზის დალოცვაც არის ახალგაზრდა მწერლისთვის, რომელმაც სიტყვას არა მარტო შეაფარა თავი, არამედ რაღაც ახალი, თავისი და თან ზოგადადამიანური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შემატა.

თავის დროზე იმპრესიონიზმმა სტრუქტურად ჩამოაყალიბა და შემოქმედებით მეთოდად და აზროვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიულ საფუძვლად აქცია ის არაჩვეულებრივი, ადამიანის შინაგანი სამყაროს გარე სივრცესთან ურთიერთდამოკიდებულების ყველაზე ბუნებრივი, მომხიბლავი, უშუალო, ხალასი და ამიტომ ყველაზე პროდუქტიული ფორმა, რომელსაც შთაბეჭდილების ინდივიდუალური ხატის შექმნა ჰქვია. შთაბეჭდილება, თუნდაც წამიერი, და მისი ნებისმიერი ანაბეჭდი — ფერებში, სიტყვებში თუ ბგერებში — ნამდვილად არ გულისხმობს განზოგადების ფარგლების შეზღუდვას ან მსჯელობის სიმწირეს. სწორედ ამგვარი შთაბეჭდილების სიმძაფრითა და ამაღელვებელი ფიქრებით შეძრული, შინაგანი ბორგვით, მშვენიერის განცდასთან გადაწნული ტკივილით არის დაწერილი მაკა ჯოხაძის ესეი „მშვიდობიანი დაშვება". პირველივე სტრიქონებიდან კიდევ ერთხელ გასაგები ხდება მწერლის კონცეფცია — ყველაფერი ამ სამყაროში, ყველა ადამიანი, ყველა საგანი, ყველა გრძნობა, ყველა სიტყვა ისეთივე პირადულია, როგორც დედა, შვილი, შეყვარებული, სამშობლო... ის თითქოს შლის ზღვარს ესთეტიკურ კატეგორიებსა და პირად სივრცეში კონცენტრირებულ შეგრძნებებსა და სახეებს შორის, შედეგად მთელი სამყარო აღიქმება როგორც ერთიანი ესთეტიკურ-ემოციური მოდელი, სადაც არ არსებობს მეტად და ნაკლებად მნიშვნელოვანი ან მეტად და ნაკლებად მშვენიერი. ამ ესეიში მაკა ჯოხაძემ გამოხატა ნოდარ ანდღულაძის ერთი ლექციიდან მიღებული შთაბეჭდილება, მაგრამ ამ ერთ მოვლენას იმდენი წახნაგი გამოუკვეთა, ისე დაამუშავა, რომ სიტყვის კრისტალში წაიშალა ზღვარი არა მარტო მეს და სხვას შორის, არამედ თვით სამყაროს აღქმის ადამიანური შესაძლებლობებისა და მექანიზმების სინესტეზიაც მოხდა. ფინალში, როცა ეს ხიბლი გაიფანტა, მწერალმა სულის შინაგანი მთლიანობის ბგერებში, სიტყვებში და ფერებში აღდგენა კიდევ ერთხელ შეადარა ცაში ფერად ბუშტებზე გამობმული კალათებით გასეირნებას, სმენადაკარგულ ამღვრეულ ყოველდღიურობაში დაბრუნება კი ამ კალათებიდან გადმოსვლას. არადა, ვინ იცის, რა ელით მოხუც მუსიკოსებს, ყოველ ჩვენგანს ამ რეალობაში, მაგრამ იქ, სადაც ინდივიდი ხელოვნებას საკუთარი სიცოცხლის ბუნებრივ ნაკვთად გადააქცევს, ყოველი გაფრენა და დაშვება ერთობ მტკივნეული, ათასი ფიქრის და განცდის აღმძვრელი, მაგრამ ენით აუწერლად ბედნიერი იქნება — პირველიც და უკანასკნელიც.

ლაშა ბუღაძე ახლა უკვე ცნობილი მწერალია, მაგრამ მაკა ჯოხაძე 1998 წელს დაწერილ წერილში „დებიუტი," რომელშიც მოთხრობა „ყვითელია" გაანალიზებული, უკვე ნათლად წარმოაჩენს იმ შტრიხებს, რომლებიც შემდეგ ჩამუქდა, გამკვეთრდა და მწერლის შემოქმედებითი პორტრეტის კონტრასტულობა განაპირობა: „საშიშად ხატავს ეს უცნაური ჭაბუკი, თავისი ასაკისათვის უჩვეულოდ ბევრი რამ იცის. მისი ინტელექტი ინტუიციაა და ინტუიცია ინტელექტი. ეს ორი სტიქია პროპორციულად, ჰარმონიულად თანაარსებობს, მონაცვლეობს და ისევე რეალურად ირწევა მის მხატვრულ სამყაროში, როგორც ნოეს კიდობანი აბობოქრებულ ზღვაში..."

ესეის ჟანრი ურთულესია, რადგან სათქმელის მოცულობასთან და ანალიტიკურ ნაკადთან ერთად აუცილებლად არსებობს მძლავრი ემოციური მუხტი, რომელიც თავისი არასწორხაზოვანი, მიხვეულ-მოხვეული კალაპოტისკენ „ექაჩება" მწერალს და, შესაძლოა, სათქმელის სიღრმე რაღაც მომენტში შინაგან მღელვარებას აყოლილმა სიტყვიერმა ნაკადმა დაჩრდილოს, მაგრამ მაკა ჯოხაძის არც ერთ ესეიში მსგავსიც კი არაფერი ხდება. ამიტომ არის მისი სათქმელი ყოველთვის სრულად და უდანაკარგოდ მიტანილი მკითხველამდე, თანაც ზედმიწევნით მართალი, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს ესეიში „მოქმედება და თავისუფლება," „შემოქმედებითი პროცესი, მხატვრული ლიტერატურა, სიტყვიერი ხელოვნება ყველაზე აქტიური და პატიოსანი სიზუსტით გადმოგვცემს რეალობას. რა უმძიმეს ტკივილზეც არ უნდა ლაპარაკობდეს მწერალი, სხვა, უცხო კულტურისა და შინაგანი წყობის არტახებშემოჭერილი ქვეყნის მომავლის როგორი დარდიც არ უნდა უფლეთდეს გულს, ის არასოდეს გადავარდება „სიტყვიერ ექსტაზში". თანდაყოლილი ზომიერების შეგრძნება, რომელიც შემდეგ კულტურამ და განათლებამ გააღრმავა, არასდროს მისცემს ამის საშუალებას. ამიტომაც აღწევს სათქმელი უმოკლესი — გულის გზით ადრესატამდე, მკითხველამდე, რომელიც მწერლის მოქალაქეობრივ გამბედაობასთან ერთად კიდევ ერთხელ მოხიბლული რჩება მისი ფრაზის დახვეწილობით, ემოციურობითა და ტევადობით.

ბევრი საგანი, მოვლენა და ადამიანია ამქვეყნად, რომლებიც მათთვის უკვე ბოძებული ზოგადი თუ კონკრეტული სახელების გარდა კიდევ მოითხოვენ დამატებით, არსობრივ სახელდებას, ეს იმიტომ, რომ გამოჩნდეს მათი ის სახე, რომელსაც მხოლოდ გრამატიკის და ტრადიციის ძალით ბოძებული სახელები ვერ იტევს. ასეთი სახელი მოუძებნა მაკა ჯოხაძემ ზაალ სამადაშვილს წერილში „გამოწვევა ცრემლებით": „ზაალ სამადაშვილი — წიგნის ნამდვილი გურმანი". ძალიან საინტერესოა, ჯერ იმიტომ, რომ უზუსტესია, და, მეორეც, როცა მწერალზე ლაპარაკობ, მისი არსის გამომხატველი სახელით დაწყება სჯობს, მაშინ ყველაფერი, რაც მასზე ითქმება უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. მაკა ჯოხაძე ამ წერილში „წიგნის გურმანის" მოთხრობების პატარა კრებულს „როგორც ძველ იტალიურ ფილმებში" აანალიზებს და მის შინაგან სირბილეს, სინათლეს თვითონაც ხედავს და მკითხველსაც თითქოს მთრთოლარე ხელისგულებში დაგროვილს აწვდის, როგორც უსულგულობის წინააღმდეგ გადასატან ბრძოლაში თანამოაზრეს, რომელმაც მასავით ამ პატარა წიგნში დიდი გამოწვევა უნდა დაინახოს.

ყველაფერი ამქვეყნად, საბოლოოდ მაინც ადამიანის პირად არჩევანზეა დამოკიდებული, რომლის გაკეთებაც ყოველთვის ძალიან ძნელი იყო და — ახლა თუ ისევ და ისევ ის შეგრძნება არ გვატყუებს, რომ სადაც არა ვართ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვყოფილვართ, კარგია, — დღეს კიდევ უფრო ძნელია. ნებისმიერი ადამიანის და, მით უმეტეს, შემოქმედისთვის რთულია ორი ცხოვრების — ხელოვნების და სინამდვილის მოვლენებთან თანაბარი ძალით ბრძოლა და გამკლავება. შემოქმედისთვის, შესაძლოა, უფრო მეტადაც. ეს განცდა ჩანს რევაზ ინანიშვილით შთაგონებულ წერილში „თავისიანების მონატრება“: „ორი ცხოვრება — ხელოვნება და სინამდვილე — ეს პარალელური სამყაროსავით ძველია. ორი რეალობა, მხატვრული და ემპირიული — იმთავითვე სხვადასხვა ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ არც ერთ საუკუნეში შემოქმედებას ისეთი ზეწოლა არ განუცდია, როგორც ჩვენსაში“. ეს წერილი ისეთ მწერალზეა, რომელმაც შეძლო, ჭეშმარიტების რანგში აეყვანა მაკა ჯოხაძისეული დეფინიცია — „მწერლობა ხომ ორმხრივი სიყვარულია“. და ყოველი სტრიქონიდან იმზირება რევაზ ინანიშვილი „თავისი სხივიანი, შუქიანი თვალებით,“ კაცის გულის მომლბობი სიტყვებით, სავსე გულით, რომელშიც ასევე დაეტია „თავგანწირვა, პატიოსნება, თანაგრძნობა,“ სამყაროს იდუმალების შეგრძნება და წინასწარმეტყველის ნიჭი, მხოლოდ სამშობლოს სიყვარულისა და მასზე დარდის გამო რომ იღვიძებს... და საერთოდ, ეს ის გულია, „რომელშიც მთელი სამყარო ეტეოდა“, გულის პორტრეტის დახატვა კი არც ისე იოლია და მაკა ჯოხაძის წიგნში ესეც ვნახეთ.

პაწია ჩარჩოში უფრო ძნელია სათქმელის და ემოციის ჩატევა და, შესაბამისად, სრულად გამოხატვაც. პატარა ესეში „დიდი ადამიანები (როცა მონატრება იწყება)“ ანა კალანდაძე... ანა კალანდაძის სახე... არა, ანა კალანდაძის თანმხლები თბილი და ნაზი ემოცია უნდა გაცოცხლდეს. ამისთვის სავსებით მოულოდნელ, უჩვეულო ანტურაჟს და ხერხებს იყენებს მწერალი: ჯერ ნამცხვარი „ნაპოლეონი“, მერე პრეზიდენტგანდევნილი ბნელი და მშიერი საქართველოს პრემიერმინისტრის სახელის მქონე ბისკვიტი, მერე ახალი ეპოქის შესაფერისად გადაგვარებული ქურდები და ანას სახლიდან დაკარგული ნაპოლეონის ბიუსტი, მერაბ ყანდარელის წერილი, თინა ყანდარელის სულში დაბუდებული აუტანელი მონატრება და ამქვეყნად დაბადებული პატარა ანა კალანდაძე — ეს ყველაფერი ისე უცნაურად გადაეწნა, შეეხამა, შეესისხლხორცა ერთმანეთს, რომ დაიბადა პატარა ესეი ანა კალანდაძის მიმართ მაკა ჯოხაძის სიყვარულსა და მონატრებაზე. ამ წიგნში კიდევ ერთი წერილია ანა კალანდაძის საოცარი სულისთვის, ფიქრის, ცის და გულისთვის დაწერილი — „უცხო სუნთქვა“. ბევრი მნიშვნელოვანი ნიუანსია ამ წერილში შენიშნული და დახვეწილი არტისტიზმით მოწოდებული, მაგრამ არის რამდენიმე ფრაზა, რომელიც შეიძლება ანა კალანდაძის პოეზიის არსის სიტყვიერ ხორცშესხმად მივიჩნიოთ, მათ შორის — „ანა კალანდაძემ თავაღერილი ფიქრი შემოიყვანა ქართულ პოეზიაში“ .

ოთარ ჩხეიძის „ბორიაყს“ თავისი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ სალიტერატურო სივრცეში. მაკა ჯოხაძე წერილში „თქვენ გმირი მოგხიბლავდათ“, მოხაზავს, შემოფარგლავს იმ დროს და სივრცეს, იმ სიტყვიერ და იდეურ ველს, რომელშიც ეს რომანი აღმოცენდა და იმასაც განსაზღვრავს, როგორ „სამეზობლოში“ მოუწია მას არსებობა ქართულ შემოქმედებით სივრცეში (არამარტო ლიტერატურულში). ნიკუშა ჩაჩანიძის სულში ჩაწვდომა მწერლისა და ეპოქის სულის მოძრაობის შეცნობასაც ნიშნავს და სწორედ ამას ცდილობს მაკა ჯოხაძე ამ წერილში, როგორც პროფესიონალი და როგორც მკითხველი, რადგან ამ შემთხვევაში ორმაგად მართლდება მისი თეზა — „მწერლობა ხომ ორმხრივი სიყვარულია“. სიყვარულით და ტკივილით მოყოლილ ქართლის სისხლიან ამბავს ასეთი სიყვარულით გაგება და დახვედრა სჭირდებოდა.

„მახუნცეთის ჩანჩქერი“ — დროს გამოტაცებული ამაღელვებელი წამი, გარდასულის ტკბილ-მწარე შეგრძნება, ადამიანური ურთიერთობის მშვენიერების და მეგობრობის განცდა... და წამიერად ახდენილი ოცნების ხიბლი — ეს მაკა ჯოხაძის პოეტური სულისა და ადამიანთა ურთიერთობაში პაწაწინა ნიუანსების შემჩნევის, მათთვის დიდი ესთეტიკურ-ზნეობრივი მნიშვნელობის მინიჭების უნარის ნათელი დადასტურება. აქ ჩანს მარადისობა ისევე, როგორც არტურ ლაისტის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში „ჩვენი დროის აბო;“ ისევე, როგორც შესანიშნავ წერილში, რომელიც, ჩემი აზრით, პირველ რიგში ქუთაისის მშვენიერ მარადიულ სულს და შემდეგ ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე ნუგზარ ლორთქიფანიძის მიერ განხორციელებულ სპექტაკლს „სამეფოო ძველისძველო!“ (აკაკის ლექსად მოთხრობილი ამბავი) ეძღვნება.

მაინც საიდან შეიძლება დაიწყოს საუბარი ჰესეზე? ისტორიული ფონის შექმნიდან? თანადროული მწერლობის მიმოხილვიდან, თუ ფილოსოფიური წანამძღვრების ჩამოყალიბებიდან? ჩვეულებრივ შემთხვევაში ალბათ ასე, მაგრამ არა ამ წიგნში და არა ესეში, რომელმაც წიგნს სათაური მისცა — „სამოთხე უსიყვარულოდ“. ესეი, რომელშიც შემდეგ ჰესეზე და მის „დოკტორ კნიოლგეს აღსასრულზე“ იქნება საუბარი, იწყება თბილისის იტალიური ეზოთი, ნათელი და ყოველმხრივ სრული, სავსე, კაშკაშა სიყრმით, ლეჩხუმის ნირვანით და სამყაროს აღქმის პირველი შთაბეჭდილებებით. სწორედ ამ ელვარე ფერებით, ტკბილი სურნელით, კეთილხმოვანებით, ნათელი ადამიანური ურთიერთობებით სავსე ჯერ კიდევ თითქმის თოთო, ნორჩ სულში შემოჭრილა ჰესე. ეს ესეი არის ადამიანის წარმოსახვისა და სიტყვის ურთიერთობის თვალწარმტაცი ამბავი, რომელიც ისევ და ისევ მაკა ჯოხაძის კონცეფციას ადასტურებს — ყველაფერი, რაც ირგვლივაა, პირადულია, რაც სიტყვაში ისხამს ხორცს, ისიც პირადულია და არავის შეუძლია ხელოვნებისა და ლიტერატურის მიერ შექმნილის ადამიანის საკუთარი შეგრძნებების სამყაროდან გამოცალკევება. მწერლისეული მსოფლაღქმა, თუნდაც ამბავიც კი, რომელსაც ჰესეს „დოკტორ კნიოლგეს

აღსასრული“ მოგვითხრობს, გარდა მხატვრული ღირებულებისა, რაღაცნაირად თითქოს ჩვენს ცხოვრებასაც ეხმიანება, იგავის დაუნდობლობით და სიცხადით გვაფხიზლებს და გვზაფრავს და ამ შეგრძნებას ესეის შინაგანი რიტმიც უწყობს ხელს. ფანატიზმის სიღრმიდან თანდათან ამოზრდილმა ნაყოფისმჭამელთა ბელადმა იონამ, რომელიც ადამიანის გარდაქმნის აკვიატებული ამბიციით იყო შეპყრობილი და საზოგადოებაც მოიგდო ხელთ, ბოლოს დოქტორ კნიოლგე მოკლა, განათლებული, მოაზროვნე ადამიანი, თითქმის ერთადერთი, ვისაც ა რ ე შ ი ნ ი ა. დამაფიქრებელია ესეის ავტორის დასკვნა: „ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ფილოლოგი, ჰუმანიტარი, ზოგადად ჰუმანისტი შეუწირავთ (მოუკლავთ) სამყაროს გარდაქმნის სახელით „რეფორმატორებს“. სულერთია, რას დავარქმევთ მათ — კომუნისტებს, დემოკრატებს, ლიბერალებს, კოსმოპოლიტებსა თუ ვეგეტარიანელებს, სულერთია, რისი სახელით მოხდება ეს გარდაქმნა — სამყაროს სამოთხედ გადაქცევისა თუ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგომის სახელით“.

თარგმანი ამშვენებს ნებისმიერი ერის ლიტერატურას, ის ძალიან მნიშვნელოვანია და თანაც მრავალი ასპექტით. წერილში „იესო — ძე კაცისა“ გიორგი ლობჟანიძის მიერ თარგმნილ წიგნზეა საუბარი. „გიორგის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილ ამ კეთილხმოვან და სურნელოვან წიგნში მაცხოვარი იმდენნაირი კუთხით გამობრწყინდა, რამდენნაირმა თვალმა, გულმა, სულმა და გონებამაც დაიტია ღმერთკაცი,“ — ამბობს მაკა ჯოხაძე და, ვინც ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო — ძე კაცისას“ გიორგი ლობჟანიძისეულ თარგმანს იცნობს, ალბათ უსიტყვოდ დაეთანხმება ამ პატარა წერილში გამოთქმულ ყველა სხვა მოსაზრებებსაც.

ძალიან მნიშვნელოვანი თარგმანი შეემატა ქართულ ლიტერატურას — ირმა რატიანის „ასი უძველესი იაპონური ლექსი“. მაკა ჯოხაძე ამ უჩვეულო, განსაკუთრებულ სამყაროს თითქმის ყოველმხრივ აანალიზებს — ჟანრის, ისტორიის, თარგმანის მხატვრული ღირებულებების, პოეტური ასოციაციების ჭრილში. საბოლოოდ სრულად წარმოსდგება მრავალშრიანი, რთული სტრუქტურის ერთიანი, ფაქიზი და მრისხანე (ერთდროულად), მგრძნობიარე და ბრძენი (ერთდროულად) სახე.

მართლაც არ არის იოლი, პატარა რეცენზიის ფარგლებში გამოითქვას სათქმელი. მაკა ჯოხაძის წერილები „ფაქიზად დაწერილი პირქუში რომანი''(სოსო პაიჭაძის რომანზე „სადაით დაეცი“), „ცუდი უსასრულობა“ (გივი ალხაზიშვილის პოეზიასა და რომანზე „სოდომიდან სოდომამდე“), „გამეორება“ (მანანა კვაჭანტირაძის წიგნზე „გამეორება“), „ახალ საუკუნეს — „ახალი საუკუნე“ (ჟურნალ „ახალ საუკუნეზე“) კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს სიტყვის უსაზღვრო შესაძლებლობებს, როცა რამდენიმე ფრაზაში, სტრიქონში, თუნდაც აბზაცში შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი, არსებითი, რასაც მწერლის და მოაზროვნის სამყაროსთან შეხვედრა აღძრავს და დაიხატოს შემოქმედის პორტრეტი მისივე ხელით შექმნილი მხატვრული „ინტერიერისა“ თუ „პეიზაჟის“ ფონზე.

ამ წიგნში, გარდა საკუთრივ ლიტერატურული ღირებულებისა, კიდევ ერთი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი შრეა, რომელიც მხატვრულ ანალიზს ტოლს არ უდებს. ეს არის ასოციაციებისა და მოგონებების ნაკადი, რომელიც მოქნილად, ბუნებრივად ერწყმის ლიტერატურულ მსჯელობას და ქმნის ინტიმურობის საოცარ განცდას, რომლის გარეშეც მართლაც არაფერია ლიტერატურა და ხელოვნება, და, ამასთან, ინფორმაციულადაც დატვირთულია. ამგვარ განცდას აღძრავს წერილები „დიადი ინტიმი“ (ნოდარ ტაბიძე) და „სული აცვია საქართველოს კავკასიონის“ (მუხრან მაჭავარიანი).

სიცოცხლე წარმავალია — ეს ყველამ იცის; გარდაუვალობის სევდას ერკინება ადამიანი, რაც გაჩენილა ამქვეყნად: რწმენით, სიყვარულის დაუსრულებლობის იმედით, გლოვის საოცარი მშვენიერებისა და ცრემლის მელოდიის შეგრძნებით. წერილში „შენდობით მომიხსენიეთ“(ავტოგრაფები ქვებზე) მაკა ჯოხაძე გველაპარაკება ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის მართლაც არაჩვეულებრივ წიგნზე, რომელიც ეპიტაფიებს ერთ კონად კრავს და სიკვდილ-სიცოცხლის ურღვევ სიმბოლოდ წარმოგვიდგენს საფლავის ძველისძველი ქვებისა და ავტორების, როგორც მაკა ჯოხაძე უწოდებს — უდაბნოს ხვატში ჩამოცვენილი წყვილი ფანტელის — ცოცხალ და სიყვარულით სავსე ურთიერთობას.

მაკა ჯოხაძის ამ დიდ წიგნს კიდევ ორი ნაწილი აქვს: პატარა მედალიონები და ინტერვიუები. მედალიონები ზუსტად მიესადაგება მათი ავტორის დახვეწილ, ესთეტიკურად სრულყოფილ, ფარულად არისტოკრატულ სახეს და, რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, პატარა ნაპერწკლებით მისი, როგორც შემოქმედის სულიერ ხედს გამოანათებს, რადგან იუველირული ოსტატობით დამუშავებულ ტექსტებს იმიტომ შეუძლიათ ზემოქმედების მოხდენა, რომ შემოქმედი გულწრფელად გამოხატავს თავის შინაგან მდგომარეობას და, მაინც — პიროვნებაზე წინ აქ ხელოვანი დგება. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი ინტერვიუებიც და ისინი რაც შეიძლება ბევრმა უნდა წაიკითხოს, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, რადგან მოძალებული ნიჰილიზმისა და ეროვნული ფასეულობების მარგინალიზაციის პირობებში ასეთი მოქალაქეობრივი პოზიცია, გადმოცემული ზომიერი, დახვეწილი ფორმით, ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს.

და საერთოდ, მთლიანადაც, წიგნი ასეთია: თავისი ქვეყნის ტკივილებით, სიყვარულით, მშვენიერების მძაფრი შეგრძნებით, ზოგადსაკაცობრიო და ქართული კულტურის გულის სიღრმეში სწორად და ჰარმონიულად შერწყმის ნათელი შედეგებით და, რაც მთავარია, იმედით სავსე, რომ ინებებს ღმერთი, ყველაფერი გადაილახება და იქნება სამოთხე... სიყვარულით.



თამაზ ვასაძე

სულიერების პირველუჯრედი

მწერლის ღრმა ემოციური კავშირი თავის მთავარ ფასეულობებთან მუდამ საგრძნობია ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში. იშვიათია სულის სისუფთავისკენ, კეთილშობილებისკენ, ადამიანურ ურთიერთობათა გულითადი ჰარმონიულობისკენ ასე გატაცებით მსწრაფველი პროზაიკოსი მეოცე საუკუნეში. უპირველესად ეს ქმნის ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნულ-მწერლური იერის გამორჩეულ მომხიბვლელობას.

სულიერი სინათლის და სიფაქიზის, სულიერი არისტოკრატიზმის ბედი უხეშ რეალობაში, მისი შეჯახება ცხოვრების სიმკაცრესთან, დისჰარმონიასთან ნიკო ლორთქიფანიძის მტკივნეული მხატვრული ხედვის, ფიქრის ძირითადი საგანია.

ყველაზე მნიშვნელოვან სულიერ-მორალურ ფასეულობათა შემკრებია ნიკო ლორთქიფანიძისთვის ოჯახის ფენომენი, რომელსაც ქართულ ღირებულებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი კვებავს და იცავს უმთავრეს ეროვნულ ტრადიციას — ადამიანურ ურთიერთობათა სიწრფელეს და სითბოს, ჰუმანურობას.

1910 წელს, თავისი ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისში, ნიკო ლორთქიფანიძე წერს მინიატიურას „ოჯახი“, რომელშიც მისი შემოქმედების ძირეული მოტივების და პრობლემატიკის ჩანასახი იკვეთება.

„...სად მოვისვენებთ დაღლილ-დაქანცული, სად შეგვაშრობენ ოფლს და არ განგვიკითხავენ, თუ რატომ მეტი ვერ მოვიმოქმედეთ?

ოჯახში.

დაუძლურებულს, წლებით გატეხილს, სად მოარჩენენ მოვლით და დამშვიდებით?

ოჯახში.

ცხოვრების ნავი უეცრად რომ გატყდება და ყოველი ქაფი დახრჩობას გიპირებს, ყოველი ქვის ნატეხი ფეხებში გედება, როცა ზიზღი და შურისძიების სურვილი ფეხდაფეხ გსდევს, ვინ დახრის თავს მწუხარებით და დაგეხმარება სევდის ატანაში?

ოჯახი.

ოჯახი! ნუ ვახლებთ ხელს, — იგი წმიდაა. ყოველს ადამიანს ერთი ადგილი მაინც უნდა ჰქონდეს, სადაც იგი ხელუხლებელი, საყვარელი, მუდამ ერთი და იგივე უკვდავი წევრია.

ნუ ვახლებთ ხელს ყოველთვის, ყოველს მდგომარეობაში სიყვარულის, სათნოების, ლმობიერების და თავგანწირვის ტაძარს — ოჯახს.

ცხოვრების საერთო სიმკაცრე, ცოტა არ იყოს, სუსტდება ოჯახის კერასთან.

დავეხმაროთ, წინადვე თანდაყოლილი თვისებანი ოჯახისა გავამაგროთ, მათი უარმყოფელი მოვთხაროთ, მოვსპოთ.

მკვიდრი საფუძველი ჩავუგდოთ ოჯახს. ერთი უდიდესი უბედურება იქნება ოჯახის მოსპობა.

ქრისტეს არ ჰქონია ოჯახი, მაგრამ თვითონ იყო ყოველისავე ნავთსაყუდელი. ვინც არ იჩემებს — მე თვით ქრისტე ვარო, სხვებს არ ურჩევს — ქრისტეს თვისებანი მიიწეროს, მას სჭირდება ოჯახი!“.

ნიკო ლორთქიფანიძე, არსებითად, ოჯახის ფენომენის საკრალიზებას ახდენს — ოჯახი „წმიდაა“, ის „ტაძარია“, ქრისტეს მსგავსად „ნავთსაყუდელია“ ადამიანებისთვის; ოჯახია სივრცე, სადაც შესაძლებელია ხელშესახებ რეალობად იქცეს ძირითადი ქრისტიანული მორალური ღირებულებები — „სიყვარული, სათნოება, ლმობიერება და თავგანწირვა“, სადაც ადამიანებს ღრმა თანაგანცდა და თანამზრუნველობა ამთლიანებს; აქ ყოველი ადამიანი აბსოლუტური, უსასრულო ფასეულობის მქონე და შეუცვლელია, „უკვდავია“...

ჰეგელის განმარტებით, ოჯახი ზნეობის პირველადი, ბუნებრივი ხორცშესხმაა, რომელსაც დაეშენება ზნეო-

ბრიობის რეალიზების სხვა, უფრო ფართო სფეროები — სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო.

მეოცე საუკუნის ფილოსოფოსის ივან ილინის თქმით, „ოჯახი არის პირველი, ბუნებრივი და ამავე დროს წმინდა კავშირი, რომელშიც ადამიანი აუცილებლობის ძალით შედის. იგი მოწოდებულია, ეს კავშირი სიყვარულზე, რწმენაზე და თავისუფლებაზე დაამყაროს, ეზიაროს მასში გულის პირველ ერთობლივ მოძრაობებს და მისგან ამაღლდეს ადამიანთა სულიერი ერთობის მომდევნო ფორმებისკენ — სამშობლოს და სახელმწიფოსკენ“.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურაში ლირიკული უშუალობით გამოხატული თვალსაზრისი — ოჯახი ზნეობის, სიკეთის, სულიერი ერთიანობის უპირველესი სამკვიდრებელია, სადაც ადამიანს ყველაზე მორალური და ჰუმანური ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან — უტყუარი ყოფითი რეალიებით და დეტალებით, ცხოვრებისეული სიუჟეტით იმოსება მოთხრობაში „ტყვედყოფილის დაბრუნება“. მოთხრობის გმირი, ცხოვრებისგან ნაგვემი კაცი, ოჯახური სიყვარულის, სითბოს და მზრუნველობის წყალობით თითქოს მკვდრეთით აღდგება, ხელახლა იბადება. მის თავგადასავალში განფენილია ავტორის თვალთახედვა — საქართველოს გადამრჩენი ძალა ისტორიის კოშმარში უწინარესად მკვიდრი ოჯახი იყო და მომავალშიც ის შეიძლება იყოს; ზნეობით განმტკიცებული ოჯახიდან ბუნებრივად ამოიზრდება ისეთი მორალური ფენომენი, როგორიც არის ზრუნვა საკუთარ ქვეყანაზე და სახელმწიფოზე. ამის გამოც მიიჩნევს ნიკო ლორთქიფანიძე აუცილებლად ოჯახის ტრადიციის საგანგებო მოფრთხილებას.

კრიტიკაში მინიშნებულია, რომ მინიატიურით „ოჯახი“ ნიკო ლორთქიფანიძე უპირისპირდება მემარცხენე რადიკალებს, რომლებიც „ოჯახური ბორკილების“ მსხვრევისთვის განაწყობდნენ საზოგადოებას (ვ.ცისკარიძე). ოჯახის დამნგრევი, ინდივიდის უნაპირო „თავისუფლების“ დამამკვიდრებელი მორალის საქართველოში ფეხის მოკიდებას გვიჩვენებს მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“ — მცირე, შეჭირვებული ერისთვის ეს მორალი ტრაგიკული საფრთხის შემქმნელია (თ. დოიაშვილი).

ნიკო ლორთქიფანიძის საუკეთესო მოთხრობათა უმეტესობაში ოჯახის ფენომენის დაკნინება თუ რღვევა, ოჯახური დრამები და ტრაგედიებია გამოსახული.

რაც უფრო მნიშვნელოვანია მწერლისთვის თვითკმარი და სიცოცხლისუნარიანი ოჯახი, როგორც პიროვნების დამოუკიდებლობის, ღირსების გამოხატულება („გლეხის მოსახლეობა იმერეთში“), რაც უფრო ფაქიზად გრძნობს ადამიანების ოჯახურ ურთიერთობათა ორგანულობას, ემოციურ სიღრმეს, სიძვირფასეს („ძმები“), მით უფრო მტკივნეულია მისთვის ოჯახის ტრადიციის გადაგვარება, ნგრევა.

ოჯახის ფენომენის დეფორმაციათა წარმოჩენა ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ეროვნული ორგანიზმის სნეულებებს ამჟღავნებს, საზოგადოების ცხოვრებაში მორალურ ფასეულობათა გამოფიტვას, ჰუმანურობის კრიზისს ხდის ხილულს. ამგვარი ლიტერატურული მეთოდის ეფექტიანობა მრავალჯერ დადასტურებულია (გავიხსენოთ თუნდაც „მეფე ლირი“, „მამა გორიო“...). იგი ნიკო ლორთქიფანიძის პროზაში ისე სისტემურად იჩენს თავს, რომ მის არსებით თავისებურებად იქცევა.

ოჯახურ ურთიერთობათა გაუკუღმართება, მეტიც, მკვლელობის ცოდვით შერყვნაა წარმოსახული „მრისხანე ბატონში“ და „ჟამთა სიავეში“; ადამიანის არა დამცველი, არამედ დამთრგუნველი და დამმონებელია ოჯახი „საბაში“; ოჯახის ზნეობრივ საყრდენთა მოშლა, ოჯახური სიყვარულის დეფიციტი განსაზღვრავს „თავსაფრიანი დედაკაცის“ და „ქორწილის“ გმირთა ბედის სიმძიმეს; ოჯახის რღვევას ეწინააღმდეგება და ამით საკუთარ სულში სინათლის გადარჩენას დრამატულად ცდილობს მოთხრობის „სანახავათ“ პატარა გმირი; ოჯახის, შვილების მიმართ პასუხისმგებლობა გაუსაძლისი ტვირთი აღმოჩნდება მოთხრობის „ტრაგედია უგმიროთ“ მთავარი პერსონაჟისთვის; ოჯახის მიერ ინდივიდის დამონების, ოჯახის ტრადიციის ანგარებით და უსიყვარულობით, ტყუილით შელახვის მსხვერპლია მოთხრობის „მარად და მარად“ გმირი — გამოუსწორებელი რომანტიკოსი; ძველი არისტოკრატული ოჯახების გაპარტახებაზე მოგვითხრობს „დანგრეული ბუდეები“ — ელეგიური პოემა პროზად; ერთ-ერთი ასეთი ოჯახური „ბუდის“ ნგრევის და მის გარეშე დარჩენილი ადამიანის ტრაგიკული ისტორიაა „შელოცვა რადიოთი“; კოლონიური ჩაგვრის მიკრომოდელს წარმოადგენს საკუთარი ოჯახური ცხოვრება „სიზმრების“ პერსონაჟისთვის; „ქაღალდის კაცში“ გროტესკულად გამოისახება ფილისტერული ოჯახის ყოფა — ორი მცენარის სიმბიოზი; ყველაზე ბუნებრივ ადამიანურ კავშირს — დედაშვილურ კავშირს წყვეტს და საკუთარი „ფეოდალური“ ოჯახის წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლას აჩაღებს მოთხრობის „დიდი საქმის ორღობეში“ კარიკატურული პერსონაჟი — სოციალისტი...

ნიკო ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი ამ ნაღვლიანი პანორამის შინაგანი საზრისი ის არის, რომ „რაკი ოჯახი სულიერების პირველუჯრედია, სულიერი კრიზისი უწინარესად მას აზიანებს“ (ი. ილინი).

ოჯახის ტრადიციის სულიერი კრიზისით გამოწვეული ეროზია, რომელსაც ნიკო ლორთქიფანიძე აჩვენებს, უფრო მკვეთრად დასანახია XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამოსახული ზნეობით შედუღაბებული, გამძლე ოჯახების ფონზე („ოთარაანთ ქვრივი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გამზრდელი“). მაგრამ საუკუნეების მიჯნაზე დავით კლდიაშვილი უკვე ცხადად აღბეჭდავს ოჯახის ზნეობრივი საყრდენების რყევას („სამანიშვილის დედინაცვალი“, „მიქელა“...) და ნიკო ლორთქიფანიძე ამ თვალსაზრისით მისი მემკვიდრეა.

ოჯახის ფენომენს დაჟინებით აკვირდება ნიკო ლორთქიფანიძისგან მრავალმხრივ განსხვავებული მწერალი მიხეილ ჯავახიშვილიც. მისთვისაც ოჯახის დეფორმირების წარმოჩენა — ოღონდ მწარე სკეპტიკური ტონალობით, დაუნდობელი სარკაზმით — საზოგადოების სულიერ-მორალური კრიზისის გამომჟღავნების მეთოდია. გავიხსენოთ, მაგალითად, „ორი განაჩენი“ ან „დამპატიჟე“, „ჯაყოს ხიზნები“ ან „თეთრი საყელო“, რომელშიც მწვავე რეფლექსიის საგანია საბჭოთა რეჟიმის პირობებში ოჯახის ზნეობრივი ფუნდამენტის შენარჩუნების პრობლემა...

ნინო დარმაისელი

„რკინის საწოლი“

(გალაკტიონის რეცეფციისთვის ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში)

„მე მქონდა შესაძლებლობა, პირადად გავცნობოდი გალაკტიონს, მაშინ ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი და რამდენიმე ბავშვი გაგვაგზავნეს სკოლიდან რაღაცის გადასაცემად, მაგრამ ბოლო წუთას მაინც ვერ გავბედე მის ბინაში შესვლა, შემეშინდა, ისეთი რამ არ ეკითხა ჩემთვის, რაზეც ვერ ვუპასუხებდი, არ მეცოდინებოდა, ანდა ისე ვერ ვუპასუხებდი, როგორ პასუხსაც ელოდებოდა იმისგან, ვინც მის სამფლობელოში შეჭრას გაბედავდა,“ — წერს ოთარ ჭილაძე თავის მოგონებაში.

ასეთი შესაძლებლობა მას ავბედითი 1959 წლის მარტამდე აღარ მისცემია.

„ჩემს თაობას, ეტყობა, ბედად ეწერა უფრო დიდი შთაბეჭდილების განცდა, ვიდრე ღმერთის წარმოდგენაა, მან ღმერთის სიკვდილი იხილა,“ — ესეც მისი სიტყვებია.

პირველი ლექსიც — „გალაკტიონ ტაბიძის ხსოვნას“ იმავე წელს უძღვნა:

დღესაც გრძელდება, დღესაც ასეა:
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა...
- - - - -
და ისევ ქუჩებს ვუბრუნებ თვალებს,
თითქოს მდინარეს ვუბრუნებ თევზებს,
და ვიცდი, რადგან ვიცი, რომ მალე
ამტკივდებიან ფიქრები შენზე.

„რკინის საწოლის“ გამოქვეყნებამდე ერთი წლით ადრე უსათაურო ლექსში „ქუჩაში წვიმდა, მე ვიყავ მარტო“, რომელიც ამ პოემის თავისებურ უვერტიურადაც შეიძლება მივიჩნიოთ, შინმყოფი პოეტი ასე იხსენებს გალაკტიონის დაკრძალვის დღეს:

და გარეუბნის ნაცრისფერ ღრუბლებს
შეშფოთებული უცქერდა ხალხი,
უცქერდა ჩუმად და სველი კუბო
მიჰქონდა, როგორც ჩამქრალი ჭაღი.

ამ ცნობილ ლექსში უკვე გამოიკვეთა ოთარ ჭილაძის ინტენცია, გადაელახა იმდროინდელ ქართულ კულტურულ ცნობიერებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული რეცეფცია გალაკტიონისა და მისი, როგორც დიდი შემოქმედის, არსს ჩასწვდომოდა.

ასეთი ჩანაფიქრის შემთხვევაში ალბათ ყველაზე აპრობირებული გზა იქნებოდა გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისეული რეალიების, მისი ტრაგიკული სიკვდილის ახლებური, ინდივიდუალური პოეტური გააზრება, რომლის არაერთი შესანიშნავი ნიმუშიც მოიპოვება ქართულ პოეზიაში, მაგრამ ოთარ ჭილაძემ თავისი ქმნილების ტექსტმიღმა დატოვა ყოველივე ცხოვრებისეული, რაც ასე თუ ისე ნაცნობი იყო ქართველი მკითხველსათვის, და საკუთარი წარმოსახვისმიერი სივრცე სრულიად სხვა იმაგინაციებს დაუთმო.

•

სალექსო ფორმის მხრივ ამ პოემაში საყურადღებო თითქმის არაფერია: ათმარცვლედი, შუაში სავალდებულო ცეზურით, ჯვარედინად გარითმული კატრენები ან არაკანონიკური სტროფები, სადაც რითმათა კონფიგურაციის წესი აქა-იქ იცვლება, ორიოდე მოკვეცილი ტაეპი... ქართულ პოეზიაში ამ უკიდურესად გავრცელებულ რიტმულ ქარგაზეა აგებული არა მხოლოდ ოთარ ჭილაძის პოემე-



ბის უმრავლესობა, არამედ მცირე ქმნილებათა ძირითადი ნაწილიც, მაგრამ ამ ნეიტრალურად ქცეულ რიტმულ ფონზე ოთარ ჭილაძემ ქართული ლექსის ინტონირების ახალი პერსპექტივები გამოავლინა და პოეტურ ტროპთაგან მისთვის რჩეულს — შედარებას ეფექტური მხატვრული ფუნქციონირებისთვის ნიადაგი შეუქმნა.

„რკინის საწოლში“ კომპლექსურად მუშაობს იმ ძირითად ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც ოთარ ჭილაძის გამორჩეულ პოეტურ იდიოლექტს ქმნის: სადა მეტყველება, ყოფითი ლექსიკა, გარიდებული პათეტიკას; ყოფითი დეტალის პოეტიკა; ზეპირმეტყველებითი ფრაზეოლოგია და სასაუბრო, დაღმავალი ინტონაციები; შეყოვნებული ტემპო-რიტმი; არა მკვეთრი კონტრასტები, არამედ რხევები; ბინარულ ოპოზიციებშიც კი ურთიერთგარდამავალი მომენტების წარმოჩენა; არა ყოვლისწამლეკავი ტრაგიზმი, არამედ სევდა, გრძნობადი ნიუანსები; ტაქტილურ შეგრძნებათა იმგვარი ფაქიზი გადმოცემა, როგორსაც ქართულ პოეზიაში გალაკტიონმა დაუდო სათავე (**„შემოდგომაა... ტკივილი ჩუმი და ხელისგულთა ნაზი ქავილი“**).

•

„ნეტავ როგორ იწერება პოემა? ეს ჩემთვის ახლა ისეთივე საოცრებაა, როგორც მოლაპარაკე ძაღლი ანდა მფრინავი ძროხა,“ — ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ (2010 №1) გამოქვეყნებული ეს ჩანაწერი ოთარ ჭილაძისა 1968 წლით — იმ დროით თარიღდება, როცა მას უკვე შექმნილი აქვს ათზე მეტი ლირიკულ-ეპიკური და ლირიკული პოემა.

„რკინის საწოლი“ ლირიკულ პოემათა რიგს მიეკუთვნება. დღეს ეს ჟანრი უკვე ტრადიციულად აღიქმება, გასული საუკუნის სამოციან წლებში კი ქართული პოეზიისთვის დიდ სიახლედ მიიჩნეოდა და მის დამკვიდრებაში ოთარ ჭილაძის პოემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

პოემის კომპოზიციას კრავს ტემპორალური პლანი: მოქმედება მიმდინარეობს უსასრულო წარსულში — მთვარით განათებული ქარიშხლიანი ღამიდან მზით განათებულ დილამდე. რაკი პოემას სხვა მხრივ მეტნაკლებად თავისუფალი კომპოზიცია აქვს, მკითხველს საშუალება ეძლევა, საკუთარი მოლოდინის ჰორიზონტიდან სცადოს მისი რთული სახეობრივი სამყაროს მოქცევა ობიექტივში და საბოლოოდ ინდივიდუალური ინტერპრეტაცია ჩამოაყალიბოს. ჩემეული ინტერპრეტაცია კი, რომელზე დაყრდნობითაც განვაგრძობ ფიქრს ამ ნაწარმოების სხვადასხვა პლანის შესახებ, ამგვარია: „რკინის საწოლში“ გალაკტიონის, როგორც ხელოვანის, იდეალის პარადიგმა რეპრეზენტირებულია შინაგანი მონოლოგისა და ცნობიერების ნაკადის მოდერნისტული „ენით“, პოემის საფუძველში კი დევს სიმბოლისტური კონცეპტი, რომ წარმოსახვისმიერი, თუნდაც წიგნისმიერი მხატვრულ-სახეობრივი რეალობა წარუვალი და ნამდვილია. ეს უფრო დიდი სინამდვილეა, სიცხადეა, ვიდრე ყოფითი რეალობა — ჩვენი ყოფითი წარმოდგენები საგნებსა და მოვლენებზე, რომელიც წარმავალია და ილუზორული. არსების, საგნის, სამყაროს ნამდვილი, ჭეშმარიტი არსის წარმოსაჩენად კი საჭიროა, იგი გათავისუფლდეს ყოფითი „სინამდვილის“ ამ გარსისგან.

ღამღამობით, ლუნარულ ხილვათა, შუქ-ჩრდილთა მეუფების ჟამს გალაკტიონის ოთახში, სადაც რკინის საწოლი იდგა, იწერებოდა ცხოვრების წიგნი, რომელიც ყოველდღე ყოფითი, „რეალური“ მზის სინათლის მომძლავრებისას დროებით იფარებოდა, ხოლო გალაკტიონის — პოეტის იდეალი უხილავი ხდებოდა ადამიანთა თვალისთვის:

უბრუნდებოდა ქუჩას სინათლე,
ჩრდილებს — ადგილი,
საგნებს — სიმართლე
და გადაშლილი წიგნიც დროებით
იფარებოდა მწვანე რტოებით,
იჩრდილებოდა ჩიტების ჩრდილით
და ისიც ცოცხალ გულივით თბილი,
ყველა სიკეთის მცოდნე და ღირსი,
კვლავ უხილავი ხდებოდა დღისით.
მზე კი ფანჯრებში ხალხს ახედებდა
და ჩანდა, როგორ იდგა კედელთან
რკინის საწოლი.

რკინის საწოლი, რომელშიც ადგილს ვერ პოულობს „მარადისობის კვალისა და მიზეზის" მაძიებელი პოეტის ბობოქარი სული, მკაცრი რეალობის სიმბოლოა. ამ სათაურთან ერთად პოემის პირველივე სტროფში წარმოდგენილია საწყისი იმაგინაცია, შემცველი იმ ძირითადი „პერსონაჟებისა" და მოტივებისა, რომელიც მთელ პოემას ჯერ ურთიერთგარდამავალ, შემდგომ კი ცალკეულ ლაიტმოტივებად გაჰყვება. აქ გალაკტიონისეულ მთავარ სახეკონცეპტებს — **მთვარესა** და **ქარს** ემატება ხეები, ძველი შენობის კედლები და ჩრდილები:

ლაპარაკობდნენ ხეები ძილშიც,
ტოტებში ქარი ნიოდა მწარედ
და დაბერებულ კედლების ჩრდილში
კაცივით იდგა დაღლილი მთვარე.

პოემაში გადმოცემულია ის შთაბეჭდილებანი და წარმოსახვანი, ოთარ ჭილაძის თანათაობელ პოეტებს ყრმობისა და ჭაბუკობის ჟამს რომ აღუძრავდა გალაკტიონის პოეზია და მისი მითური საბურველით მოსილი არსება. ყოველივე ამას მხატვრულ აწმყოში (ახლა) რომ იგონებს, ავტორი მეტყველებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ამ **ყველას** სახელითაც, რაც ნათლად ჩანს ფინალში:

*ძვირფასი იყო ის ქუჩა **ჩვენთვის**,*
***ჩვენ** იმ ქუჩაზე თამამად ვწერდით*
***ჩვენი** პირველი შეკრთომის მიზეზს*
და პირველ ღიმილს სამყაროს პირზე,
ხოლო პოეტის მკაცრი ოთახი
*თავბრუს გვახვევდა **ყველას** ცოტა ხნით*
*და შიშის მაგვარს ვგრძნობდით **ყველანი**.*

ეს წარსული, რომელიც მოგონებაში ლიტერატურული ალუზიების მეშვეობით ცოცხლდება, უკავშირდება არა რომელიმე აქტს, ერთჯერად ამბავს, არამედ დაუსრულებელ პროცესს, რაც ტექსტში გამოხატულია წარსული დროის უსრული ასპექტის ზმნათა მუდმივი გამოყენებით (მათი დიდი უმრავლესობა მიეკუთვნება უწყვეტელის მწკრივს). ზმნათა ბოლოში და სხვა სიტყვებში „**და**" — მარცვლის მუდმივი გამეორება კი მეორად მარიტმიზებელ საშუალებად იქცევა და ათმარცვლიანი ლექსის მონოტონურ რიტმულ მდინარებასთან ერთად თავისებურ ტრანსულ მდგომარეობაში გადაჰყავს აღმქმელი:

*არ უჩიო**და** არც ერთ ჭრილობას,*
*არ უყურებ**და** **და**ბალს ზემო**და**ნ,*
***და** თან ყველაფრის განცდ**ას** ცდილობ**და**,*
*ამ ქვეყანაზე რაც არსებობ**და**.*

ამ ფონზე ინტონაციური რეგისტრების ოდნავი მონაცვლეობაც კი მსუბუქად მართავს მკითხველის ცნობიერებას, მის წარმოსახვას, მაგრამ საერთო მდინარეობას ერთგან მოულოდნელად ამძაფრებს ავტორი (სულ ხუთი სტროფი — მეექვსე თავის ბოლოსა და მეშვიდეს დასაწყისში):

როცა ქარს სტკივა, რალა თქვას კაცმა,
ხომ არ იკივლოს კაცმაც ქარივით,
ანდა უებარ მალამოს ნაცვლად
ხომ არ დაიდოს წყლულზე მარილი.

გრამატიკული დროის მომენტალური ცვლა, გადასვლა კავშირებით კილოზე იმაგინაციურ ნაკადს წყვეტს, მსჯელობით დისკურსში ჩართული აფირმაციული აქცენტები კი (უნდა... უნდა... უნდა), ლირიკული პერსონის, როგორც მებრძოლი სულის ადამიანი-შემოქმედის, მანიფესტირებას ემსახურება:

როდესაც ჩნდება ადამიანი,
*მიწაზე **უნდა** ადგილი ჰქონდეს,*
რომ შეაჩვიოს ხორცი იარას,
გონება — სივრცეს და სული — ცოდვებს.

*ცა **უნდა** ჰქონდეს, რომ კი არ გასძლოს,*
იბრძოლოს, ვიდრე ძარღვი ათრთოლებს
და თუ სიცოცხლეს ბუნება აძლევს,
*ცხოვრება **უნდა** შეძლოს თვითონვე.*

ამ მონაკვეთის შემდგომ პოემის დრო კვლავ უწყვეტ წარსულს უბრუნდება, ოღონდ ღამღამობით მიწყივ „მარადისობის კვალისა და მიზეზის" მაძიებელი გალაკტიონის უმკრთალეს კონტურს დღის შუქზე ოდნავ მკვეთრი „რეალისტური," სოციალური შტრიხები ემატება — იგი **„ჩვენი"**, ანუ იმდროინდელი ახალთაობის თვალით იმგვარად გამოიყურება, როგორც შეეფერება პოეტი-იდეალის პარადიგმას.

ჰიპერბოლა, როგორც მხატვრული ხერხი, ასეთ შემთხვევაში ყველაზე უკეთ გამოხატავს მათ სათქმელს:

და როცა გარეთ ქარი კვნესოდა,
გამოდიოდა მისაშველებლად,
ვით გოლიათი კურდღლის სოროდან,
რომ ქარის წუხილს ერთი მსმენელი
და ხმის გამცემი მაინც ჰყოლოდა.

•

„რკინის საწოლში“ პოეტი ფრთხილი ნაბიჯით მიუძღვება მკითხველს ნახევრად ურბანისტული თუ წიგნისმიერი ლანდშაფტების გზაზე, თავად მუდამ თავდაპირველ, შიშსა თუ კრძალვაზე დაფუძნებულ დისტანციას ინარჩუნებს გალაკტიონის მიმართ და მკითხველმაც, თუ სურს სრული ესთეტიკური ტკბობა განიცადოს, უნდა მიიღოს ეს პირობა და წარმოსახვა, ცნობიერება ასეთივე დისტანციიდან მიადევნოს ავტორისეული ასოციაციური ბმებით დაკავშირებულ იმაგინაციათა ნაკადებს... და მაინც, ტექსტის რამდენიმე დამაფიქრებელი მომენტი რაღაც ანალიზს მოითხოვს, მაგალითად, რას უნდა ნიშნავდეს ლირიკული პერსონის მიერ გალაკტიონის შესახებ თქმული:

მაგრამ ყოველთვის რჩებოდა ძალა,
რომ არ ექცია ხმა ლაპარაკად
გრძნობა კი სიტყვად [...]

აქ ხმის ლაპარაკად ქცევა-პოეტური, ამაღლებული სათქმელის დამცრობა-დაკნინებას უნდა ნიშნავდეს და, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ მნიშვნელოვანია გალაკტიონის პოეზიაში ხმა, ჟღერადობა, ევფონია, ალბათ გაუგებარიც არაფერი დარჩება, მაგრამ გრძნობის ქცევა სიტყვად, გრძნობის მოქცევა სიტყვაში ხომ პოეზიის, როგორც ხელოვნების სიტყვიერი დარგის, რთული ამოცანაა. ვფიქრობ, ამ სტრიქონების კონცეპტუალური გასაღები სიმბოლიზმის ესთეტიკაში უნდა ვეძიოთ — სიტყვა უნდა გავიაზროთ არა იმად, რაც ცვლის გრძნობას, იკავებს რა ტექსტში მის ადგილს, არამედ მარტოოდენ ამ გრძნობის მიმანიშნებლად.

•

მთვარის ლაიტმოტივი, რომელიც ათ თავად დაყოფილ ამ პოემას დასაწყისიდან მეცხრე თავამდე გასდევს, ასევე შეიცავს დამაფიქრებელ მომენტს.

სახე —

და დაბერებულ კედლების ჩრდილში
***კაცივით** იდგა დაღლილი მთვარე.*

მეტ-ნაკლებად გასაგებია პოემის ერთიანი მხატვრულ-კონცეპტუალური კონტექსტის გათვალისწინებით. აქ წარმოდგენილია სამყაროს მისტიკური სურათი, სადაც ყოველი საგანი თავისი ჩრდილითა თუ ანარეკლით, ხმით, რომელსაც იგი გამოსცემს და ა.შ., ერთიანია („ის ერთდროულად ნიშნავდა ჩრდილსაც, და იმ საგანსაც ჩრდილს რომ ისროდა.“).

მთვარის სხივები, ნათება, რომელიც კედლების ჩრდილში აღწევს, მთვარისავე ნაწილია. შედარება —„კაცივით“ გამოკვეთილად მასკულინურ ნიშანს მიაკუთვნებს მას, პოემის ბოლოს კი მთვარე უკვე ფემინური კონოტაციით შემოდის:

*მთვარეს კი თავის **თეთრი ფეხები***
ძლივს გადაჰქონდა ტრამვაის ხაზზე.

თუ დავუშვებთ ფიქრს, რომ ამ პოემაში არამხოლოდ ორი, ორგვარი სიმართლე და სიცხადეა, არამედ ორი მზეც — ერთი, რომელიც მარადიულ, წარმოსახვისმიერ სამყაროს ანათებს (პოემის მეხუთე თავში) და რომლის შუქშიც ყველაფერს — მხეცს, კაცსა და ღმერთს ნამდვილი სახე უბრუნდება, ხოლო მეორე — რომელიც ფინალში, გათენებისას, ყოფაში დაბრუნებისას გამოჩნდება ხოლმე, მაშინ აქ ორი მთვარის არსებობაზეც შეიძლება საუბარი.

პირველი მთვარე თვით გალაკტიონის სიმბოლოა ან მისი „არამიწიერი“ სახე, ამაღლებული, დისტანცირებული რომ დასცქერის საკუთარ თავსა და იმას, რაც ხდება (ხდებოდა) ღამის ქალაქში. ფინალში ფემინური ნიშნით გამოჩენილი მეორე მთვარე კი ის მნათობია, რომელიც მეორე — ყოფიერი მზით იცვლება.

•

პოემის დასაწყისშივე, პირველ თავში, სადაც დაფიქსირებულია ის ძირითადი მოტივები, რომლებიც მოგვიანებით ტექსტში ლაიტმოტივებად გაიშლება, ერთი ასეთი უცნაური შედარებაა:

და საიდუმლო, როგორც სერობა,
ტრამვაის ხაზი წყდებოდა უცებ.

ლექსის კონტექსტიდან გამომდინარე, სიტყვა „საიდუმლოს“ გაჩენა აქ სავსებით მოსალოდნელია, მაგრამ რა კავშირშია ერთმანეთთან საიდუმლო სერობა და ტრამვაის ხაზი, რომელიც თავისი ყველაზე პირდაპირი ნიშნით „რკინობით“ რკინის საწოლს უკავშირდება, მეორე მხრით კი იმავე ნიშნებით არის დახასიათებული („ბრწყინავდა რკინაც, ცივი და ბასრი“), რითაც დანტეს მიერ ქვესკნელიდან ამოტანილი სიმართლე („სიმართლე იყო მკაცრი და ბასრი“).

ეს სახე — შედარება ცნობიერ და ქვეცნობიერ დინებათა კონტამინაციის შედეგად გაჩენილი ჩანს და, ჩემი ვარაუდით, ასე შეიძლება აიხსნას:

ტრამვაის ხაზი — წყვილი რელსი ნახევარბნელში — არის სერი, ზოლი (და— სერ—ვა — ბასრი საგნით დაზოლვა ზედაპირისა, სერი — სწორი გზა).

სერი — სერ-ობა კი ჟღერითი ასოციაციური ბმაა სემანტიკურად დაშორებულ ლექსიკურ ერთეულებს შორის.

საიდუმლო სერობის ძირითადი მოტივი სულიერი წინამძღოლის ღალატია „თანამოაზრის“, თანამეინახის მიერ:

მე მიღალატეს ძველმა რითმებმა,
ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს. —

ეს გალაკტიონია. ცნობიერების ნაკადის მოდერნისტული ტექნიკისთვის ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური კავშირები ჩვეულებრივი ამბავია.

გარდა ასეთი შორეული ალუზიებისა, პოემის იმაგინაციური პლანი გალაკტიონის ლირიკიდან მომდინარე სხვა, ადვილად საცნობი სახეებით არის გაჯერებული; ცხადია, ეს უპირველესად ქარს უკავშირდება.

„ტოტებში ქარი ნიოდა მწარედ," „და ღამის ქარით თმაგაწეწილი" და სხვ. უმალ გალაკტიონის თმაგაწეწილ ქარს აცოცხლებს მკითხველის მეხსიერებაში. სტრიქონები:

და მხოლოდ სული, დროშად ქცეული
ვერტიკალურად იდგა ყოველთვის.

ალუზიურად უკავშირდება გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებს:

და დროშასავით მე მიმაქვს მაღლა
სანთელი, შენი სული... სანთელი.

ხოლო პოემის ფინალური აკორდი

და შიშის მაგვარს ვგრძნობდით ყველანი,
როცა ბრწყინავდა შავი მელანი,
ის კი ბრწყინავდა კაცის სისხლივით,
თუ მოხვდებოდა ხოლმე მზის სხივი. -

— ალუზიაა გალაკტიონის ლექსისა „ბარათაშვილი":

მე სისხლით ვწერდი, გულის სისხლით და არა მელნით
ან ლანდად მდგარი, ფერფლი, როსმე მიმქროლი
მერნით...

•

პოემის მეხუთე თავში, სადაც „ტკივილით გაჩენილ ნათელში" ცოცხლდებიან მსოფლიო ლიტერატურის მარადიული პერსონაჟები: მწუხარე სახის რაინდი, გარგანტუა, ტრისტანი და იზოლდა, ჰამლეტი, ავტორი — პერსონაჟი დანტე და ამით შემოწერილია ის ძირითადი თეზაურუსი, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ლიტერატურულ ახალთაობას რომ ჰქონდა, ბუნდოვანია წყარო პირველივე ნათელი, შთამბეჭდავი იმაგინაციისა — მამათა მონასტრის ახლო გამოჩენილი სოფლელი გოგოსი, რომელსაც ბერი შესცქერის:

გოგოს ფუტკარი ეჯდა კისერზე
და მიჰყვებოდა ბზუილს მთვრალივით,
და გულუბრყვილო იყო ისევე,
როგორც ფუტკარი, ანდა ყვავილი.

ჩემი ფიქრით, ეს გოგონა ალბინა უნდა იყოს.

ბერს კი ტუჩებზე მიედო თითი
და თავს იღწევდა ღმერთის ჩეროდან.
და სული, როგორც ცისფერი ჩიტი,
ცის გასაგონად სულ სხვას მღეროდა. —

— ეს კი მასზე გამიჯნურებული აბატი მურეა ემილ ზოლას რომანიდან „აბატ მურეს შეცოდება".

ამავე თავში მსოფლიო ლიტერატურის პერსონაჟთა შორის კიდევ ერთი — უცნობი, თუმცა მშობლიურად ნაცნობი გლეხის სახე ჩნდება:

გლეხი კი ისევ მიწას ბარავდა
და განუწყვეტლივ ლოცავდა გამჩენს,
და თბილი თესლით სავსე კალათას
ხნულებში ცლიდა მშვიდი და გამრჯე.

ძნელი არ არის, აქ ჩვენი ზეპირსიტყვიერების წიაღიდან ოთარ ჭილაძის ქმნილებებში გადასული ქართველი გლეხი შევიცნოთ („მინდვრის ბოლოში ბრწყინავს მდინარე"):

გლეხი კი მაინც არ მიდის არსად,
სულში ჩასცქერის გადახნულ მინდორს,
თავისი ვაშლის თუ ჭერმის მსგავსად
მიწაში ფესვი გაუდგამს თითქოს.

ოთარ ჭილაძემ ქართულ ლიტერატურას მრავალი სიახლე შესძინა, მაგრამ ფესვებით მშობლიურ ნიადაგთან, ტრადიციასთან კავშირი მისთვის, როგორც შემოქმედისა და პიროვნებისთვის, მუდამ მთავარი იყო!

•

ოთარ ჭილაძის კრებულში ერთი პატარა, უსათაურო ქმნილებაა. მას მიძღვნა არ აწერია და ვფიქრობ, არც სჭირდება, იმდენად მჭიდროდ უკავშირდება გალაკტიონის სახეს, მის ლანდს და პოემას „რკინის საწოლი," თუმცა ლექსი მასზე ორი წლით ადრეა შექმნილი (1961).

მე თოვლში ვეძებ სისხლისფერ ვარდებს
და მიტოვებულ ნუშებს და ატმებს...
თოვლზე ეცემა ***პოეტის ლანდი***
და ქალაქს კიდევ ერთ კივილს ართმევს
და ავსებს შემკრთალ სიცარიელეს
და ისევ თოვლს და მოლოდინს ერთვის,
მაგრამ ბოლომდე რჩება იერი
ბედნიერ ბავშვის და დაღლილ ღმერთის.

ოთარ ჭილაძემდე გალაკტიონმა თავისი წინამორბედი და იდეალი — აკაკი სწორედ ლანდად წარმოადგინა — „ჩუმად... დაღლილი სანთლებით მოდის / მწუხარე ლანდი... მაღალი ლანდი..." („აკაკის ლანდი"// „პოეტის ლანდი").

აკაკიმ გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებას წარუშლელი კვალი დააჩნია.

„მე არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტ-ნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით), გალაკტიონის გავლენა არ განეცადოს. გავლენა, კარგი გაგებით, კეთილშობილური აუცილებლობაა, განვითარებასა და წინ წასვლას გულისხმობს, რადგან სულში ტოვებს კვალს და არა სახეზე," — ეს ოთარ ჭილაძის სიტყვებია.

თავად მისი გავლენის კვალი კი თანამედროვე ქართულ პოეზიაში აშკარაა, თუმცა ჯერჯერობით შეუსწავლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიო ვარგას ლიოსა

„ლიტერატურა ჩემი ცხოვრების წესია.“

7.10.2010

74 წლის მარიო ვარგას ლიოსა ნობელის პრემიის მიღებას უკვე აღარ ელოდა, თუმცა მთელს მსოფლიოში ცნობილი რომანები: **„ხულია დეიდა და მოკალმე,“ „ომი და სამყაროს დასასრული,“ „საუბრები ტაძართან“** ლიოსას ნაბიჯ-ნაბიჯ აახლოებდა ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ჯილდოსთან, ყველაზე დიდ ტრიუმფთან.

როდესაც Nobelprize.org-ის მთავარმა რედაქტორმა, ადამ სმიტმა დაურეკა და ნობელის პრემიის მიღება მიულოცა, ლიოსამ სიცილით უპასუხა — რადგან თქვენ მილოცავთ, როგორც ჩანს, ეს სიმართლეა.

— ***რა თქმა უნდა, სიმართლეა და ამის შესახებ სტოკჰოლმიდან უკვე ეცნობა მთელს საერთაშორისო საზოგადოებას. ისე მაინც, რას ნიშნავს თქვენთვის ნობელის პრემია?***

— იცით, ჯერ კიდევ მიჭირს ამის დაჯერება, ალბათ, დრო უნდა გავიდეს, გაზეთებში წავიკითხო. სიმართლე გითხრათ, ამაზე არც მიფიქრია, მაგრამ, ასეა თუ ისეა, ჩემს ცხოვრებაში — ეს ფანტასტიკური მოვლენაა. ვერც წარმოვიდგენდი, ფართო საზოგადოებისთვის თუ ასეთი პატივსაცემი და მისაღები მწერალი ვიყავი.

— ***თქვენ ნამდვილად იმსახურებთ ნობელის პრემიას!***

— დიდი მადლობა. გადაეცით აკადემიის ყველა წევრს ჩემი გულთბილი მოკითხვა და მადლიერება.

— ***სიამოვნებით. თქვენი სამშობლო პერუა, თუმცა მრავალ სხვა ქვეყანაშიც მოგიწიათ მოღვაწეობამ. როგორ ფიქრობთ, ეს ქვეყნები თქვენს შემოქმედებაზე გავლენას ახდენდა?***

— დიახ, ახლა ნიუ-იორკში ვცხოვრობ, მადრიდმა კი ნამდვილ მწერლად მაგრძნობინა თავი. რაც შეეხება პერუს, ის ჩემი შთაგონების წყაროა, მისი ბუნება, მთები, ადამიანები და, საერთოდ, სამხრეთ ამერიკის ისტორია უშუალოდ უკავშირდება იმ ადამიანებს, რომლებზეც ვწერ და რომელთა ცხოვრებაც დიქტატორულმა რეჟიმმა ტრაგედიად გადააქცია.

— ***საზღვარგარეთ ცხოვრებამ ენობრივი ბარიერი ხომ არ შეგიქმნათ?***

— პირიქით, ენისადმი ჩემი დამოკიდებულება სხვა ქვეყნებმა უფრო მგრძნობიარე გახადა. ვწერ ესპანურ ენაზე, ცხოვრება კი მომიწია ისეთ ქვეყნებში, სადაც ესპანური არ არის ნაციონალური ენა. ამან საშუალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცა, უფრო ღრმად ჩავწვდომოდი ენობრივ ნიუანსებს. ისე კი, ეს გაუთავებელი კონფრონტაცია ესპანურისა ინგლისურთან, ფრანგულთან, გერმანულთან... გაუმართლებლად მიმაჩნია.

— ***ალბათ, ამიტომაც არის თქვენი წერის მანერა უჩვეულოდ განსხვავებული.***

— როგორ გითხრათ: მე ვწერ რომანებს, პიესებს, მოთხრობებს, ვმუშაობ ბელეტრისტიკაში და არა მგონია, რომ სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრები, ისევე, როგორც ენები, ცვლიდეს ხედვას, გრძნობას და იმას თუ რის გამოხატვას ვცდილობთ.

— ***1990 წელს პერუს საპრეზიდენტო არჩევნებზე თქვენი კანდიდატურა წამოაყენეთ და თქვით, რომ ეს იყო თქვენი მოვალეობა. რას გულისხმობდით — მოქალაქეობრივ მოვალეობას თუ მწერლის მოვალეობას?***

— მწერალი იმავდროულად მოქალაქეც არის და ვალდებულია, პრობლემების გადასაწყვეტად სამოქალაქო დებატებში მონაწილეობა მიიღოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერალი აუცილებლად პოლიტიკური მოღვაწე უნდა გახდეს. არა, არასდროს მინდოდა პოლიტიკოსი გავმხდარიყავი, მხოლოდ ერთხელ გადავდგი ეს ნაბიჯი, რადგან სიტუაცია პერუში ძალიან დამძიმდა. ქვეყანაში იყო ჰიპერინფლაცია, სამოქალაქო ომი და ტერორიზმი. არ შემეძლო შორიდან მეცქირა, როგორ ღაფავს სულს ისედაც მყიფე დემოკრატია. თუ თქვენ დემოკრატიის გწამთ, ის ხომ მონაწილეობას, სიტყვის თავისუფლებას გულისხმობს, ამიტომაც შეგნებულად გადავდგი ეს ნაბიჯი და საკუთარი თავი დიდი გამოცდის წინაშე დავაყენე. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მწერლების, მხატვრების და ზოგადად ინტელექტუალების მორალური უფლებაა, მიიღონ მონაწილეობა თავისი ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაში.

— ***ნობელის პრემიის მიღების შემდეგ თქვენს მუდმივ გულშემატკივრებს კიდევ მრავალი ახალი მკითხველი შეემატება. უპირველესად რომელი ნაწარმოების წაკითხვას ურჩევდით დაინტერესებულ ადამიანებს, რომელთაც არასდროს წაუკითხავთ მარიო ვარგას ლიოსას რომანები?***

— ო, ო... მიჭირს პასუხის გაცემა

— ***ე.ი. უტოვებთ თავისუფალ არჩევანს?***

— დიახ, ჩემთვის ყველაფერი, რაც შემიქმნია, ერთნაირად მნიშვნელოვანია და რომელიმე ნაწარმოების გამოყოფა ძალიან გამიჭირდება. თუმცა ყველაზე დიდი ძალისხმევა მოვანდომე წიგნს, რომელიც ეს-ესაა გამომზეურდება. ეს წიგნია „კელტის ზმანება," რომელმაც ჩემთვის უცნობი ქვეყნები, მათ შორის კონგო და ირლანდია შემომატარა, ბევრი რამ მასწავლა. ნაწარმოების მთავარი გმირი საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ირლანდიელია. ეს ერთგვარად ჩემი პირადი თავგადასავალიც არის — მეც ვიბრძოდი ჩემი სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის. საერთოდ კი, ლიტერატურა ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი თავგადასავალია.

მოამზადა

ნინო ნაჭყებიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ორჰან ფამუქი

2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი

უპრეცედენტო სასამართლო პროცესი ელოდა ცნობილ თურქ მწერალს, რომ არა საერთაშორისო საზოგადოების გავლენა თურქეთის ხელისუფლებაზე — მწერალს ბრალად ედებოდა ნაციონალური ღირსების შელახვა.

ორხან ფამუქი დაიბადა 1952 წელს სტამბულში. შეძლებულ ოჯახში. სწავლობდა პრესტიჟულ ამერიკულ კოლეჯში, შემდეგ კი ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელსაც თავი დაანება და 1977 წელს სტამბულის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამერიკაში ასწავლიდა, ხოლო 1980 წლიდან მხოლოდ ლიტერატურულ საქმიანობაზე გადაერთო. 1979 წელს თურქულ გაზეთ „მილიეტში" დაიბეჭდა მოთხრობა „**karanlik ve isik**" („სინათლე და წყვდიადი"), რომელმაც მწერალს დიდი აღიარება მოუტანა. მრავალ ნაციონალურ პრემიას ბრიტანული გაზეთის პრემიაც დაერთო. მისი ცნობილი რომანი „შავი წიგნი" ბესტსელერი გახდა და სულ რაღაც ერთ წელიწადში ათ ენაზე ითარგმნა. შემდეგ იყო რომანი „მე მქვია წითელი," რასაც მასშტაბური ლიტერატურული პრემია 100 000 ევრო მოყვა. 2005 წელს გამოცემული რომანი „თოვლი"კი ის ნაწარმოებია, რომელმაც მწერალს ნობელის პრემია მოუტანა.

— თქვენი წიგნები ორმოც ენაზეა თარგმნილი და ასზე მეტ ქვეყანაში იყიდება. როდესაც მწერალი ასეთი პოპულარულია, მის სიტყვას ერთგვარი მაგიის ძალა აქვს. თქვენ თუ იყენებთ ამ ძალას?

— გეთანხმებით, საერთაშორისო აღიარება მწერალს პოპულარულს ხდის. მით უმეტეს, ქვეყანაში, სადაც არ არის პოლიტიკური სტაბილურობა, ადვილი შესაძლებელია მწერალი პოლიტიკურ ფიგურადაც გადაიქცეს. თუმცა მე არ ვუსურვებდი ჩემ თავს ამ იდეის ცხოვრებაში განხორციელებას.

— თქვენი იდეა რაში მდგომარეობს?

— ჩემი იდეები აპოლიტიკურია. მე, უბრალოდ, მინდა, კარგი რომანები ვწერო. ჩემი რელიგია ლიტერატურაა. უფრო მეტიც, მე ვარ მხატვარი, რომელიც ქვეყნიერებას თავისებურად აღიქვამს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი „საერთაშორისო აღიარება," ნებით თუ უნებლიეთ, პოლიტიკაშიც მითრევს.

— თურქეთი — ეს არის ქვეყანა, სადაც ორი ცივილიზაცია — დასავლეთი და აღმოსავლეთი, ტრადიცია და თანამედროვეობა ერთმანეთს ეჯახება. თქვენი ქვეყნის განვითარება ყოველთვის ამ ორ მიმართულებას შორის მერყეობს და ეს ქვეტექსტი თქვენს ყველა წიგნში იკითხება.

— ტერმინი „ცივილიზაციათა შეჯახება" პირველად ჰარვარდის პედაგოგმა, სემუელ ჰანგტინტონმა გამოიყენა. დამეთანხმებით, რომ სულაც არ არის აუცილებელი, ამ სხვადასხვაობამ შეჯახებამდე, კონფლიქტამდე, ტერაქტამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვიყვანოს. 55 წელი სტამბულში ვიცხოვრე და ამ ქალაქის დღევანდელობა თუ წარსული ისტორია მეტყველებს იმაზე, რომ თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა ცივილიზაციის ერთურთში შერწყმა. თავი დავანებოთ დასავლეთს, აზიასა და ევროპას, თვით თურქეთში არის კონსერვატული მუსლიმანური კულტურა და თანამედროვე კულტურა. სწორედ ამ უკანასკნელს უჭერს მხარს ჯარი. ამ კულტურების ურთიერთჰარმონია ადვილად მიიღწევა, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი იქნა.

— 2005 წელს თურქეთის მთავრობამ სასამართლოში გიჩივლათ — თქვენ ნაციონალური ღირსების შელახვაში გადანაშაულებდნენ, რადგან ქურთებისა და სომხების გენოციდზე ალაპარაკდით. მართალია, საერთაშორისო საზოგადოებრივმა აზრმა სასამართლო პროცესს აგარიდათ, მაგრამ დღესაც კი დაცვით დადიხართ. რა ხდება თურქეთში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით?

— თუნდაც ის ფაქტი, რომ ვსაჭიროებ დაცვას, მეტყველებს, რომ, სამწუხაროდ, თურქეთში არ არის სიტყვის აბსოლუტური თავისუფლება. ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რომ გამაჩუმოს. დღეს ჩემი უსაფრთხოება დამოკიდებულია დაცვის ბიჭებზე და აღიარებული მწერლის სტატუსზე. იმედია, ციხეში არ აღმოვჩნდები.

— თქვენ ხშირად უსვამთ ხაზს, რომ, როგორც მწერალს, არ გინდათ პოლიტიკაზე ლაპარაკი და ამავე დროს აკეთებთ შოკისმომგვრელ განცხადებას გენოციდთან დაკავშირებით. რამ გაიძულათ ამ ნაბიჯის გადადგმა?

— როდესაც ცხოვრობ ტოტალიტარულ ქვეყანაში, სადაც ირღვევა სიტყვის თავისუფლება, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო, სადაც ბევრი პრობლემა ღიად არ განიხილება და ამას მთელი მსოფლიო აღიარებს, მაპატიეთ, მაგრამ მარტო ყვავილებზე და პეპლებზე ვერ დავწერ. თუმცა მე ვარ განწყობის ადამიანი — ხშირად, რაზეც ვფიქრობ, იმაზე ვწერ და არ ვითვალისწინებ შედეგებს. ისე კი, ხუმრობით გეტყვით, რომ ერთადერთი ბრალდება, რაც თურქეთის მთავრობამ წამომიყენა, არის უცხოელი „ჟურნალისტების პოლიტიკურ კითხვებზე ჩემი პასუხები."

— სომხებისა და ქურთების გენოციდზე იმავე აზრზე რჩებით?

— რა თქმა უნდა. ამ საკითხის განხილვა არა მარტო ჩემი სურვილია, არამედ ჩემი ღირსების საკითხიც. ჩემი ღირსების დაცვით კი ვიცავ ერს, კულტურას, მთელ საზოგადოებას.

— კიდევ ერთი პოლიტიკური შეკითხვა...

— კი ბატონო.

— მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტი გახდა, ობამამ კარდინალურად შეცვალა თითქმის ყველაფერი, განსაკუთრებით კი ბუშის მიერ მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ წამოწყებული ჯვაროსნული თავდასხმები. როგორ ფიქრობთ, მოახერხა კი მან, აღმოეფხვრა ბუშის მიერ დათესილი ავანტიურა, რომ ისლამი მტერია?

— მიმაჩნია, რომ ბუში იყო საშინელი პრეზიდენტი. მან აშშ-ს მთელ მსოფლიოში შეურყია რეპუტაცია და ამით დიდი ზიანი მიაყენა. ბუშის არასწორმა პოლიტიკამ ფინანსური კრიზისიც კი გამოიწვია. მე ვასწავლი ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, და მე და ჩემი მეგობრები დიდად გაგვახარა ობამას გაპრეზიდენტებამ. რა თქმა უნდა, ის გაცილებით დემოკრატიული, ლიბერალი პოლიტიკოსია, მაგრამ ამერიკა — ეს მკაცრი სისტემაა და, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამერიკელ პრეზიდენტებს არასოდეს ვანდობდი კაცობრიობის მომავალს.

— ხშირად აღნიშნავთ, რომ ჯერ თვით თურქებს უნდა აჩვენოთ, დაანახვოთ ნამდვილი თურქეთი.

— დიახ, ეს ჩემი, როგორც რომანისტის, ამოცანაა.

— თქვენს წიგნებში ხშირად სოციალური და რელიგიური საკითხებია წინა პლანზე წამოწეული. ხომ შეიძლება, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არ სიამოვნებდეს ამ თემებზე კითხვა? და კიდევ, როგორ ფიქრობთ, თურქული საზოგადოება თქვენს რომანებში ხედავს თავის თავს?

— არ ვიცი, ხედავს თუ არა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მათ ძალიან უყვართ ჩემი წიგნები.

— თურქეთი დღემდე რჩება პატრიარქალურ სახელმწიფოდ. წარმოიდგინეთ, რა იქნება, თუ მისი მთლიანი მოდერნიზება განხორციელდება. მაშინ რაზე დაწერთ?

— უკვე დავწერე 600 გვერდი. ეს არის სასიყვარულო რომანი, სადაც ძირითადი აქცენტი ქალის ბედზეა გადატანილი და კიდევ იმაზე, რომ ჩემს ქვეყანაში, სამწუხაროდ, განსაცდელის შეგრძნება დროსა და სივრცეში არ მთავრდება.

— თქვენ მრავალი ჯილდო მიგიღიათ, ახლა ნობელის პრემიის ლაურეატიც გახდით. საინტერესოა, შეცვალა თუ არა ამ ჯილდოებმა თქვენი პირადი ცხოვრება?

— ვფიქრობ, რომ ნობელის პრემიას არ გავუხდივარ უფრო ამბიციური და არც ლიტერატურისადმი ჩემი ერთგულება შეუცვლია, მაგრამ ჩემი ელექტრონული ფოსტის მისამართი და ბანკის ანგარიში ნამდვილად შეიცვალა.

მოამზადა

ნინო ნაჭყებიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ მეგრელიშვილი

ახალი რომანი ომზე... მშვიდობაზეც

აგვისტოს ომი — ჩვენი უახლესი წარსული და დღევანდელობაც. ომი, როგორც მარადიული გამოწვევა ადამიანური მანკიერებებისა, როგორც ეროვნული თუ პიროვნული თვითგამორკვევის ასპარეზიც, სასაკლაოც... ომი, რომელმაც არაერთი ხელოვანი შთააგონა.

„ირატტა.რუ“ — ახალგაზრდა მწერლის, გურამ მეგრელიშვილის ახალი რომანია. ის აგვისტოს ომს ეძღვნება. წიგნი ადამიანური სიმართლით და მწერლური წარმოსახვით შექმნილ სამყაროში შეგიძღვებათ, სადაც ბევრი რამ ნაცნობია, ბევრიც — უცნობი. მთავარი კი სისასტიკეა. ომის სისასტიკე, რომელიც განურჩევლად ეუფლება ყველას და ყოველივეს.

გურამ მეგრელიშვილს ნინო ჯაფარიძე ესაუბრება

წიგნის ისტორიით დავიწყოთ. აგვისტოს ომი რომ ჩვენს უახლეს წარსულში ყველაზე აქტუალური მოვლენა იყო და დღესაც ასეთად რჩება, ცხადია, ამ თემით მწერლის დაინტერესება არავის გააკვირვებს, მაგრამ ასე მასშტაბურად ამხელა მოვლენის გასააზრებლად მწერლები ხანდახან რაღაც ინტერვალს იღებენ ხოლმე. ომიდან მხოლოდ ორი წელი გავიდა. როდის გადაწყვიტეთ ან რატომ გადაწყვიტეთ, რომ აგვისტოს ომზე უნდა დაგეწერათ?

ომზე დაწერა ომის დროსვე გადავწყვიტე, მაგრამ, რამდენჯერაც დავიწყე, იმდენჯერ ჩამივარდა ნაწერი. დევნილებთანაც დავდიოდი „ვოლუნტიორად,“— ჰუმანიტარული ტვირთი მიმქონდა მათთან, ხალხს ვაკვირდებოდი და ამბებს ვეკითხებოდი ამ ომზე. მერე მოხდა ისე, რომ ამერიკულ-ქართული გამომცემლობა დამიკავშირდა და შემომთავაზა, დამეწერა რომანი აგვისტოს ომზე. სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი. ერთწლიანი კონტრაქტი დავდეთ და სამ თვეში რომანიც დაიწერა.

წიგნს თანაავტორიც ჰყავს — თამაზ დემეტრაშვილი. როგორც ვვარაუდობ, ის ან გამოგონილი ავტორია (წიგნში უხვად „გამოგონილ“ სხვა პერსონაჟებთან და მოვლენებთან ერთად), ან — ტექსტის „სამხედრო ნაწილის“ კონსულტანტი. გაგვაცანით, ვინ არის იგი და რაში დაგეხმარათ მასთან თანამშრომლობა?

თამაზი თავდაპირველად სამხედრო კონსულტანტი იყო — სტრატეგიების დაგეგმვასა და სამხედრო ტერმინოლოგიის გაცნობაში მეხმარებოდა. მუშაობის პროცესში იმდენი საინტერესო იდეა შემომთავაზა, რომ საჭიროდ მივიჩნიე, თანაავტორად ჩამეწერა.

წიგნის გარეკანის ბოლო გვერდზე, შავ ფონზე წითელი ასოებით, ანუ მკითხველისთვის ძალიან საგულისხმოდ, ვკითხულობთ: „ამ რომანის დაწერა საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში გამეფებულმა პესიმიზმმა გადაგვაწყ-

ვეტინა". რას ნიშნავს თქვენთვის ეს პესიმიზმი, მით უმეტეს მაშინ, როცა „ისტორიული რეალობა არ იცვლება" (ესეც რომანის გარეკანის ბოლო გვერდიდან)?

პესიმიზმი ზოგადად დამღუპველია. მოციქულს უთქვამს — რწმენა, იმედი და სიყვარულიო. იმედი თუ დავკარგეთ, მოტივაციაც დაიკარგება ყველაფრის. აქ ომის მოგება-წაგებაზე არ იყო საქმე: მე, როგორც ავტორმა, მიზნად დავისახე, დაგვენახა, ვინ სად, რატომ და როგორ ვიდექით მაშინ, როცა ქვეყანას ვჭირდებოდით. ამ რომანით მსურდა, ხალხისთვის მენახვებინა, რომ ომებს ჯარისკაცები არასოდეს აგებენ, არც ერთ მხარეს, რადგან ისინი მათთვის ყველაზე სანუკვარს, სიცოცხლეს გასცემენ მოყვასისთვის. პოლიტიკური და გეოგრაფიული მონახაზები მეორეხარისხოვანია ამ მთავარის ფონზე. რაც შეეხება პესიმიზმს, ეს ომის დღეებშივე იგრძნობოდა. ხშირად მესმოდა, ოღონდ აქ არავინ შემოვიდეს და ჯანდაბას ცხინვალიც და კოდორიცო. მგონია, რომ ჩვენ ასეთები არა ვართ, ჩვენ სხვანაირი ერი ვართ და შევეცდებით, ჩვეული სახე დავიბრუნოთ.

ომი შემოდის ხშირად ყველაზე წარმოუდგენელ არაფრობაშიც, ყველაზე ასოციალური ადამიანების ყოფაშიც — ეს თქვენი პერსონაჟების ცხოვრებიდან ჩანს: ომი მოქმედებს მათზე, ააქტიურებს, აფხიზლებს, პროტესტის აქამდე ნაგროვები ენერგიის გამოსაშვებად შანსს აძლევს. ანუ, რა არის ომი თქვენთვის?.. უფრო სწორად, თქვენი აზრით, ასეთი ადამიანებისთვის? თქვენი გმირებისთვის?

ომი ყველასთვის სხვადასხვა რამ არის — ზოგისთვის სიკვდილია, ზოგისთვის უსახლკარობა, ვიღაცისთვის ფულის შოვნის კარგი და იოლი გზა, სხვისთვის საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის საუკეთესო მიზეზი. სინამდვილეში ომი უბედურებაა, რადგან აქ მართალი მხარე არ არსებობს. მართლები ისინი არიან, ვინც თავისი ქვეყნისთვის კვდებიან. რომანის პერსონაჟები სხვადასხვა სოციუმს, სხვადასხვა ფსიქოტიპს ეკუთვნიან — არიან „ქოთანებიც" და „სტალკერებიც", ტატოებიც და პალა ცკაევებიც. ზოგი ასე ფიქრობს და ზოგიც ისე. მკითხველმა უნდა აარჩიოს, რომელია მართალი და სწორი, ვის მხარეს უნდა დადგეს თავად.

როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენს პერსონაჟებთან? მართალია, ისინი გამოგონილებია, მაგრამ ცხოვრებაშიც ხომ შეგხვდებიან მსგავსი ხასიათის ადამიანები, რომლებიც ან გმირები არიან, ან ტერორისტები; ამართლებთ თუ არა მათ საქციელს?

გამართლება ყველას შეიძლება მოეძებნოს, გმირსაც და მოღალატესაც. რომანში არის ერთი ძალიან უარყოფითი პერსონაჟი, ჯობა, რომელიც ათასგვარ სისაძაგლეს სჩადის, მაგრამ მე მაინც მეცოდებოდა ის — წერის და მერე კითხვის პროცესშიც.

ყველა ჩვენგანზე დიდი კვალი დატოვა ამ ომმა, მათ შორის თქვენს პერსონაჟებზეც. რა შეიცვალა მათ ცხოვრებაში?

ყურადღებიანი მკითხველი მიხვდება, რომ ყველა პერსონაჟი იცვლება წიგნის ბოლოს. ეს იყო რომანის ჩანაფიქრიც. როგორც მშობიარობის ან ავადმყოფობის მერე ცუდი გამოიდევნება სხეულიდან, ისე ომის მერე ყველა პერსონაჟში გარდატეხა ხდება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს უნდა დავინახოთ ჩვენშიც.

რისთვის იწყება ომები? წიგნში ამას თავისი მიზეზები აქვს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

ომები იწყება ფულის საკეთებლად.

წიგნს ჰქვია „ირატტა.რუ", რუსული ვებგვერდის მისამართი; საიდან გაჩნდა ეს სათაური?

როგორც რუსულ დომეინს არიან მიბმულები სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები, ისე არიან ისინი მიბმულები რუსულ იმპერიასაც. ოსები ვაჟკაცი, თავისუფალი ხალხია. ეს ერთგვარი სიგნალი იყო მათთვის, რომ ნებისმიერი „მიბმა" დამღუპველია ერისთვის.

2008 წლის მოვლენებს ისე აღწერთ, თითქოს თქვენც ამ ომის ეპიცენტრში ყოფილიყავით. თქვენ სად იმყოფებოდით ომის დროს და რას საქმიანობდით?

ომის დროს მე რაჭაში ვიყავი. რუსული თვითმფრინავების მანევრირებებს ვუყურებდი და დაბომბვის ხმაზე არ მეძინა. ომი, ფაქტობრივად, გარედან ვნახე, მერე დაბომბილი სოფლებიც ვნახე, სადაც მანამდე ორი კვირით ადრე ვიყავი. წერის დროს ძალიან მეხმარებოდა ის მოგონებები, რაც თამარაშენში ვნახე. ეს იყო ჩვეულებრივი, კარგი დაბა, სადაც ხალხი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. დღეს, როგორც ვიცი, იქიდან აღარაფერია დარჩენილი. ძალიან სამწუხაროა ეს.

წიგნის კითხვის დროს გიჩნდება განცდა, თითქოს კინოს უყურებ, იმდენად ნათელია სიუჟეტი. საინტერესოა, ფილმის გადაღება ხომ არ იგეგმება?

ფილმის გადაღება ჯერ არა, თუმცა ინტერესის შემთხვევაში სცენარზეც სიამოვნებით ვიმუშავებდი. იგეგმება კომპიუტერული თამაშის გაკეთება, რომ მთელმა მსოფლიომ გაიცნოს და ნახოს, რა მოხდა საქართველოში 2008 წელს. ასეთი ვირტუალური თამაშები საკმაო ინფორმაციას შეიცავს და თავის საქმეს გააკეთებს — სადღაც ნიუ-ჯერსიში მცხოვრებ მალკოლმს დაანახებს, რა მოხდა აქ 2008 წელს. წიგნი რუსული მხარისთვისაც ძალიან საინტერესო უნდა იყოს, რადგან, ჩემი აზრით, იქაურმა მხარემაც არანაკლები დაკარგა ამ ომით.

რობერტ ჰაინლაინი — (12.09.2010)



ამერიკული და, საერთოდ, მსოფლიო ფანტასტიკის ჟანრი, კრიტიკოსების აზრით, სრულყოფილი ვერ იქნებოდა რობერტ ჰაინლაინის შემოქმედების გარეშე. მისმა ახალმა რომანმა „არ შევუშინდები ბოროტებას"ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არნახული ემოციები, მწერლისთვის მანამდე ასე ჩვეული, „ჰაინლაინის" სტილის უკუგდება, შოკის მომგვრელი ეროტიკული სიუჟეტი, დეტალურად აღწერილი სექსუალური სცენები — ყოველივე ამან, რაც მანამდე საერთოდ მიუღებელი იყო მწერლის სტილისთვის, მთლიანად გადაატრიალა რომანის სტრუქტურა. რამ განაპირობა მწერლის ასეთი სახეცვლა? ამ შეკითხვას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ და სიკვდილის მოლოდინმა. ფილოსოფიურ-ფანტასტიკური ჟანრის ამ რომანში ჰაინლაინი მთავარ პერსონაჟებს (იოჰანი, ჯეიკი, უნისი) ორჯერ სიკვდილს აიძულებს, რათა საბოლოოდ ისინი ერთ სხეულად აქციოს. მწერალი თავს არიდებს ამ ფაქტების შეფასებას. მან იცის, შეიძლება მკითხველს ნაწარმოები არ მოეწონოს, უფრო მეტიც, აშკარაა, მისი თაყვანისმცემლების უმეტესობა ამ რომანის წაკითხვაზე უარს იტყვის, მაგრამ ამას მისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც რომანი განკუთვნილია მცირე, მაგრამ სულ სხვა ტიპის მკითხველისთვის და ამაში დარწმუნდებით, თუ იოჰან სმიტის, მოხუცი მილიარდერის ამბავს გაეცნობით, მოხუცის, რომელსაც მიზნად დაუსახავს, რადაც უნდა დაუჯდეს, მოატყუოს სიკვდილი.

გერტა მიულერი — ნობელის პრემიის ლაურეატი

შვედ აკადემიკოსებს რომანმა „ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა" გადაწყვეტილების მიღება გაუადვილა და ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში ჩაუშესკოს ტოტალიტარული რეჟიმის ამსახველი ნაწარმოების ავტორს, გერტა მიულერს მიანიჭეს. რომანში მოთხრობილია ჩვიდმეტი წლის ტრანსილვანიელი გერმანელის, 1945 წელს საბჭოთა კავშირში დეპორტირებული ლეო აუბერგის თავგადასავალი. „საბჭოურ" რუმინეთში მცხოვრები ეთნიკური გერმანელებისთვის ყველაზე მძიმე წლების ასახვამ მიულერს საყოველთაო აღიარება და მრავალი ჯილდო მოუტანა. მისთვის უკვე ერთგვარი სტიმულიც კი იყო კომუნისტურ რეჟიმზე წერა, რამაც ბოლოს და ბოლოს სასურველი შედეგი გამოიღო და გერტა მიულერმა ნობელის პრემია დაისაკუთრა. ცხადია, რომ შვედი აკადემიკოსების გადაწყვეტილება უფრო პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულებებით.

ალექსეი სლაპოვსკი — „ლაშქრობა კრემლზე"

მწერალმა, დრამატურგმა და სცენარისტმა ალექსეი სლაპოვსკიმ აღიარება ჯერ კიდევ 90-იან წლებში მოიპოვა წიგნებით „ანკეტა," „პირველი, მეორე მოსვლა"და „დღე ფულია". კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მისი პროზა ჩვენი დროისთვის იშვიათი ბელეტრისტიკის ხარისხით, გამჭრიახობით, მოქნილი სიუჟეტით, იუმორის გრძნობით და უბრალოებით გამოირჩეოდა. სლაპოვსკიმ ერთხელ თქვა, თუ არ ვიგრძნობ, რომ რაღაც ახალ ინტონაციაზე გავედი, არაფერს დავწერო. რომანი „ლაშქრობა კრემლზე"არა მარტო სიმართლის ასახვის სტრატეგიულად ახალი ხედვაა, არამედ მწერლის მცდელობა — მიიქციოს ყურადღება, საზოგადოებას შეახსენოს, რომ ის, როგორც პროზაიკოსი, ჯერ კიდევ ცოცხალია.

სლაპოვსკი წერს სოციალურ სინამდვილეზე, ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებზე და მძაფრ ამბავს სატირულ სიუჟეტებში აქცევს: ქალს, რომელიც სპორტული სკოლის მწვრთნელია, ახალგაზრდა პოეტ შვილს ერთ-ერთი მილიციის განყოფილებაში, „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას" ცემით მოუკლავენ. სასოწარკვეთილი დედა მკვდარი შვილით ხელში კრემლისკენ მიდის. რატომ მიდის, თვითონაც არ იცის, მაგრამ მაინც მიდის, უკან კი ხალხის ზღვა მიჰყვება — ახლობლები, უბრალოდ, ცნობისმოყვარენი, ლიბერალ-პატრიოტები, რომლებმაც გადაწყვიტეს, ეს აქცია საკუთარი მიზნისთვის გამოიყენონ, სასეირნოდ გამოსული ტურისტები, რადიო „სვაბოდას"კორესპონდენტი, ცნობილი თავისი უნარით, გააკეთოს რეპორტაჟი მანამ, სანამ რაიმე მომხდარა. აქციის მონაწილეა თვით ის მილიციელიც, რომელსაც მკვლელობა ბრალდება და რომელიც სიცოცხლეში პირველად ჩაღრმავებია საკუთარ თავს. ლოზუნგი ყველასთვის საერთოა — **„მოგვბეზრდა!"** და რა მობეზრდათ? ზოგს — ცოლი, ზოგს — ტირანული სისტემა, ზოგს — საკუთარი თავი და ა.შ. უკმაყოფილოა თვით ხელისუფლებაც...

უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინში ხალხი ნელ-ნელა იშლება, რეჟიმი კი, როგორიც იყო, ისეთივე რჩება. ასეთია რუსული **„happy end"**-ი.

„გალას“ გამარჯვებულები დასახელდნენ

ლიტერატურული კონკურსის, „გალას“ გამარჯვებულები დასახელდნენ. ჟიურიმ 24 გამომცემლობიდან შემოსული 120 წიგნიდან გამარჯვებულები 6 ნომინაციაში გამოავლინა.

ნომინაციაში წლის წიგნი გაიმარჯვა **ზურაბ ლეჟავამ** – „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). ამ ნომინაციაში გამარჯვებული ზურაბ ლეჟავა კულტურის სამინისტროსგან დამატებით საჩუქრად საწერ მაგიდას მიიღებს.

ამის შესახებ, კულტურის მინისტრმა **ნიკა რურუამ** განაცხადა, რომელმაც წლის წიგნის ნომინაციაში გამარჯვებული დაასახელა.

თარგმნილი წიგნის ნომინაციაში გიმარჯვა **ლია ჩლაიძემ** ორჰან ფამუქის – „მე მქვია წითელის“ თარგმნისთვის („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). ნომინაციაში წიგნის მხატვრობა გაიმარჯვა **თინათინ ჩხიკვიშვილმა** — მაყვალა მრევლიშვილის „ლექსები“ („ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“). ნომინიაციაში საბავშვო წიგნი გაიმარჯვა ნაწარმოებმა — „საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის“ (მოთხრობილი **მზია სურგულაძის** მიერ) – „ლიტერა“. ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი გაიმარჯვა **კახა თოლორდავამ** — „საუბრები ჯაზზე“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). ნომინაციაში სამაგიდო წიგნი გაიმარჯვა ნაწარმოებმა „გმირი“ — „პრაიმ-ტაიმი“.

ცნობისათვის: თითოეული გამაჯვებული ავტორი კოლხური ხელცულის მცირე ზომის ასლითა და ერთჯერადი ფულადი პრემიით, 4000 ლარის ოდენობით საჩუქრდება.

როგორც ჟიურის წევრები აცხადებდნენ, წინა წლებთან შედარებით, წელს ლიტერატურულ კონკურსზე გამომცემლობებისა და წიგნების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. მათი თქმით, დაიხვეწა წიგნის ხარისხიც.

შეგახსენებთ, რომ ლიტერატურული კონკურსი „გალა“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის, **ზაალ სამადაშვილის** ინიციატივით და მერიის მხარდაჭერით უკვე ოთხი წელია იმართება და „თბილისობის“ დღესასწაულის ინტელექტუალურ ნაწილად იქცა.



საქართველოს საპატრიარქომ მკითხველს წარუდგინა წიგნი „საქართველოს თავადაზნაურობა.“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი და წმინდა სინოდი. წიგნი საინტერესოდ გადმოქვცემს ჩვენი ქვეყნის, მათ შორის, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების, თავადებისა თუ უბრალო რიგითი ქართველი პატრიოტების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, აქვეყნებს უნიკალურ ფოტომასალას ეროვნული მუზეუმიდან თუ საოჯახო არქივებიდან. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ეს კრებული შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარ ენციკლოპედიად.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში „ვეფხისტყაოსნის“ ას მეხუთე გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამომცემლობა „ბაკმისა“ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტით დაისტამბა. ექსპერტებმა ის „ვეფხისტყაოსნის“გამოცემებს შორის საუკეთესოდ აღიარეს.

ლიტერატურის მუზეუმში მიწვეულ სტუმრებს წარუდგინეს ამავე მუზეუმის დირექტორის, ლაშა ბაქრაძის წიგნი „გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს“. ავტორმა ვრცლად ისაუბრა წიგნში შესულ დოკუმენტებსა და ომის დროს განვითარებულ მოვლენებზე. შეკრებილ საზოგადოებას საშუალება მიეცა, დაეთვალიერებინა ამ დროის ამსახველი უნიკალური ფოტომასალა. წიგნში ფართო ადგილი ეთმობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ბერლინში არსებულ ქართულ ეროვნულ კომიტეტს, რომელიც გერმანელებთან საქართველოს განვითარების საკითხებში თანამშრომლობდა. კომიტეტი ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფართო პროპაგანდას და აღიარებდა საქართველოს, როგორც ცენტრალურ სახელმწიფოს კავკასიაში.

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი სახელშეკრულებო

პოეზია

კატო ჯავახიშვილი
გიორგი კეკელიძე
ბესიკ ხარანაული
დიანა ანფიმიადი
ჯარჯი ფხოველი
გივი ალხაზიშვილი
ნატა ვარადა
მარიამ წიკლაური
ტარიელ ხარხელაური
ელა გოჩიაშვილი
ნინო სადღობელაშვილი
რობერტ მესხი
ნინო ქოქოსაძე
ნუგზარ ერგემლიძე

პროზა

რეზო ჭეიშვილი
ნოდარ წულეისკირი
ზვიად კვარაცხელია
ნიკუშა ანთაძე
მიხო მოსულიშვილი
ლადო კილასონია

თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე
ბორის პასტერნაკი
იოსიფ ბროდსკი

თეატრი

თემურ ჩხეიძე

წერილები

ჭაბუა ამირეჯიბი
ინგა მილორავა
თამაზ ვასაძე
ნინო დარბაისელი

ინტერვიუ ნობელიანტებთან

მარიო ვარგას ლიოსა
ორჰან ფამუქი

ლიტერატურული ესსე

გურამ მეგრელიშვილი

ISSN 0132-6023
9 770132 602007